ეროვნული ბიბლიოთეკა

# კავკასია

## რუსული საქმე და ტომთაშორისი საკითხები



ეროვნული
ბიბლიოთეკა



ეროვნული ბიბლიოთეკა

# წინათქმა

რუსი პოეტი, პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე ვასილ ლვოვის ძე ველიჩკო (1860-1903) ქ. თბილისში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა 1986-1899 წლებში. ვ. ველიჩკო იყო გაზეთ „კავკაზი"-ს რედაქტორი. მისი პუბლიკაციები ხშირად ქვეყნებოდა გაზეთ „ივერია"-ში ილია ჭავჭავაძის რედაქტორობით.

ვ. ველიჩკოს შემოქმედება მრავალფეროვანია, ხოლო ფილოსოფიური შეხედულებები კი ხშირად წინააღმდეგობრივი და უკიდურესად რადიკალური. აღნიშნული დიდი ალბათობით გაპირობებულია იმ ისტორიული ეპოქის თავისებურებით, რასაც ჰქვია რუსეთის იმპერია XIX-XX საუკუნის მიჯნაზე. რუსეთის იმპერიის ისტორიის ეს მონაკვეთი ხასიათდება მკვეთრად გამოხატული სოციალური კატაკლიზმებით, სწორედ ამ პერიოდს ემთხვევა გამოკვეთილი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწეთა, ხელოვანთა და მეცნიერთა ისტორიულად მნიშვნელოვან პიროვნებათა ცხოვრების ასპარეზზე გამოსვლა. შეხედულებები სოციალურ მოვლენებზე, პიროვნებაზე, ეთნიკურ ჯგუფზე, ერზე, ზოგადად ისტორიულ განვითარებაზე იყო არაერთგვაროვანი, ზოგჯერ კი ურთიერთგამომრიცხავი მოვლენებითა და ფაქტებით დატვირთული. ეს პერიოდი დღესაც საინტერესოა, როგორც წარსულის, ასევე დღევანდელობისა და მომავალი განვითარების პერსპექტივების თვალსაზრისით.

ვ. ველიჩკოს ნაშრომი „კავკასია. რუსული საქმე და ტომთაშორისო საკითხები" გამოიცა სანქტ-პეტერბურგში 1904 წელს. შინაარსის თავისებურებიდან გამომდინარე საბჭოთა პერიოდში მისის პოპულარიზაცია არ ხდებოდა. წიგნის ქართულ ენაზე გამოცემა ნაკარნახევია სურვილით - XXI საუკუნის დასაწყისში ქართველმა მკითხველმა შეაფასოს უცხო თვალით დანახული კავკასია XXI საუკუნის მიჯნაზე, რაც ვფიქრობთ გარკვეული პარალელების გამოვლენის საშუალებას იძლევა. უნდა აღინიშნოს, რომ წიგნში მოცემული ფაქტები, მოვლენები, ავტორისეული არგუმენტაცია თავიდანვე იწვევდა და იწვევს რადიკალურად განსხვავებულ შეფასებებს. ჩემი

აზრით არ შეიძლება არ დავეთანხმოთ იმ მოსაზრებას, რომ წიგნის ავტორი ხშირ შემთხვევაში ტენდენციური და აშკარად სუბიექტურია, მაგრამ ფაქტია, რომ ეს შეხედულებები არსებობს და საინტერესოა როგორც მოცემულობა, რომელსაც გააჩნია მასაზრდოებელი ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზები და პირობები ყოველ შემთხვევაში მკითხველს ეძლევა საშუალება თვითონ განსაზღვროს საკუთარი დამოკიდებულება ისტორიულად არსებულ მოვლენებთან და შეხედულებებთან მიმართებაში. ყველა აზრს აქვს არსებობის უფლება, თუმცა ცხადია, რომ ჭეშმარიტება ერთია და ის ყველაფერზე იმარჯვებს. მხოლოდ განსხვავებული შეხედულებების ჭიდილი იძლევა ლოგიკური აზროვნების გზით ჭეშმარიტების მიგნების საშუალებას, ეს კი დღევანდელ ვითარებაში მეტად აქტუალურია

ვფიქრობ ქართული მკითხველი ინტერესით გაეცნობა ამ იშვიათ ნაშრომს.

პატივისცემით,
ჯემალ შელია

15.III-2010
ქ. თბილისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პირველი ტომის სარჩევი


1. შესავალი.......... 7
2. წარსულის ხასიათი.......... 11
3. ჩვენი ძმები — ქართველები .......... 31
4. რუსულ-ქართული ურთიერთობა.......... 54
5. სომხები.......... 67
6. ისტორიული წარსული.......... 69
7. გადასვლა თეოკრატიასა და მონოფიზიტობაში.......... 80
8. ტომობრივი განცალკევებულობა და ეკონომიკური მბრძანებლობა.......... 88
9. სიმართლე თურქულ მხეცობაზე.......... 105
10. ეკლესიის პოლიტიკური როლი და სომხური პროგრამა.......... 11
11. ხალხის მასა .......... 129
12. სომხურ-გრიგორიანული ეკლესიის ქონების მართვის რეფორმა და სომხური უხამსობა.......... 136
13. აზერბაიჯანელი თათრები.......... 162
14. თარეში.......... 177
15. საყოფაცხოვრებო პირობების არანორმალურობა.......... 184
16. დაღესტნელი მთიელები.......... 190
17. რუსები კავკასიაში .......... 195
18. კაზაკობა.......... 198
19. სახელოვანი კავკასიური არმია.......... 201
20. სექტანტები და რუსი ახალმოშენეები.......... 208
21. რუსი ინტელიგენცია.......... 227

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ წიგნის პირველი ფურცლები დაიბეჭდა ვასილ ლვოვიჩ [illegible] სიცოცხლეში; სიკვდილმა ხელი შეუშალა ბოლომდე მიეყვანა საქმე. რომელსაც იგი უყურებდა როგორც ერთ-ერთ თავის უმნიშვნელოვანეს პრინციპულ ამოცანას და ის აზრი, რომ მრავალწლიანი, სიმწრით მოპოვებული ნაშრომი რჩებოდა დაუმთავრებელი, სიკვდილის ბოლო წუთამდე აღელვებდა მას. შევასრულეთ რა მის მიერ გამოთქმული უკანასკნელი სურვილი, წიგნის ბეჭდვა მივიყვანეთ ბოლომდე იმ პირის მონაწილეობით, ვინც დიდხანს მუშაობდა ვასილ ლვოვიჩთან კავკასიის საქმეებზე და საფუძვლიანად იცოდა განსვენებულის შეხედულებები და გეგმები. წიგნის საფუძველია წერილები, რომლებიც იბეჭდებოდა „რუსკი ვესტნიკში"; პირველი ოთხი თავი გულდასმით დაამუშავა თავად ავტორმა, ხოლო დანარჩენი ჩვენ შევავსეთ შეძლებისდაგვარად და დავურთეთ შენიშვნები, რომლებიც ამოკრეფილია ვ.ლ. ველიჩკოს მიერ დატოვებული მასალებიდან. ამ უკანასკნელთა ნაწილს ვათავსებთ წიგნის ბოლოს „დანართის" სახით. საუბედუროდ, არ გვქონდა რა შესაძლებლობა, გაგვემდიდრებინა ეს წიგნი იმ ყველაფრით, რასაც თავად ავტორი მისცემდა, ამოცანად დავისახეთ, არ მოგვეთავსებინა არც ერთი სტრიქონი, რომელიც მის მიერ არ იქნებოდა მომზადებული ან თუნდაც მისი აზრებისგან რამდენადმე განსხვავებული აღმოჩნდებოდა.

გამომც.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## 1. შესავალი

რა ჯადოსნური სიტყვაა დღემდე – კავკასია! რუსი ხალხისთვის რა წარუშლელი მოგონებები ქრის მისგან; რა კაშკაშაა ამ სახელის გაგონებისას სულში აფეთქებული ოცნება, ოცნება დაუმარცხებელი ყოველდღიურობის უხამსობით თუ სასტიკი ანგარიშიანობით! არის კი რუსეთში ადამიანი, რომლის ოჯახსაც რამდენიმე ათწლეულის წინ მსხვერპლი არ გაეღო სისხლითა და ცრემლებით ამ გამოუცნობი მხარისთვის, ან ზეცისკენ არ აღევლინა გულმხურვალე ლოცვა, დევგმირთა ბრძოლის მრისხანე გრუხუნის მშფოთვარედ მოსმენისას, შორს რომ დუღდა?! თოვლისგვირგვინიანი გიგანტებიც, შუადღის მზის მწველი სხივებიც, უდიდესი ტრაგიზმით გამსჭვალული ძველებური თქმულებებიც, კავკასიის შვილთა აგზნებული გმირობაც – ყოველივე ეს ხოტბაშესხმულია ხალხის მიერაც და მისი მსოფლმხედველობის გრძნეულად გამომხატველი რუსული იდეის შთაგონებული ჩირაღდნების – ჩვენი დიდებული პოეტების – მიერაც.

ჩვენთვის კავკასია არ შეიძლება უცხო იყოს: საკმაოდ ბევრი ყოველგვარი ძალაა მასზე დახარჯული, ძალზე ორგანულადაა იგი დიად რუსულ მსოფლიო მოწოდებასთან, რუსულ საქმესთან დაკავშირებული.

მრავალი მცდელობის გამო (უმეტესად არცთუ უანგაროდ), დაებნიათ რუსი საზოგადოება ტომთაშორის საკითხებში, აუცილებელია დავადგინოთ ერთხელ და სამუდამოდ სასიცოცხლო, სწორი თვალსაზრისი რუსულ საქმეზე საერთოდ. ერთნაირად გულწრფელ ადამიანებს შეიძლება სხვადასხვა თვალსაზრისი ჰქონდეთ. ერთნი მიიჩნევენ რუსული საქმისთვის სამსახურს სახალხო-სახელმწიფოებრივი არსებობის და აყვავებისთვის ბრძოლად, რომელიც შეზღუდული არაა ისტორიის არანაირი აღთქმით, არანაირი ზნეობრივი ან ადამიანური ნორმით; ისინი ფიქრობენ, რომ ყველაფერი უცხო, თუნდაც ღირსეული, უნდა აღიგავოს მიწისაგან პირისა, თუკი სწრაფად და უკვალოდ არ შეერწყმება ჩვენს სახალხო-სახელმწიფოებრივ სტიქიას. ამ

სასტიკ შეხედულებას მე ვუწოდებდი გერმანულს და არა რუსულს. იგი ეწინააღმდეგება რუსეთის მსოფლიო იდეალს და ძირს უთხრის მის ერთ-ერთ საიმედო საფუძველს – სულიერებას და, მაშასადამე, პოლიტიკურ ძლიერებასაც.

სხვები საპირისპირო უკიდურესობაში ცვივიან: ისინი მზად არიან დათმონ ყველაფერი რუსული იმის სასარგებლოდ, რაც არღვევს ჩვენს ერთიანობას, არყევს ჩვენს სახელმწიფოებრივ ძალას და თავისთავადაც უარყოფითი მოვლენაა. ეს ცრუ-ეროვნული პროგრამის მქონე წინააღუდგომელთა „სკოლის“ შეხედულებაა, რომლის ჭეშმარიტი ხელმძღვანელი ან კულისებმიღმა შთამაგონებელი, რა თქმა უნდა, *რუსი ხალხი არაა.* ასეთი წინააღუდგომლობა გამაცალკევებელი, უცხო ბოროტი ძალების მიმართ იმ იშვიათ შემთხვევაშიც კი, როცა იგი უანგაროა, შესაძლებელია მხოლოდ რუსული პატრიოტიზმის ცხოველმყოფელობის საზიანოდ და არანაირად არ შეიძლება მისი გამართლება ასეთ შემთხვევაში ჩვეულებრივი მსჯელობით თემაზე, რომ ჩვენ – დიდი და ძლიერი ხალხი ვართ. დიდი ხალხი – და ამიტომ ნებას რთავეთ, ვისაც მოუნდება, ხელყოს ჩვენი შვილების პური, უმცროსი ძმების სასიცოცხლო ძალები, უფლებას აძლევთ, შეურაცხყონ ჩვენი სიწმინდეები, უცხოტომელმა გამთიშველებმა კი რუსული საქმის მატარებელი სუსტები და დამთმობები დაჩაგრონ?! როდემდე გააიგივებთ დიადის ცნებას სულელის, სუსტის და უპრინციპოს ცნებასთან?!

სწორია, სამართლიანი და ამასთან ერთად, პრაქტიკულიც მხოლოდ ქვემოხსენებული მესამე თვალსაზრისი. დიადი და ძლიერი ცხოვრებას ნამძინარევი თვალებით კი არ უყურებს, *არამედ სასურველ დროს ამკვიდრებს სასიცოცხლო სიმართლეს,* ცოდნით აღჭურვილი ავითარებს თავის შემკრებ ან ერთიან პიროვნებას წარსულის ნაანდერძები თქმულებებით, „ცივ დაკვირვებათა გონებითა და მწუხარე ხსოვნის გულით“. დიადი და ძლიერი არ კმაყოფილდება შაბლონებით და მეტსახელებით, რომლებიც ფარავს ცრუ, ბუნდოვან ან ფერად-ფერად ცნებებს. იგი მოვალეა გონების ძალისხმევით შეკვეცოს ზარმაცი ბუდოვანება, ვალდებულია გაერკვეს ჭრელი სურათის ფერებსა და შუქჩრდილებში.

თუკი აქამდეჭრელი კავკასია ჩვენი განათლებული კლასისთვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მტანჯველი გამოცანაა, ეს იმას ნიშნავს, რომ იგი არც დიადია და არც ძლიერი, იგი ჯერ კიდევ არ განთავისუფლებულა უცხო სიტყვების და ცნებების მონობისგან, ზემონახსენები ულლისგან და, სამწუხაროდ, ტიპურად რუსული ზარმაცი გაურკვევლობისგან. ახლახან წამოშობილი და, რაც მთავარია, გარეშე ყალბი მზაკვრული გავლენისგან დამოუკიდებელი რუსული საკრებულოს განვითარება ამტკიცებს ჩემი სიტყვების სიმართლეს, ამასთან ერთად, ანათებს იმედის კაშკაშა სხივით რუსული გამჭრიახობის, რუსული დაკვირვებულობის და სულიერი ძალის აღმავლობის საუკეთესო დღეთა სიახლოვეს.

ჩვენმა ჯარისკაცებმა, მათთან ერთად კი ხალხმაც, კავკასიას „დამღუპველი“ უწოდეს, იმიტომ რომ მისი დამორჩილება დაკავშირებული იყო გმირობის არანახულ დაძაბვასთან და მძიმე მსხვერპლთან. მაგრამ ასეთი მსხვერპლისთვის ჩვენი ხალხი ძუნწი არაა: მკვდრებზე აუგს არ ამბობენ, ხოლო გმირობას დიდებით ამკობენ. კავკასიის „დამღუპველობამ“ სხვა ფორმა მიიღო, შეიძლება ითქვას, საბედისწერო, საბოლოოდ კი შეიძლება სასარგებლოც, გახსნა რა ჩვენი შიდა ცხოვრების წყლულები, ჩვენი სულის უძლურება, ჩვენი პოლიტიკის შეცდომები და ცოდვები განაპირა მხარეს, თვით სახელმწიფო-ეროვნული მსოფლმხედველობის ბუნდოვანება და არამდგრადობაც კი ბევრ რუს ადამიანში როგორც მსახურეულთა, ასევე იმათი, ვინც გაბედა, გავლენა მოეხდინა საზოგადოებაზე ბეჭდვითი სიტყვის მეშვეობით.

კავკასია — ეს უზარმაზარი აკადემიაა ბუნებრივი ლაბორატორიებით, რომელიც დამკვირვებელს და მკვლევარს დამოუკიდებელი დასკვნებისთვის ვრცელი ასპარეზით წარმოუდგება. განსაკუთრებული ფასეულობაა იგი სოციოლოგისთვის, კერძოდ კი, ესოდენ მცირედ გავრცელებული სახელმწიფომეცნიერების წარმომადგენლისთვის,—სამწუხაროდ! — თვით ჩვენს მმართველ კლასებშიც კი, რომლებიც დროა, *შეგნებულად* მიუდგნენ თავიანთ მოვალეობებს სამშობლოს და ხელმწიფის წინაშე და არა უყურონ ცხოვრებას 20 რიცხვის თვალსაზრისით. ცხოვრებისეული მოვლენები და ადამიანური ხასიათები კავკასიაში ფრიად თვალსაჩინოა, მაშინაც კი, თუკი ისინი რთულია. განსაკუთრებით საინტერესოა რასობრივი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკითხების სოციალურ-ეკონომიკურთან დაკავშირება, ზოგჯერ კი სრული თანხვედრა. კავკასიური ცხოვრების ამ განსაკუთრებულობით განპირობებულია მხარის მართვის არანაკლები სირთულე და კონტროლი ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების მუშაობაზე ხან ნამდვილად, ხან მოჩვენებითად, არ ესმოდათ რა იქაური საზოგადოებრივი წყობის და ყოფა-ცხოვრების საფუძვლის თავისებურების პრაქტიკული მნიშვნელობა.

იმისათვის, რომ გავერკვეთ უმთავრესი საკითხების და მოვლენების საფუძველში, საჭიროა, თუნდაც ზოგადად, გავეცნოთ წარსულს.

## 2. წარსულის ხასიათი

კავკასიის მხარის წარსული არანაკლებ ჭრელი სურათია, ვიდრე მისი ბუნებრივი პირობები და მოსახლეობის მრავალგვომობრივი შედგენილობა. ასეთ პირობებში დადებითი ხასიათის განზოგადება ფრიად რთულია, მაგრამ რამდენადმე კამკაშა ფერებით შეიძლება აღენიშნოთ ამ წარსულის მხოლოდ რამდენიმე ყველაზე თვალსაჩინო თვისება, თუმცა უარყოფითი კულტურული თვალსაზრისით.

ჯერ ერთი, კავკასიას *არასდროს ჰქონდა მოსვენება* — არც შიგნით, არც გარეთ. მრავალი საუკუნის განმავლობაში ის იყო ერთ-ერთი გზა აზიიდან სამხედრო შეჭრისთვის ევროპაში; ამ მთებსა და ველებზე გამვლელი თითოეული ტომი თავისი ტალღით რეცხდა ადგილობრივი კულტურის ამა თუ იმ ჩანასახს, სანაცვლოდ კი ტოვებდა საკუთარ კვალს, უპირატესად ცუდს, ვინაიდან შემოჭრილი ტომები არავის და არაფერს ერიდებოდნენ. მეორე მხრივ, საკმაოდ დასერილი ადგილი, გაუკვალავი ხეობებითა და მიუწვდომელი მწვერვალებით, მნიშვნელოვანი კლიმატური, ნიადაგის და ტომობრივი მრავალფეროვნებისას, არ შეიძლებოდა გამხდარიყო მკვიდრად გაერთიანებული და კულტურულად განვითარებული სახელმწიფოს ტერიტორიად. მთის უღრანებში ცხოვრობდა და დღემდე ცხოვრობს წარმოშობით და რასობრივ კულტურათა ჩანასახით მრავალფეროვანი მრავალი წვრილ-წვრილი ტომი, რომლებიც ერთმანეთს გამუდმებით ებრძოდნენ, მაგრამ ასე თუ ისე გაერთიანებული იყვნენ ბიოლოგიური თვალსაზრისით, ბუნების მსგავსი პირობებით, მეურნეობით, ცხოვრების წესითა და რელიგიური ქვენიადაგით, რომელიც ფორმალური აღმსარებლობის სხვადასხვაობის მიუხედავად, ბუნების მრისხანე ძალების სტიქიურ თაყვანისცემაში გამოიხატებოდა, რამაც ადამიანი, მისი ზრახვები, ხასიათი და მრწამსი დაიმორჩილა. ამ ადამიანებს არ შეეძლოთ შეექმნათ სახელმწიფო, ვინაიდან ნაკლებნიჭიერნი იყვნენ სახელმწიფოებრიობის მიმართ საერთოდ, ძლიერი განვითარების მიღწევა კი, სხვათა შორის, უსწორმასწორო სიმაღლეებზე შეუძლებელია, რადგან ზოგიერთი ხეობა წელიწადში შვიდი ან რვა თვე მოწყვეტილია დანარჩენი სამყაროსგან ხან თოვლით, ხან — წყლით.

ძირითადი ქედის სამხრეთით, დასავლეთ ამიერკავკასიაში, უხსოვარი დროიდან დასახლდა ქართველური ტომი (ქართველები,

იმერლები, გურულები, მეგრელები, ლაზები, აჭარლები, ქობულეთელები და სხვ. ნაირსახეობა); ეს ტომი, გაერთიანებული ხანმოკლე დროით შუა საუკუნეებში, დანარჩენ დროს დაქსაქსული იყო. აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში ცხოვრობდნენ ტომები თურქულ-მონღოლურ-ირანული სისხლით და სომხები, გაურკვეველი წარმომავლობის ხალხი, უდავოდ მნიშვნელოვანი ნაზავით ებრაულ, სირიულ-ქალდეურ და ბოშურ სისხლთან.

ამ ტომებიდან სახელმწიფოებრიობის მიმართ ყველაზე კარგი უნარი გამოავლინეს ქართველებმა, ზაგრამ მათაც ვერ შეძლეს შეექმნათ სახელმწიფო ამ სიტყვის სრული გაგებით. ამას, უპირველეს ყოვლისა, ხელს უშლიდა ქვეყნის ოროგრაფია, რომელიც ფართო გზას უხსნიდა ფეოდალურ განკერძოებულობას; და მეორეც, სერიოზულ დაბრკოლებას ქმნიდა ქრონიკული ანარქია გარედან: მათ მოულოდნელად თავს ესხმოდნენ ველური ურდოები, იმდენად მრავალრიცხოვანი, რომ მოგერიება ყოველთვის წარმატებით ვერ ხერხდებოდა; შემოჭრისაგან დიდხანს რჩებოდა ნაღვლიანი შედეგი და ქვეყნის მთელი ცხოვრება გამუდმებულ შემთხვევითობებს ექვემდებარებოდა. აქედან გამომდინარეობს ამიერკავკასიაში მკვეთრად თვალში საცემი, თითქმის საყოველთაო *მეოჯახეობის და კომფორტის უქონლობა,* რაც ხანგრძლივი მშვიდობის ნაყოფია. თვით მსხვილ მემამულეებსაც კი მხოლოდ ბოლო დროს გაუჩნდათ კარგად მოწყობილი მამულები. საერთოდ, ცხოვრებას დღემდე ემჩნევა ბანაკური ხასიათის კვალი: იმდენად ძლიერია ისტორიულად ჩამოყალიბებული ჩვევა, ელოდო შეიარაღებულ თავდასხმას, დამალო ან წაიღო ქონება; ხასიათის თვისებად ქცეული მრავალსაუკუნოვანი ჩვევა, რა თქმა უნდა, დღემდე ხელს უშლის მშვიდობიანი კულტურის აყვავებას, ეგრეთ წოდებული ბურჟუაზიული ზნეობრიობის განვითარებას.

კლიმატური პირობები, კერძოდ კი, სიმპტომების მიხედვით სხვადასხვანაირი, მაგრამ ამიერკავკასიაში თითქმის საყოველთაო მალარია, ასევე დიდი დაბრკოლებაა წარსულში და დღესაც მხარის კულტურული განვითარებისთვის. ამიერკავკასიელი მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის მომთაბარე ცხოვრების წესი, ჩვეულებრივ მიწერილი ზერელე დამკვირვებლების მიერ მომთაბარეთა თანდაყოლილ ინსტინქტებზე, უფრო გონივრულ ახსნას და გამართლებას სწორედ კლიმატურ პირობებში პოვებს: მომთაბარეები შველიან თავს ზაფხულში მთებში გადასვლით მალარიანი ველებიდან და სტეპებიდან, სადაც მათი ჯოგი ვერ იპოვიდა საკვებს. რაც უნდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

იყოს მომთაბარეობის მიზეზი, მისი საყოფაცხოვრებო შედეგი ისევ და ისევ მეოჯახეობის და უკულტურობის არარსებობაა.

კლიმატური და საერთოდ ბუნებრივი პირობების გავლენა საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივ ცხოვრებაზე ძალზე სერიოზულია: მალარიაც და მთის მდინარეებიც, ხან დამშრალი, ხან საზარელი ზომების მიმღები, ქარიშხლებიც, თავსხმა წვიმებიც, სეტყვაც და საშინელი გვალვაც – ყოველივე ეს დამღუპველად აისახებოდა სახალხო მეურნეობაზე, ტოვებდა რა ღრმა უარყოფით კვალს თვით მოსახლეობის სულიერ წყობაზე, აქარწყლებდა ტომობრივი სხვადასხვაობის საერთო ნაკლოვანებებს; აზრი კარგავდა თანამიმდევრულობას, ნებისყოფა – გამძლეობას, ზნეობა – თავის კატეხიზმოს, შრომა – სისტემას, სიცოცხლე მთლიანობაში – გონივრულ საფუძველს.

ძალზე შთამბეჭდავია, რომ ჯერ კიდევ უძველეს ხანაში, სხვადასხვა დროს, კულტურული ტომები – ბერძნები, რომაელები, სპარსელები (სპარსული ცივილიზაციის აყვავების ხანაში), შემდეგ გენუელები და სხვ. – ცდილობდნენ დაეარსებინათ კოლონიები კავკასიაში – და ეს ვერასოდეს ვერავინ მოახერხა. მთელ ამიერკავკასიაში გაბნეულია აშკარად უცხო წარმოშობის სხვადასხვა სტილის არქიტექტურის ნაკვალევი, სახელები, სახელწოდებები და ლეგენდები; ადამიანთა სახეებზე შეიმჩნევა მრავალი რასის შეჯვარების კვალი, მაგრამ ჯამში ცოტაა მსხვილი, მთლიანი, სხვადასხვა გავლენით ან უბრალოდ დროით წარუხოცელი.

ამ თვისებასთან დაკავშირებით საჭიროა აღინიშნოს, რომ *ამიერკავკასიის მეზობლად მდებარე არც ერთ სახელმწიფოს XIX საუკუნის დამდეგამდე არ ჰქონდა შესაძლებლობა მტკიცედ დამკვიდრებულიყო ამ მხარეში.* ამის ახსნა უნდა ვეძებოთ არა მარტო ადგილობრივ მიზეზებში, არამედ იმ სახელმწიფოთა და ტომთა ხასიათსა და პოლიტიკურ ნაკლში, რომლებიც ხელყოფდნენ ამ მხარეს; მიუხედავად ამისა, ადგილობრივ თავისებურებებს ჰქონდა უპირატესი მნიშვნელობა, როგორც ამას გვიჩვენებს თვით მხარის ისტორიაც რუსეთთან შეერთების დროიდან და ადგილობრივ ტომთა ფრიად მძიმე ასიმილაცია სახელმწიფოებრივ ერთან.

ამიერკავკასიაში თავისი მეზობლების დარჩენილი კვალიდან ყველაზე თვალსაჩინო და საკმაოდ ღრმაც *სპარსული წყობის ანაბეჭდია* ან, უფრო სწორად, უწყობობა. შორეული სპარსეთის ცენტრალური ხელისუფლების წინაშე მმართველთა მოვალეობის შეცვლის გზით წარმოშობილი აღმოსავლეთ ამიერკავკასიის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხანობა იურიდიულად სპარსულ პროვინციებად ითვლებოდა, სინამდვილეში კი დამოუკიდებელი დესპოტური სამფლობელოები იყო, სპარსული ნიმუშების შემცირებული ასლები. ამის მიზეზი ნაწილობრივ იყო რასობრივი, ვინაიდან მბრძანებელთა უმეტესობა ამ სამფლობელოებში ძირითადად წარმოშობით სპარსელი იყო; ნაწილობრივ კი აქ გავლენას ახდენდა სპარსეთის სახელმწიფოებრივი ორგანიზაციის ნაკლოვანებები და, სხვათა შორის, ადმინისტრაციულ თანამდებობათა ფართოდ გავრცელებული მემკვიდრეობითობა.

ცხადია, მთიან ადგილებში, რომლებსაც ყველა ბუნებრივი საშუალება ჰქონდა შეიარაღებული განცალკევებისთვის, ამ ჩვევას არ შეეძლო, არ გაეძლიერებინა ცხოვრების სწორედ ფეოდალური წირი, რაც უამისოდაც გამოწვეული იყო ადგილობრივი პირობებით; უეჭველია, ფეოდალიზმის ერთ-ერთი ფაქტორია აგრეთვე რასობრივი სხვაობა მბრძანებლებსა და მათ ქვეშევრდომებს შორის, ეს ფაქტორი კი პერიოდულად ინერგებოდა სპარსული ზეგავლენის ყოველი აღზევებისას ამიერკავკასიაში. კერძოდ, საკუთრივ საქართველომ (თბილისის* და ნაწილობრივ ელისავეტპოლის გუბერნია) ძლიერ განიცადა სპარსული გავლენა, იმერეთმა და სხვა დასავლეთ-ქართველურმა სამფლობელოებმა კი — თურქული გავლენა, ნაკლებინტენსიური, მაგრამ, საბოლოო ჯამში, ერთგვაროვანი შედეგებით. ამ ორი მეზობლის პოლიტიკური ზადი, ადმინისტრაციული, სულიერი და საყოფაცხოვრებო ყაიდა სხვადასხვა ადგილობრივი პირობების ნიადაგზე აისახა ჭრელ ამიერკავკასიაში, თუმცა უეჭველად გამაერთიანებელი, გამათანასწორებელი, უპირატესად კი უარყოფითი ხასიათის თვისებებით.

ორივე აღმოსავლურ დესპოტურ სახელმწიფოში, თურქეთსა და სპარსეთში, დინასტიები მარადიული არ იყო და მათი ძალაუფლება, მთის მდინარეების მსგავსად, მკვეთრ ცვალებადობას ექვემდებარებოდა; ბიუროკრატიული სისტემა, რომელიც უზრუნველყოფდა მდგრად პოლიტიკურ მიმართულებებს, სახალხო კეთილდღეობის ინტერესებს, უფლებებს და სიმშვიდეს — არ იყო; ყველაფერი ემყარებოდა მოსყიდვას, მლიქვნელობას, ძალასა და ჰარამხანულ ინტრიგებს, ანუ საშინელ შემთხვევითობებს. იჯარა-შესყიდვებისთვის გაცემული სახელმწიფო შემოსავალი თავისი რყევით გავლენას ახდენდა პოლიტიკურ არამდგრადობასა და

---

* წინამდებარე წიგნში მკითხველისთვის აღქმის გასაადვილებლად საჭიროდ ვცანით იმდროინდელი ზოგიერთი ტოპონიმის თანამედროვეთი შეცვლა (მთარგმნ. შენიშ.).

სახალხო განწყობაზე.

გუშინდელ მეამბოხე ფეოდალს, ხარბ ადმინისტრატორს, ყაჩაღს ან მოღალატეს, დამსახურებული სასჯელის ნაცვლად შეიძლებოდა ერთ წამში მოეპოვებინა პატივი და ძალაუფლება, თუ დააკმაყოფილებდა აზიელ მბრძანებელს ლამაზი ქალით, ცხენით, განძეულით ან უბრალოდ მარჯვე პირფერობით.

ცხოვრების ყოველმხრივ მომცველი ღრმა *მატერიალიზმი* წარმმართველი საწყისი იყო, რომელიც გამორიცხავდა ყოველგვარ პრინციპულობას ამ სიტყვის ევროპული გაგებით; *ჰარამხანული ინტრიგები და საერთოდ გრძნობითი აღმოსავლური ფსიქოლოგია* იმ ადგილებშიც კი იყო გაბატონებული, სადაც ქრისტიანობის ნათელი სუფევდა. თვით საქართველოშიც, რომელიც მრავალი საუკუნის განმავლობაში იბრძოდა თავისი რწმენისა და ტომობრივი თვითმყოფადობისთვის, ქრისტიანობამ ზემოაღნიშნული მძლავრი მიზეზების გამო მიიღო განსაკუთრებული ადგილობრივი შეფერილობა, ნაცვლად იმისა, რომ ღრმად გაესხივოსნებინა ადგილობრივ მცხოვრებთა მსოფლმხედველობა და გამოეღო თავისი ძირითადი შემოქმედებითი იდეების მრავალგვარი ნაყოფი.

ვინაიდან ამგვარ ანარქიულ ვითარებაში არსებობდა ადამიანთა მხოლოდ მარტივი დაჯგუფებები, რომლებიც, ამავე დროს, თვითგადარჩენის ინსტინქტითაც იქმნებოდა, ამდენად, ისინი იყო *გვაროვნული საწყისი* თავისი ვიწრო მორალითა და სუსტი პრინციპულობით. ამ უკანასკნელის ვიწრო ფარგლები შემდეგ ფორმულებს შორისაა: „ჩემი ნათესავი შეურაცხყვეს ან მოკლეს, ამიტომაც მე უნდა გავხდე მისი დამცველი ან მის გამო შურისმაძიებელი" და „ჩემმა ნათესავმა ჩაიდინა დანაშაული, მაგრამ, რადგან იგი ჩემი ნათესავია, ის მართალია და მე ყველა ღონეს ვიხმარ, რომ ის სასჯელისგან გადავარჩინო".

ასეთი ფსიქოლოგიის ღრმა კვალი იქ დღემდე დარჩა. ცხადია, დიდგვაროვანი ან პატივმოყვარე გვარები, რომლებმაც მხედრული მამაცობით, ოსტატური პოლიტიკით, დაგროვილი სიმდიდრითა და ჰარამხანული წარმატებით მოიმარაგეს საშუალება თავიანთი უპირატესობისთვის საბრძოლველად, დამოუკიდებელი სიმართლის, რანაირიც უნდა ყოფილიყო იგი, პატრონები და დამრღვევები იყვნენ რიგრიგობით. მათთვის არაფერი იყო, მოულოდნელად ეღალატათ თავიანთი მეფეებისა თუ სხვა მბრძანებლებისთვის, გაეთელათ სხვაზედამოკიდებული ხალხის სანუკვარი ინტერესები და გრძნობები, უკიდურეს შემთხვევებში კი აეფარებინათ უცხო რჯულის ნიღაბი ან

საერთოდ უარი ეთქვათ მამაპაპურ რწმენაზე.

მიწაზე მკვიდრად მდგომ და მის დამმუშავებელ ხალხს ყოველთვის უმძიმს ამგვარი ანარქია – ამიტომაც ქართველი ხალხი დღემდე წმინდად ინახავს, მაგალითად, მეფე დავით აღმაშენებლის და მეფეთა მეფის, დიდი თამარის ხსოვნას, რომელთა დროსაც დამყარდა შედარებითი მნეობრივი წესრიგი, რომელიც გასხივოსნებული იყო გარეშე მტრებზე გამარჯვების დიდებით; აი, რატომ სწამს ამიერკავკასიის ხალხის უზარმაზარ უმრავლესობას ამ მეფის ძალის და სიმართლის, მიუხედავად მის მიერ მხარის მმართველობის მრავალი უარყოფითი მხარისა.

თუმცა მრავალი საუკუნის განმავლობაში კავკასიის მოსახლეობის ჭრელი მასა (გარდა მთიანი პატრიარქალური რესპუბლიკებისა) იყო უპირატესად პასიური, წამებული ელემენტი ადგილობრივ ისტორიაში და არ შეეძლო განსაკუთრებით ყვარებოდა თავისი ჭირვეული მბრძანებლები, შეგნებულად გაეზიარებინა მათი შეხედულებები, ეს უკანასკნელი კი მასზე ღრმად აისახა; *აღმოსავლური დესპოტიის წესრიგმა და მისგან გამომდინარე ცნებებმა შეაღწია მოსახლეობის მართლშეგნებაში ყველაზე ქვედა ფენებამდე.* დასავლეთ-ქართველმა გლეხმაც და კახელმაც, შირვანის ან განჯის შაჰის ქვეშევრდომმაც ერთნაირად იცოდა, რომ ოქროთი, მლიქვნელობით, ქალებით, ყმაწვილებით შეეძლო თავი გამოესყიდა უსამართლო შევიწროებისგანაც და სახელმწიფო მოთხოვნათა შესრულებისგანაც, რომელთა გონივრულობა არავისთვის იყო ნათელი, ასევე შეეძლო თავის დახსნა დანაშაულის გამო დამსახურებული სასჯელისგან.

თანამდებობის პირის გამოჩენა უკვე მოსყიდვის ნიშანი იყო, ამასთან თითქმის ლეგალური, რადგან, აღმოსავლური წესით, თანამდებობებისთვის მოხელეებს ფულს არ უხდიდნენ ფინანსური სისტემის არარსებობის გამო, იგი ემყარებოდა ხალხის მძიმე გადასახადებს და საჩუქრებს ყოველნაირ ხელისუფალთათვის.

*ფართო პრინციპულობის არარსებობა ადგილობრივი ფსიქოლოგიის ძირითად თვისებას, ატმოსფეროს და ადგილობრივი ცხოვრების თავისებურ კანონს შეადგენდა.* ამ ატმოსფეროში მოხვედრილ ადამიანს დიდი ძალისხმევა უნდა გამოეჩინა, რომ არ დაქვემდებარებოდა მის გამხრწნელ ზემოქმედებას.

როცა რამდენიმე მილიონი მოსახლეობა მრავალი საუკუნის განმავლობაში მიეჩვია ქვენაპრაქტიკულობით შეხედა

ეროვნული ბიბლიოთეკა

საგნებისათვის, სხვა შეხედულებების წარმომადგენლები ამის გამო უნაყოფო ნიადაგს აწყდებოდნენ მათ გასატარებლად ცხოვრებაში; შეიძლება წინასწარ დაბეჯითებით ითქვას, რომ, თუკი ასეთი ადამიანები არ არიან ღრმად გააზრებული რაციონალური სისტემის შემსრულებლები და ამასთან იმყოფებიან მძიმე ცხოვრებისეულ პირობებში, მაშინ ისინიც და მათთვის ჩაბარებული ამოცანებიც გარდაუვლად დაექვემდებარება ჩამოყალიბებულ ადგილობრივ ტრადიციებს; რუსულმა ღირსებამ და სამსახურებრივმა პატიოსნებამ ვერგაუძლოაზიურისაყოფაცხოვრებოპირობებისწნეხსსახელმწიფო პრესტიჟის და შემდგომში მხარის ბედის საზიანოდ.

ბუნებრივია, ერთი წყობიდან და ცხოვრების წესიდან მეორეზე გადასვლა უნდა ეხამებოდეს ხალხის ფსიქოლოგიას და ურთიერთობათა არსში ცვლილება დაკავშირებული უნდა იყოს მათი ფორმების, რაც შეიძლება, მცირე შეცვლასა და გართულებასთან. ამ პირობით მუშაობის დროსაც კი, რომელიც მიმართული იქნებოდა უცხო საყოფაცხოვრებო თვისებებით განსხვავებული ამა თუ მხარის *კულტურულ შემოერთებასთან, საჭიროა განსაკუთრებით ბრძენი, მტკიცე და ადგილობრივი პირობების ყოველმხრივ მცოდნე ხელმძღვანელები.* ისინი უნდა იყვნენ არა მარტო კანონის და სიმშვიდის დამცველები, არამედ მოწოდებით *შემოქმედნი, ფართოდ გაგებული ეროვნულ-სახელმწიფოებრივი საქმის ქომაგნი.*

ეს ესმოდათ ჯერ კიდევ საქართველოს შემოერთებამდე მოწინავე რუს ადამიანებს, ისეთებს, როგორებიც იყვნენ, მაგალითად, პოტიომკინი და რუსეთის წარმომადგენელი მეფე ერეკლე II-ის კარზე, ბურნაშევი. სულ ცოტა ხნის წინ გამოცემულ წიგნში, რომელიც ეძღვნება ამ უკანასკნელს, ეპოქის დამახასიათებელი მრავალი საინტერესო თვისებაა. ბურნაშევიც და მისი უშუალო ხელმძღვანელიც, ჩრდილო-კავკასიის ჯარების მეთაური, გრაფი პაველ პოტიომკინი იყვნენ ჭეშმარიტად რუსი ადამიანები, რომელთაც სწამდათ რუსული სიმართლე და კეთილგანწყობილი იყვნენ კავკასიელი მოსახლეობის მიმართ, მათი თანამედროვე უცხოელი ავანტიურისტის ტოტლებენისგან განსხვავებით.

„თქვენი შრომა ღირსებას გმატებთ, ხოლო მისი ნაყოფი – სახელის დიდებას და ქართველი ხალხის მადლიერებას", – წერდა პოტიომკინი ბურნაშოვს. იგი ერეოდა წვრილმანებშიც კი, მაგალითად, როცა გაიგო, ორი უფლისწული ერთმანეთს წაეჩხუბა ერთი თავადის ქალის გამო, მან ურჩია ბურნაშოვს, „ეცადა აეხსნა მათთვის,



საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ დედამიწაზე არ არსებობს ისეთი ქალიშვილი, რომლის გამოც შეიძლება ძმებმა იჩხუბონ“. პოტიომკინი ამჩნევს მცირე შეცდომებსაც. „მივიღე საჩივარი თავადი ერასტი ამილახვრისგან, რომ თქვენთან მომუშავე მკურნალმა წაართვა ცოლი და თავად მას კი თავი გაუტეხა. გამოიძიეთ ეს საქმე, არ დაუშვათ თვითნებობა დაიწყოს იმ მიწიდან, რომელმაც უნდა დაიპყროს და თავის თავზე მიიჯაჭვოს გულები“. აღთქმა უბრალოა და დიადი.

როგორც ადამიანს, რომელიც მხარეში თვითნებობას არ დაუშვებს, რუს მმართველებს შორის პირველი ადგილი უდავოდ ერმოლოვს უკავია. დაუმორჩილებელთათვის მეხი, მკაცრი, მაგრამ მთელი მოსახლეობის მშვიდობიანი ინტერესების სამართლიანი დამცველი, რომელიც გულდასმით ზრდიდა მათ კანონიერების და წესრიგის სულისკვეთებით, პირველი მიხვდა რუსული ხალხური ელემენტის მნიშვნელობას, როგორც საწყისის, რომელიც რუსეთთან უცხოელებს დააკავშირებდა და მხარეში რუსულ ხელისუფლებას სერიოზულად დაამკვიდრებდა.

ერმოლოვმა ამოირჩია და ცხოვრებაში დანერგა რუსული კოლონიზაციის აქამდე გამოყენებული ხერხებიდან ყველაზე პრაქტიკული: კავკასიელ ცოლშვილიან ჯარისკაცებს იგი აბინავებდა სამხედრო დასახლებებში, შტაბ-ბინებთან; 1826 წელს შეიქმნა ცხრა ასეთი ეგრეთ წოდებული საოჯახო ასეული; საქმე ვერ მოგვარდა ადგილობრივ მოსახლეობასთან მიწასთან დაკავშირებით დავის გარეშე; შეირჩა ადგილები, რომლებიც მოხერხებული იყო სამხედრო, კლიმატური და სასოფლო-სამეურნეო თვალსაზრისით.

იმ დროს ადმინისტრაციას ესმოდა, რომ არ შეიძლებოდა უცხო მხარეში ხალხის გადაყვანისას მათი ბედის ანაბარა მიტოვება; დახმარებას უწევდნენ არა მარტო ქაღალდზე, არამედ საქმეშიც. ამ ზომების ნაყოფი დღესაც ჩანს და თუ რამეა სანანებელი, ეს ისაა, რომ ერმოლოვის შემდეგ მისი გამოყენება ნაკლებად ხდებოდა. როგორც უნდა შემურებოდა პასკევიჩს ერმოლოვის დიდება, როგორც უნდა ეცადა ეჩვენებინა თავისი უპირატესობა მასზე, მაინც მოუხდა გაჰყოლოდა მის წინასწარდასახულობას ამ საკითხში; მაგრამ რუსული სახალხო საქმის ეს მსახურება საპირისპიროდ აისახა სომხებით ამიერკავკასიის ზოგიერთი მხარის კოლონიზაციაში, რაც გულდასმით დაიწყო პასკევიჩის დროს და პირდაპირ სახიფათო ზომები მიიღო სწორედ *ახლა*, მას შემდეგ, რაც მისი არასასურველობა სულ ცოტა ხნის აღიარა ტახტმაც.

მსგავსი შეცდომა, სხვათა შორის, ადრე ჩაიდინა თვით

ერმოლოვმაც, რომელიც ითხოვდა საქართველოში კოლონიის შექმნას „შრომისმოყვარე გერმანელებისგან, რომელთა სასიკეთო მაგალითი და თვალსაჩინო სარგებელი მეურნეობიდან ჩაუნერგავდა ადგილობრივ მცხოვრებლებს სურვილს, მიებაძათ მათთვის". შემდგომმა მოვლენებმა ვერ გაამართლა ეს იმედი, ვინაიდან გერმანულმა კოლონიამ შეიქმნა რა თავისთვის კეთილდღეობა ხაზინის და მეზობელი მკვიდრი მოსახლეობის ხარჯზე, ამ უკანასკნელთ კარგი არაფერი მოუტანა, ხოლო ადგილ-ადგილ მათგან აქციეს ბარაქიანი ყურმოჭრილი მონები.

შორსმჭვრეტელი ერმოლოვის მიერ დაარსებული რუსული დასახლება სრულ აყვავებას აღწევს მეფისნაცვლის, თავადი ვორონცოვის დროს, რომლის შემოქმედებითი ინსტინქტი ამ საქმეში გამოვლინდა უფრო წარმატებით, ვიდრე სხვა მრავალ ურთიერთობაში.

მართალია, თავადი ვორონცოვი რუსული სახალხო ინტერესების ზრუნვისას ერმოლოვის კვალს მიჰყვებოდა, მაგრამ ნაკლები თანამიმდევრულობით და დაჟინებით. მას, მაგალითად, ესმოდა ამიერკავკასიაში რუსი ვაჭრების და კაპიტალისტების მოზიდვის სახელმწიფოებრივი აუცილებლობა, მაგრამ თბილისში ამგვარი სახის პირველი წარუმატებელი მცდელობის შემდეგ ეს აზრი უარყო და დაიწყო სომეხი ვაჭრების და მრეწველების დახმარება, გაუხსნა მათ ფართო ასპარეზი გასამდიდრებლად, უღვიძებდა რა თაოსნობის სურვილს. იგი აძლევდა მათ იჯარას, ადგილებს მაღაზიებისა და ქარვასლებისთვის, თითქმის ძალით იზიდავდა მათ ხელსაყრელი თვითშემოქმედებისთვის.

ძალიან ბევრი გააკეთა მან „ევროპეიზაციისთვის", მაგრამ ამასთან ერთად ადგილობრივი საზოგადოების *კულტურული განცალკევებულობისთვის*: კრებდა მის წარმომადგენლებს ბრწყინვალე ბალებსა და საღამოებზე, ხელს უწყობდა ადგილობრივ ენათა ლიტერატურულ განვითარებას; მაგალითად, მის დროს გაიხსნა პირველი ქართული თეატრი. საერთოდ, რუსული მბრძანებლობის პერიოდი, ერმოლოვიდან დაწყებული ვორონცოვის ჩათვლით, მხარის მოსახლეობის სულიერი აყვავების ბედნიერი ხანა იყო, ამასთანავე რუსული საქმის... სხვათა შორის, ასეთი დაღლილი და მცირე ერისთვის შესანიშნავი ქართული პოეზია გაიფურჩქნა: ბარათოვის, ვახტანგ ორბელიანის, ხოლო მოგვიანებით — თავადების ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის და სხვების, რომლებიც ძალზე პოპულარული იყვნენ კავკასიაში და მათი ნაწარმოებები მრავალ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ევროპულ ენაზე ითარგმნა კიდეც.

იყო რა რუსი პატრიოტი გრძნობებითა და ზრახვებით, თავადი ვორონცოვი გონებით და პოლიტიკური პროგრამის წყობით უფრო დასავლეთევროპელს წააგავდა, ანგლომანური არისტოკრატიული ტენდენციებით. მან არა მარტო განვრცობითი ახსნა მისცა ქართულ ფეოდალურ შეხედულებებს და წესებს, არამედ მუსლიმანური მოსახლეობის ცხოვრებაშიც მათი რელიგიის და რასობრივი ტრადიციების დემოკრატიულობის გამო შეიტანა ზედმეტად არისტოკრატიული ელემენტები, რაც ამ რელიგიისთვის არ იყო დამახასიათებელი.

თავადების, ბეგების, აღალარების და ა.შ. გამრავლება არა მარტო ხალხის ცხოვრების ინტერესების და მხარის გონივრული გარუსების საზიანო იყო, არამედ თავად მაღალი წოდების წარმომადგენლებისთვისაც, რადგან ამან ისეთი ვითარება გამოიწვია, რომელშიც არ შეიძლებოდა არ დაგვენახა პოლიტიკური და სოციალური საფრთხე. მაღალი წოდების ხელოვნურად გამრავლებით თავადმა ვორონცოვმა სათავე დაუდო მის გაღატაკებას ცხოვრების გართულების და გაძვირების მეშვეობით. ამას კი მოჰყვა ამ კლასის პრესტიჟის სრული დაცემა, რომლის გამაერთიანებელ როლზე ეს სახელმწიფო მოღვაწე გადაჭარბებულ იმედებს ამყარებდა. არსებობს ისეთი ვარაუდიც, რომ ეს თავადი ვორონცოვის მხრიდან იყო არა შეცდომა, არამედ, პირიქით, შორსმჭვრეტელური პოლიტიკა, რომელიც მიზნად ისახავდა ყველაზე ძლიერი ადგილობრივი ელემენტების დასუსტებას.

მიუხედავად ამისა, მისი სახელი დღემდე ფრიად პოპულარულია კავკასიაში, ძირითადად მის გამო, რომ მან აღიარა ადგილობრივ ტომთა თვითმყოფადი კულტურის განვითარების კანონიერება და სარგებლიანობა რუსული მბრძანებლობის და სულიერი გავლენის მეოხებით. გარდა ამისა, ის ძალას და საშუალებას არ იშურებდა ქვეყნის ეკონომიკური აღმავლობისთვის; მოსახლეობის ყველა საჭიროებას ახლო ეცნობოდა, ებებდა უფრო ხშირ უშუალო ურთიერთობას. და ახლა კავკასიაში შეიძლება იპოვოთ ბევრი მდაბიო, რომლებიც აღტაცებით იგონებენ, როგორ ესაუბრებოდა მათ თავადი მიხაილ სემიონოვიჩი ყოფა-ცხოვრებაზე.

თავადი ვორონცოვის დროს დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა ჰქონდა სამხედრო ნაწილებთან არსებულ აყვავებულ სკოლებს; მათი პროგრამა არ იყო ვრცელი, მაგრამ სწავლება მიმდინარეობდა საზრიანად, რაც მთავარია, მასში განსაკუთრებული

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყურადღება ექცეოდა *აღზრდის და დისციპლინის ელემენტებს,* რომლებიც ამჟამად თითქმის არ არსებობს მთელ რუსულ სკოლაში, ზემოდან ქვემოთ. ვორონცოვის პერიოდის სამხედრო სკოლებიდან გამოვიდა გამოჩენილი მხედართმთავრების, ადმინისტრატორების და საზოგადო მოღვაწეების მთელი პლეადა.

60-ანი წლების რეფორმას ჰქონდა გართულებული, თითქმის საბედისწერო შედეგები რუსული საქმისთვის მხარესა და მთელი ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრების წესში. 60-იან წლებზე ადრე კი ზოგიერთ ადგილას შემოღებულმა ეგრეთ წოდებულმა „სამოქალაქო მმართველობამ“ რუსულ საქმეს ცოტა ზიანი როდი მიაყენა, რადგან ამ დროს სცენაზე გამოვიდნენ ადამიანები სკოლის გარეშე და გაჩნდა დაწესებულებები ტრადიციების გარეშე. ძველი საფუძვლები ირღვეოდა, ხოლო ახალი შემოქმედებითი სამუშაოსთვის არ მოიძებნა შესაბამისი მასალა. თავისებურ ადგილობრივ ნიადაგზე ორგანულად გაჩენილი ჩვეევების და შეხედულებების ნაცვლად ცხოვრების ნორმირებისთვის მიაწოდეს მისთვის სრულიად უცხო კანონები და კაბინეტური უტოპიები, რომლებიც დანარჩენ რუსეთსაც კი, შედარებით უფრო ახლო მყოფს დასავლეთევროპულ წყობასთან, დღემდე ვერ გადაუხარშავს.

მოუმწიფებელი, ნაჩქარევად მიფუჩეჩებული გეგმით გლეხთა განთავისუფლებამ თავდაყირა დააყენა სოციალური წესრიგი ამიერკავკასიაში, სადაც იგი უხსოვარი დროიდან არსებობდა. თანაც ეს ნახტომი უხეირო და დაუსრულებელი იყო: მართალია, დღემდე ბატონყმობა იურიდიულად გაუქმებულია, სინამდვილეში იგი არსებობს თბილისის და ქუთაისის გუბერნიის მრავალ ადგილას, სადაც დროებით ვალდებული გლეხები მემამულეებზე დამოკიდებულების დიდ წნეხს განიცდიან ახლა, ვიდრე მაშინ, თუ კანონით მათი ყმები იქნებოდნენ.

იმავდროულად გაიხსნა ფართო სივრცე იმ ელემენტის განვითარებისა და წარმატებისთვის, რომელსაც თავისთავად არსად აქვს კეთილისმყოფელი გავლენა ცხოვრებაზე, კავკასიაში კი განსაკუთრებით, ვინაიდან იქ პროფესიული უარყოფითი თვისებები რთულდება რასობრივი მანკიერებებითა და ტენდენციებით. საუბარია იმ სომეხ ექსპლოატატორებზე, რომლებმაც 60-იანი წლებიდან განსაკუთრებით გულდასმით და დაუბრკოლებლად დაიწყეს სისხლის ამოწოვა ადგილობრივ მკვიდრთაგან. რა თქმა უნდა, აქ ვლაპარაკობ არა ხელაღებით *მთელ სომეხ ხალხზე,* არამედ კულაკების კლასზე, მევახშეებზე, ბნელ საქმოსნებზე, ამ ტომისთვის დამახასიათებელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძლიერი შეფერილობის ელემენტი რომ იყო. თავადებიც და გლეხებიც ბუზები აღმოჩნდნენ ამ მტაცებელთა ქსელში.

რაც უფრო მძაფრია სოციალურ-ეკონომიკური რეფორმა, მით უფრო უნდა ცდილობდეს მის მისადაგებას ცხოვრებასთან მდგრადი, მაგრამ მოქნილი სახელმწიფო და საზოგადოებრივი დაწესებულებები: ადმინისტრაცია, სასამართლო, სასწავლო დაწესებულებები, ბეჭდვითი ორგანოები და ა.შ. იმდროს ყველაფერი ეს ერთდროულად იქნა რეფორმირებული და ყველაფერი უარესობისკენ შეიცვალა კავკასიაში რუსული საქმის ინტერესების თვალსაზრისით: სამართლებრივი ფორმალიზმი ხალხებისთვის, რომლებიც ისტორიულად მიჩვეული იყვნენ არსებითად საქმის სწრაფ გადაწყვეტას; შეჯიბრებითი სასამართლო პროცესი ადამიანებისთვის, რომელთაც სისხლში აქვთ საუკუნეობით გამომუშავებული სპორტულობა; უმთავრესი ცხოვრებისეული საკითხების გადაცემა სამხედრო კლასიდან, რომელსაც მკვიდრი მოსახლეობის თვალში ცოტა ხნის წინანდელი გამარჯვებების პრესტიჟი ჰქონდა, სულიერად დაკნინებული კავკასიური ბიუროკრატიისთვის, რომელთა შორისაც დღემდე უზომოდ დიდია ნაძირალათა პროცენტი; აღმზრდელობითი ამოცანების უარმყოფელი კლასიკური სისტემა მებრძოლ ტომთა, მოძრავი, ისტორიულად მშრალი წიგნიერი ცოდნის დიდი დოზისკენ არამიდრეკილი ბავშვებისთვის, რომლებიც იტანჯებოდნენ ამ წიგნების ცხოვრებისთვის აშკარა გამოუსადეგრობით; დასასრულ, რუსული საზოგადოებრივი აზრის და ბეჭდვის დანაელთა ძღვენი, თვითუარყოფის და ეროვნული გრძნობის დაკარგვის პერიოდი – ყველაფერი ეს, რა თქმა უნდა, შხამიანი სულიერი საკვები იყო რუსული ინტერესების თვალსაზრისით. ამ ინტერესების უთავხედესი დაცინვითაა სავსე კავკასიური ბეჭდვითი სიტყვა 60-იანი წლების დროიდან. შიდა რუსეთში ჩვენი ცხოვრების ნაკლის კრიტიკის მკაცრი, მაგრამ ჯანსაღი და კეთილისმყოფელი შედეგებიც კი დღემდე იყო და არის კავკასიის განაპირას საბაბი ბოროტი დაცინვისთვის, ყოველივე რუსულის ხელაღებით უარყოფამდე ამ სიტყვის შემოქმედებითი თვალსაზრისით.

ამ მიმართულებით დიდი გავლენა ჰქონდა იმდროინდელი რუსული ელემენტის პირად შემადგენლობას, რომელსაც ადგილობრივი მკვიდრნი რუს მოღვაწეებად მიიჩნევდნენ. სხვათა შორის, კავკასიაში ადამიანები ხვდებოდნენ არანებაყოფლობითაც, ისინი პოლიტიკურად არაკეთილსაიმედონი იყვნენ, ამიტომ არ ერიდებოდნენ იქ თავიანთი სიძულვილის გამოვლენას მთელი რუსული წყობის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიმართ; ადგილობრივი მოსახლეობა ხარბად უგდებდა ყურს ისეთი ადამიანების მიერ გავრცელებულ ზღაპრებსა და უხეშ მსჯელობას, ამ განწყობას კი ახლად წარმოშობილ მკვიდრ ინტელიგენციაში მხარს უჭერდა ან იწვევდა ცენტრიდანული სწრაფვა.

კერძოდ, სხვადასხვა დროს კავკასიაში გააგზავნეს ან სამსახურში მიიღეს საკმაოდ ბევრი პოლონელი, რომლებიც ვერ ურიგდებოდნენ რუსულ სახელმწიფოებრიობას და უკან არ იხევდნენ ყველაზე იეზუიტური საშუალებების წინაშე, რათა ევნოთ რუსული საქმისთვის. მათი დამანგრეველი მუშაობის ნაყოფი დღემდე შეიძლება შევნიშნოთ ზოგიერთ ადგილას. წარუდგებოდნენ რა ჩამოსულ რუს მოხელეებად რუსული მუნდირითა და ენით, ისინი ექსპლოატაციას უწევდნენ, ავიწროებდნენ და დასცინოდნენ ხალხს, ამცირებდნენ და სახელს უტეხდნენ მათ თვალში რუსულ სახელს, ამასთან ერთად კი, უახლოვდებოდნენ მრავალტომიანი მკვიდრი ინტელიგენციის მოუსვენარ ფენებს, ბადებდნენ და ამძაფრებდნენ რა მათში უარყოფით დამოკიდებულებას რუსული სახელმწიფოებრიობის მიმართ.

კერძოდ, მრავალი ნიშნის მიხედვით, სერიოზული საფუძველი არსებობს იმის დასამტკიცებლად, რომ ზოგიერთი ადგილობრივი მღელვარება იწყებოდა პოლონელთა ჩაგონებით და სომხური ინსურრექციული პროგრამა, რომელზეც ქვემოთ იქნება საუბარი, არის მხოლოდ 30-იან წლებში შემუშავებული და მისი სრულყოფა მოხდა 60-იან წლებში როგორც პოლონური ჟონდის პროგრამის მსგავსი ნაირსახეობა.

უარყოფითი მნიშვნელობა ჰქონდა აგრეთვე გერმანელთა მოძალებას კავკასიელი მოხელეების რიგებში, რადგან მათ შორის საუკეთესოს და ლოიალურსაც კი არ ჰქონდა ის რუსული ეროვნული გრძნობის და თვითშეგნების განცდა, რაც ესოდენ აუცილებელია განაპირა მხარისთვის, რომელიც კულტურულ გაერთიანებას ექვემდებარება.

თავისთავად ცხადია, რომ შემაფერადებელი გარემო უნდა იყოს მდიდარი მღებავი ელემენტებით, განსაკუთრებით რიცხობრივი უპირატესობის უქონლობისას. კოსმოპოლიტურად განწყობილი გერმანელებისთვის ასეთი რუსული ამოცანა მათ ძალებს აღემატებოდა. თუკი გამოთქმული დასკვნა გაუგებარია რუსი მმართველი კლასის ბევრი წარმომადგენლისთვის, მხოლოდ იმიტომ, რომ ნაკლებად იცნობენ ჩვენს სახელმწიფოებრივ მეცნიერებას ეროვნული თვითშეგნების და ღირსების სისუსტის გამო. ამ საკითხის არსი მშვენივრად ესმით გერმანელებს, რომლებიც საკმაოდ მარჯვედ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანაწილებენ საჭირო ადგილებში სწორედ პრუსიელებს, როგორც სახელმწიფო „ცემენტის“ წარმომადგენლებს.

ყველაფერი, რაც შეიქმნა კავკასიაში 60-იან წლებში: ახალი სამთავრობო დაწესებულებები, კლასობრივი გარდაქმნები, გომობრივითანაფარდობა,პოლიტიკური ტენდენციები,ეკონომიკური და საყოფაცხოვრებო გარდაქმნები – ძეირად დაუჯდა რუსულ საქმეს და თვით ადგილობრივი მოსახლეობის უმრავლესობასაც. ზიანი, რა თქმა უნდა, დროებითი იყო, ხოლო, რაც შეეხება მთავარ საკითხს, ანუ გლეხთა განთავისუფლებას, ისტორიის ფართო შტრიხების და რუსეთის ოდითგან დემოკრატიული მოწოდების თვალსაზრისით, ეს იყო აუცილებელი ზომა, ვინაიდან იგი დამოუკიდებელი ცხოვრებისა და შემოქმედებისკენ მოუწოდებდა სხვადასხვა ოლქში მცხოვრებ ხალხს, რომელიც აქამდე დათრგუნვილი და უსახო იყო; ეს თავისთავად გახლდათ მძლავრი ნათესი, რომელიც მდიდარ კულტურულ აღმონაცენს მოგვცემდა.

მაგრამ იმისთვის, რომ ეს აღმონაცენი არ დაღუპულიყო და არ გადაგვარებულიყო რაღაც არასოციალურ და არასახელმწიფოებრივ საშინელებად, საჭირო იყო დროულად მიგვეღო მოფიქრებული ზომები განთავისუფლებული ყმების დასაცავად ექსპლოატაციის ახალი ფორმებისგან და საერთოდ კავკასიური ცხოვრების მთელი ახალი წყობა დაგვეახლოვებინა ხელმძღვანელი რუსული ცენტრის შემოქმედებით საწყისთან. ამასობაში სწორედ ეს არ გაკეთდა. არადა პასუხისმგებლობის ძირითადი წილი ეკისრება არა იმდენად მაშინდელ კავკასიური ხელისუფლების მაღალ წარმომადგენლებს, რამდენადაც ცენტრის ხელმძღვანელ იდეებს, რუსეთში საზოგადოებრივ-სახელმწიფო მეცნიერების დაბალ დონეს, საერთოდ, იმ დროის სულისკვეთებას, როცა თვით სამთავრობო დაწესებულებები ყოველგვარი უტოპიის უღელქვეშ იმყოფებოდა.

ერთეულ მოწინავე მოღვაწეებს ესმოდათ მრავალი პეტერბურგული კაბინეტის ტენდენციების გამოყენების უხერხულობა და საფრთხეც კი ისტორიულად უცხო მასალასთან; ასეთი იყო, მაგალითად, ცნობილი სახელმწიფო მოღვაწე, კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველი კ.პ. იანოვსკი, რომელიც მამაცურად ებრძოდა ცრუკლასიკური სისტემის უკიდურესობებს და არბილებდა მათ გამოყენებას. მაგრამ საერთო დინება იყო ძალიან ძლიერი და ფართო, მისი დამღუპველი შედეგები კი კიდევ დიდხანს გამოვლინდება ადგილობრივ ცხოვრებაში.

სამართლებრივი წესრიგის დამკვიდრების ერთ-ერთი უდიდესი

შედეგი სადაც უნდა ყოფილიყო, ბურჟუაზიის გამეფება იყო ყველა დანარჩენ სახალხო კლასსა და ფენაზე. ტყუილად როდი თქვა ერთმა გერმანელმა მეცნიერმა, რომ სამართლებრივი ლიბერალიზმი ბურჟუაზიის სარწმუნოებაა. ამასთან ერთად, ესაა მისი საკმაოდ საიმედო იარაღიც ყოველი სახელმწიფო და სოციალური ორგანიზმისთვის სახიფათო.

როცა „კანონიერი“ გზით უქმდება ყველა დაბრკოლება, რომელიც ხელს უშლის უპრინციპო ფულის ბატონობას, მაშინ ირყევა ის პრინციპებიც, რომლებზეც დამყარებულია სახელმწიფო ძალაუფლება, და ჩვეულებებიც, უფრო ღრმად, ვიდრე იოლად შემოსაღებელი კანონი, ხალხის ცხოვრების ნორმირებას რომ ახდენს; ნულამდე დადის თვით თავისუფლებაც კი, რომელიც საჭიროებს რეალურ და არა ქაღალდზე განხორციელებას, იდეურ დაცვას იმ პირთა მხრიდან, რომლებიც ფულის ძალაუფლებისგან თავისუფალნი არიან.

მაგალითად, როცა სახელმწიფო სასიცოცხლო სიმართლისკენ სწრაფვაშიდიდ თავისუფლებას ანიჭებს ბეჭდვას, მაშინ გაბატონებული ბურჟუაზიის წარმომადგენლები, რომელთაც არ სურთ ამა თუ იმ იდეის გავრცელება, უპირველეს ყოვლისა, თავიანთ ხელში იღებენ ყველა გაღენიან ბეჭდვით ორგანოს, და მეორე, სხვა გზებსაც მიმართავენ, ზოგჯერ პირდაპირ გამოუცნობს, რითაც ყოველთვის შეუძლიათ ხელი შეუშალონ იმის გავრცელებას, რაც არ სიამოვნებთ. რესპუბლიკურ საფრანგეთში ბარონი როტშილდის ნებით სცენაზე არ მოხვდა პიესა „გადაგვარება“, მაშინ, როცა ქრისტიანული სარწმუნოების დაცინვა დაშვებულია და ხელიც კი ეწყობა, რა ფორმითაც გნებავთ.

როგორც ჩანს, მოხდა გარდაუვალი: იქ მსახურეულთა კლასი ასრულებდა ბურჟუაზიის ნებას.

საფრთხე რთულდება, როცა ეს ბურჟუაზია უპირატესად ეკუთვნის იმ ტომს, რომელიც დაინტერესებული არაა სახელმწიფოს კეთილდღეობით, ან მით უმეტეს – იმას, ვისაც სიკეთეც არ სურს ამ სახელმწიფოსთვის. მაშინ ვიღებთ პარაზიტიზმს უსასიზღრეს და სახიფათო ფორმებში.

აღმოსავლური პარაზიტიზმი გართულებული კიდევ იმით, რომ მან არ იცის ფარგლები, როცა მოკლებულია რაიმე შემაკავებელ ზნეობრივ ან სოციალურ-გამაკეთილშობილებელ საწყისს.

კავკასიის სოციალურ-ეკონომიკური საკითხი ემთხვევა ტომობრივს: ბურჟუაზია შედგება მარტოოდენ სომხებისგან, რომელიც ამ კლასის სათავეში დარაზმული შეთქმულნი არიან და დიდი სოციალური საფრთხე – ადგილობრივი მოსახლეობისთვის,

ხოლო სახელმწიფოებრივი საქმისთვის — პოლიტიკური საფრთხე, როგორც ეს ჩანს რამდენიმე აღმოსავლური სამეფოს მაგალითზე, რომელთა ინერტულობამ ან დაუდევრობამ ასპარეზი გაუხსნა სომხურ პარაზიტიზმს.

სამართლებრივი წესრიგი და ყოველგვარი შემდგომი ნაბიჯი ამ გზაზე კავკასიაში მხოლოდ სომხებისთვისაა სასარგებლო, ვინაიდან მრავალრიცხოვანი სომეხი-საქმოსანი მრავალი საუკუნის განმავლობაში ვარჯიშობდა ყოველგვარი კანონის და სახელისუფლებო განკარგულების გვერდის ავლაში და სხვათა ნების დამორჩილებაში; ისინი გარეგნულად ჩანდნენ თავისუფალნი ან მბრძანებლურნი, მაგრამ მზად არ იყვნენ არც თავისუფლებისათვის, არც მბრძანებლობისთვის. ყველაფერი მათ კაბალაში აღმოჩნდა, ადგილობრივ დაწესებულებათა ჩათვლით, ზემოდან ქვემოთ. სხვა ადგილობრივი მკვიდრნი საფუძვლიანად საყვედურობდნენ რუსეთს სომხური მომძლავრების აღმაღლობას, ამბობდნენ, რომ, მაგალითად, ქართველი მეფეების დროს ამაზე ლაპარაკიც არ შეიძლებოდა, რადგან მაშინ საკითხი წყდებოდა არ კაბინეტურ-თეორიულად, არამედ ცხოვრების მკაცრი მოთხოვნების საფუძველზე.

მიუხედავად ამისა, 60-იან წლებს ადგილობრივი მოსახლეობა იგონებს მადლიერებითა და სიყვარულით, ამასთან ორივე ეს გრძნობა გამოწვეულია არა მარტო მაშინ გამოვლენილი კულტურული იმედების და პოლიტიკური სწრაფვის აღმაღლობით, არამედ მაშინდელი უავგუსტესი მეფისნაცვლის, დიდი თავადის მიხაილ ნიკოლაევიჩის პიროვნების მიმართ სიმპათიითაც.

კანონიერი ფორმალიზმის გამარჯვების მომენტი წეს-ჩვეულებებზე, აზრის — რწმენაზე და საერთოდ ყოველივე ცხოვრებისეულად ჩვეულ განყენებულ-ფორმალურ გრძნობაზე, იოლი არ უჯდება გარემოს, რომლის სულიერ წყობას ასეთი ცვლილება ნაკლებად უპასუხებს. ეს გარემო განიცდის ერთგვარ ზნეობრივ სიცივეს — და აი აქ განსაკუთრებული ფასი აქვს სიყვარულით სავსე, გულთბილ მოპყრობას მაღალი ადგილობრივი ბედისმწერლების მხრიდან.

უავგუსტოესი მეფისნაცვლის მამობრივ ზრუნვას კავკასიის მოსახლეობის, განსაკუთრებით ადგილობრივ მკვიდრთა გაჭირვებაზე, დღემდე ძალიან აფასებენ კავკასიელები, ხელიდან არ უშვებენ შემთხვევას, რომ გამოხატონ მადლიერება და ერთგულება, რომელიც ახლოა ერთგულქვეშევრდომულ მისტიკურ გრძნობებთან.

ამაში იყო რუსული საქმისთვის რაღაც სარგებელი, რომელიც

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქარწყლებდა ზიანს, რომელიც მიადგა დროის სიოს მონაბერით და 60-იანი წლების სისტემით. მაგრამ ზიანი იყო უზარმაზარი, პირდაპირ პოლიტიკური თვალსაზრისითაც კი, ვინაიდან განცალკევებული არარუსები, თავგზააბნეულები „მოძრაობითა“ და იმ ეპოქის პოლიტიკური ოცნებებით, იმსჭვალებოდნენ, ასე ვთქვათ, „ავსტრიული სახელმწიფო იდეალით“, ოცნებობდნენ „ფედერაციაზე“ და მბრძანებელი მეფისნაცვლის ცენტრალურ ფიგურაში ხედავდნენ თავიანთი სეპარატიზმის სიმბოლოს და საყრდენს. საყოფაცხოვრებო თვალსაზრისით კი, სხვათა შორის, რუსული სახალხო საქმე იმ ხანაში დაზარალდა იმისგან, რომ რუსული სამხედრო დასახლებები გადაეცა სამხედრო უწყებებიდან გულგრილ სამოქალაქო ხელისუფალთ – და სწორედ მას შემდეგ დაჩიავდა.

კავკასიაში 60–70-იანი წლები აღინიშნა ცივილიზაციის და ეკონომიკური განვითარების უფრო ინტენსიური დამკვიდრების დაწყებით; ერთიც და მეორეც არსებითად ემსახურებოდა უფრო ამ მხარის განკერძოებას, ვიდრე მის დაახლოებას ცენტრთან. ნაწილობრივ ეს აიხსნება დროის სულისკვეთებით, ნაწილობრივ რუსული ეროვნული იდეის ნაკლები მნიშვნელობით ადგილობრივთა თვალში და იმ დროის დედაქალაქის სამთავრობო სფეროებისაც კი.

მაგალითად, მრავალი წლის განმავლობაში სხვადასხვა საბაბით ჭიანურდებოდა ამიერკავკასიის შეერთება დანარჩენ რუსეთთან უმოკლესი სალიანდაგო გზით, იმ დროს, როცა გაიყვანეს კავკასიის რკინიგზა, რომელმაც წარმოქმნა, ასე ვთქვათ, დანარჩენი რუსეთისგან სრულიად განცალკევებული მხარის ეკონომიკური სისხლის მიმოქცევა.

რუსულ კაპიტალს, რომელსაც შეეძლო ეკონომიკურად დაეკავშირებინა განაპირა მხარე ცენტრთან, ამის შედეგად ახლა კიდევ უფრო გაუჭირდა ადგილობრივ სამრეწველო სამყაროში შეღწევა.

ბაქოს არარუსულ და უცხოურ მრეწველობას შესაძლებლობა მიეცა განვითარებულიყო ისეთ უზარმაზარ ზომამდე, რომ ახლანდელი გზა ბესლანიდან ბალაჯარამდე ეროვნული გაერთიანების თვალსაზრისით უფრო დაგვიანებული ზომაა, რამაც ჯამში უმალ შეიძლება გააძლიეროს ადგილობრივი განცალკევებულობა ბაქოს მილიონების ზემოქმედებით პეტერბურგულ სფეროებსა და ბეჭდვით ორგანოებზე, ვიდრე რუსული კულტურის გავლენის გავრცელება ამიერკავკასიაში.

ფრიად საინტერესოა აღსანიშნავად, როგორ აისახა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამიერკავკასიის რკინიგზის მშენებლობა ცალკეული ადგილების და ტომების მდგომარეობაზე. ამით მოგება ნახეს მხოლოდ სომხებმა, რომელთაც ბაქო და თბილისი ეკონომიკურად ხელში ჩაიგდეს.

ვინაიდან ქართველთა მეორე დედაქალაქში, ქუთაისში, მათი რაოდენობა შედარებით მცირეა და ეკონომიკური გავლენაც უმნიშვნელო, ამდენად, ამიერკავკასიის მაგისტრალმა გვერდი აუარა ქუთაისს, იმ საბაბით, რომ დაეჩქარებინა სპარსული ტრანზიტი, – და ერთ დროს აყვავებული ქალაქი სულ უფრო კარგავს თავის წინანდელ ეკონომიკურ მნიშვნელობას, მიუხედავად მის მცხოვრებთა მრეწველობისა და ვაჭრობის მიმართ უეჭველი უნარისა.

სომხური სამრეწველო ფირმები და ბანკები გაბატონდნენ ფოთსა და ბათუმში, შავი ზღვის სანაპიროს ბოლო პუნქტები გზებზე კი მთლიანად მათ ხელში აღმოჩნდა.

მეორე მხრივ, ლიანდაგმა გააერთიანა აქამდე განცალკევებული ქართველური ტომის შტოები, რომლებშიც დღემდე შეინიშნება დიდი სულიერი განცალკევებულობა, რაც ზოგჯერ ნერვულ პოლიტიკურ ფორმებს იღებს.

თუკი ამიერკავკასიის გზის ნაცვლად ან თუნდაც მასთან ერთად გაიყვანდნენ საუღელტეხილო გზას მთავარი ქედის გავლით თბილისამდე, ადგილობრივი ცხოვრების სურათი სრულიად სხვაგვარი იქნებოდა, ბევრად უფრო უნუგეშო რუსული ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესების თვალსაზრისით. კავკასიის მთავარი ხელმძღვანელობა, როგორც ჩანს, ყოველთვის არცთუ დიდი მოწადინებით ეკიდებოდა მოხერხებული და სწრაფი კავშირის დამყარებას ტფილისსა და პეტერბურგს შორის. ეს... განაპირა ფსიქოლოგიის საკითხი, განსაკუთრებით კავკასიური, ემყარებოდა სპარსული ადმინისტრაციული ტრადიციების ნიადაგს. რაც უფრო შორს ხარ მაკონტროლებელი ცენტრალური ხელისუფლებისგან, მით იოლად სუნთქავ. მაგრამ განაპირა მხარის ცენტრთან დაახლოების გულწრფელ ქომაგებსაც არ შეეძლოთ ღრმად ჩაეხედათ საკითხში.

სამწუხაროდ, არა მარტო იმ ხანაში, არამედ დღესაც კაპიტალის ეროვნული მნიშვნელობა არასაკმარისად აღიქმება, ხშირად კი შეგნებულადაც ხდებოდა მისი იგნორირება დაქვემდებარებული სფეროების მიერ. ვის ხელშიცაა ფული, ისაა – მდგომარეობის ჭეშმარიტი პატრონი, განსაკუთრებით, თუკი მსახურეული კლასი მატერიალურად ცუდაა უზრუნველყოფილი, ხოლო საზოგადოებრივ აზრს არ გააჩნია ეროვნული მდგრადობა. უცხოური კაპიტალის დამღუპველი ბატონობის თვალსაჩინო მაგალითებს ვხედავთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისეთ სახელმწიფოებში, როგორებიცაა: საფრანგეთი და ავსტრია, სადაც მოსახლეობის ეკონომიკური თვითშემოქმედება ათჯერ მეტია, ვიდრე ჩვენთან. ეს გაკვეთილი, როგორც ჩანს, არ ესმით ან განზრახ ჩქმალავენ ის ადამიანები, რომლებიც ამტკიცებენ, რომ კაპიტალი არსებითად არაეროვნულია და ყველგან აქვს ობიექტურ-კეთილისმყოფელი გავლენა. ასეთი მტკიცება, უნდა ითქვას, ყოველთვის უანგარო როდია...

მაგრამ ობიექტური და არა ეროვნული მოქალაქეობრიობის თვალსაზრისითაც, კავკასიის მხარემ განვითარება იწყო 60-იანი წლებიდან არანორმალურად, არაჰარმონიულად, და ადგილ-ადგილ არსებულ გარეგნულ კეთილმოწყობას თან ახლდა, ერთი მხრივ, ღრმა ველურობის გადმონაშთები, მეორე მხრივ კი – ისეთი მწვავე საზოგადოებრივი გახრწნის სიმპტომები, როგორიც შესაძლებელია მხოლოდ აზიური გახრწნილი სიბინძურის ნიადაგზე, მრავალი საუკუნის სიბნელესა და ჩამორჩენილობაში რომ გროვდებოდა. ამ ქაოსში რომ გავერკვეთ, აუცილებელია დავუკვირდეთ ცხოვრებას და კავკასიაში მცხოვრები მთავარი ტომების დამახასიათებელ თვისებებს ცალ-ცალკე.

ასეთი ამოცანის შესრულებისას გვიხდება განსაკუთრებული ყურადღება მივაქციოთ ტერმინოლოგიას და უარვყოთ ის სახელწოდებები და განზოგადებები, რომლებიც მართებულია ყოველდღიურ მეტყველებაში. მაგალითად, სიტყვა „*ტუზემეც*" უკვე არ გამოდგება, თუკი გვსურს ჩავწვდეთ საქმის არსს. ის გამოგონილია ზარმაცი, სწორხაზოვანი ან არაკეთილსინდისიერი კავკასიელი მოხელეების მიერ, რათა ფორმალური ნიშნით, რომლებიც უპასუხებს მთელ რიგ სხავადასხვანაირ, არათანაბარფასეულ და ხშირად საპირისპირო ცნებებს, გაამართლონ ზომები – ხან არაცხოვრებისეული, ხან არაკეთილსინდისიერი და მავნეც კი.

თუკი კავკასიის მოსახლეობას გავყოფთ ერცელ ჯგუფებად, მაგრამ რამდენადმე მთელად და ხელმძღვანელი იდეით შეფერადებულთ, ასეთ სურათს მივიღებთ: ქართველები როგორც ძირითადი სახელმწიფოებრივი ერი მხარეში, ჩვენთვის ახლობელია სულიერად და თავისი კულტურით; სომხები, როგორც ელემენტი, – ბევრად უფრო უცხო ჩვენთვის და თავისი სახით შეკვეითი ბურჟუაზიაა, მტრული კავკასიის ყველა ხალხისთვის; მუსლიმანები ძირითადად ორი სახისაა: აზერბაიჯანის თათრები, სპარსეთის ძლიერი გავლენის ქვეშ მყოფი და მთიელი მუსლიმანები, რომელთა სულიერი სამყარო ჩამოყალიბდა ბუნების მკაცრი პირობების და ისლამის მკვეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოთხოვნების გავლენით. ქართველი მუსლიმანები და თურქები აქ არ იგულისხმებიან მათი მცირერიცხოვნობის გამო.

მხარის ყველა ეს მკვიდრი ეროვნება გათიშული არაა, პირიქით, მჭიდროდააერთმანეთშიგადახლართული:ნაწილობრივორგანულად, როგორც სომხები ქართველებთან და მუსლიმანებთან, შერეული ქორწინებების და მრავალსაუკუნოვანი უნებური შეჯვარების მეოხებით, ნაწილობრივ საყოფაცხოვრებო მოვლენების მეშვეობით, როგორც მთიელი ქართველები სხვა მთიელებთან წარმართულ ქვენიადაგზე, ან სომეხი-ჩარჩები სხვადასხვა მეზობელთან ამ უკანასკნელთა ექსპლოატაციის გზით. და ბოლოს, რჩებიან რუსები, რომლებიც ამიერკავკასიის მხარეში მოსახლეობის 2%-ზე მეტს შეადგენენ და იყოფიან სხვადასხვა კატეგორიად: აქ არიან მაღალი წოდების ადამიანები პროტექციით, რომლებიც გავლენას ახდენენ მხარის ბედ-იღბალზე, არ აქვთ რა მასზე მცირედი საქმიანი წარმოდგენაც კი; აქ არიან სახელოვანი ალალმართალი რუსი მეომრები და პატიოსანი, განათლებული ადამიანების მცირე ჯგუფი, ასევე სექტანტები, რომლებიც ჯიუტად იცავენ ეროვნულ თავისებურებებს და მრავალტანჯული გადმოსახლებულები. დასასრულ, ყოველგვარი ჯურის და წოდების ადამიანი, რომლებიც იმდენად ცუდი თვალსაზრისით გაკავკასიელდნენ, რომ დაკარგეს რუსული საქმის ეროვნული გრძნობა და გაგება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 3. ჩვენი ძმები – ქართველები

ტყუილად როდი შეუსხამთ ხოტბა ჩვენს პოეტებს მშვენიერი საქართველოსთვის, უძველესი ტაძრების, ციხესიმაგრეების, ყვავილების, სიმღერებისდა თქმულებების ქვეყნისთვის! ივერიისმიწა – ღვთისმშობლის წილხვედრი, წმიდა გიორგის მხარე – სპარსულად „გურჯისტანი", რომლის შესახებაც უნახავად სიყვარულით ლაპარაკობდნენ ჩვენი ღვთისმოსავი წინაპრები, როგორც მართლმადიდებლობის უძველეს კერაზე. პატარა გმირი ხალხის ტანჯვა რწმენისა და თვითმყოფადობისთვის ძმური თანაგრძნობის გამოძახილს პოვებდა ჩრდილოელი ერთმორწმუნეების გულში. დაახლოება სულ უფრო იზრდებოდა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც რუსეთმა იკისრა მესამე რომის ამოცანა, და დასრულდა ეს ქართლ-კახეთის სამეფოების ნებაყოფლობითი შეერთებით რუსეთთან 100 წლის წინ. ეს იყო ნებაყოფლობითი შეერთება, არა ბრჭყალებში, არა ისეთი, როგორიც გვერდიდან ჩვენ მიმართ უნებურად კეკლუცი შუააზიური წვრილი სახელმწიფოების, არამედ სერიოზული. ვთქვათ, XVIII საუკუნის ბოლოს ქართული სამეფო რამდენჯერმე „გახდა რუსეთის ქვეშევრდომი", ამასთან ქართველი მეფეები ტახტზე რჩებოდნენ და საქართველოს შიდა წყობა არ იცვლებოდა; ჩანს, ცნება „ქვეშევრდომობა" განიმარტებოდა, სულ მცირე, არასწორად: იგი რუსული იარაღით საქართველოს დაცვის უფლებას იძლეოდა და ქართველებს მხოლოდ მოვალეობას აკისრებდა... დაეცვათ თავიანთი სამშობლო იმავე მტრებისგან, რუსი მეომრებისთვის კი სურსათი მოემარაგებინათ. ზუსტად რომ ვთქვათ, ასეთი „ქვეშევრდომობა" ტიპური ვასალური დამოკიდებულებაც კი არ იყო და უფრო წააგავდა სუსტის ძლიერთან კავშირს თავდაცვის მიზნით. უნდა აღინიშნოს აგრეთვე, რომ ქართული სამეფო ოჯახის მრავალრიცხოვანი წარმომადგენელნი არ თანაუგრძნობდნენ XIX საუკუნის დამდეგს შემდგარ საკითხის რადიკალურ გადაწყვეტას აქამდე ფიქტიურ ქვეშევრდომობაზე და ზოგიერთი ქართველი ფეოდალიც ვარაუდობდა, რომ საქართველო უნდა შეერთებოდა რუსეთს არა მანიფესტით, არამედ ორმხრივი ხელშეკრულებით, ანუ განსაკუთრებული ავტონომიის საწყისებზე, ან თუნდაც ნახევრად დამოუკიდებლად. ასეთი შეხედულება დღესაც არსებობს; მას გაძლიერებით, თუმცა საკმაოდ წარუმატებლად ქადაგებენ ის ქართველები, რომლებსაც გადაედოთ სომხური სულისკვეთების სეპარატიზმი და არცთუ უანგაროდ ასრულებენ მის კავკასიურ ანტირუსულ პროგრამას

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს შეერთების დროსაც და შემდგომ წლებშიც თუ ხდებოდა არეულობები პოლიტიკური სწრაფვების და გაუგებრობების ნიადაგზე, რომელთა გამეორება შესაძლებელია მომავალშიც უცხოური ზემოქმედების გავლენით, ზოგჯერ კი მხარის უტაქტო მართვის გამო. მაგრამ ყველაფერი ეს ჯამში უმნიშვნელოა და არ გადაგვახვევინებს ისტორიის ფართო შტრიხებს. საქმე ისაა, რომ ქართველი ხალხი თავისი ხელმძღვანელების დიდი უმრავლესობით, შეუერთდა ნებაყოფლობით, უპირობოდ და სამუდამოდ. მან შეასრულა თავისი ისტორიული მისია, დაემორჩილა საკუთარი ტანჯული სულის სტიქიურ ნებას, როცა შეუერთდა რუსეთს ერთმორწმუნეობის საფუძველზე.

სანამ ჩვენთვის ძვირფასია ჩვენი რწმენა, საქართველო ჩვენთვის სულიერად ახლოა. ეს კავშირი აღბეჭდილია აგრეთვე რაინდული ქართული სისხლის ნაკადით, რომელიც დაიღვარა რუსული დროშების ქვეშ ბრძოლის ველზე ჩვენი საერთო საქმისთვის, მესამე რომის მსოფლიო ამოცანისთვის, მართლმადიდებლური კულტურის ამოცანისთვის. სანამ ჩვენ გვჯერა ამ ამოცანის და მნიშვნელობას ვანიჭებთ ჩვენს დროშებს, ჩვენ უნდა ვუყურებდეთ ქართველებს, როგორც ჩვენს ძმებს და ვხედავდეთ ქართველ ხალხში წინა აზიაში აღნიშნული ამოცანის ერთ-ერთ ბუნებრივ დამხმარე ბერკეტს.

ვთქვათ, გასული ასწლეულის განმავლობაში მთელი რიგი პირობების გავლენით ამ ძმების საქმეები წახდა, მათი ხასიათი ნაკლებსასიამოვნო გახდა, ხოლო ყოველდღიური ურთიერთობა ჩვენთან ზედაპირული გაუგებრობების გარეშე აღარაა. მით უმეტეს, აუცილებელია გავერკვეთ ამ ყველაფერში, რათა ცხოვრებისეულმა წვრილმანებმა არ დაფაროს და არ წაშალოს თავისი ნაგვით ჩვენი კულტურული ისტორიის ფართო ხაზები, რომ უმნიშვნელომ არ დაღუპოს დიადი, იმის მსგავსად, როგორც თაგვები ღრღნიან უკვდავ ხელოვანთა სურათებს...

„გრუზინი“ ან უფრო სწორად ქართველები ცხოვრობენ თბილისის და ქუთაისის გუბერნიებში. თბილისისაში — ქართველები და კახელები; ქუთაისისაში, სურამის ქედს იქით — იმერლები, რაჭველები, მეგრელები, გურულები, აჭარლები და ა.შ. სურამსიქითა ქართველები ტიპით, ტემპერამენტითა და ხასიათის თვისებებით იმდენად განსხვავდებიან ქართველებისგან, რომ ზოგიერთი მხარის მცოდნე მათ სრულიად სხვატომელებად მიიჩნევს. ქართველები სოლიდურები და მდგრადები არიან; სურამსიქითა ქართველები კი ნაკლებად სანდონი არიან ყველა ურთიერთობაში, მაგრამ უფრო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცოცხალნი, მკვირცხლნი, წინდახედულნი. ისინი ავსებენ ახლად წარმოშობილი ქართული ბურჟუაზიის მთავარ კონტინგენტს.

ქართველთა წარმოშობა გაურკვეველია, რაც მოწმობს ამ ტომის ფრიად დიდ სიძველეს. გარდა ამისა, როგორც ჩანს, იგი სავსებით ერთგვაროვანი არაა, სახელების, ისტორიულ-გეოგრაფიული მონაცემების და ქართველთა ფიზიკური ტიპების მრავალფეროვნების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ. მასაგეტების უძველესი დედოფალის სახელი იყო თამარისი, ანუ თამარი, საქართველოს, ისევე, როგორც პირინეის ნახევარკუნძულის ნაწილს, უწოდებდნენ ივერიას ან იბერიას; ახლაც თუკი დავაკვირდებით ქართველის ფიზიკურ და სულიერ სახეს, ძნელი არაა იგი მივიღოთ ესპანელად, კელტ-იბერების რომანიზებულ შთამომავლად. ამასთან ერთად, არსებობს ცნობები ქართულ დასახლებებზე ჩრდილოეთ აფრიკასა და აბისინიაში. ქართულ ენაში ამაზე პენდანტ დამატებით არსებობს მინიშნება, რომ ამ ენაზე მოლაპარაკე ხალხი ცხოვრობდა ძალიან ცხელ ქვეყანაში, სადაც წყალი იყო უმაღლესი კეთილდღეობა; ასე, თითქმის ყველა ძირითადი სასიცოცხლო ცნება – „ბლაგოდატ, მილოსტ, ნესჩასტნი" (წყალობა, მოწყალება, საწყალი) – დაკავშირებულია სიტყვასთან „წყალი". „მილოსტ" – ქართულად „წყალობა", „ნესჩასტნი" – „საწყალი" სიტყვასიტყვით თარგმანში ნიშნავს „ეკუთვნის წყალს", „წაღებული წყლით"... ასეთი მეტაფორები ჩვეულებრივ არ ტყუის. უფრო მოგვიანებით ქართველები უდავოდ დაუნათესავდნენ ებრაელებს, რომლებიც მოხვდნენ ამ მხარეში ნაბუქოდონოსორის დროს. დღემდე იმერეთში ბევრი ებრაელია, რომელთა გარჩევაც გარეგნულად ადგილობრივი ქართველებისგან თითქმის შეუძლებელია. საქართველოს განმანათლებლის, წმინდა ნინოს ცხოვრებაც მრავალი ებრაელის ყოფნას მოწმობს მცხეთაში, ამ სახელმწიფოს უძველეს დედაქალაქში. დღესაც ადგილობრივ დასახლებათა მრავალი ბიბლიური სახელწოდებაც ამას ადასტურებს.

საქართველო იწყება ჩრდილოეთში ყაზბეგის სადგურის სიახლოვეს: იქ ძველი ივერიის სამეფოს თავისებური ზაპოროჟიეა. თერგის იქით, მთაზე, მონასტერი, სოფლების სახელწოდებები, როგორიცაა, მაგალითად, სტეფანწმინდა, ანუ წმ. სტეფანე, სიონი და ა.შ. – ყველაფერი ადასტურებს წმ. ნინოს ნათელს, რომელიც გაბრწყინდა ამ პირქუშ მთათა შორის. მაგრამ საყოფაცხოვრებო-ეთნოგრაფიული თვალსაზრისით, ნამდვილი საქართველო იწყება სამხრეთით, ხოლო მისი ქროლა ან წინათგრძნობა – მხოლოდ გუდაურიდანაა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

За перевалом, позади
Сурово-мощные громады,
Снега, обвалы, водопады,
Туманы, грозы и дожди...
Здесь - дуновение отрады!
Хоть порубежный Гудаур
Ещё задумчив, или хмур,
Но очертаньем горных далей
Так нежно манит южный склон!
И ветерок уж напоён
Благоуханием азалий.
Узоры мягкие хребтов
Лежат застывшею волною,
Почти сливаясь с синевою
Небес и дымкой облаков.
И в сердце смутное волненье:
Как будто взвиться чрез мгновенье
Волшебный занавес готов
Над лучезарною страною
Святынь, венчанных стариною,
Восторгов, песен и цветовъ!*

ეს ლექსი წამიერად აფეთქებული გრძნობის ნაყოფია და ამდენად – არასრული. თუ ახლოდან დააკვირდებით საქართველოს იერსახეს, მის ბუნებას და ადამიანებს, არ შეიძლება, არ იგრძნოთ ტანჯვის ღრმა კვალი – მრავალსაუკუნოვანიც და ახლანდელიც. გარეგნულად ნეტარებისთვის შექმნილ ქვეყანას რაღაც ბედისწერა მუდამ თან სდევდა.

საქართველოს ისტორია – მთლიანი მარტიროლოგია. შექსპირს შეეძლო იქ ეპოვა სიუჟეტები ფასდაუდებელი ტრაგიზმით. როგორც ითქვა, სახელმწიფო ნამდვილი გაგებით არ არსებობდა. მეფეთა ძალაუფლება სადავო ხდებოდა თავნება, მრისხანე ფეოდალების ხელში, რომლებიც მბრძანებლობდნენ ხალხზე. მონასტრები მნიშვნელოვანწილად იყო ციხესიმაგრეები, ხოლო რელიგია – განძი, რომლითაც ვერ სარგებლობდა ხალხის მასა, ვინაიდან მთავარი ძალისხმევა მიმართული იყო მისი დაცვისკენ გარეშე მტერთაგან. ეპისკოპოსი-ფეოდალი ხშირად უფრო მეტად ფეოდალი იყო, ვიდრე

* არაბესკები ,ვ.ლ. ველიჩკოს ახალი ლექსი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკურთხევლის მსახური. თუკი შეიძლება ასე ითქვას, სულის ფართო შტრიხი რწმენისთვის ბრძოლის გავლენით მთლიანად განიმსჭვალა ქრისტიანობით, მაგრამ ხასიათის წვრილმანი თვისებები და ყოფაცხოვრებითი პირობები ბევრ რამეში წარმართული დარჩა, ეკლესია კი იძულებული იყო, ამას შეგუებოდა: დღემდე, მაგალითად, ზოგიერთ ადგილას არსებობს გვაროვნული სისხლის აღების წესი, დღემდე სწირავენ ცხოველებს მსხვერპლად ღმერთს. გარე უსაფრთხოება არ არსებობდა, ამიტომ მეფეებს და ფეოდალებს ხშირად უხდებოდათ თავიანთი თავის გამოსყიდვა მიწიერი დოვლათით, ტყვეებით, პირფერობით და ხანდახან რწმენის შეცვლითაც მტაცებელი თურქი და სპარსელი მბრძანებლებისგან, ზოგჯერ კი აღიარებდნენ რა ამ უკანასკნელთა ძალაუფლებას, მოულოდნელად ღალატობდნენ მათ ხალხური თვითმყოფადობის ან საკუთარი ინტერესების გამო.

ფეოდალიზმი და გვაროვნული საწყისი მტკიცედ დამკვიდრდა. მთელ ქართულ მატიანეში — ქართლის ცხოვრება — ეს წითელ ხაზად გასდევს და ხალხი, როგორც აქტიური ძალა, თითქმის არსადაა ნახსენები. მიუხედავად ამისა, ეს — ძალა ცოცხალია და შეგნებული, როგორც ჩანს, შესანიშნავი ხალხური შემოქმედებიდან — სიმღერებიდან, ზღაპრებიდან, კეთილშობილურ-ბრძნული ანდაზებიდან და კოლორიტული გადმოცემებიდან.

ქართველი მდაბიო მესტვირეები საოცარი იმპროვიზატორი-პოეტები იყვნენ. ხალხის ენა კი პოეზიის საგანძური გახლდათ. ქართველი გლეხები სახეებით აზროვნებენ, ლაპარაკობენ ფილოსოფიური აფორიზმებით. ერთ ხიზანს, უმიწო მოიჯარე გლეხს, დაეღუპა ნახევარი ჯოგი. იგი ბედს შეურიგდა და თქვა: „მადლობას ვწირავ ღმერთს! მან ძმად მიმიღო, ნახევარი ჩემი ავლადიდება თავისთვის აიღო!..“ აი, რამდენიმე სახასიათო ანდაზა: „პატიოსან მტრებს შორის შუამავალი სინდისია“; „ტყუილს მოკლე ფეხები აქვს“. სიმართლეზე მაღალი შეხედულება აქვთ, მაგრამ მის გვერდით არის პესიმისტური, თუმცა იუმორნარევი ანდაზებიც: „მართლის მთქმელს ცხენი შეკაზმული უნდა ჰყავდესო“...

ერთი ახალგაზრდა ქართველი მწერლის, თავადი ავალოვის სხარტი შენიშვნით, ფეოდალიზმმა გადაარჩინა ქართველი ერი. თუკი მეფე ემორჩილებოდა უცხოტომელ მბრძანებელს, ეს ჯერ კიდევ არ იყო საქართველოს დამორჩილება, ვინაიდან საჭირო იყო ფეოდალთა ყველა ციხესიმაგრის დაპყრობა და ტომობრივი თვითმყოფადობის ძირიანად ამოგლეჯა. მაგრამ ფეოდალური ანარქია ხელს უშლიდა სახელმწიფო-სახალხო კულტურის განვითარებას. ეს უკანასკნელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

იფურჩქნებოდა მხოლოდ ხანმოკლე გამონათებების დროს ძლიერი მონარქიული ძალაუფლების დროს. ასეთი გამონათება და ამასთან ძალზე კაშკაშა დაკავშირებულია მეფე დავით აღმაშენებლის, მეფეთ-მეფის (შაჰინ-შაჰის), დიდი თამარის სახელებთან, მოგვიანებით – გიორგი ბრწყინვალესთან, ბოლოს კი – მეფე ერეკლე მეორესთან, რომელიც რუსეთის ქვეშევრდომი გახდა ვასალურ საწყისებზე ეკატერინე დიდის დროს. ამ მონარქების დროს კულტურული თესლი, რომელიც ხალხში ინახებოდა, მოსავალს იძლეოდა ერთი-სამასად; ქვეყანა იფარებოდა დიდებული ტაძრებით, ეკლესიებში ჩნდებოდა წმინდა საგნები და წიგნები შეუდარებელი სილამაზის მინიატურებით, გაისმოდა შთაგონებული პოეტების უკვდავი ლექსები, მაგალითად, როგორიცაა შოთა რუსთაველის პოემა „ვეფხისტყაოსანი“ (“Человѣкъ, одѣтый въ барсову кожу”), რომელიც გამოირჩევა გადმოცემის და უზადო სიბრძნის უჭკნობი მშვენიერებით; იგი გადათარგმნილია ძირითად ევროპულ ენებზე (განსაკუთრებით კარგია არტურ ლაისტის თარგმანი – „Der Mann im Tigerfelle“) და მხოლოდ რუსულ ენაზე არ არსებობს მისი სრული ლექსური თარგმანი.

ხალხმა დააფასა თავისი მეფეები, მიანიჭა რა მათ სამარადისო ხსოვნა. ყველაფერი, რაც თვალს ატყვევებს: ტაძრები, კოშკების ნანგრევები, ზღაპრულად ლამაზი ადგილები – დაკავშირებულია დიდი თამარის სახელთან; მეფე ერეკლე II-ს, სპარსელების და თურქების რისხვას, ხალხი ფამილარულად უწოდებს „პატარა კახს“, ანუ პატარა კახელს. ამ მაგალითებიდან ჩანს, რაოდენ ღრმად დემოკრატიულია ყოველგვარი ძლიერი მონარქიის საფუძველი.

ქართველთა ძველისძველ სოციალურ წყობას ჰქონდა საკმაოდ დიდი ნაკლი, რის გამოც მათ მოუხდათ ტანჯვა და შეიძლება კიდევ მოუხდეთ გადახდა თუ არსებობით არა, მაშინ მთელი ტომის კეთილდღეობით: მათ არ ჰყავდათ საკუთარი ბურჟუაზია. მრეწველები, ვაჭრები და ხელოსნები მცირერიცხოვან ქართულ ქალაქებში უპირატესად იყვნენ უცხო რჯულის და უცხოტომელი სომხები, რომლებიც თავს აფარებდნენ ქართულ ხმალს მუსლიმანური დევნისგან. ისინი თამაშობდნენ ქართველებში იმავე როლს, რასაც ტილი – ჭიანჭველებში: სარგებლობდნენ ქართული ხმლით დაცული მშვიდობით და აგროვებდნენ სიმდიდრეს, ხოლო დროდადრო უნებურად უყოფდნენ ამ უკანასკნელს თავიანთ მბრძანებლებს, რომელთა წინაშეც თრთოდნენ მონური შიშით. განსვენებული კავკასიელი გენერალი ქიშმიშევი, მხურვალე სომეხი პატრიოტი, გაბოროტებული მოგვითხრობს ერთ ბროშურაში, რომ, როცა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მდიდარი სომხები უარს ამბობდნენ, მიეცათ ფეოდალების მიერ მოთხოვნილი ფული, მაშინ თავადები სვამდნენ მათ ტომრებში და სწრაფმდინარ მტკვარში ჩაუშვებდნენ ხოლმე, თან დახრჩობით ემუქრებოდნენ დაუმორჩილებლობის შემთხვევაში; ხმები დადიოდა, რომ დაზარალებულთა რიცხვში იყვნენ დასახელებული ავტორის წინაპრები. გამომძალველობის ხერხი თავისთავად საქები არაა, მაგრამ მოხვეჭილი ნაყოფი, როგორც ჩანს, მჭიდრო ლოგიკურ და საყოფაცხოვრებო კავშირში იყო ასევე არასაქებ ხერხთან, რომლითაც სომხური ბურჟუაზია ამრავლებდა და დღესაც ამრავლებს თავის სიმდიდრეს, ხშირად აშკარად უსამართლოდ ნაშოვნს.

ქართველი მეფეები და თავადები არ იყვნენ სამართლებრივი წესრიგის უსაფუძვლო დოქტრინიორები: ისინი ალღოთი გრძნობდნენ, რომ ფულადი ფეოდალიზმი – კაპიტალიზმი – სახელმწიფოებრიობის მტერი იყო, როცა კეთილგონიერულობის ფარგლებს სცილდება. ნამდვილი ფეოდალი არც ისე საშიშია, რადგან ყოველთვის იცი, სად შეიძლება მისი პოვნა და როგორ უნდა დაიმორჩილო; „კაპიტალიზმის ფეოდალი" უფრო საშიშია, იმიტომ რომ უცნობია, მეფის რომელ მსახურებს მოისყიდის, რომელ შეიარაღებულ ადამიანებს დაიქირავებს, რომელი ხალხის ინტერესებს, განსაკუთრებით მისთვის უცხოს, უღალატებს გამორჩენის მიზნით. მაშინ მსგავსი საკითხები წყდებოდა უბრალოდ, და უნდა ითქვას, რომ ადამიანურობის და ზომიერების დაცვისას ეს უფრო მართებული იყო, ვიდრე სოციალურ-ეკონომიკური ქაოსი, რომელიც სუფევდა ევროპული ცივილიზაციით გაკეთილშობილებულ თანამედროვე სახელმწიფოების უმრავლესობაში.

ასე თუ ისე სომხები დამოუკიდებელი საქართველოსთვის არ იყვნენ ქართველებისთვის ისეთი საბედისწერო საფრთხე, როგორიც დღეს არიან განყენებულ-პრინციპულ თეორიაში, პრაქტიკაში კი – მხარის ხშირად უპრინციპო თანამედროვე მართვისას. მიუხედავად ამისა, მაშინაც ქართველებში საკუთარი ბურჟუაზიის არარსებობა, რომლის როლსაც სომხები ასრულებდნენ პარაზიტულად, საფუძველშივე იყო ისევე არანორმალური, როგორც, ვთქვათ, ერთ ადამიანს თუ გადაუნერგავდნენ კუჭში მეორე ადამიანის კუჭს, რომელიც საიდუმლოდ იმუშავებდა ამ უკანასკნელის სასარგებლოდ. მაგალითი დაუჯერებელია პიროვნულ ცხოვრებაში, მაგრამ იგი განხორციელებულა სახელმწიფოებში; ასეთი ანომალია პოლონეთის დაცემის ერთ-ერთი მიზეზი გახდა, რადგან ეკონომიკური სფერო იქ ებრაელებმა ჩაიგდეს ხელში.

ურიგო არ იქნებოდა ამ ანომალიას უფრო ენერგიულად ებრძოდეს ჩვენი სახელმწიფოც, მით უმეტეს, რომ დროება ახლა უფრო მწვავეა და ნაკლებად მდიდარი ინსტინქტური სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით: უცხოტომური ბურჟუაზია — ნიშნავს რუსების წინააღმდეგ გამხრწნელი იდეების ბატონობას ბეჭდვით სიტყვაშიც, სკოლაშიც, სახელმწიფო დაწესებულებაშიც და მსახურეულ კლასებშიც კი, რომლებიც ყოველთვის ნაკლებად უზრუნველყოფილია: ცალკეულმა ადამიანებმა, რომლებიც დგანან ამა თუ იმ საქმიან რაზთან, შეიძლება ვერ გაუძლონ ისეთ სირინოზთა სიმღერას, როგორიც იქნებოდა რომელიმე ებრაელი ბანკირი ან სომეხი ნავთობმრეწველი... ასე უკვე ოცნებამ გამიტაცა...

ქართველ სომეხთა ნაწილმა, რომელთა ტომობრივი ნიშანია არა მარტო ეკონომიკური მოხერხებულობა, არამედ ბიუროკრატიული გაძრომ-გამოძრომის უნარიც, უზნეო სპარსულ-თურქულ მსახურეულთა სკოლაში რომ ჩაუნერგეს, შეაღწია ქართულ მსახურეულთა კლასშიც და დიდგვაროვნებშიც კი. ორი-სამი შემთხვევის გარდა, ეს იყო უხეში შეცდომა ქართველი მეფეების მხრიდან, მათი სისუსტის ნიშანი, ხშირად კი მრავალი სახელისუფლებო პირის, თვით გვირგვინოსანთა ჩათვლით, მოსყიდვის.

სხვათა შორის, საინტერესოა ერთ-ერთი უკანასკნელი ქართველი მეფის სიტყვები ყორღანოვის სომხურ ოჯახზე*. ვიღაც მივიდა მეფესთან არზით, მეფემ ცნო არზის სისწორე და ყორღანოვის ბრალეულობა, მაგრამ უპასუხა, რომ ვერაფერს იზამს: „ეს ხალხი შხამიანია: ... სოლოლაკის გორაკზე მკედარი ყორღანოვი წევს. მგლები გარს უვლიან და ყნოსავენ, მაგრამ მიკარების ეშინიათ! ჰოდა, რა უნდა მოეუხერხო ცოცხალს?!"

ისტორიამ დაანახა ქართველებს, რომ არ შეიძლება ენდო ადამიანებს, რომელთაც ბუნებრივი მიდრეკილება აქვთ ჯაშუშობისა და ღალატისაკენ: ერეკლე II-ის მიერ გაკეთილშობილებული სომეხი მელიქები — აბო და მეჯნუნი, რომლებიც მეფემ შეიფარა სპარსელთა დევნისგან, საბედისწერო მომენტში ჩაბარდნენ სპარსელებს და აღა-მაჰმად-ხანის ურდოთა მეგზურები გახდნენ, ამ ურდოებმა 1795 წელს თბილისი გაძარცვა და სისხლში ჩაახრჩო. ეს ფაქტი სასარგებლოა გვახსოვდეს, როცა სომეხი პუბლიცისტები საკმაოდ დაჟინებით აცხადებენ, რომ სომხები თავგამოდებული ქრისტიანები არიან...

საკუთარი ბურჟუაზიის უქონლობა ფრიად საშიშია ნებისმიერი ხალხისთვის ჩვენს დროში, როცა ეკონომიკურ საკითხებს უპირატესი

* ყორღანოვების ამ შტომ თავისი არსებობა შეწყვიტა. ავტ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მნიშვნელობა ენიჭება; სამრეწველო ენერგიით აღსავსე ადამიანთა ასეთი კლასი სასიცოცხლოდ აუცილებელია, ის უნდა შევსებულიყო არა მარტო ქვევიდან, არამედ ზევიდანაც, ანუ თავადაზნაურობის წარმომადგენლებით, რომლებიც ახალ პირობებს ალღოს აუღებდნენ; თუ ასე არ მოხდა, გაღატაკებული აზნაურები პირდაპირ „ფსკერზე“ აღმოჩნდებიან,ხოლოხალხისმასაუცხოტომელიექსპლოატატორების კაბალაში ჩავარდება. ამაზეა დამოკიდებული ყველა კულტურული დაწესებულების და ცხოვრების ფორმის დონე: ეკლესიისაც, სკოლისაც, ბეჭდვითი სიტყვისაც, ქველმოქმედებისაც – ყველაფერი ეს დასუსტდება ენერგიული სამრეწველო კლასისგან მატერიალური და იდეური მხარდაჭერის გარეშე. განათლება იკლებს – და ეს ბუნებრივია: სასწავლო დაწესებულებები ქალაქებშია, მიყრუებული სოფლის მცხოვრებს, დიდი, მაგრამ მცირეშემოსავლიანი მამულის მფლობელს, უხდება ჯაფა ორი სახლისთვის, რათა აღზარდოს ვაჟი გიმნაზიაში, ან თუნდაც მოამზადოს იგი ამისთვის; მაგრამ ბავშვის სრული პანსიონის გადახდა ძვირია და ბავშვიც წყდება ოჯახს; ქალაქში მცხოვრებ ნებისმიერ წვრილ მოურავს, ფაქტორს, მედუქნეს სომხებიდან შეუძლია თითქმის დანახარჯების გარეშე მიიყვანოს თავისი შვილი უნივერსიტეტამდე. როცა მდგომარეობათა ასეთი სხვაობა ვლინდება ფაქტების უმრავლესობაში, შედეგად მთელი ხალხი ჩამორჩება კულტურული თვალსაზრისით და კარგავს დიდ შესაძლებლობას არსებობისთვის ბრძოლაში. ამ შემთხვევაში, რუსული სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით, ეს ფრიად არახელსაყრელია, ვინაიდან ქართველი ხალხი ჩვენთვის უახლოესია სულითა და კულტურის საფუძვლებით, მას გააჩნია მაღალი ზნეობრივი ტრადიციები, გარდა ამისა, როგორც ირკვევა კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველის ანგარიშებიდან, გამოირჩევა დიდი უნარით სამეცნიერო და ზნეობრივი განვითარებისთვის, ვიდრე დანარჩენი სხვა ადგილობრივი მოსახლეობა.

XIX საუკუნის დამდეგს საქართველოში მტკიცედ მკვიდრდება რუსული ხელისუფლება, რითაც მოაქვს მშვიდობა და მხარეს ყოველმხრივი განვითარებისთვის ასპარეზს უხსნის. თუმცა თავისებური საქართველოსთვის მშვიდობა აღმოჩნდა სიკეთე არა უპირობო, არამედ შედარებითი. ყოველ შემთხვევაში, უეჭველია, რომ მან მოიტანა სხვადასხვა უარყოფითი მოვლენა. ჯერ ერთი, მუდმივი საფრთხის დროს ქართველები დროის დიდ ნაწილს ატარებდნენ მთებში, ხოლო მშვიდობის დადგომისას მტკიცედ დამკვიდრდნენ გვალვიან ველებში, სადაც მათი ვერაგი მტერი იყო მალარია,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელიც დამღუპველად მოქმედებდა ჯანმრთელობაზე; მალარიის მემკვიდრეობით კვალს ახლაც შეიძლება შეხვდეთ ახალშობილთა სახეზე.

მეორეც, თუმცა მევენახეობა ოდითგან ყვაოდა საქართველოში, უსაფრთხოების ქრონიკული უქონლობა ხელს უშლიდა მისი ნაყოფის ბოროტად გამოყენებას. მაშინდელი ქეიფი იყო იშვიათი და სადღესასწაულო, როგორც გამარჯვების ან ხსნის ზეიმი. ტრადიციული სიმღერა „მრავალჟამიერი" (ანუ მრავალწლიანობა) მთავრდებოდა (და ახლაც მთავრდება ქართველ მთიელებში) სიტყვით ამინ და პირჯვრით. ახლა, როცა ქეიფობენ სხვაგვარად, უსაქმურობის გამო, ძალიან ხშირად იგი უბრალო სუფრულია და მისი სადღესასწაულო ეკლესიური მოტივი ხშირად იცვლება უდარდელ-მხიარულით. ქეიფით ბოროტად სარგებლობა სახუმარო არაა: ზოგიერთ ადგილებში შეიძლება ნახოთ არცთუ ცოტა ბავშვი, რომლებიც ჩაისახნენ მამის სიმთვრალის მომენტში. ეს, სულ მცირე, საშინლად მოქმედებს ადამიანთა უმრავლესობის ნებისყოფის ცენტრებზე, თან ისეთ ისტორიულ მომენტში, როცა საჭიროა სერიოზული სისტემატური შრომა, საჭიროა გააზრებული თვითშემოქმედება.

აუცილებელია აღვნიშნოთ დამახასიათებელი, ფრიად გასახარი სიმპტომი, რომელიც საქართველოში სულ უფრო მეტად გვხვდება: ახალგაზრდობა ხშირად ზიზღს განიცდის ღვინის მიმართ; შეიძლება ვიფიქროთ, რომ აქ თავის სათქმელს ამბობს თვითგადარჩენის რასობრივი ინსტინქტი. ვფიქრობთ, იგი კეთილ ნაყოფს მოიტანს.

ძალიან სამწუხაროა, რომ ჩვენში ჯერ კიდევ ძალიან ცოტა აკვირდება მოსახლეობის ფსიქო-ფიზიკურ მდგომარეობას იმპერიის სხვადასხვა ადგილას; განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იქნებოდა სისტემატური დაკვირვება განაპირა მხარეებში ჭრელი მოსახლეობით, სადაც დასკვნებს ზუსტი მონაცემების საფუძველზე შეიძლება ჰქონოდა არა მარტო პრაქტიკულ-სახელმწიფოებრივი, არამედ ზოგად-სამეცნიერო მნიშვნელობაც. კერძოდ, ასეთი საქმე, ოღონდ შეზღუდულიზომით, თუმცა მახასიათებელ მონაცემთა მნიშვნელოვანი სისრულისას, მოსახერხებელია სასწავლო დაწესებულებების, განსაკუთრებით დახურულის ხელმძღვანელობისთვის. თბილისში 90-იანი წლების ბოლოს ადგილობრივი საკადეტო კორპუსის ხელმძღვანელი იყო ცნობილი პედაგოგი ი.დ. სმირნოვი, რომელიც აკეთებდა ასეთი სახის საკმაოდ ღირებული მასალით მდიდარ, ღრმად საინტერესო ჩანაწერებს გონებამახვილური დასკვნებით, მაგრამ, სამწუხაროდ, ისინი დღემდე არ დაუბეჭდავთ. კერძოდ, მან

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თანაგრძნობით აღსავსე ყურადღება მიაპყრო ქართველ მოსწავლე ახალგაზრდობას და შენიშნა, რომ ამ მოზარდ თაობაში ძალიან ხშირად ხდება ცვლილება: 14 ან 15 წლამდე პატარა ქართველი გამოირჩევა ცხოვრებისეული და სამეცნიერო შთაბეჭდილებების არაჩვეულებრივი აღქმით, საზრიანია, მკვირცხლი და მზადმყოფი პედაგოგიური ზემოქმედებისთვის; შემდეგ აღნიშნული ასაკის სიახლოვეს, რომელიც სამხრეთში ემთხვევა ადრეულ სქესობრივ მომწიფებას, იგი როგორღაც დუნდება, ჩლუნგდება, ინტერესს კარგავს მეცნიერების მიმართ, ზოგჯერ კი ავლენს ამა თუ იმ მანკიერ მიდრეკილებას; ორი-სამი წლის შემდეგ იგი თავისუფლდება ამ მოვლენისგან, რომელსაც სნეულება შეიძლება ვუწოდოთ, მაგრამ წინა სულიერი ძალების მონაცემები უკვე ველარ აღდგება და გამოდის საკმაოდ შაბლონური ყმაწვილი, რომელსაც რაღაც ავადმყოფური ანაბეჭდი ეტყობა. როგორც ჩანს, ამაზე გავლენას ახდენს საერთოდ ბუნებაც და მალარიაც, ასევე მემკვიდრეობითი ალკოჰოლიზმის შედეგები, რაც გამოიხატება ნებისყოფის ცენტრების დასუსტებაში, ამას ემატება ბიჭებზე ოჯახური ზედამხედველობის უკიდურესი უკმარისობა პირველი ვნებათაღელვის მწვავე პერიოდში, რომლის შეკავებაც ვერაფრით ხერხდება.

იმისათვის, რომ დავასრულოთ ფსიქო-ფიზიოლოგიური ცვლილებების ჩამონათვალი, ურიგო არ იქნება გავითვალისწინოთ, რომ მრავალსაუკუნოვანმა ომებმა ქართველის ნერვულ სისტემაში გამოიმუშავა თვისებები, რომლებსაც ახლა ველარ იყენებს და ამიტომ ისინი მახინჯდება; სიჩაუქემ და რაინდულმა ბრწყინვალებამ ასახვა პოვა ღრეობაში, კარტის თამაშში, სისხლიან ჩხუბში, შესაძლებლობის ზევით პატივმოყვარე ფუფუნებაში და ა.შ.; სულ უფრო დამრეცი ხდება სიბრტყე, რომელსაც მიჰყავდა ისინი უწინდელი გმირობებიდან უსახელო დაღუპვამდე ან განსასჯელის სკამამდე; როცა აკვირდები იმ ადამიანთა სახეებს, რომლებიც ამ სკამზე სხედან, არ შეიძლება განთავისუფლდე მტანჯველი განცდისგან: ისე თვალსაჩინოა, რომ ბევრი დღევანდელი ამ დამნაშავისგან სხვა პირობებში შეიძლება გმირი გამოსულიყო; მათში მოქმედებს არ ბოროტი ნება, არამედ უმიზნო და გამოუვალი ნერვული ენერგიის აფეთქება.

სახელმწიფოებში, სადაც ხალხის ცხოვრების ეკონომიის ცნება უფრო შემუშავებულია, ამ სტიქიურ ძალას გამოიყენებდნენ – ან როგორც ჯარისკაცს სხვა განაპირა მხარეს, ან რამე სხვა სფეროებში, მაგალითად, ზღვაოსნობაში და ა.შ., სადაც საჭიროა დისციპლინებული სიმარჯვე, როგორც შემოქმედებითი ელემენტი.

ეროვნული

დღევანდელი კავკასიის ხელისუფლებმა ხელიდან გაუშვეს შემთხვევა, მაგალითად, დაესვათ საკითხი, რომ გაღარიბებული, უმიწო, მოქეიფე ქუთაისელ აზნაურთა კონტინგენტისგან შეედგინათ რაზმი ჩინეთის ომის დროს, ან სტანიცები მანჯურიის საზღვრებზე.

ძველ საბერძნეთში სახელმწიფო ხელოვნურად აეითარებდა იმ თვისებებს, რომლებიც საჩუქრად გვერგო, ჩვენ კი საშუალებას ვაძლევთ საზოგადოებრივი უსაფრთხოების, უდანაშაულო ხალხისა და რუსული სახელმწიფო საქმის საზიანოდ დაკნინდეს და დალპეს.

აუცილებელია კიდევ აღინიშნოს ერთი ფრიად დამახასიათებელი მოვლენა. ქართველებს უყვართ სამსახური თავიანთ სამშობლოში და ძალიან განიცდიან, თუკი უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში კურსის დამთავრებისას ამას ვერ ახერხებენ: ისინი ამაში ხედავენ „გარუსების პოლიტიკას", თუმცა ის აქ არაფერ შუაშია. პოლტავის ან ტამბოვის გუბერნიის არც ერთი მკვიდრი ხომ არ ითხოვს, რომ ადგილი აუცილებლად იქ მისცენ, სადაც დაიბადა: ჩვენს ჭარბწარმოების დროში არაფრისთვის მომზადებული დიპლომიანი ინტელიგენცია მადლობელი უნდა იყოს ბედის, თუკი მას საერთოდ მისცემენ ადგილს, სადაც უნდა იყოს. ქართველს კი აუცილებლად სურს საქართველოში „მოწყობა". ამასობაში კი სწორედ იქ ყველაზე მეტად უჭირს რამე სასარგებლოს კეთება, იყოს გამოსადეგი ხალხისთვის და დაწინაურდეს სამსახურში, ვინაიდან ადგილობრივი პირობები ამაში ხელს ძალიან უშლის. ქვეყანა ჯერ ისევ განიცდის ავადმყოფურად-გარდამავალ მდგომარეობას. ძველი წყობა ინგრეოდა, ახალს კი მოსახლეობა ვერ შეეგუა. წინანდელი ზნე-ჩვეულებები კვდება, ან უფრო სწორედ ლპება და კნინდება. ძალაში რჩება მხოლოდ დესპოტური წერილმანები და ფორმები, რომლებიც უპირატესად ახალი ცნებების უარყოფით მხარეებს ეგუება. შეიძლება ხშირად შეხვდეთ „ინტელიგენტ" ქართველს, რომლის ცნობიერებასა და გრძნობებში აირია გვაროვნული ანგარიში და ფეოდალური ამბიცია მეტ-ნაკლებად უკიდურესი „ლიბერალიზმის" შაბლონურ ფორმულებთან. ასეთი შინაგანი წინააღმდეგობების წნეხის ქვეშ შემოქმედება შეიძლება წარმოიშვას უცნაურად და გაიზარდოს ცნებების და განწყობების შეცვლის მოლიპულ ნიადაგზე. ქართველი იურისტი აწყდება ამოუძირკვავ გვაროვნულ საწყისს, სახაზინო მიწების ინტერესების დამცველი — თავიანთ მიმართ ორგანულ, სტიქიურ უპატივცემლობას, გლეხური კეთილდღეობის ქომაგი — ჯიუტი ფეოდალური ინსტინქტების გადმონაშთებს, მწერალი — ტომობრივი განცალკევების იჭვნეულ მოთხოვნებს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ყველგან და ყველაფერში, საერთო-სახელმწიფოებრივ და ადამიანურ ინტერესებში დაბრკოლებაა ფართო შეხედულებისთვის, რომელთა გარეშეც წარმოუდგენელია პრინციპულად დასაბუთებული პროგრესული შემოქმედება. ამას თუ დავუმატებთ იმ ადამიანთა შურისმაძიებლობას, რომელნიც თავს შეურაცხყოფილად გრძნობენ და იმათ დაჟინებულობას, ვინც რაღაცას უკანონოდ ელტვის, მაშინ შეიძლება წარმოვიდგინოთ, რა მძიმე მდგომარეობაშია ნებისმიერი კავკასიელი მოღვაწე ქართველი, რომელიც დაკავშირებულია ადგილობრივ მცხოვრებლებთან ნათესაობით, მეზობლობით, ერთგულებით ან თუნდაც მტრობით. დაბეზღება, ჩაციება, მუქარა — ეს მთელი ჯოჯოხეთია!.. თუკი ის სფერო, სადაც ის მუშაობს, არ ეხება მისი თანამემამულეების სასიცოცხლო ინტერესებს, მაშინაც კი უჭირს სისტემატური მუშაობა, იმიტომ რომ არ აძლევენ საწერ მაგიდასთან მშვიდად დაჯდომის საშუალებას ხან სტუმრები, რომლებიც ითხოვენ გულთბილ მიღებას ღვინით და სიმღერით, ხან მეგობრები, რომლებიც სტუმრად ეპატიჟებიან ღვინოზე და სიმღერაზე. კლიმატი გამანებივრებელი, წეს-ჩვეულება გამაზარმაცებელი და სერიოზული საქმისგან მომცდენი, მრავალი უსაქმური ადამიანი, რომლებიც თითქოს მოწოდებული არიან, ხელი შეუშალონ ახლობლებს მუშაობაში.

ძალიან კარგია, რომ ქართველები სწორედ სამშობლოდან მოშორებით სხვადასხვა ასპარეზზე ნიჭიერი მოღვაწეები აღმოჩნდებიან ხოლმე. მრავალი მაგალითის მოყვანა შეიძლება, მაგრამ მე შევჩერდები ერთზე, თავიდან ბოლომდე საკმაოდ მკაფიოსა და ჭკუის სასწავლებელზე. ერთმა თავადმა, რომელიც დროს ქეიფში ატარებდა, სულ ტყუილუბრალოდ მოკლა ვიღაც პატიოსანი მცხოვრები, რომელიც, მისდა საუბედუროდ, შევიდა ადგილობრივ რესტორანში, რის გამოც მოულოდნელად თავს დაატყდა ამ „რაინდის" რისხვა; დამნაშავე პირველად ციმბირში გადაასახლეს, შემდეგ კი რუსეთის ევროპული ნაწილის ერთ-ერთ სამხრეთ გუბერნიაში. გადასახლების ორივე ადგილას მან საყოველთაო პატივისცემა და თანაგრძნობა დაიმსახურა თავისი წესრიგიანობით, შრომისმოყვარეობით და სასარგებლო მოღვაწეობით; ასე, მაგალითად, რუსეთის სამხრეთში მან მოსახლეობას შეასწავლა მეაბრეშუმეობა, მებოსტნეობა, მევენახეობა და გუბერნატორის უახლოესი მრჩეველი გახდა ხალხის კეთილდღეობის აღმავლობაზე ზრუნვაში. უცებ კავკასიიდან მოვიდა ამბავი, რომ გადასახლებული თავადის დედა კვდება. მას ნება დართეს, სამშობლოში გამგზავრებულიყო, გზად მან შეიარა ვლადიკავკაზში

ეროვნული

მყოფ ცნობილ მებრძოლ გენერალთან და ადმინისტრატორთან, თავად ნ.ზ. ჭავჭავაძესთან, რათა დახმარება ეთხოვა შუამდგომლობაზე სრული შეწყალებისთვის. თავად ნიკოლოზ ზურაბის ძეს ჰქონდა ე.წ. „ჩაფრული განათლება“, ე.ი. არანაირი დიპლომი არ გააჩნდა, მაგრამ თვითგანათლებული და საოცრად ჭკვიანი ადამიანი იყო. მან თანაგრძნობით შეხედა მთხოვნელს და უთხრა: „რატომ გიზიდავს, სულელო, საქართველო? ისარგებლე იმით, რომ სხვა მხარეში შეგიძლია მშვიდად იმუშაო, ჯობია იქ გონება მოიკრიბო და რამე ისწავლო! აი მოხვდები სამშობლოში და ისევ ქვეყნისთვის ზედმეტი ბარგი გახდები, შეიძლება კიდევ ერთხელ მიხვიდე დანაშაულამდე. ყოველ შემთხვევაში, საეჭვოა იქ სასარგებლო კაცი გახდე“. მაგრამ სამშობლოს მონატრებული გადასახლებული არ ეშვებოდა და წარჩინებულმა თავადმა დაუთმო: უშუამდგომლა სრული შეწყალება. მისი წინასწარმეტყველება კი ახდა, როგორც დაწერილი! შეწყალებულმა გადასახლებულმა მიიღო კარგი სახაზინო ადგილი სამშობლოში, მაგრამ ძალიან მალე დაკარგა თავისი დანაშაულით, მერე მეურნეობას უძღვებოდა თავის პატარა სამემკვიდრო მიწის ნაკვეთზე; თავიდან დაიწყო სამეზობლოში ქეიფი, მერე სმა გაგრძელდა ქალაქებში და ბოლოს მისმა თანამოსუფრემ მუცელი გაუფატრა ხანჯლით. დაზარალებული გადარჩა, მაგრამ კიდევ უფრო დაშორდა შესაძლებლობას, გამხდარიყო „სასარგებლო ადამიანი“...

ქართველი საზოგადოების, განსაკუთრებით მისი მაღალი კლასების, ცხოვრება მკვეთრად იცვლება უარესისკენ, ხალხის ისტორიულად გამომუშავებულ ხასიათსა და ახალ სოციალურ-ეკონომიკურ პირობებს შორის საბედისწერო შეუსაბამობის გამო წყობა იხრწნება, რომ აღარაფერი ვთქვათ კანონებზე. ძირძველი ზნე-ჩვეულებების და წესების დაკარგვამ არ შეიძლება ხრწნა არ გამოიწვიოს. ცხოვრებისწესისგამოცვლაერთბაშადარხდება.ძლიერი ნერვული შთაბეჭდილებების ორგანული წყურვილი და სპორტულობა ვერ ნახულობს რა უწინდელ ფორმებს დაკმაყოფილებისთვის, გადაიზრდება ხოლმე არა მარტო ჩვეულებრივ დამნაშავეობაში, არამედ ანარქიული უტოპიებით გატაცებაში. სულით საკმაოდ ლოიალურდასაერთოდძალიანსიმპათიურქართველახალგაზრდობას ძალიან ადვილად შეიძლება უბიძგონ შფოთისთავებმა სავალალო შედეგების მქონე მკვეთრი გამოხდომებისკენ: ზოგჯერ ამისათვის საკმარისია თქვა, რომ ამა თუ იმ ავანტიურას დიდებისკენ მიჰყავხარ, ქართველებს კი მართებთ იყვნენ „მოწინავე ხალხი“ და ა.შ. ხალხის მასა, განსაკუთრებით სურამის იქით, ე.ი. იმერეთში,

გურიაში, სამეგრელოში ასევე ძალზე მგრძნობიარეა ანარქიულ წაჩურჩულებაზე; გურიაში (ოზურგეთის მაზრა) უკვე დიდი ხანია აგრარულმა ურთიერთობამ საკმაოდ მწვავე ხასიათი მიიღო. ერთი მხრივ, საერთო დამნაშავეობის შესამჩნევი ზრდა, მეორე მხრივ – სოციალისტური ბოდვა და მესამე მხრივ – ძველი მტაცებლური ინსტინქტების და ცნებების დანაშაულთა კოლორიტული ფორმები – ყველაფერი ეს უახლოეს მომავალში ქმნის საკმაოდ სახიფათო ფეთქებადი მასალის მასას დასავლეთ საქართველოში, რომელიც ხან იტალიას მოგვაგონებს თავისი კარბონარებით, ხან კორსიკას სისხლიანი ანარქიით და თავისებური ველური კოლორიტით. პროსპერ მერიმეს პატარა წიგნი „ჩოლომბა", რომელიც გვიხატავს კორსიკულ ზნე-ჩვეულებებს, გვაიძულებს აზრობრივად გადავიდეთ სურამსიქითა საქართველოში. სხვათა შორის, ქართველთა დამახასიათებელი თვისებაა – მთელი მოსახლეობის საოცარი თეატრალობა, დიდიან-პატარიანად. ქართველები, განსაკუთრებით დასავლელები, დაბადებიდანვე მსახიობები, პოეტები, მხატვრები არიან. მათში ლაპარაკობს ძლიერი, ლამაზი, მკაცრი ბუნებაც და თავგადასავლებით სავსე ისტორიაც, რაც აისახება კიდეც მათ სულიერ წყობაზე: წინაპართა მიდრეკილებები და თავგადასავლები გარდაისახება შთამომავლებში ფანტაზიის თამაშად და სწორედ ორგანულ მხატვრულობად. როცა ეს მასობრივი მოვლენის ზომებს და მნიშვნელობას იძენს, იმას ნიშნავს, რომ მთელი ხალხის ნერვები მუდმივად აგზნებულია და ვიღებთ ავადმყოფურ აღქმას...

გადმოცემულის საინტერესო ილუსტრაციად შეიძლება გამოგვადგეს შემდეგი ფაქტი: 1895 წელს ქუთაისში ებრაელთა უზარმაზარმა ბრბომ მხეცურად მოკლა ვინმე ლუკა კოსტავა. მოკლულის დედა და ქვრივი მივიდნენ ქუთაისში გაშლილი თმებით, დაკაწრული მკერდითა და შემზარავი კივილით. მარტო მათმა დანახვამ მაშინვე შეძრა მთელი მოსახლეობა, რომელმაც იმწუთშივე საშინლად დაარბია ებრაელთა კვარტალი. მთელი ადგილობრივი ინტელიგენცია იყო დამრბევთა მხარეზე; ლაპარაკობდნენ ებრაელთა მთავარი ბობოლების მევახშეობის უღელზე ადგილობრივ მცხოვრებლებზე, მდიდარი ებრაელის ციციაშვილის გასაკიცხ ამიკოშონობაზე (გადაჭარბებული ფამილიარობა) ადგილობრივ ადმინისტრატორთან და ა.შ.; ანტისემიტიზმი იყო საყოველთაო. გავიდა რამდენიმე წელი. პეტერბურგელმა ებრაელებმა და მათმა ლაქიებმა მცირე თეატრში „კონტრაბანდისტების" წარმოდგენის დროს მოაწყვეს სკანდალი – იმავე პიესამ მალე ანალოგიური

ეროვნული

სკანდალი გამოიწვია ქუთაისის საქალაქო თეატრში: ცოტა ხნის წინანდელი „მტკიცე“ ანტისემიტები აღმოჩნდნენ ებრაელობის ცუდი ინსტინქტების დამცველები. ორივე შემთხვევაში მთავარ როლს თამაშობდა სწორედ ნერვული აღქმულობა და თეატრალურობა წინააღმდეგობის გაწევის მიდრეკილებასთან დაკავშირებით...

წმინდა ფსიქოლოგიურ სფეროს ყველაზე ღრმად თუ ჩავწვდებით, ვიტყვით, რომ მშვიდობა და ცხოვრების ახალი პირობები ძალზე დამღუპველად აისახა ქართულ ეკლესიაზე. მრავალი საუკუნის განმავლობაში რელიგია აღიბეჭდებოდა მოწამეთა სისხლით და რწმენა იყო გმირობა. ქართული ავტოკეფალური ეკლესია, მიუხედავად ფეოდალ-ეპისკოპოსების არსებობისა და ღვთისმეტყველების დაუმუშავებლობისა, გასხივოსნებული იყო თვითშეგნებით. მშვიდობის დადგომისთანავე სარწმუნოებამ დაკარგა თავად ქრისტიანობის არსისთვის დამახასიათებელი ტრაგიკული ხასიათი, ამიტომ დაკნინდა. ეკლესიის ავტოკეფალურობა ჯანსაღი სახელმწიფო მოსაზრებების გამო გააუქმეს და მისი უზარმაზარი მიწის ქონება გადაეცა ხაზინას. ეთქვათ, ეს უკანასკნელი შედგა თავად ქართული სასულიერო წრის შუამდგომლობით, რომელსაც ესმოდა თავისი უუნარობა, გასძღოლოდა მას. ეს კიდევ უბედურება არ იქნებოდა, შეკვეცილი ქართული ეკლესიის გვერდით, ეჩმიაძინში, რომ არ ყოფილიყო აღმართული სომხური თეოკრატიის შთამბეჭდავი ნაგებობა, რომელიც მდიდარი იყო მიწებითა და ფულით (მისი მართვა სულ ცოტა ხნის წინ გადაეცა ხაზინას), პოლიტიკურად ორგანიზებული და ხშირად ღია ბრძოლის წარმმართავი რუსულ ხელისუფლებასთან. ასეთი სურათის დანახვა რომელ ხალხში არ შეაგულიანებდა სეპარატისტულ გრძნობას, ხოლო ქართველებს, მიუხედავად სომხური ეკლესიების ქონების მართვაზე ახლახან გამოქვეყნებული რეფორმისა, მაინც აქვთ უფლება დაასკვნან, რომ კავკასიაში ხელსაყრელია სხვა რჯულის იყო.

ბოლოს და ბოლოს, ეს მოსაზრებაც გადაეიდოდა მეორე პლანზე, თუკი მართლმადიდებლობას მხარეში საკმარისი ზრუნვა და ყურადღება ექნებოდა მსახურეული კლასისა და საზოგადოებისგან. ამასობაში დედაქალაქებში და თავად რუსეთის ცენტრში რელიგიამ სულ ახლახან მოიპოვა სასურველი მდგომარეობა, სერიოზული გარდატეხა კი უკეთესისკენ მხოლოდ დაუვიწყარი იმპერატორის, ალექსანდრე III-ის სახელმწიფო-შემოქმედებითი თაოსნობით დაიწყო, ამასთან მხსნელმა მოძრაობამ საქართველომდე ჯერ სუსტად მოაღწია. სულ რამდენიმე წლის წინ ერთმა მნიშვნელოვანმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

კავკასიელმა მოხელემ ჰკითხა საქართველოს ეგზარქოსს, წავიდოდა თუ არა მისი უწმინდესობა სადგურზე სრულიად სომხეთის კათოლიკოსის შესახვედრად. როცა უარყოფითი პასუხი მოისმინა, წარჩინებული მოხელე გაოცდა:

— საეკლესიო იერარქიაში პატრიარქი ხომ მეტს ნიშნავს, ვიდრე მიტროპოლიტი ან ეგზარქოსი?

— დიახ, — მშვიდად უპასუხა მეუფემ, — ოღონდ მხოლოდ მართლმადიდებელი პატრიარქი და არა მწვალებელი.

მაღალჩინოსანმა მხრები აიწურა, მაგრამ ჩაციება ვერ გაბედა.

ავიღოთ სხვა შემთხვევა, არანაკლებ სახასიათო. ერთ ცენზურასდაქვემდებარებულსომხურგაზეთში,რომელიციბეჭდებოდა რუსული ასოებით გაჩნდა უღირსი ინსინუაცია ერთ-ერთი უძველესი და ჭეშმარიტად ღვთისმოსავი ქართული მონასტრის — იოანე ზედაზნელის სავანის — შესახებ. სხვათა შორის, აშკარა მინიშნებით ნათქვამი იყო, რომ სასწაული (აუზის წყლით თავისით ავსება მონასტრის დღესასწაულის დღეს), რომლითაც განთქმულია ეს IV საუკუნის მონასტერი, სხვა არაფერია, თუ არა თაღლითობა. როგორც თვითმხილველმა, რომელიც იმყოფებოდა ამ არწივის ბუდეში, სადაც ნახევრად მშიერი ხუთი ღატაკი განდეგილი ცხოვრობს, დავწერე პასუხი, რომელსაც ცილისმწამებელი იმსახურებდა. ცენზურამ ეს ამიკრძალა. როცა მივედი, ვისთანაც საჭირო იყო პირადი ახსნა-განმარტებისთვის და დავუწყე მტკიცება, რომ სახალხო სიწმინდეების გაზეთში დაცინვა არის ბინძური სისაზიზღრე, რომლის საუკეთესო შხამსაწინააღმდეგო საშუალება იქნებოდა აღშფოთებული ბეჭდვითი სიტყვა, მაშინ ის ბატონი, რომელსაც ვუხსნიდი, გაკვირვებული ლიბერალის სახით მომიბრუნდა და მითხრა:

— ეს რა სიყვარულია რელიგიის მიმართ?! მაპატიეთ, თქვენ ცოტა ჟანდარმული თვალსაზრისი გაქვთ. სურვილი, მხარი დაუჭიროთ დრომოჭმულ ნაყარნუყარს!

თანამდებობის პირის ბაგეთაგან ამის მოსმენა, სულ მცირე, არამართებული იყო!..

ამ შემთხვევის საილუსტრაციოდ კიდევ რაღაცას დავუმატებ. აღნიშნული საძაგელი წერილის ავტორი იყო პოლიტიკური გადასახლებული, ვგონებ 1 მარტის შეთქმულების მონაწილეთაგანი. როდესაც თბილისში აღმოჩნდა, იგი სისტემატურად მსახურობდა ადგილობრივი ბეჭდვის სომხურ სამევახშეო-სეპარატისტულ ინტრიგაში და, სხვათა შორის, ლიბერალიზმის საბაბით სახელს უტეხდა ბევრ რამეს, რაც ნამდვილი ქართველებისა და რუსებისთვის

ძვირფასი იყო. როცა ეს არამზადამოკვდა, მის გასვენებაში თბილისულ მგესლავებსა და გონებრივ ბოსიაკებს შორის ფიგურირებდა ერთი ადგილობრივი თავადაზნაურობის წინამძღოლი, კაცი, რომელიც ამაყობდა ტიტულით და სასახლის კარის წოდებით. როგორც ჩანს, მან ეს გააკეთა სომეხ მესვეურთა ბრძანებით, რომელთა წინაშეც მოვალეა.

ისეთი ფაქტის მნიშვნელობა, როგორიცაა რელიგიის დაცემა, პირდაპირ ტრაგიკულია ხალხისთვის, რომლის მთელი კულტურა, მთელისულიერიცხოვრებადამყარებულიაამსაფუძველზე. უბედურება კიდევ მთელი რიგი ბუნებრივად წარმოშობილი მოვლენებით გართულდა, რომელთაგან ყველაზე საბედისწერო, განსაკუთრებით ქართველი ხალხისთვის 60-იანი წლების რეფორმა იყო; ვამბობ ხალხისთვის და არა მხოლოდ თავადაზნაურობისთვის, იმიტომ რომ თავად-აზნაურებიც და გლეხებიც მათ შორის კავშირის გაწყვეტის შემდეგ მაშინვე სომხური ბურჟუაზიის კლანჭებში აღმოჩნდნენ; ის, რაც რეფორმამდელი პატრიარქალური წყობის დროს შეიძლებოდა შენარჩუნებულიყო მხოლოდ ისეთი ბრძენი მმართველების მბრძანებლური ხელით, როგორებიც იყვნენ ერმოლოვი ან ვორონცოვი, გაიზარდა განკერძოებული სამართლებრივი წესრიგის ჭერქვეშ, რამაც უპირატესობა მიანიჭა პატრიარქალურთან და არა ყოველთვის (მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში) მკაცრ ტრადიციულ თვითნებობასთან შედარებით გაქნილ თაღლითობას. ახალმა სასამართლოებმა და, რაც მთავარია, უპრინციპო ადვოკატებმა განავითარეს მოდავეობა, შარიანობა, ცრუმოწმეობა, ჩვეულებრივ პატიოსნებას ფორმალური დაუსჯელობით ცვლიდნენ და ა.შ. განსაკუთრებით ამით ცნობილი იყვნენ იმერლები. ისინი აძლევდნენ თავიანთ ქალიშვილებს მზითევად ასობით საგერბო ნიშანს. ერთხელ თბილისში, ქალაქის ბაღში, საათით ხელში თვალს ვადევნებდი ორი იმერელი მზარეულის საუბარს: თხუთმეტი წუთის განმავლობაში მათი ქართული მეტყველება ასნახევარზე მეტად გაწყდა შეძახილებით: „საკასაციო თხოვნა“, „თვალყური ადევნე მუხლებს“ და ა.შ.

ახალი სახის ქალაქის თვითმმართველობა დაუჯერებელი სისწრაფით აღმოჩნდა სომხური პლუტოკრატიის ხელში, რომელიც ბატონობდა ურცხვად და ღიად უგულებელყოფდა უფრო მრავალრიცხოვანი მოსახლეობის მრავალტომიანი მასის ინტერესებს. თითქმის ყველა ბანკი, სახელმწიფო ბანკის ჩათვლით, აღმოჩნდა სომხების ხელში, ასევე — სოფლის მეურნეობის

პროდუქტების გასაღება. მხარის მთელი ეკონომიკური ცხოვრება მეთქმულთა რკინის მარწუხებშია.

ქართული მიწათმფლობელობა დნება თვალსა და ხელს შუა არნახული სისწრაფით. სხვადასხვა მანთაშევი, არამიანცი, არაფელოვი, მაკარიანცი და სხვა სომეხი ბობოლები გროშებად ყიდულობენ ქართულ მიწებს და მათზე ასახლებენ თურქეთიდან გამოსულთ; სამრეკლოები და ეკლესიებიც კი სომხების ხელში გადადის.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ პროცესის უზარმაზარი ნაწილი მიმდინარეობს საიდუმლოდ: სომხები ჯერ კიდევ ვერ ბედავენ ღიად წარმოადგინონ თავიანთი დოკუმენტები და მოახდინონ თავიანთი ტომთაშორისი საკითხების ლიკვიდაცია მიწის სფეროში. მათ ქართველი საზოგადოების შეუპოვარი წინააღმდეგობის აფეთქების ეშინიათ და ეჭვობენ, რომ რუსული მთავრობა მკვეთრი კრიზისის გამო უფრო ღრმად ჩაუკვირდება კავკასიის საქმეებს.

არანაკლები ზიანი მიაყენა ქართველებს უახლესმა სკოლამაც, რომელიც გამსჭვალული იყო ცრუკლასიციზმით და თითქმის არ გააჩნდა სასიკეთო აღმზრდელობითი მნიშვნელობა. ერმოლოვის და ვორონცოვის დროინდელი, უწინდელი ბატალიონის და პოლკის სკოლა, როგორც ითქვა, მარტივი იყო, მაგრამ კარგად გამართული. იგი გონებას და ხასიათს აწრთობდა, აგუებდა აღსაზრდელებს ახალ სახელმწიფო პირობებზე გადასვლისთვის. მან მოგვცა არაერთი ცნობილი ქართველი მხედართმთავარი და ადმინისტრატორი. ახალი სკოლის აღზრდილებს შორის ცნობილი ადამიანი ცოტაა, ხოლო თავგზააბნეული – დიდი უმრავლესობა. საქართველოში, სადაც თითქმის არაა ფაბრიკა და მუშა პროლეტარიატზე მსჯელობა სასაცილოც კია, გასაკვირი არაა, ახლა შეხვდეთ მტკიცე მარქსისტს; ქვეყანაში, სადაც ღვინო მდინარესავით მოედინება, ხოლო თამბაქო ლამის ძილშიც ეწევიან, გვხვდებიან „ცრუტოლსტოელები“. ინტელიგენტთა დიდმა რაოდენობამ, მიიღო რა რუსული დიპლომი, ვერ ახერხებს მის გამოყენებას, ამის გამო კნინდება და გარდაიქმნება გაურკვეველი კოლორიტის ადამიანად ან იღებს ლევიანურ ელფერს.

ბრძოლა, რომელსაც აწარმოებდა კავკასიის სასწავლო ოლქის განსვენებული მზრუნველი კ.პ. იანოვსკი, მაშინდელ სახალხო განათლების სამინისტროსთან, მიზნად ისახავდა პედაგოგიური საქმის მისადაგებას ადგილობრივ ნიადაგთან. ამ შესანიშნავმა პედაგოგმა ვერ მიაღწია თავისი იდეების გამარჯვებამდე და ღმერთმა უწყის, როდის მოვესწრებით ამას. დღემდე ჯერ კიდევ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძლიერია „ერთიანი სკოლის“ დამღუპველი ცრურწმენა; ურევენ მიზნის და საშუალების ცნებებს. არადა თითქოს აშკარაა, რომ სწრაფვა ერთნაირ საბოლოო მიზნამდე სხვადასხვა პირობის დროს წარმატებით მიიღწევა სწორედ საშუალებათა მრავალფეროვნებით. სკოლის იდეალია დიფერენციაცია და არა ერთიანობა.

ქვედა საფეხურის სკოლა აგრეთვე არ დგას სავსებით თავისი მოწოდების სიმაღლეზე, იმიტომ რომ დროდადრო ძალზე ჩქარობს გამოდევნოს მოსახლეობის მშობლიური ენა. ეს ფორმალური საანგარიშო ან, უფრო ზუსტად, სამსახურებრივი წარმატება სულიერი განვითარების ზიანის ფასად მიიღწევა, ვინაიდან მშობლიური ენა ამ უკანასკნელის ბუნებრივი, ორგანული იარაღია. სახელმწიფო ენა ხალხს, რა თქმა უნდა, სჭირდება, როგორც რუსი სრულუფლებიანი მოქალაქეების ყოველგვარი კეთილდღეობისა და უპირატესობის მისაღწევი გზა. ხალხს სწყურია რუსული ენის ცოდნა და ადგილობრივი ინტელიგენციის წარმომადგენლები, რომელთაც ეს გულში არ სურთ, ხელმძღვანელობენ ბატონყმური გრძნობებით ან შეხედულებებით: მათთვის ხელსაყრელია მიიმწყვდიონ ხალხი უმეცრების ბნელ კუნჭულში, რათა ექსპლოატაცია დაუბრკოლებლად გაუწიონ. მაგრამ უსამართლონი არიან ის პედაგოგებიც, რომლებიც ენის შესახებ მარტივ და ნათელ საკითხზე გამაღიზიანებელი „ჩუ“-ს ძახილით აჩუმებენ, რათა ხალხის ნერვებზე ნდობა მოიპოვონ, იმ ხალხის, რომელსაც იმთავითვე ჰქონდა მიდრეკილება, ყოფილიყო ჩვენი მოკავშირე ამიერკავკასიაში. ნათელია, რომ სახელმწიფო და ბუნებრივ ადგილობრივ ენებს შეუძლია დაიყოს მშვიდობიანად, ერთმანეთის გამოურიცხავად: ეს ტაქტის და მოსახლეობის კეთილმოსურნეობის საკითხია.

მე არ გამიმუქებია ფერები, როცა წარმოვადგენდი ქართული ცხოვრების უარყოფით მხარეებს. აუცილებელია აღინიშნოს, რომ თავად-აზნაურთა მნიშვნელოვანი ნაწილი, განსაკუთრებით თბილისში მცხოვრები და მფლანგველობას მიჩვეული, არა მარტო მატერიალურად ნადგურდებოდა, არამედ მორალურადაც, ექვემდებარებოდა მდიდარი სომხების გავლენას, რომლებიც სულ უფრო საფუძვლიანად მიიჩნევდნენ მათ თავიანთ პოლიტიკურ იარაღად. ქალთა ზნეობის და ღირსების დონეც აგრეთვე შესამჩნევად ეცემა ასეთი ცხოვრების და საერთოდ, თბილისში ევროპული ცივილიზაციის კარიკატურული ცუდი მხარეების შედეგად.

იყო თუ არა ქართველი ქალი ზნეობრივი? ისეთი მოგზაურები, როგორებიც არიან: შარდენი და დიუმა, უარყოფენ ამას. ვფიქრობ,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ისინი უსამართლონი არიან. ძველი წრთობის ტიპური ქართველი ქალები, რომლებიც შემხვედრია, სრულ პატივისცემას იმსახურებენ. სამხრეთის ფიცხი ქალის უწინდელი დროის ჩადრი და თავისებური ეტიკეტი ნაკარნახები იყო ალბათ თვით ბუნებით.

საქმე ცუდადაა, მაგრამ არა უიმედოდ. ჯერ ერთი, დაიღუპება და საშინლად დაიღუპება მაღალი წოდების მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელიც მრავალი საუკუნის განმავლობაში განასახიერებდა მთელ საქართველოს. ეს ცუდია, რადგან ყოველ ხალხს სჭირდება მაღალი კლასი კეთილშობილური ტრადიციებით; და ისინი იყვნენ. მაღალი კლასის უფრო მოკრძალებული ნაწილი ალბათ დარჩება თავის მამულში. ესენი არიან თადარიგის კაპიტნები, მილიციის პრაპორშჩიკები სამხედრო ორდენის ნიშნით ღილ-კილოში და ა.შ.; ისინი ნამდვილი მკვიდრი ქართველები არიან, კეთილშობილი ადამიანები, ერთგულნი თავიანთი ხალხის, მეფის და მამულის. ნელ-ნელა ზემოდან და ქვემოდან ქართული ბურჟუაზია გაიზრდება, თუკი ნამდვილად მოწინავე ქართველები და რუსული ხელისუფლება მიხვდება, რომ ამ საქმეს დაბეჯითებით სჭირდება შველა. რუსული სკოლის და ბეჭდვითი სიტყვის გაჯანსაღებით გაიზრდება ქართველი ინტელიგენციის დონეც; და ბოლოს, ხალხში დაფარულია დიდი ცოცხალი ძალა; ისე ყოველი ხალხი საჭიროებს დახმარებას და მთავრობის მზრუნველ ყურადღებას.

ახლა ქართველი გლეხი ჯერ კიდევ დაჩაგრულია, დარცხვენილი და როგორღაც დაბნეული, მით უმეტეს, რომ თავისუფლება კი გამოუცხადეს, მაგრამ რეფორმა მიაფუჩეჩეს, როგორც შეძლეს; მიწის სავალდებულო ურთიერთობა ჯერ კიდევ აბურდულია, ისევე როგორც მიჯნის გავლება, არც ბევრი სხვა რამ. ეკონომიკური პირობები ჩაგრავს. შემსყიდველების და სომეხი კულაკების სახით მან მიიღო უფრო სასტიკი მბრძანებლები, ვიდრე უწინდელი ბატონები, რომელთა უჯიათობას აქარწყლებდა სხვადასხვა კეთილი წეს-ჩვეულება, რაც წოდებებს ერთმანეთთან აახლოებდა. უწინდელ მკაცრ ფეოდალურ ძალაუფლებას გლეხი მორჩილებაში ჰყავდა, ამასთან აიძულებდა მათ, პატივი ეცათ სხვისი საკუთრებისთვის. ახლა ეს ძალაუფლება გაუქმებულია, მაგრამ კანონიერების ცნება ხალხის შეგნებაში ვერ დამკვიდრდა, ვინაიდან გარდაქმნა იყო ძალზე მკვეთრი და ხალხი ამისთვის მზად არ იყო. აგრარული გაუგებრობები ხშირად არ ხდება. ამასთანავე, გლეხი ვერ აღიქვამს თავს მოქალაქედ გარკვეული უფლებებითა და მოვალეობებით. კვლავ თავს ნებას მივცემ, ვისარგებლო ლექსის ფორმით, იმიტომ რომ მას აქვს ტექნიკური

მოხერხებულობა: იგი მოკლეა და გარკვეული. ლექსის საგანია ქართველი გლეხი ვანო, რუსი ივანის შესაბამისი.

Тебе, семья богатырей,
Хвалу шлеть ныне вся Россия *
И степь, и горы снеговые
И ширь мятежная морей!

Тебе, за подвиг величавый
Не ждавшей суетных наград,
Земных не ведая преград
И правду чтя превыше славы!

Тебе, что в пламени, в крови,
В томленьи мук неизъяснимых
Святыню доблестей родимых
Блюла во гневе и любви!..

Ты просвещения денницу
Вела за бурей лютых сеч!
Все дальше гналь твой грозный меч
Нашествий дикую границу!

И чтит земля твои труды –
И, кубок мира поднимая,
Тебе, от края и до края,
Все говорит: «Аллаверды!»

დიახ, მას სტიქიურად უყვარს თავისი სამშობლო, როგორც უყვარს ნებისმიერ ქართველს, იმიტომ რომ სხვაგვარად არ შეიძლება. მაგრამ რუს მეფეს იგი უყურებს არა უბრალოდ როგორც უფროსს, არამედ როგორც თავის კანონიერ მეფეს, წინა დინასტიათა ბუნებრივ მემკვიდრეს. ეს პატრიარქალური, ვაჟიშვილური სიყვარულია, რომელიც მონობის ნასახსაც არ შეიცავს.

აი ათასიდან ერთ-ერთი დამახასიათებელი შემთხვევა, რომელსაც ყვებიან თბილისელი მდაბიონი იმპერატორ ალექსანდრე III-ის მოგზაურობაზე კახეთში. როცა მისი უდიდებულესობა თბილისიდან

* ეს ლექსი დაწერილია რუსული არმიის საქართველოში დამკვიდრებიდან 100 წლის თავთან დაკავშირებით.

გავიდა, გზატკეცილზე დაინახა ერთი მდაბიო, რომელიც მწვადს წვავდა. თავშეუკავებელი აღტაცებით მან ხელები დაუქნია და ღვინით სავსე ჭიქით ხელში დაუყვირა:

— ალექსანდრე, მარიამო, გამარჯობა! ღმერთმა მოგცეთ გამარჯვება!

ხელმწიფემ გაახედნიერა ქართველი: მოსვა ღვინო და დალია თავისი ერთგული ქართველი ხალხის სადღეგრძელო.

## 4. რუსულ-ქართული ურთიერთობა

ძალზე საინტერესოა რუსულ-ქართული ურთიერთობის საკითხი. ხალხის ქვედა ფენები ერთმანეთთან დაახლოებულია, როგორც ორი მონათესავე სტიქიური საწყისი. უძველეს მცხეთასა და ბოდბის მონასტერში, კახეთში, ნამყოფია ათასობით რუსი მლოცველი, რომლებიც დაძმობილებული არიან ქართველებთან. არმიაშიც რუსები ყველაზე ახლოს ქართველებთან არიან, მაშინ, როცა სომხებს ზოგიერთი პოლკის ოფიცრობა, მაგალითად ნიჟეგოროდის, არ იღებს თავის წრეში. ქართველი გენერლები პოპულარობით სარგებლობენ რუს ჯარისკაცებს შორის, როგორც ადამიანები შესანიშნავი წარმოსადეგობითა და სიმამაცით. კორპუსის მეთაურის, თავად ამილახვრის მიერ თავისი პოსტის დატოვებიდან ორი წლის შემდეგ ჯარისკაცები დარწმუნებული იყვნენ, რომ იგი „დროებითაა წასული" და „სამხედრო მოქმედებების შემთხვევაში კვლავ უხელმძღვანელებდა მათ".

ხოლო ურთიერთობა მოხელეთა კლასსა და ქართველ თავადაზნაურობას შორის საკმაოდ წინააღმდეგობრივია, რაც უდავოდ ორივე მხარის ბრალია. ჯერ ერთი, ადგილობრივ უმაღლეს წოდებას საკმაოდ ძლიერი შეტევითი ამბიცია აქვს, სამოქალაქო პრინციპულობა კი ხშირად არ ყოფნის. საკმარისია, მოხელემ რომელიმე ფეოდალის შთამომავალს უარი უთხრას შეუსრულებელ ან უკანონო თხოვნაზე, რომ მან ყველა მოხელე აღიქვას მტანჯველებად, ხოლო მთელი საქართველო უსამართლოდ დაჩაგრულად. ლოგიკა აშკარად ქალურია: თუკი ერთი მამაკაცი აწყენინებს ქალბატონს, იგი აუცილებლად იტყვის, რომ ყველა მამაკაცი მტარვალია!.. ამავე დროს, თვითონ ეს თავადები ხშირად ქედმაღლურად ეპყრობიან მოხელეებს სემინარისტთა წრიდან ან არადიდგვაროვნებს, რითაც თვითონვე იქმნიან არაკეთილმოსურნეთ.

განსაკუთრებით „მოუხერხებელია" გამოჩენილი ძველი გვარის ზოგიერთი წარმომადგენელი, ისინი გამოირჩევიან პატარა „როის ენ ეხილ" ფსიქოლოგიით; ეს ის ადამიანები არიან, ვინც ვერ შეეგუენ თავიანთ ახალ მდგომარეობას, ვერანაირ საქმეს ვერ მოჰკიდეს ხელი და ცხოვრებას მხოლოდ დარდიმანდულად ატარებენ, შემოეჭამათ ფული, რომელიც აიღეს ხაზინიდან დაკარგული „სამფლობელოების" ნაცვლად, შემდეგ სწრაფად გაფლანგეს კიდევ არაერთი „დახმარება" და იმავე ხაზინის პროცესებიდან მოგებული

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაყოფი – სწორედ ეს ხალხია ყოველგვარი რუსულის ყველაზე გააფთრებული მოძულე, მაშინაც კი, როცა კვლავ თავზე ეყრებათ წყალობა; მათ უკმაყოფილებაში ჟღერს, თუკი შეიძლება ასე ითქვას, ორგანული მწუხარება დაკარგულ თვითნებობაზე, პრივილეგიებზე. ჰქონდათ რა ზოგჯერ დიდი კავშირი დედაქალაქის სფეროებთან, ეს ბატონები ხანდახან ნამდვილი უბედურება ხდებოდნენ კავკასიაში რუს ხელისუფალთათვის; მუდმივად ფულის საჭიროება თავიანთი პარაზიტული „ბრწყინვალების“ შესანარჩუნებლად მათ აიძულებდა პირი შეეკრათ სომხური მოძრაობის მდიდარ მეთაურებთან და ხდებოდნენ მათი ტენდენციების და ინტრიგების გამტარებლები მათთვის მისაწვდომ წრეებში. ისინი კი ჩვეულებისამებრ თავიანთ სასარგებლოდ იყენებდნენ რუსული მთავრობის სულგრძელ განწყობას, რომელიც დროდადრო ბუნდოვანი ფორმულით გამოიხატებოდა: "Il фаут фаире ქუელლ ქუე ცჰოსე პოურ ცეს ბონს ეორგიენს". ლომის წილს ამ "ქუელლ ქუე ცჰოსე"-დან ხელს სტაცებენ ადამიანები, რომელთაც ისედაც არ აკლიათ წყალობა, ხოლო ქართველებს, როგორც ერს, ამის გამო არ ულხინთ. რუს მსახურეულ კლასში პრივილეგიური პარაზიტები იწვევენ აღშფოთებას, რაც თითქმის სიძულვილამდე დადის მათი ქედმაღლობისა და სნობიზმის გამო. რუსი ადამიანი თავისი ბუნებით დემოკრატიულია და ფეოდალური სიამაყის არ ესმის: ის დამსახურებას აფასებს და არა გერბს.

ჩვეულებრივი მცხოვრების ურთიერთობაში მსახურეულ კლასთან (მოხელეებთან) საერთოდ აუცილებელია გარკვეული პოლიტიკა. როცა სომეხს რამე სურს, იგი ხალიჩასავით ფეხებში გეგება, გველივით დასრიალებს ნებისმიერი საქმისმწარმოებლის წინაშე და თავის მიზანს ხშირად მხოლოდ ეშმაკობით აღწევს. ქართველ არისტოკრატიას და ინტელიგენციას არ აქვს ასეთი „მარჯვე“ უნარი, არც უფრო მაღალი და პატივსაცემი თვისება – კერძოდ, თავშეკავებულობა. ამიტომაც მათი საქმიანი მდგომარეობა ხშირად არამყარია. ისინი ზიანს აყენებენ თავიანთ თავს ისეთივე გულმოდგინებით, როგორც გვაროვნულ წარმომავლობას: ყველაზე კეთილმოსურნე მოხელეც კი, ბუნებრივია, ნაკლები ნდობით ეპყრობა ადამიანს, რომლის პრინციპული ხასიათის შეხედულებებში პარტიული ან ნათესაური კომბინაციის საფუძველს ჭვრეტს.

შუასაუკუნეობრივ გრძნობათა ნაზავი XX საუკუნის თეორიულ ცნებებთან, რა თქმა უნდა, გარკვეულ ქაოსს ბადებს, რაც მისი მატარებლისთვის არახელსაყრელია. ხშირი გაუგებრობების

ეროვნული ბიბლიოთეკა

შთაბეჭდილებათა ქვეშ ორივე დაინტერესებულ მხარეს მიდრეკილება აქვს უსაფუძვლო მოსაზრებებისაკენ და იოლად იჯერებს ცილისწამებას, რის შედეგადაც ურთიერთობები კიდევ უფრო იძაბება. ქართველები განწყობილნი არიან იფიქრონ ისე, რომ ყველა კავკასიელი მოხელე აუცილებლად ცუდი ადამიანია, რაც, რა თქმა უნდა, არასწორია: ბევრი – მართლაც, მაგრამ არა ყველა! ბევრი კავკასიელი მოხელე ამტკიცებს, თითქოს ქართველები სერიოზული სეპარატისტები არიან, რაც ასევე სრულიად არასწორია.

ქართველებს დაბეჯითებით უყვართ სიტყვა ერთგული ქვეშევრდომის წამოწევა, რაც კავკასიელთა სიმბოლურ ენაზე ხელმწიფის მიმართ ერთგულების გამოვლენას ნიშნავს, მაგრამ არა კავკასიელ ხელისუფალთა მორჩილებას. ქართველ თავად-აზნაურებს საოცრად ეხერხებათ მოხელეებთან „გაბუტვა" და ამით თავიანთ თავს იზარალებენ. ძნელია აღეწეროთ, რამდენი ტანჯვა გამოიარა, მაგალითად, განსვენებულმა თავადმა დონდუკოვ-კორსაკოვმა, რომელსაც გულწრფელად სურდა ქართველებისთვის სიკეთე და მხოლოდ ბოლოს გამოვიდა მოთმინებიდან. მაგალითად, ყვებიან, რომ, როცა იგი ერთხელ ქუთაისში ჩავიდა, მას „გაუმასპინძლდნენ" შემდეგი ტრანსპარანტით: გამოსახეს მისი გვარის ორი საწყისი ასო: დ, კ., ბოლო ზემოთ ინტერვალით, დაწერეს „ვაშა". და ეს გააკეთეს, როგორც მოსწავლეებმა, უბრალოდ, ენაკვიმატობისთვის! ბევრ ამგვარ საქციელს საფუძვლად ედო უკმაყოფილება სამეფისნაცვლოს გაუქმებასთან დაკავშირებით, რომელიც უფრო მეტად ესადაგებოდა აღმოსავლური მსოფლმხედველობის უარყოფით მხარეებს და ყოფას, ვიდრე მკაცრი, ცივი წესრიგი და კანონიერება.

კავკასიური ატმოსფერო, გახრწნილი სომხური პირფერობითა და დაპირებებით და გამწვავებული ქართული სიფიცხით, ძალზე ცუდად მოქმედებდა რუს სამოხელეო კლასზე, რომლის სახელისუფლებო წამომადგენლები გრძნობდნენ რა თავს პეტერბურგიდან მოშორებით, ნელ-ნელა ექცეოდნენ აღმოსავლური ბიუროკრატიული ზნის გავლენაში. ამას იყენებდნენ თავიანთ სასარგებლოდ მოსახლეობის ეშმაკი ელემენტები, ხოლო ფიცხი, ნერვიული ელემენტები ამით აგებდნენ. ერთმა მოხუცებულმა ქართველმა როგორღაც ხუმრობით განაცხადა, რომ ვერ მოუნახავს ზღვარი „მთავრობის", „მფარველობის" და „მისი აღმატებულობის" ცნებებს შორის ("правительства", "покровительства" и "превосходительства"). საერთოდ, ქართულ მეტყველებაში მწარე იუმორი საკმაოდ ხშირია. მაგალითად, ერთმა თავადმა თავისი მდგომარეობა ასე დაახასიათა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

„მე მამული სომხებმა წამართვეს, სამსახური — უფროსობამ, დამრჩა მხოლოდ ერთგულქვეშევრდომული გრძნობა და კარგი მადა. არა უშავს, ცხოვრება შეიძლება!“

დროდადრო ხან მოხელეების მიერ, ხან ბეჭდვით სიტყვაში წამოიჭრება საკითხი ქართულ სეპარატიზმზე. გვერდზე რომ გადავდოთ გადაჭარბება ან შესაძლოა ადამიანთა რაღაც გავლენის არმქონე ბრბოს ოცნება, აუცილებელია დავამკვიდროთ ეს ბრალდება არსებული ფაქტის ნამდვილ ფარგლებში.

დიდებული ისტორია დავიწყებას არ ეძლევა — არც ხალხის შეგნებულ კლასებს, სულაც რომ არ ეღალატა ერთგულქვეშევრდომული გრძნობებისთვის და არ ედავა საქართველოს რუსეთთან ნებაყოფლობით შეერთებაზე, სურდა თავიანთი ეთნოგრაფიული თვითმყოფადობის დაკარგვა. ისინი უფრთხილდებოდნენ თავიანთ ხალხურ სახეს, ენას, ყოველდღიურ და საეკლესიო წესებს, სიმღერებს, ლიტერატურას, წეს-ჩვეულებების სიმბოლიზმს.

საეჭვოა, ეს ვინმეს ხელს უშლიდეს. მეტსაც ვიტყვი: ვინაიდან ზნეობა და ადამიანური პიროვნების მთლიანობა დამყარებულია ზნესა და წეს-ჩვეულებებზე, რასობრივ ნიადაგზე, ამდენად, ტიპური ქართველი, სახელმწიფოებრივი ინტერესების ფართოდ გაგებული თვალსაზრისით, ჯობია ქართველს, რომელიც მოწყვეტილია თავის ნიადაგს და არ არის მტკიცედ დამკვიდრებული რუსულ საწყისებზე: ეს უკანასკნელი იღებს ლევიანელის იერს — ადამიანის, რომელსაც აქვს ტომობრივი ნაკლოვანებები, ტომობრივი სათნოებანი კი — არა, ე.ი. ადამიანია, რომელიც არავისთვისაა სასარგებლო: არც ღმერთისთვის, არც ეშმაკისთვის!

განცალკევებულობის უფრო მკვეთრი ფორმები, როგორც ზემოთ ითქვა, შეინიშნება სურამის იქით, ქუთაისის გუბერნიაში. ამის ახსნა უნდა ვეძიოთ ისტორიაში, რომელიც თავისი ხასიათით ფრიად ანარქიულია, ციებცხელებიან კლიმატში და ამ მტოს ქართველების საოცარ სიფიცხეში. სხვას ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, იმერეთის სამეფო უფრო დაიპყრეს, ვიდრე ნებაყოფლობით შეიერთეს. დასასრულ, აღნიშნული პირობების დროს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სოციალურ-ეკონომიკურ მოვლენებს, რომელთა გავლენითაც მოსახლეობის ყველაზე უფრო შეგნებული ნაწილი, ჩავარდა რა დიდ გასაჭირში, აღვივებს ხასიათის საშიშ თვისებებს.

ქართველი საზოგადოების განცალკევებული ნაწილის სწრაფვაში ცოტა შიდა წინააღმდეგობა როდი გვხვდება. ამ განწყობათა წარმომადგენლები, ერთი მხრივ, გასცქერიან რა წარსულს,

ეულობიან თავისებურ დიპლომატიურ არქეოლოგიაში, ზერეულად უურთხილდებიან კოსტიუმს [ეროვნულ ტანისამოსს], ხანჯალს, არქიტექტურასდატომობრივინიშნითყოველგვარგარეგნულფორმას, მეორე მხრივ, სურთ საქართველოში გავრცელდეს საერთორუსული დაწესებულებები, ანუ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოები, ერობები, უნივერსიტეტები და სხვა უმაღლესი სასწავლო დაწესებულებები; ერთი მხრივ, ისინი მოითხოვენ ქართული ენის ხელშეუხებლობას, მეორე მხრივ – მარქსისტულ კლასობრივ ბრძოლას, უარყოფენ რა ენის მნიშვნელობას და ტრადიციებს. ამ სხვადასხვა მოსაზრებას გამოთქვამს ინტელიგენციის სხვადასხვა ჯგუფი, რომლებიც ერთმანეთს ედავებიან, მაგრამ ჩვეულებრივ ერთიანდებიან ცენტრიდანული სწრაფვის საერთო ნაკადში; ხშირად კი სრულიად წინააღმდეგობრივი ტენდენციები თავსდება ერთსა და იმავე პირში, რაც ცნებათა არეულობას მოწმობს.

ქართველები ერთდროულად არაპოლიტიკური ხალხია და ამასთანავე მიდრეკილი ნერვული შეგრძნებებისკენ, რასაც ავლენენ პოლიტიკური ბრძოლის თეატრალური მხარეებით და სპორტული ფორმებით. გადმოცემულ აზრში, ერთი შეხედვით, თითქოს წინააღმდეგობა ჩანს, მაგრამ საქმე ისაა, რომ პოლიტიკის მიმართ ნერვული მიდრეკილება ჯერ კიდევ არ არის მოწოდება, რომელიც წარმატებით გვირგვინდება. ზუსტად რომ ვთქვათ, „პოლიტიკური ხალხის" სახელწოდებას ყველაზე მეტად იმსახურებენ გერმანელები, განსაკუთრებით კი მათი ანგლოსაქსური შტო: იქ ხალხის მმართველობა მუშაობს თანაბრად, მტკიცედ, წარმატებულად, ამასთან საზოგადოება თითქმის ერწყმის მთავრობას; სხვა ხალხთა უმეტესობა კი საჭიროებს ძლიერ ცენტრალურ ხელისუფლებას და ადმინისტრაციულ წყობას, იმიტომ რომ მათ მოქალაქეებს არ შეუძლიათ ასე „შეწყობილად" იცხოვრონ, ან გულგრილნი არიან პოლიტიკის მიმართ, ან – ძალზე ფიცხები (თითქმის ყველა სამხრეთელი). ხალხი „პოლიტიკურად" შეიძლება იყოს წერილმანი და ბურჟუაზიულად – უხამსი (მაგ., ჰოლანდიელები და ა.შ.), ხოლო „არაპოლიტიკურად" – დიადი, როგორც, მაგალითად, რუსები. აქ საუბარია არა სულიერ დონეზე, არამედ ხარისხზე, ასე ვთქვათ, ამ ხალხის „ატომთა შეჭიდულობაზე". ამ თვალსაზრისით, სამხრეთელთა უმეტესობა შეიძლება შევადაროთ გაზისმაგვარ სხეულებს...

სამწუხაროდ, არა მარტო განცალკევებულ, არამედ მთელ ქართველ ინტელიგენციაში ქართველებს ძლიერ არ ყოფნით შორსმჭვრეტელი ტომობრივი პატრიოტიზმი, მოქმედებათა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოფიქრებული გეგმა თავისი ხალხისთვის დამსახურებულად პრივილეგირებული მდგომარეობის შესაქმნელად რუსეთის იმპერიაში. ამ უკანასკნელის მიღწევა ჩვეულებრივ შესაძლებელია ან იარაღით ხელში, ან სიკეთით; ქართველებს კი მიდრეკილება აქვთ მესამისკენ, მოქმედების საკმაოდ წარუმატებელი სახისკენ: ისინი ხშირად სრულიად უბრალოდ „იბუტებიან", ფრონდერობენ – და ამით აფუჭებენ თავიანთ საქმეს, სხვა კავკასიელი კონკურენტების გასახარად. არადა ქართველებს უზარმაზარი მონაცემი აქვთ წარმატებისთვის: ისინი რუსი ხალხისთვის სიმპათიურნი არიან, აღიარებენ სახელმწიფო რელიგიას, იოლად ესადაგებიან (სურვილის შემთხვევაში) სხვადასხვა პირობას. მათ შეუძლიათ დაიკავონ ჩვენთან, თუკი მოუნდებათ, თვალში საცემი ადგილები და ზემოქმედება მოახდინონ საერთორუსულ საქმეებზე. და აი არ ყოფნით თავშეკავებულობა, არც შორსმჭვრეტელობა...

ყოველგვარ უბრალო სამეურნეო ან ეკონომიკურ საკითხსაც კი, რომელიც არ მიეკუთვნება მათ ეთნოგრაფიულ თვითმყოფადობას და დაკავშირებულია საარჩევნო აგიტაციასთან, გამოსვლებთან, კენჭისყრასთან და ა.შ., ქართველები პოლიტიკის მწვავე ხასიათს ანიჭებენ.

ძალიან კოლორიტული, სახასიათო სურათი იყო სულ ახლახან თბილისის და ქუთაისის სათავადაზნაურო მამულების ბანკთა გამგეობაში ჩატარებული არჩევნები. ხმაურიან ბრძოლაში მონაწილეობდა მთელი მეტ-ნაკლებად ინტელიგენტური საქართველო. ქართველი თავადაზნაურობის თეატრის მაყურებელთა დარბაზში წარმოითქმებოდა სიტყვები, რომელთაც მოსდევდა წარმოუდგენელი ტაში, ღრიანცელი, საპროტესტო შეძახილები; ოდესღაც მკაცრ და მეტისმეტად თავდაჭერილ ქართველ მატრონათა ექსპანსიურ შეილიშვილთა მიერ დაკავებული ლოჟებიდან ცვიოდა ყვავილები და ისმოდა ისტერიკული შეძახილები. ორატორები ხშირად იარაღზე იკრავდნენ ხოლმე ხელს, მაგრამ, საბედნიეროდ, არ იყენებდნენ. თუმცა გააფთრებული მტრობა ფართო ტალღად ედებოდა საბანკო დაწესებულებების და ინტერესების საზღვრებს. განსაკუთრებული შეურიგებლობით გამოირჩეოდა „მაჩაბელთა" პარტია, რომელსაც ასე ეწოდა თავად ი.გ. მაჩაბლის სახელის გამო, იგი შემდგომში უგზო-უკვლოდ დაიკარგა. იქ ყველაფერი იყო ურთიერთში ჩაქსოვილი, მათ შორის მეორეხარისხოვანიც: ქალური ცოდვებიც, ლიტერატორთა შეჯიბრებებიც, ცალკეულ „ხეობებს" შორის ძველი ფეოდალური მტრობის გამოძახილიც; შეიძლება სწორედ ბოლო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ელემენტი ამძაფრებდა ასე „მესხებლების“, „დირექტორების“, „სარევიზიო კომისიების“ დავას და ა.შ. ასე თუ ისე მტრობასაც და ბრძოლის ფორმებსაც ჭეშმარიტად კორსიკული ხასიათი ჰქონდა: მებრძოლებს თავში უჩნდებოდათ და წარუშლელად უმკვიდრდებოდათ განსაკუთრებული „თინათინი“, შეშლილობის პუნქტი, რომელიც ამრუდებდა მთელ მსოფლმხედველობას, მთელ ნერვულ სისტემას, მთელ ცხოვრებას... აღკვეთა რაან, უკიდურეს შემთხვევაში, შეარბილა საბანკო ბრძოლის უხეში ფორმები, რუსულმა ხელისუფლებამ უზარმაზარი სამსახური გაუწია ქართველ საზოგადოებას, რომელიც ძალზე საჭიროებდა დამშვიდებას; აუცილებელია დავუმატოთ, რომ, სანამ ქართველები დროს, საშუალებებს და ძალებს ახმარდნენ ამ შეხლა-შემოხლას, სომხური ექსპლოატაციის განვრცობა სულ უფრო წარმატებით ნთქავდა მათ კეთილდღეობას.

ადვილი წარმოსადგენია, რად იქცეოდა იქ საერობო დაწესებულებები! ტყუილად როდი მოითხოვდა დაჟინებით მათ გამგებლობას განსაკუთრებით სომხური ბეჭდვითი სიტყვა. კავკასიის ეკონომიკური და სულიერი დამონების ქომაგებს — სომხებს, რა თქმა უნდა, ძალიან სურდათ, რომ საქართველოში საერობო დაწესებულებები, ერთი მხრივ, ქცეულიყო შინაომის ასპარეზად, მეორე მხრივ — განკერძოებულობის კერად, რომელიც განწყობილი იქნებოდა საქმიანი სამეურნეო დაწესებულებები გადაექცია პატარა პარლამენტად და ბოლოს ქართველთა ყურადღება აერიდებინა ქალაქებისგან, რომლებიც გასაღებს წარმოადგენდა ეკონომიკური უპირატესობისთვის, ვინაიდან სწორედ ქალაქები, განსაკუთრებით მსხვილი, მნიშვნელოვანი ბაზრები იყო ამ საქონლის გასაყიდად და ამასთანავე საკრედიტო ცენტრები, ფასს რომ ადგენდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე. პირდაპირ გასაოცარია, ქართველები როგორ დახარბებული არიან სომხურ კარნახზე, მიუხედავად მწარე გამოცდილებისა!.. არასოდეს დამავიწყდება თბილისში თავად-აზნაურთა საკრებულოს ერთ-ერთი სხდომა, რომელიც ეძღვნებოდა საერობო დაწესებულებებს. ამ უკანასკნელთა ქომაგებად გამოდიოდნენ „სომხური ინტერესების გამტარებელი“ სომხები, უნიჭო, მაგრამ ჯიუტი „სომხურ-ქართული სოლიდარობის“ ქადაგი, თავადი გ.მ. თუმანოვი, გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეს“ გამომცემელი და წარმოშობით ნახევრად სომეხი, სომხურ ფინანსურ წრეებში პოპულარული თავადი დ.ზ. მელიქოვი, შემდგომში თბილისში თავადაზნაურობის წინამძღოლად არჩეული. ორივე საკმაოდ „ტკბილად გალობდა“ ერობების თემებზე და საკრებულო

ხარბად უგდებდა მათ ყურს. ერთადერთი სალი და საქმიანი სიტყვა თქვა მაშინ პოლკოვნიკმა, თავადმა გრ.ი. ორბელიანმა, რომელმაც გამოავლინა ადგილობრივი პირობების ღრმა ცოდნა და პოლიტიკური ჭკუა. მან ყურადღება მიაქცია, რომ დაწესებულების ფორმასა და მის შინაარსს შორის არსებითი სხვაობაა; თუკი არ არსებობს სერიოზული ფაქტობრივი მონაცემები მათ შორის სრული შესაბამისობის დასამყარებლად, მაშინ დაწესებულებები იმუშავებს ცუდად მცხოვრებთა საზიანოდ და მხოლოდ მათ სასარგებლოდ, ვისაც შეუძლია მღვრიე წყალში თევზის დაჭერა. „ჩვენ გვიხაროდა, – აგრძელებდა თავადი, – თბილისში ახალი საქალაქო მდგომარეობის შემოღება, მაგრამ რა გამოვიდა შემდგომ? ქალაქი გახდა ნაკლებად კეთილმოწყობილი, ჩვენ, ქართველები და რუსები, გამოგვდევნეს დუმიდან, ქართველ მუშას უფრო უჭირს ლუკმაპურის შოვნა, ვიდრე თურქეთიდან წამოსულს და ჩვენი უძველესი დედაქალაქი აღარაა ქართული ქალაქი; განა ამაში რამე გასახარია?! არა, ბატონებო, ჩვენ გვჭირდება გუვერნიორი! უმჯობესია ეს გონივრულად ვაღიაროთ, ვიდრე ვიაროთ თავგადასავლების გზით!“...

თავადი ორბელიანის მგზნებარე დამაჯერებელ სიტყვას ტაშით შეხვდნენ, მაგრამ შემდეგ... სხვა სხდომების შემდეგ საკრებულომ საერობო დაწესებულებების შემოღების სასარგებლოდ გამოთქვა აზრი, ამასთან ზოგი თავად-აზნაური გულწრფელად აღიარებდა, რომ ამაზე ხმა მისცეს მხოლოდ იმ საფრთხის გამო, რომ ისინი არ მიეჩნიათ „არალიბერალებად“. მთავრობის სფეროებში პროექტს თანაგრძნობით არ შეხვედრიან, ქართველთა საბედნიეროდ. პროექტის გულწრფელ (ქვენა ზრახვის არმქონე) მომხრეებს ავიწყდებოდათ, რომ საერობო მოღვაწეობა არის სამეურნეო სამუშაო, რომლისთვისაც ხელის მოკიდება სათანადო ცოდნის და პრაქტიკულობის გარეშე შეუძლებელია; თუკი ადამიანებმა ჯერ კიდევ არ იციან ურთიერთდახმარების სასოფლო-სამეურნეო კავშირების, სამომხმარებლო საზოგადოებების კარგად ორგანიზება და ა.შ., მაშინ რანაირი ერობები გამოუვათ, როგორ არამწარმოებლურად და ტენდენციურად გაიზრდებოდა თვითდაბეგვრა?! უცნაური იქნებოდა ლოგარითმებისთვის ხელი მოეკიდა ადამიანს, რომელმაც ცუდად იცის არითმეტიკის ძირითადი წესები: ამ „ციფრებით“ მას გააბრიყვებს ნებისმიერი შარლატანი! თუკი შიდა რუსეთის ზოგ ადგილას ერობა თავდაპირველად მოიკოჭლებდა, ხოლო შემდგომ ადგილობრივი მცხოვრებნი მას შეეთვისნენ, ჭრელი ტომობრივი მოსახლეობის მქონე განაპირა მხარეში ამის მოლოდინი საეჭვო

ეროვნული ბიბლიოთეკა

იქნებოდა, განსაკუთრებით იქ, სადაც სავაჭრო-სამრეწველო ქსელი თითქმის მთლიანად მიეკუთვნებოდა პარაზიტულ ერს, რომელიც სულ უფრო იმონებდა ქართველებს. აშკარაა, რომ დამონება მხოლოდ გაძლიერდებოდა, თუკი ამას მკაცრად არ მოეღებოდა ბოლო შეზღუდვითი კანონის მეშვეობით, რომლის დროულობა სულ უფრო ცხადი ხდებოდა.

ასევე ნაკლებშორსმჭვრეტელია ქართველი ინტელიგენციის წარმომადგენელთა ის განკერძოებული ნაწილი, რომელსაც სწყურია თბილისში უნივერსიტეტის ან პოლიტექნიკუმის დაარსება: ისინი ხომ ამ სიკეთიდან მხოლოდ „ნამცეცებს“ მიიღებდნენ, რადგან სომხური პლუტოკრატია ხელში ჩაიგდებდა მას, რათა იგი უმაღლესი სასწავლო დაწესებულებიდან ექცია სომხური ინტრიგის აკადემიად.

ქართველები თავიანთ დამყოლობას სომხური ზემოქმედების მიმართ უსაფუძვლოდ როდი ხსნიან იმით, რომ სომხები მხარეში ერთადერთი რეალური ძალაა, რომელსაც თვით რუსული ხელისუფლებაც არ უწევს სათანადო წინააღმდეგობას არც ერთ სარბიელზე; სომეხმა ბობოლებმა დაუბრკოლებლად ჩაიგდეს ხელში ყველა სასიცოცხლო წყარო: ბაზრებიც, ბანკებიც და გავლენაც (თუმცა ფარული, მაგრამ მით უფრო საშიში) მოხელეთა ბედზე, თან მათ არ სჯიდნენ ისეთ შემთხვევებშიც კი, როცა ყველა სხვა კავკასიელი მცხოვრები უმკაცრესად აგებდა პასუხს. წარმავალი, დროებითი სარგებლის თვალსაზრისით, ისინი მართალნი არიან, მაგრამ ამასთან ერთად აღიარებენ, რომ ემსახურებიან პირად გამორჩენას და არა მაღალ იდეალებს, როგორც მათი წინაპარი-რაინდები. უნდა ვიქონიოთ იმედი, რომ ისინი დიდხანს არ იქნებიან მართალნი პრაქტიკული თვალსაზრისითაც: აუცილებლობა — რადიკალური ზომებით წინ აღუდგნენ კავკასიის გასომხებას — ხდება სულ უფრო გარდაუვალი. რუსული ისტორიული მისიის თვალსაზრისით, ცოდვა იქნებოდა მათთვის შესაჭმელად მიეცათ ერთმორწმუნე და მთლიანობაში ჩვენი ერთგული ხალხი; ცოდვა იქნებოდა ამასთანავე ცუდი პოლიტიკაც, ვინაიდან რუსული სახელმწიფო საქმის თვალსაზრისით არახელსაყრელი იქნებოდა იმის დაშვება, რომ ქართველები გამხდარიყვნენ სომხური მოძრაობის კონდოტიერები!.. სომხები ამისკენ ილტვიან დაჟინებით და სისტემატურად, მაგრამ წარმატებას აღწევენ მხოლოდ გადატაკებული ქვეყნის მაჩანჩალების მიმართ. ქართველი ხალხი მათ არ ენდობა. საეკლესიო-სახალხო დღესასწაულებზე მცხეთაში, ალავერდსა და ბოდბეში ბრმა სომეხი მომღერლები დაუბრკოლებლად მღერიან „ქართულ“ რევოლუციურ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სიმღერებს, რომლებიც სპეციალურად შეთხზეს ბანკირთაგან სომეხმა პოლიტიკანებმა. ხალხი ამას უსმენს უყურადღებოდ, დამცინავი ღიმილით, როგორც რაღაც სისულელეს. მაგრამ როგორც კი ვინმე იმღერებს საყვარელი პოეტების, თავადი წერეთლის ან ჭავჭავაძის ლამაზ ლირიკულ ნაწარმოებს — ყველა ათრთოლდება, სმენად იქცევა... განერვიულებული ინტელიგენციისთვის სომეხი ბობოლები პარიზში გამოსცემენ ფრანგულ ენაზე გაზეთ "La Georgie", მაგრამ აქაც ვერ აღწევენ წარმატებას: გაზეთი წარმოებს უნიჭოდ, დაკავებულია წვრილმანი ჭორებითა და·ცილისწამებების გავრცელებით. პირველ ხანებში საზოგადოება მისით ზედაპირულად დაინტერესდა, ახლა კი მასზე სერიოზულად აღარავინ ლაპარაკობს...

მეტ-ნაკლებად უდრეკი, თუმცა, რა თქმა უნდა, არცთუ განსაკუთრებულად საშიში ქართული განკერძოებულობის კერა, ვითარებათა საბედისწერო დამთხვევით, ადგილობრივი ცხოვრების სწორედ ის სფეროა, რომელიც ამასთანავე წარმოადგენს უმტკიცეს რგოლს, რომელიც აერთიანებს პატარა საქართველოს დიდ რუსეთთან. მე ვსაუბრობ ეკლესიაზე. ქართველ სამღვდელოებას არ შეუძლია დაივიწყოს თავისი ეკლესიის ავტოკეფალიურობა, ხოლო კავკასიის რუსულ სამღვდელოებაში გვხვდებიან არაშორსმჭვრეტელი ადამიანები, რომელთაც არ შეუძლიათ რელიგიის გამოცალკევება პოლიტიკისგან, ასევე არაკეთილსინდისიერი „კარიერისტები ანაფორაში“, მსახურეული პატივმოყვარეობის გამო მზად რომ არიან შეარყიონ საეკლესიო საქმეების წმინდა საძირკველი საქართველოში. სხვათა შორის, საჭიროა აღინიშნოს, რომ თავად ქართველი სამღვდელოებაც ხშირად არ გამოირჩევა არც მაღალი კულტურის დონით, არც სასარგებლო ზემოქმედებით ხალხის მასაზე, რომელთა შორისაც ავტორიტეტით თითქმის არ სარგებლობს. და ეს რუსული რეჟიმის ნაყოფი არ არის, პირიქით, XVIII საუკუნის ბოლოს საქართველოს სულიერი ძალების გამოფიტვის შედეგია. მე თავად მომიხდა მენახა ასეთი საკმაოდ ახალი ოფიციალური მიმოწერა: ორი მაღალი სასულიერო პირი ბრალს დებდა ერთმანეთს სისხლის სამართლის დანაშაულში: ა-მ დაადანაშაულა ბ-ი დაქირავებული მკვლელების შეგულიანებაში მასზე თავდასხმის მოსაწყობად. ბ-მ უპასუხა ამაყად, რომ მას არ სჭირდება დაქირავებული მკვლელები, რადგან ჰყავს საკმაოდ ბევრი ახალგაზრდა ნათესავი, რომელთაც მის პირველივე ნიშანზე შეუძლიათ ნებისმიერის მოკვლა.

საგვარეულო ანგარიშსწორება სამღვდელოებაში, განსაკუთრებით უმაღლესში, თქმულებათა სფეროს როდი

განეკუთვნება. ასეთ პირობებში აშკარაა, რომ ქართველი ხალხის რელიგიის და სულიერი ინტერესების თვალსაზრისით მხარეში წარმოშობით რუსი, ობიექტური, სასურველი ეგზარქოსის არსებობა ძალზე სასარგებლოა რაიმე გამაერთიანებელი პოლიტიკური ამოცანების მიუხედავად, რომელთა განსახორციელებლად არსებობს ათასი სხვა საშუალება. ყველაზე დაკვირვებულ ქართველ პატრიოტებს ეს ესმით. როცა ქართული მართლმადიდებლობა ყველა ღონეს ხმარობდა იმისთვის, რომ არ დაღუპულიყო, რუსული ეკლესია ძლიერი ხელისუფლების მფარველობით, რომლის წყალობითაც მიუწვდომელი იყო გარეშე მტრებისთვისაც და საგვარეულო ანგარიშსწორებებისთვისაც, წამოსწევდა ხოლმე ღრმა და მშვიდი სულიერი აზრის წარმომადგენლებს, რომელთა ნააზრევი სასარგებლო იყო ერთმორწმუნე ტანჯული ხალხისთვის.

ამასთან ერთად, აუცილებელია, რა თქმა უნდა, გავუფრთხილდეთ ქართულ საეკლესიო ენას და ტრადიციულ ჰანგებს. ვაღიარებ, რომ ისინი ჩემზე ყოველთვის ღრმა შთაბეჭდილებას ახდენდა: მათგან მომაჯადოებელი მისტიკური სიძველის ქროლვა იგრძნობა; მათი მოსმენისას, ასე გგონია, უახლოვდები ქრისტეს ხანას. ამ გრძნობას იზიარებს ბევრი რუსი მლოცველი მდაბიოთაგან, რომლებთანაც მიხდებოდა შეხვედრა ქართულ მონასტრებში. სხვათა შორის, უნდა ითქვას, რომ ზოგიერთი ქართული საეკლესიო საგალობელი ძალიან მაგონებს ჩვენს ძველებურ სადროშე ჰანგს.

კიდევ რამდენიმე სიტყვა ქართული პატრიოტიზმის შესახებ. როცა ისტორიის ფართო შტრიხი და ცხოვრების ძირითადი საფუძვლები მჭევრმეტყველად მოწმობს მჭიდრო რუსულ-ქართული ერთიანობის სარგებლიანობას, ადგილობრივი პატრიოტიზმი შეიძლება გახდეს სახიფათო იმ შემთხვევაში, თუკი მთელი სამხარეო პოლიტიკა წარუმატებლად წარიმართება. დაწვრილებით ამის შესახებ ვიტყვი ერთ-ერთ თავში, რომელიც ეძღვნება სომხების შესახებ საკითხს. ნორმალურ პირობებში კი ადგილობრივი პატრიოტიზმი სარგებელსაც კი მოუტანს სახელმწიფო საქმეს, თუკი წინ გაიხედავს და არა უკან, თანაც თუ ეკონომიკური ზრუნვა ხალხის კეთილდღეობაზე გონიერ საფუძველს დაემყარება.

რა თქმა უნდა, უარი უნდა ვთქვათ ფანტაზიაზე, რომლის შესახებაც ხალხმა მოიგონა გამოთქმა: „ადიდდა, როგორც ლიახვი“; ლიახვი – მდინარე ქალაქ გორის მახლობლად, იგი მტკვარში ჩაედინება და ჩვეულებრივ ძალიან წყალმცირეა, მაგრამ სრული ადიდებისას ფართოდ იშლება და უბედურებას იწვევს. ერთ-ერთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასეთი „ლიახვია“ ქართველთა პრეტენზია რაღაც განსაკუთრებულ „კულტურულ-ისტორიულ მისიაზე“ აფხაზეთში, რომელიც ემყარება იმას, რომ აფხაზეთის სამეფო ოდესღაც საქართველოს ვასალური სამფლობელო იყო (XII საუკუნეში) და ამ ლენის მფლობელები იყვნენ გაქართველებული სპარსელები, თავადები შერვაშიძეები (ეს გვარი შირვან-შაჰიდან, შირვან-შაჰიძიდან მოდის), რომლებიც ატარებენ გვარს „ძეზე“ და მიეკუთვნებიან ქართველ არისტოკრატიას. ზოგიერთი სასულიერო პირი ამასთან ერთად იგონებს ფიქციას „ქართულ-აფხაზურ ეკლესიაზე“, თუმცა აფხაზები ლაპარაკობენ ისეთ ენაზე, რომელსაც საერთო არაფერი აქვს ქართულთან. როგორც ხუმრობით აღნიშნა განსვენებულმა კავკასიის ლინგვისტმა, ბარონმა უსლარმა, „აფხაზები ლაპარაკობენ ისეთ ძნელად გასაგებ ენაზე, რომ გასაკვირია, თავად როგორ ესმით თავიანთი თავის“. და უეცრად ქართველები აფხაზებს უყენებენ კულტურულ-ისტორიულ უფლებებს, რითაც მათ ხელიდან უსხლტებათ საკუთარი, მშობლიური მიწის ავლადიდება!..

ქართველს ფანტასტიკური „ქონი“ კი არ სჭირდება, არამედ სიცოცხლე! საჭიროა, უპირველეს ყოვლისა, თვითმოქმედება – და ეს ბევრს ესმის. მე გამიგია გულწრფელი სურვილი, რომ ქართულ ცენტრებში მომრავლებულიყო რაც შეიძლება მეტი რუსი მართლმადიდებელი ვაჭარი, ვინაიდან ეს დაეხმარებოდა ქართული ბურჟუაზიის სასიცოცხლოდ აუცილებელ ზრდასაც, საეკლესიო საქმესაც, ეკონომიკურ სფეროში კულტურულ განვითარებასაც.

საქართველოს სხვადასხვა ადგილას ჩნდება სასოფლო-სამეურნეო სინდიკატები, სამომხმარებლო საზოგადოებები და ა.შ. მთავრობა უნდა დაეხმაროს მათ და საერთოდ აუცილებელია ამიერკავკასიაში ჩვენთვის ყველაზე ახლობელი ხალხის ეკონომიკური აღორძინებისთვის ხელშეწყობა.

ბოლო ტიპურმა ქართველმა თავადაზნაურობის წინამძღოლმა თბილისის გუბერნიაში, განსვენებულმა თავადმა კ.ი. ბაგრატიონ-მუხრანსკიმ ერთხელ თქვა, რომ ყველა ქართველი კონსერვატორია. ეს სიტყვები ყველამ ვერ გაიგო, ვინაიდან მათგან საკმაოდ ბევრს აუცილებლად უნდოდა ლიბერალად ყოფნა; მაგრამ თავადი მუხრანსკი ძირითადად მართალია. არ შემიძლია დავივიწყო, ერთხელ მოწინავე მოლაპარაკეთა წრეში გულახდილად საუბრობდნენ ჩემი თანდასწრებით კონსტიტუციაზე და განაპირა მხარის განცალკევების ყოველგვარ ფორმაზე. უეცრად რომელიღაც ახალგაზრდა თავადი შემოიჭრა ოთახში და შეგვატყობინა მათი უდიდებულესობის

სავარაუდო ჩამოსვლის შესახებ კავკასიაში. შეუთანხმებლად ერთ წამში ყველას გაუბრწყინდა თვალები, ბოკალებში ღვინო აკიაფდა და ქორომ მრავალჟამიერი წამოიწყო – მეფის დღეგრძელობაზე.

ახლოდან ვიცი რა ქართული ცხოვრების და მისი საზოგადოების ნაკლოვანებები, რომელთა შესახებაც მე არაერთხელ მითქვამს ღიად კავკასიაში, არ შემიძლია ეს მრავალტანჯული, განერვიულებული ხალხი ჩვენთვის უცხოდ მივიჩნიო. მწამს რა ჩვენი გამაერთიანებელი კულტურული საფუძვლების ცხოველუნარიანობა, რომელიც დაფარულია ორივე ხალხის უმაღლესი ფენის ცნობიერებაში ნაგვის გროვით, მაგრამ ცოცხალია ხალხის სულის სიღრმეში, მე სლავიანოფილების კვალს მივყვები და ვეთანხმები ისეთი გამორჩეული ადამიანების შეხედულებებს, როგორებიც არიან: ივან სერგეევიჩ აქსაკოვი და როსტისლავ ფადეევი. ისინი უცხოდ არ მიიჩნევდნენ ხალხს, რომელიც წარსულში ჩვენთან გაერთიანებული იყო ისტორიული მისიით, სახელგანთქმული გმირობებით, დღეს კი – *რწმენის, მეფის და მამულის ერთიანობით.*

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 5. სომხები

საუკუნე-ნახევრის წინ, – ამბობს ლებონი, – ფილოსოფოსებმა, სხვათა შორის, საკმაოდ უმეცრებმა ადამიანის თავდაპირველი ისტორიის, მისი გონებრივი ორგანიზაციისდა მემკვიდრეობითობის კანონების ცვლილებების კუთხით, ისროლეს მსოფლიოში ინდივიდების და რასების თანასწორობის იდეა. ამ ღრმად არასწორმა იდეამ შეარყია ძველ საზოგადოებათა საფუძვლები, გააჩინა რევოლუციათაგან ყველაზე უზარმაზარი. თანამედროვე საზოგადოების თვალში ინსტიტუტები და აღზრდა პანაცეად იქცა და მხოლოდ ცოტაოდენი ბედავს შეებრძოლოს იდეას, რომლის უსაფუძვლობა თვალნათლივ მტკიცდება თანამედროვე საზოგადოებრივი ფსიქოლოგიითაც და ცხოვრებითაც. საგანთა სახელწოდებები იცვლება ხალხთა ისტორიაში, მაგრამ ახალი სიტყვების ქვეშ ცოცხლობენ ძნელად შესაცვლელი ძველი ფაქტები. ყოველი ხალხი ფლობს გონებრივ ორგანიზმს, ისეთივე მყარს, როგორიც მისი ანატომიური თვისებებია.

ჩვენი კოსმოპოლიტური ბეჭდვითი სიტყვა, რომელიც აჩუმათებს მეცნიერების დასკვნებს საზღვარგარეთელი სულისჩამდგმელების საამებლად, ყოველთვის გააფთრებულ კივილს ტეხს, თუ ვინმე თუნდაც ხმას დაძრავს რომელიმე ერის შედარებით საერთო, ელფერის მიმცემ ტიპურ უარყოფით თვისებებზე, გარდა რუსულისა. რუსების „გაანალიზება“ შეიძლება რამდენიც გნებავთ! სხვა ერებზე კი სიმართლის თქმა – ღმერთმა დაიფაროს! ყვირიან, რომ ეს ბნელეთის მოციქულობაა, კაცთმოძულეობა და ა.შ. და არა მარტო ყვირიან, არამედ ზომებსაც იღებენ, ისე, რომ საშუალებათა არჩევას არ ერიდებიან. ყველას ახსოვს ისტორია „კონტრაბანდისტებზე“. ჩვენი საზოგადოებრივი და ნაწილობრივ სახელმწიფოებრივი (განაპირა მხარეებში) ცხოვრებაც მდიდარია ასეთი ჭკუის სასწავლებელი მაგალითებით.

როგორც ბუნებაში არსებობს მთელი რიგი საგნები და არსებები, ერთმანეთისგან რომ განსხვავდება ამა თუ იმ მკვეთრი დამახასიათებელი ნიშნებით, ასევე ეს უკანასკნელი აქვს ადამიანთა ტომობრივ ჯგუფებს, რომლებმაც ისტორიაშიც და თავიანთ მეზობელ-თანამედროვეებშიც შესაბამისი რეპუტაცია დაიმსახურეს.

სომხების შესახებ ძველთაგან ჩამოყალიბდა ცუდი აზრი – და ეს, რა თქმა უნდა, თავისთავად საფუძველს მოკლებული არაა, რადგან სხვაგვარად იგი არ გაჩნდებოდა სხვადასხვა ხალხში,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თანაც სხვადასხვა დროს.

მაგრამ, რა თქმა უნდა, ასეთ მოსაზრებათა კატეგორიულობასა და უსაფუძელობაში, რომელთა ნიმუშებსაც ქვემოთ მოვიყვან, არ შეიძლება არ დავინახოთ უსამართლობა. ჯერ ერთი, აუცილებელია გავაცალკევოთ სომხური ხალხური მასა მტაცებელი პლუტოკრატიისგან, უმეცარი მოპოლიტიკანე სამღვდელოებისგან და მოჩვენებით-ინტელიგენტური „პიჯაჩნიკებისგან", ე.ი. იმ მმართველი სომეხი საზოგადოების ფენებისგან, რომლებიც ჩაგრავენ არა მარტო მეზობელ უცხოტომელებს, არამედ თავიანთ თანატომელებსაც, უდანაშაულო მდაბიოებს. მეორეც, მმართველ კლასებს შორისაც უეჭველად არსებობს ადამიანთა საკმაოდ მნიშვნელოვანი პროცენტი, რომელიც თავისთავად ცუდი და დამნაშავე არაა, რადგან ძირითადად სულმოკლეობით ემორჩილება თავისი მეთაურების ტერორს და თავის ავადმყოფურად განვითარებულ ტომობრივ ან, როგორც თვითონ ამბობენ (ამაზე ყოველგვარი უფლების გარეშე), ეროვნული იდეის ჰიპნოზს.

პატიოსანი ადამიანი, რომელიც უპირატესად ამ მოთავეებს და მათ დაქირავებულებს აწყდება, ძნელი არაა აენთოს განურჩეველი ზიზღით სომხების მიმართ; ამ ამოუცნობ ტომზე, მის ისტორიულ ბედსა და თანამედროვე მდგომარეობაზე უფრო გულდასმით დაკვირვებისას, შეუძლებელია არ განიმსჭვალო თანაგრძნობით სომეხი ხალხის მიმართ, რომელსაც უეჭველად ახასიათებს ბევრი კარგი თვისება.

მაგრამ, რაც უფრო მეტად ვუთანაგრძნობთ, რაც უფრო კარგად დავუკვირდებით მის მდგომარეობას, მით უფრო საზიზღრად წარმოგვიდგება მათი უგულო თანატომელი მეთაურები, მოპოლიტიკანე მჩაგვრელები და შფოთისთავები.

მე შეიძლება შემეკამათონ, რომ სომეხი მმართველი კლასები გამოვიდნენ იმავე ხალხის გარემოდან, რომელთა შვილები, მაშასადამე, ასეთივე მტაცებლების ემბრიონები არიან. მაგრამ, ჯერ ერთი, მაღალი კლასები ყოველთვის როდია ხალხის სულიერი დონის მაჩვენებელი, და მეორეც, ისტორიულმა და სოციალურმა პირობებმა, რომელშიც ბედის განგებით მოხვდა სომეხი ხალხი, ხელი შეუწყო და დღესაც *ხელს უწყობს ამ რასის ყველაზე მანკიერი და ეშმაკი წარმომადგენლების, უპირატესად უარესების ზედაპირზე და ადგილობრივი ცხოვრების სიმაღლეზე ამოსვლას.*

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 6. ისტორიული წარსული

ვინ არიან სომხები? მათი ძირითადი წარმომავლობა ნაკლებადაა გამორკვეული. ისტორია მოწმობს მათ შერწყმას თავიდან, ბაბილონის ტყვეობის დროს, ხოლო შემდეგ იერუსალიმის დანგრევის მერე ებრაელთა დიდ მასასთან. ანთროპოლოგიური თვალსაზრისით ისინი, უმეტესობა უკიდურესი ბრაქიკეფალები არიან, ანუ მოკლეთავიანები და ამ თვალსაზრისით ყველაზე მსგავსნი, როგორც ჩანს, შანტრას, ერკერტის, პანტიუხოვის და სხვ. გამოკვლევებით, მთიელ ებრაელებთან და ასირიელ-ქალდეველებთან (აისორებთან). ინგლისელი მეცნიერი ბერტინი მიიჩნევს მათ პალესტინამდელი პერიოდის ებრაელების მსგავს ერთი ტიპის ადამიანებად.

პროფესორი დ.ნ. ანუჩინი ამბობს, რომ სომეხთა ტომი არაარიულია, არამედ უფრო არიანიზებული (ენით). გარდა აღნიშნულისა, ყველა როდია, ვინც თავს მიაკუთვნებს სომხებს, სომეხი ტომის ძირეული წარმომადგენელი. სომხური ჟურნალი „მურჩი"*, როდესაც საუბრობდა სომეხთა მნიშვნელოვან უნარზე სხვა ერების ასიმილაციასთან დაკავშირებით, მიუთითებდა 90-იანი წლების ბოლოს სომეხთა შორის ასიმილირებულ ბოშათა საკმაოდ დიდ პროცენტს. ორივე ტომის გაცნობა დამკვირვებელს მნიშვნელოვან მასალას აძლევს აღნიშნული ჟურნალის დასკვნების განსამტკიცებლად. კიდევ უფრო საინტერესო დასკვნამდე მივიდა სომეხთა მნიშვნელოვანი ჯგუფების მიმართ კავკასიელი ანთროპოლოგი, დოქტორი ი.ი. პანტიუხოვი. პატივცემულმა მეცნიერმა ისარგებლა შემთხვევით, როცა თბილისი სავსე იყო ნახევრად ველური ლტოლვილებით თურქეთიდან და მრავალი თურქი სომეხი ანთროპოლოგიურად გაზომა. აღმოჩნდა, რომ ამ დაუპატიჟებელი სტუმრების უზარმაზარი ნაწილი თავისი ფიზიკური წყობით წმინდაწყლის ქურთი იყო. ეს ხსნის სივრცეს ვარაუდისთვის, რომ თურქეთში სომეხთა ულეტის ზოგიერთი ეპიზოდი ძველი ოჯახური ანგარიშსწორების შედეგი იყო სხვადასხვა სარწმუნოების ქურთულ ტომებს შორის.

საკმაოდ საინტერესოა აგრეთვე ამიერკავკასიის ალბანეთის საკითხი, ანუ სომხურად აღვანეთი (Агваніи). ეს ქვეყანა, რომლის შემადგენლობაში შედიოდა ახლანდელი ელისავეტპოლის გუბერნია, თბილისის და დაღესტნის ნაწილი, დასახლებული იყო

---

* „მურჩი", 1897 წ., წერილი სათაურით „სომხები ბოშებიდან მოდიან".

ეროვნული ბიბლიოთეკა

არა სომხური წამომავლობის ხალხით, რომელთაც ქრისტიანობა მიიღეს სომხებისგან. XIX საუკუნის დამდეგამდე არსებობდა ცალკე ალვანის ან გნძასარის კათოლიკოსი, რომელიც მეტოქეობას უწევდა ეჩმიაძინისას და დროდადრო სავსებით დამოუკიდებელი იყო ამ უკანასკნელისგან. დღესდღეობით ქრისტიანები, რომლებიც ოდესღაც იყვნენ ალვანეთის კათოლიკოსის სამწყსო, ითვლებიან სომხებად და მათში აღრეულებმა შეითვისეს მათი ხასიათი.

სომხებს უხდებოდათ ხოლმე არანებაყოფლობითი, ძალადობრივი შეჯვარება სხვა ხალხებთან. სპარსული ურდოებიც, აზერბაიჯანელი (Адербейджанск¡е) თათრებიც, თურქებიც, ქართველებიც, მთიელებიც, ცხადია, არ ერიდებოდნენ იმ ხალხის ქალებს, რომელმაც დიდი ხნის წინ დაკარგა სახელმწიფოებრიობა და მასთან დაკავშირებული ამაყი, მამაცური თავდაცვის ხერხები.

ასეთ პირობებში, ცხადია, სომეხთა ძარღვებში ყოველგვარი სისხლი ჩქეფს. სწორედ ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ხალხი, რომლის სილაჩრე წინა აზიაში ანდაზად იქცა, დროდადრო წარმოშობს ნიჭიერ და მამაც მხედართმთავრებს, როგორც მკაფიო გამონაკლისი „დედამიწაზე არსებობს მხოლოდ ორი ხალხი ეროვნული ენის და მამულის გარეშე: ესენი არიან ებრაელები და ბოშები. ვერც აზიურმა ტირანიამ, ვერც შუასაუკუნეობრივმა დაუნდობელმა დევნამ, ვერც თვით თანამედროვე ჰუმანურმა კულტურამ ვერ შეძლო მათი ასიმილირება სხვა ხალხებთან და ყველა ეს მძლავრი ფაქტორი ამგვარად უძლური აღმოჩნდა დაეხრჩო ერთი ხალხის მატერიალური სიხარბე და მეორის უსაზღვრო, მოუთოკავი ხეტიალის სწრაფვა. ყველგან: აზიასა თუ ევროპაში, ძველ თუ ახალ საზოგადოებაში, ბოშა რჩება ბოშად, ებრაელი – ებრაელად. მხოლოდ ერთადერთმა სომეხმა ხალხმა მოახერხა ბოშების ასიმილირება და ამას ვამბობ მე, – დასძენს წერილის ავტორი, – არა უსაფუძვლოდ, არამედ სარწმუნო ფაქტებზე დაყრდნობით. ერევნელი, შემახელი, ელისავეტპოლელი, თბილისელი და სხვა ბოშები, რომელთა არსებობას 50 წლის წინ მოწმობს ისტორია, გარდაიქმნენ და შეერწყნენ სომხურ ელემენტებს, მოხდა მათი ასიმილირება სომხებთან, შემორჩათ მხოლოდ გვარი, როგორც ძველი მოგონება თავიანთ წარმომავლობაზე. რა მხრიდანაც უნდა განვიხილოთ ეს საკითხი, მივხვალ ერთსა და იმავე დასკვნამდე, რომ მასობრივი ასიმილაციის საქმე ვერც ერთმა ხალხმა ვერ მოახდინა, გარდა სომხებისა. ასიმილირებული ბოშა-სომხებიდან ნიჭიერი ადამიანებიც კი გამოვიდნენ. მაგალითად, სანქტ-პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორი კერობე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პატკანიანი ბოშური წარმომავლობისაა, ბერი პოეტი ალამდარიანი – აგრეთვე, ახლანდელი სომეხი მწერლებიდან ორი ასევე ბოშური წარმომავლობისაა, სახალხო პოეტი ჰანეს-ოღლი, რომელმაც დაწერა მრავალი ლექსი და სხვ.

შავ ფონზე: აშკარაა, რომ მათში ხმიანობს სხვათა სისხლი, მამაცი ერების, ნორმალურ, წმინდა სისხლის სომეხს კი საერთოკავკასიური ანდაზით, რომელიც რამდენიმე ადგილობრივ ენაზეა, „კურდღლისაც კი ეშინია“. ნიშანი აშკარად სემიტურია. საერთოდ. სომეხი ხალხისთვის დამახასიათებელი სემიტური ნიშანი რამდენიც გნებავთ, იმდენია: აქ ცოტაოდენ მდგრადი სახელმწიფოებრიობის ისტორიული უუნარობაცაა, რამენაირი ავტორიტეტულისაგვარეულო არისტოკრატიის თანდათანობითი გაქრობაც და თეოკრატიული წყობის იატაკქვეშა პოლიტიკაზე ამჟამინდელი გადასვლაც, კოლექტივიზმის მკაფიო ნიშნებიც სარწყავი მიწების სარგებლობაში, რაც აქამდე შეინიშნებოდა გლეხურ გარემოში (ამპა-ჩარექულ), ვაჭრობის, მევახშეობის და საერთოდ გაუმაძღარი მომხვეჭელობის მნიშვნელოვანი რასობრივი მიდრეკილებაც. ქედმაღლობა და სისასტიკე სუსტების მიმართ და მონური ქედის მოხრა ძლიერთა წინაშე, დასასრულ, რეკლამის ფენომენური უნარი და დაუმცხრალი პატივმოყვარეობა — ყოველივე ეს ებრაული თვისებებია, მხოლოდ სომხებში ის უფრო უხეშად და ინტენსიურადაა გამოხატული.

სომხებს ძალიან არ მოსწონთ, როცა მათ ადარებენ ებრაელებს და ავალებენ თავიანთ დამცველებს, ხელიდან არ გაუშვან შემთხვევა, რათა, რაც შეიძლება ენერგიულად ილაპარაკონ ჰაიკანელი ხალხის არიულ წარმომავლობაზე. ალბათ ასეთი ფაქტების გათვალისწინებით გონებამახვილურად ამბობს ქართული ანდაზა:

„მხოლოდ მონას, როცა უბრძანებენ, მართებს ამტკიცოს, რომ მუხა ვაშლებს ისხამს“.

ასეთი მონები, სამწუხაროდ, ოქროს ხბოს თაყვანისცემის ჩვენს საუკუნეში ბევრი მოიძებნება მოხელეთა შორის, პუბლიცისტებშიც და მეცნიერებშიც კი...

გარდა ამისა, ჩვენში ძალზე გავრცელებულია კავკასიის და მისი ტომების მიმართ საქმეში ჩაუხედაობა, თანაც საქმის მცოდნეთათვის თვედაჯერებული და გამაღიზიანებელი საქმეში ჩაუხედაობა. აი, რა მომწერა, სხვათა შორის, სოფლიდან ვარშაველმა დამსახურებულმა პროფესორმა დ.ი. აზარევიჩმა, რომელსაც პირადად არ ვიცნობ, ბ-ნ სირომიატნიკოვის სულ ცოტა ხნის წინანდელი წერილების

ეროვნული ბიბლიოთეკა

თაობაზე*:

„არა მაქვს რა ხელთ ბიბლიოთეკა, მე მხოლოდ შეგახსენებთ, რომ არქეოლოგიურ ყრილობაზე, რომელიც უკანასკნელად გაიმართა მოსკოვში, ანთროპოლოგიურმა განყოფილებამ ვიხროვის თავმჯდომარეობით მოისმინა ერთი ფრანგის მოხსენება (მგონი ფიგესი) სომხების სემიტიზმის შესახებ. ამ ყრილობის შრომები ძნელი არაა ვიპოვოთ საიმპერატორო საჯარო ბიბლიოთეკაში, ხოლო იქ თავად მოხსენებაც მოიძებნოს".

პატივცემული მეცნიერი, რომელიც, ვიმედოვნებ, კადნიერებად არ ჩამომართმევს, რომ ვემყარები მის ავტორიტეტს, შეაცბუნა საკმაოდ გამბედავი დამცველების მხრიდან მეცნიერების მიმართ სომხობის სემიტიზმში დაეჭვებაზე მსუბუქმა მიდგომამ. ამ უკანასკნელთა ერთგვარ გამართლებად შეიძლება გამოდგეს პირდაპირი მითითება ბროკჰაუზის და ეფრონის ლექსიკონზე, რომელშიც წერია, რომ სომხები – „ირანული ჯგუფის ინდოევროპული ტომის შტოა". მაგრამ, ამასთან ერთად, უეჭველად უნდა გვახსოვდეს გამონათქვამი: „კალენდრები სულ ტყუის", რომელიც განსაკუთრებით წარმატებით გამოიყენება ებრაელების მიერ გამოცემულ ლექსიკონებთან დაკავშირებით...

აქ, სხვათა შორის, საჭიროა აღინიშნოს, რომ სომეხი მეცენატები ნავთობმრეწველებიდან გაძლიერებით ზრუნავენ სომხების სავსებით განსაკუთრებული ისტორიის შექმნაზე, ამ პატარა ხალხის და მისი გმირების განდიდებაზე, დაწყებული შემთხვევითი გენერლებიდან, რომლებიც პატივისცემის ღირსი არიან და დამთავრებული პატივისცემის... ღირსი ყველანაირი ჯურის არაშემთხვევითი კონტრაბანდისტით, მეორე მხრივ. კერძოდ, ისინი ხელიდან არ უშვებენ შემთხვევას, წამოწიონ თავიანთი ისტორიული „დამსახურებები" და ახლანდელი ღირსებები პარაზიტული ხერხით, ანუ გზა-გზა ჩრდილის მიყენებით თავიანთი მეზობელი ხალხებისთვის, რომელთაც ჰქონდათ ისტორია უფრო ბევრად ნათელი, უეჭველი და ღირსეული. ქართველებს ისინი ისტორიულ-არქეოლოგიურ სფეროში ძარცვავენ ძალზე უსინდისო ხერხით: შლიან ქართულ წარწერებს ძეგლებიდან, იპყრობენ ძველ მართლმადიდებლურ სამრეკლოებს და მიტოვებულ ეკლესიებს**, თხზავენ ისტორიულ უაზრობებს და მიუთითებენ,

---

* "Новая Время", 1903. #978

** ასეთი აღმაშფოთებელი ფაქტების მრავალრიცხოვანი მაგალითიდან მოგვყავს ამონარიდის სახით ორი შემთხვევა, რომლებიც მოხდა ორი თვის განმავლობაში. „კავკაზი", 1897 წ. ივნისი. დუშეთის წმ. ნიკოლოზის ეკლესიის მლოცველებმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც უძველეს სომხურ სამფლობელოებს ისეთ მხარეებს, სადაც ყოველი ქვა ქართული სამეფოს წარსულზე ღაღადებს.

რუსულ ლიტერატურაში სომეხთა პირველი დაქირავებული იყო სენკოვსკი, ფსევდონიმით ბარონი ბრამბეუსა, რომელიც ამ სულისკვეთებითწერდა. შემდეგსომეხი„ისტორიკოსები"ბრჭყალებში ემინი (მოსე ხორენელის ისტორია), ხუდობაშევი (სომხეთის მიმოხილვა), უფრო მოგვიანებით ერიცოვი ("Кавказская Старина", 1872 г. №1), წარსულის ისეთი მჭევრმეტყველი მოწმეების მიუხედავად, როგორებიცაა ძეგლები, მუშაობდნენ იმავე მიმართულებით; ისინი, მაგალითად, ცდილობენ მოსტაცონ საქართველოს ისტორიული უფლება საათაბაგოს მხარეზე, ე.ი. ათაბაგ ჯაყელის სამფლობელოზე, ახლანდელ ახალციხის მაზრაზე. ყველა კავკასიელმა იცის, რომ ამ მხარეში ჯერ კიდევ არსებობს დიდი თამარ მეფის ყოფნის უეჭველი კვალი და მაზრის მუსლიმანური მოსახლეობა შედგება გათურქებული ქართველებისგან, რომლებიც ქართულად ლაპარაკობენ, სომხები კი დიდი რაოდენობით იქ გამოჩნდნენ XIX საუკუნის პირველ ნახევარში, როგორც თურქეთიდან ლტოლვილები და არა *ძირძველი*

---

შეადგინეს განაჩენი, რომლითაც ავალებდნენ თავიანთი გარემოდან ორ პირს, ეშუამდგომლათ უმაღლესი კავკასიური ხელმძღვანელობის წინაშე, რათა მათ ზომები მიეღოთ სომხური სამღვდელოების მიერ „ბოდავის წმინდა გიორგის ნიშის" სამრეკლოს და მისი კუთვნილი მიწის ნაკვეთის (ქ. დუშეთიდან 1/2 ვერსტზე) დაპატრონების წინააღმდეგ. ძველი ხატები დასახელებული სამრეკლოდან, განაჩენის შემდგენლების სიტყვით, უკვე დიდი ხანია მოტაცებულია და გადატანილია დუშეთის სომხურ ეკლესიაში, ნაკვეთი მიერთებულია მასზე „გაურკვეველი გზით" გასულ 15 მაისს, ხოლო თავად სამრეკლო გადარქმეულია „სუპ-გეურქად" და მართლმადიდებელ მღვდლებს მსახურებისთვის მას შემდეგ იქ აღარ უშვებენ.

„ივერია", აპრილი, 1897 წ., ქ. ახალციხე. ქალაქის მახლობლად, მდინარე ფოცხოვის იქითა მხარეს, არის სამკურნალო წყარო, რომლის წყალი შესანიშნავად შველის თავის ტკივილს. წყაროს მახლობლად ძველთაგანვე იდგა ქართული სამრეკლო და პატარა სენაკი. ამ წყაროს სამკურნალო თვისებები საყოველთაოდ ცნობილი იყო, ვინაიდან საქართველოს სხვადასხვა ნაწილიდან მოდიოდნენ ავადმყოფები და იკურნებოდნენ. წყლით უფასოდ სარგებლობდნენ, მაგრამ ნებაყოფლობითი შეწირულობები სამრეკლოში ბევრი გროვდებოდა. გასული მარტის დამდეგს ვიღაცას მოაფიქრდა სამრეკლოში სომხური ხატების დასვენება, სამრეკლოსთვის კარის მიბმა, მისი დაკეტვა და გასაღების წაღება. ამ მიტაცების შესახებ ადგილობრივმა ღვთისმოსავმა მღვდელმა დ. ხახუტოვმა მოახსენა საქართველოს ეგზარქოსს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

*მოსახლეობა.*

არმენოლოგ პროფესორ პატკანოვს* აგრეთვე ნაკლებად რცხვენია ფაქტების, როცა ემყარება ისეთ ყალბ მეცნიერებს, როგორებიც არიან: სენკოვსკი, მოგზაური ბოტანიკოსი კოხი და ა.შ. ქართველმა მწერალმა ბაქრაძემ დროულად ამხილა იგი, როგორც საჭიროა, მაგრამ რუსი საზოგადოების დიდ ნაწილამდე ეს პოლემიკა არ მისულა; პატკანოვის მოსწავლე, ბ-ნი ბროსე ხელიდან არ უშვებდა შემთხვევას, რამე მოეგლიჯა ქართველებისგან სომეხთა სასარგებლოდ და სულ გვპირდება დაამტკიცოს, რომ შესანიშნავი ქართული პოემა „ვეფხისტყაოსანი“ (“Барсова кожа”) არის ნასესხები ნაწარმოები.

ესსასურველიასომეხიპოლიტიკანებისთვისიმიტომ,რომსომხებს არ აქვთ და არც ჰქონიათ თავიანთი არსებობის განმავლობაში რამე ძლიერი პოეტური ნაწარმოები, ე.ი. ხალხური სულის აყვავების ერთ-ერთი თვალსაჩინო ნიშანი. როგორც უნდა ცდილობდნენ უფრო გულმოდგინე, ვიდრე ნიჭიერი ლიტერატურული ბარტყები ბ-ნი იური ვესელოვსკის და მის მსგავსნი, დაარწმუნონ რუსი საზოგადოება კარგი სომხური ლიტერატურის არსებობაში, ტიტინზე შორს ვერ მიდიან, იმიტომ, რომ როგორც უნდა ეცადო, არაფრისგან მხოლოდ არაფერი გამოდის.

ვინმე ბ-ნი ეზოვი, რომელმაც შეადგინა უცერემონიობით ფენომენური წიგნი „პეტრე დიდის ურთიერთობა სომეხ ხალხთან“, მასში, სალი აზრის საწინააღმდეგოდ, რაღაც განსაკუთრებულ დიპლომატიურ მნიშვნელობას მიაწერს უცნობ ვიგინდარას, იზრაილ ორუს, ან ორიუსს, რომელიც ცდილობს პეტრე დიდი ჩაითრიოს სპარსეთთან ომში სწორედ შვედებთან ომის დროს. ეს ბ-ნი ეზოვი ყოველმხრივ მოიპოვებს ქართველებისთვის არახელსაყრელ ციტატებს, რის გამოც თავისი ამოცანის ფარგლებს საკმაოდ შორდება. ასეთივე ციტატებს ტენდენციურად აჩეჩებენ მკითხველს ფილანთროპიულ კრებულში „ძმური დახმარება თურქეთში დაზარალებულ სომხებს“ გლადსტონიდან ეპიგრაფით: „სიკეთე, სიკეთე და ... სიკეთე!“ სიკეთე გამოვიდა საკმაოდ შხამიანი, სომხურ სტილში.

ძალიან საინტერესო ბროშურა („სომეხი ბრძენნი და ქვათა ღაღადი“) მიუძღვნა სომხების ამ სიცრუეს, ყველა ამ ისტორიულ-არქეოლოგიურ ხელყოფასა და მიტაცებას ცნობილმა ქართველმა

---

* სწორედ ის,რომლის ბოშურ წარმოშობაზე მიუთითებს სომხური გაზეთი „მურჩი“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოეტმა და პუბლიცისტმა, თავადმა ილია ჭავჭავაძემ. ეს ბროშურა ითარგმნა რუსულ ენაზეც და იგი მდიდარია დამახასიათებელი ფაქტებით.

თბილისში, როცა საუბრობენ ქართულ-სომხურ ტომთაშორის ურთიერთობებზე, იგონებენ "თემპს"-ის კორესპონდენტს, ვინმე კუტულის. როგორც კი კუტული ჩამოვიდა თბილისში, იგი მაშინვე დაიჭირა კუზიანმა, ეშმაკმა, ნიჭიერმა პოლიტიკურმა აგიტატორმა არწრუნიმ, რომელიც გაზეთ „მშაკის" რედაქტორ-გამომცემელი იყო. მდიდარმა სომხებმა მოთაფვლა და წრეგადასული ჭმევა დაუწყეს კუტულის, ერთი ნაბიჯითაც არ შორდებოდნენ. მან მთლიანად დაკარგა უნარი, შეეხედა იქაური გარემოსთვის საკუთარი თვალებით. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ ყველა ლამაზ ქალზე, რომელიც გზად შემოხვდებოდათ, ეუბნებოდნენ, სომხები არიან, ხოლო ყველა მახინჯი ქართველიაო. შეიქმნა ისეთი კომიკური მდგომარეობა, რომ თვით ქართველებიც კი, რომელთაც ისტორიულ-არქეოლოგიური თავმოყვარეობა ძალზე გამძაფრებული აქვთ, ვეღარ ბრაზობდნენ, როცა კითხულობდნენ ამ მიმნდობი ან ხათრიანი ფრანგის შთაბეჭდილებებს.

ძალიან სასაცილო იყო იმის დანახვა, სულ ცოტა ხნის წინ როგორ ცდილობდნენ სომეხი პოლიტიკანები და „ისტორიის მკეთებლები", შეცდომაში შეეყვანათ ფრანგი მეცნიერი, ბარონი დე ბაი, რომელიც ბევრს წერდა რუსეთზე, და როგორ უკვირდათ თავიანთი წარუმატებლობა. მან მოინახულა, სხვათა შორის, ეჩმიაძინი, სომეხთა კათალიკოსის ქალაქი, სადაც მას აჩვენეს რაღაც უცნაური ძველი ნივთები, რაღაც გვირგვინები, ფიალები, მოქარგული ხალიჩა და ა.შ. გამოცდილმა არქეოლოგმა მაშინვე შენიშნა სომხების მიერ მოყვანილი არქეოლოგიური მონაცემების საოცარი უზუსტობა და იუმორით გამოთქვა ეს ბეჭდვით სიტყვაში. სხვათა შორის, აღმოჩნდა, რომ ზოგიერთი მოჩვენებით ძველი მოხატულობა მიეკუთვნებოდა როკოკოს სტილის დაცემას. რუსული ასოებით დაბეჭდილი ადგილობრივი სომხური გაზეთების გაცოფება უხამსობამდეც კი მივიდა.

სომხების ავადმყოფური თავმოყვარეობა და პატივმოყვარეობა, ასევე მათი მიდრეკილება – მოეხდინათ წარსულსა და აწმყოში თავიანთი სიდიადის რეკლამირება – აიხსნება და ნაწილობრივ იმით მართლდება, რომ მათ საუკუნეთა განმავლობაში მოიხვეჭეს ცუდი რეპუტაცია, რომლის თავიდან მოშორებაც სურდათ.

მიუკერძოებელი, ჰუმანური და ზნეობრივი ტაციტუსი, რომელსაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეეძლო ექო რომის მტრებიც კი, გერმანელები, სომხების შესახებ თავისი მე-2 წიგნის **Ab excessu Augisti** 53-ე პარაგრაფში ამბობს: „**Ambigua gens ea antiquitus hominum ingeniis et situ terrarum**", – ეს ოდითგან ორსახოვანი ხალხი როგორც ხასიათით, ასევე გეოგრაფიული მდგომარეობით; **saepius discords sunt, adversus Romanos odio et Parthum invidia**, ე.ი. განუწყვეტლივ იგლიჯება რომაელების სიძულვილით და პართელთა მიმართ შურით. მე-12 წიგნის 46-ე პარაგრაფში იგი მიუთითებს „სომეხთა საკმაოდ ცნობილ მუხანათობაზე", **satis cognitam Areniorum perfidiam.**

„შენ ხარ ლაჩარი, შენ ხარ მონა, შენ ხარ სომეხი!" – ამბობს პუშკინი მოხუცი მთიელის ბაგეებით. ქართველი ხალხი ამბობს: „მოვიდა სომეხი – მოიტანა სხვა მეხი". ქართველი თავადაზნაურობის ჯერ სომეხი ვაჭრების, შემდეგ კი „პოჯაჩნიკების" მიერ შევიწროების შესახებ შეიქმნა არაერთი ხალხური ანდაზა: „ბედაურები დაიხოცნენ, ვირებს დარჩათ მოედანი", „გარეული მოვიდა, შინაური გააგდო" და ა.შ. ამიერკავკასიელი თათრები ამბობენ: „აუნთე საკუთარი ათი თითი, როგორც სანთელი, სომეხს გზის გასანათებლად და მადლობასაც არ გეტყვისო". რუსი ხალხი დიდი ხანია განწყობილია დაუძახოს სომხებს დამამცირებელი სახელები, რომლებშიც გამოხატულია ხან ზიზღი, ხან – დაცინვა. ნეკრასოვი, მოწინავე და ჰუმანური პოეტი, ამბობს:

**Жениху с солидным чином**
**Отказала, осердясь,**
**И с какимь-то армянином**
**Обвенчаласъ, не спросясь.**

არანაკლებ ჰუმანური ჟემჩუჟნიკოვი („კოზმა პრუტკინში") მღერის ასე:

**На узкой кровати**
**Лежу я один,**
**В соседней палате**
**Кричит армянин.**

სიტყვა „**кричитъ**" ფრიად ტიპურია: ისინი სწორედ მიდრეკილნი არიან **кричать** ყოველგვარი საბაბით: თუ არ შეუშვებენ მათ სხვის სახლში, ან გახსნიან მათ რამე ეშმაკობას, ან სასამართლოში

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისცემენ ქურდბაცაცას მათი გარემოდან – ისინი ყველაფერზე არა მარტო თვითონ ყვირიან, არამედ სულელ ან მოსყიდულ უცხოტომელებსაც აიძულებენ, იყვირონ.

ჩვენი მიუკერძოებელი ბელეტრისტიკაც აგრეთვე არაკეთილსასურველად ეკიდება მათ. ლესკოვს „სობორიანებში“ ჰყავს წარმოდგენილი, მაგალითად, შანტაჟისტი ძლიერ განვითარებული მენჯით – თერმოსესოვი.

საფრანგეთსა და გერმანიაში, სადაც არსებობს სომხური რევოლუციური წრეები და ბაქოელი ნავთობმრეწველების ფულით წარმოებს გაძლიერებული აგიტაცია სომხების სასარგებლოდ, ხალხი, რომელიც ცოტა მაინც იცნობს საკითხს, ამასთან მიუკერძოებელია, ხმას იმაღლებს ამ უკანასკნელთა წინააღმდეგ. სომხეთში, ქურთისტანსა და მესოპოტამიაში მოგზაური ფრანგი, გრაფი დე შოლე, საქმის დიდი ცოდნით ხატავს ამ თურქული პროვინციების ცხოვრებას და სომეხი ხალხის მიმართ მუსლიმანების არაადამიანური მოპყრობით აღშფოთებული სომხებზე ამბობს: „და მიუხედავად მათ მიმართ უზარმაზარი თანაგრძნობისა, რომელსაც ჩემში აჩენდა მათი სიღატაკე და ტანჯვა, მე ვერასოდეს მოვახერხე მათი შეყვარება, იმდენად ამაზრზენია მათი თაღლითობა, იმდენად სამარცხვინოა მათი სიმდაბლე და აღმაშფოთებელია მათი უნამუსობა“.

გერმანელი მოგზაური ალფრედ კიორტე თავის „ანატოლიურ ესკიზებში“, რომელიც ეძღვნება ცნობილ გერმანელ მოღვაწეს თურქეთში, კოლმარ ფონ დერჰოლცს, რა თქმა უნდა, როშვას არ მოყვებოდა, როცა წერდა: „თითქმის ყოველი, ვისაც მოუხდება ამ პროვინციებში ურთიერთობა ხალხის ბირთვთან, ისწავლის თურქების პატივისცემას და სიყვარულს, დაბლა დააყენებს ბერძნებს და შეიძულებს სომხებს... ყველგან მართლდება ანდაზა, რომ ბერძენი მოატყუებს ორ ებრაელს, ხოლო სომეხი – ორ ბერძენს. უეჭველად შეიძლება ითქვას, რომ, თუკი თქვენ ანატოლიაში სადმე მოგატყუებენ – ეს იმას ნიშნავს, რომ თქვენ საქმე გქონდათ სომხებთან“. იმავე ავტორს მოჰყავს ესკი-შეხირეში მსხვილი მენარდის სიტყვები: „როცა მე ვუთანხმდები საქმეზე თურქს, წერილობითი შეთანხმება არ მჭირდება, რადგან სიტყვები საკმარისია. ბერძენთან ან სხვა ლევიანელთან მე ვდებ წერილობით ხელშეკრულებას, ვინაიდან ეს მათთან აუცილებელია და სასარგებლო; სომხებთან კი წერილობითაც კი არავითარ საქმეს არ ვაწარმოებ, იმიტომ რომ მათი სიცრუისა და ინტრიგებისგან წერილობითი პირობაც კი ვერ დაგიცავს“.

ზუსტად რომ ვთქვათ, ინტელიგენტმა სომხებმა დიდი ხნის წინ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ალიარეს, რომ მათი ტომის რეპუტაცია სათაკილოა. ამის გამო არც ისე დიდი ხნის წინ მათ სცადეს თავი გაეცნოთ ადამიანებისთვის, რომლებიც კავკასიას არ იცნობდნენ, ქართველებად, ზოგჯერ კი მეტი პოეტურობისთვის „ჩერქეზებად“ ასაღებდნენ თავს. აქამდე ისინიც და პუბლიცისტებიც, ყველა, ვინც მათ მიმართ თანაგრძნობით იყო განწყობილნი, სადაც კი შესაძლებელი იქნებოდა, სიტყვა „სომეხს“ ცვლიდნენ სიტყვებით „ადგილობრივი მკვიდრი“, „კავკასიელი“ და განსაკუთრებით „ქრისტიანი“. ეს ხაზგასმა „ქრისტიანობაზე“ ძალზე დამახასიათებელია, ვინაიდან სომხები წინააღმდეგი არ არიან იხეირონ როგორც თავიანთი მეზობელი მუსლიმანების ხარჯზე, ასევე იმით, რომ სახელწოდება „ქრისტიანი“ ანიჭებს მათ პრივილეგიურ მდგომარეობას და მათთვის ძალიან ხელსაყრელია იმ შემთხვევაში, როცა ძალაუნებურად გინდა შეადარო ისინი ებრაელებს. ხოლო ებრაელთა თვისებები მათ იმდენი აქვთ, რომ მაშინაც კი, თუ მსოფლიოს ყველა მეცნიერი შეცდომით აღიარებდა მათ არიელებად, თავად ცხოვრება აღშფოთდებოდა ასეთი განსაზღვრის წინააღმდეგ...

როგორც უნდა არაზუსტი იყოს სომხეთის ნაწერი ისტორია, მასში მაინც ბევრია დამახასიათებელი და ჭკუის სასწავლებელი როგორც თხრობის ტონის დიდ უცერემონიობაში, ასევე თავად ფაქტებში. კათოლიკოს იოანე VI-იდან დაწყებული („სომხეთის ისტორია სამყაროს დასაბამიდან 925 წლამდე“, სენ მარტენის მიერ თარგმნილი ფრანგულ ენაზე) უგვიანეს დრომდე — სომეხი ისტორიკოსები პრეტენზიას აცხადებენ ცნობების სიზუსტეზე, ისინი მიეკუთვნება სწორედ ზღაპრულ პერიოდს. სომხები წარმოიშვნენ თითქოს ნოესგან; მისი შვილთაშვილი და იაფეტის შვილიშვილი იყო მითიური ჰაიკი. სომეხი არქიეპისკოპოსის იოსების სიტყვით, რომელმაც თავისი წიგნი უძღვნა იმპერატორ პავლე I-ს — „სარწმუნო თხრობა სომხური ტომის წინაპართა გენეალოგიაზე გვაუწყებს ასე; ნოემ გააჩინა იაფეთი, იაფეთმა — გომერი, გომერმა — თირასი, თირასმა — ტორკომი, ტორკომმა — ჰაიკი, რომელმაც ნებროთთან ერთად წამოიწყო ბაბილონის გოდოლი. ვინაიდან მას არ სურდა ეღიარებინა ნებროთის უმაღლესი ხელისუფლება, ამიტომ დატოვა ეს წამოწყება და დაუბრუნდა თავის მიწას, რის გამოც ნებროთმა დაუწყო ომი, რომელშიც ჰაიკმა გაიმარჯვა და მოკლა ნებროთი. ამიტომ ხალხმა, რომელიც ემორჩილებოდა ჰაიკს, მიიჩნევდა რა მას მამად და ხელმწიფედ, უწოდა თავის თავს მისი სახელისგან ჰაიკანელები“. შემდეგ მოდის მთელი რიგი ასევე სარწმუნო და დამტკიცებული

ფაქტები. ფურცლები აჭრელებულია „დიადი“ სახელებით, რომლებიც უცნობია ყველა ისტორიისთვის, გარდა სომხურისა, ხანდახან კი ჩნდება ნაკლებად საეჭვო წარმოშობის ძალიან გაზვიადებული სახის ფიგურები.

თუკი, გარდა სიტყვისა „მონაჩმახი“, დაგვეჭირდებოდა დაგვეწერა სომხური ისტორიის ფურცლებზე სიტყვა, რომელიც ზუსტად დაახასიათებდა დამაჯერებელ ფაქტებს, მაშინ ალბათ ვერ გავექცეოდით სიტყვას „ღალატი“. სომხეთის საეჭვო მბრძანებლები, ქვეყნის, რომლის საზღვრებიც მუდმივად იცვლებოდა, ყოველთვის დამოკიდებული იყვნენ ძლიერ მეზობელ მონარქიებზე და ყოველთვის, სისტემატურად ღალატობდნენ მათ. დიდგვაროვანი ადამიანები (ნახარარები) ღალატობდნენ მეფეებს, ხალხი – მათაც და სხვებსაც. ზნე-ჩვეულებათა სისასტიკე და ურთიერთობათა არასაიმედოობა ფენომენური იყო. საკმარისი იყო სპარსელებს, რომაელებს, არაბებს ვინმე დაენიშნათ სომხეთის მმართველად, რომ აუცილებლად ეს მმართველი მზადებას იწყებდა ამბოხებისთვის.

საკუთრივსომხეთში,ე.ი.სომხეთისზეგანზერაიმედამოუკიდებელი სამეფო გაუქმდა საკმაოდ დიდი ხნის წინ, მე-5 საუკუნეში, როცა სომხეთი აშკარად გახდა სპარსეთის პროვინციად და ფაქტობრივად, როგორც უახლოესი და ორგანიზებული ხელისუფლება სომეხ ხალხზე გამეფდა თეოკრატია კათოლიკოსის მეთაურობით. მას შემდეგ სომხეთა მესვეურნი, ასე ვთქვათ, არანაკლებ თვალსაჩინოდ ვაჭრობენ ორ დახლზე: ყიდიან მამულს და ხალხს ხან სპარსელებზე, შემდეგ კი – საერთოდ მუსლიმანებზე, ხან – ბიზანტიაზე, ხოლო მალულად აწარმოებენ ბრძოლის საკუთარ ხაზს ტომობრივი თვითმყოფადობისთვის.

სახელმწიფოებრიობის რაღაც აჩრდილი წარმოიშვა XI საუკუნის ბოლოს პატარა ქილიკიაში და საბოლოოდ გაიფანტა 1375 წელს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 7. გადასვლა თეოკრატიასა და მონოფიზიტობაზე

სომეხთა შორის ქრისტიანობის პირველი ხსენება (თავადი აბგარ ედესელი) მათი ებრაელებთან ტომობრივი სიახლოვის გამო გვხვდება ძალიან ადრე, ჩვ. წ-აღ-ის I საუკუნეში, მაგრამ ფორმალური, თუმცა, თავისი არსით, ფრიად საეჭვო ქრისტიანობის შემოღება განეკუთვნება 301 წელს: წმ. გრიგოლ განმანათლებელმა მოაქცია ქრისტიანულ რჯულზე მეფე თრდატი, რომელმაც მონათლა თავისი ქვეშევრდომები და ამის შემდეგ, მალე, უეცრად გარდაიცვალა: ვარაუდობენ, რომ იგი მოწამლეს ახალმა ქრისტიანებმა. სომხურ ენაზე მხოლოდ მე-5 საუკუნეში ჩნდება ბიბლია, რომელიც თარგმნა მესროპმა. ჭეშმარიტ ქრისტიანებს და ეკლესიის მეთაურებს სომხეთში მძიმე ცხოვრება უწევდათ; მაგალითად, კათოლიკოსი ნერსეს დიდი, სხვათა შორის, IV საუკუნის ბოლოს აწარმოებდა გააფთრებულ და იმთავითვე უღირს ბრძოლას მეფესთან არა ქრისტიანული იდეალების სახელით, არამედ თეოკრატიის დაარსების მიზნით და ზოგიერთი ცნობით, სიცოცხლე დაასრულა არაბუნებრივი სიკვდილით. მეფე ტიგრან II აიძულებდა სომხებს, თაყვანი ეცათ იულიანე განდგომილის გამოსახულებისთვის.

განსაკუთრებით საინტერესოა სომხების მიერ მართლმადიდებლობისგან განდგომა. იგი გამომდინარეობდა თეოკრატიული სწრაფვისგან, მატერიალური და პოლიტიკური შეხედულებებისგან, მზადდებოდა დიდხანს, მაგრამ გაფორმდა და იპოვა თავისთვის დოგმატური ჩაძიებანი მხოლოდ VI საუკუნეში, როცა სომხებმა სპარსეთის მეფის ხოსროს საამებლად საბოლოოდ უარყვეს ქალკედონის კრების ფორმულა და შეუერთდნენ მონოფიზიტებს. სპარსელებს ეს სჭირდებოდათ იმიტომ, რომ განხეთქილება შეეტანათ ქრისტიანულ სამყაროში და დაესუსტებინათ ბიზანტია. ასეთივე სწრაფვა გამოავლინეს არაბებმაც, რომელთაც ამისთვის აამოქმედეს მუქარაც და ფულიც, ანუ ის საშუალებები, რომელთა წინაშეც პაიკის შთამომავლები ყოველთვის უძლურნი იყვნენ. სომხები, ერთი მხრივ, სარწმუნოების ღალატის ფასად დააღწენ მონური დამოკიდებულების გზას უცხოელი მბრძანებლების წინაშე,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მეორე მხრივ კი, დაამკვიდრეს იატაკქვეშა სახელმწიფოს განსაკუთრებული ტიპი, რომელიც უპასუხებდა მათ სემიტურ ინსტინქტებს, კერძოდ, თეოკრატიას, მასში კი პოლიტიკურ და მატერიალურ ინტერესებს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს რელიგიურის საბიანოდ.

ღია სახელმწიფოებრიობის ასეთი ლიკვიდაცია, რომელიც საჭიროებდა სიმამაცესაც, ერთგულებასაც, ნებაყოფლობით, კეთილი მიზნით დისციპლინირების ცოდნასაც, ასევე მსხვერპლს მატერიალური კეთილდღეობითა და სისხლით – ცხადია, არ გამოდგება რასის კეთილშობილებისთვის პატენტად. მაგრამ საჭიროა ვაღიაროთ, რომ საგარეო პირობები იყო ძალიან მძიმე და ღია ბრძოლა მეზობლებთან იქნებოდა მეტად უთანასწორო, ასე რომ, მონურ ბრძოლაზე გადასვლა მოუხდათ უნებურად. მეორე მხრივ, თეოკრატიაზე გადასვლა იყო უეჭველად პრაქტიკულად ბრძნული აქტი, ვინაიდან სწორედ თეოკრატიამ შეინახა სომხური რასის თვითმყოფადობა და გამოავლინა ამ თვითმყოფადობის აღორძინების საოცარი უნარი იქ, სადაც ამ უკანასკნელმა, გეგონებოდათ, უკვე საუკუნოდ დაიძინა.

სომეხთა მთელ შემდგომ ისტორიას, რომელიც აღსავსეა დიდი და პატარა უცხოელი მბრძანებლების წინაშე დამცირებით, გასდევს მლივს შესამჩნევი ნაკადი და არასოდეს დაიშრიტება სომეხი ხალხის და სახელმწიფოს აღორძინების იმედი.

რა თქმა უნდა, ამაზე ოცნებობს არ მთელი ხალხი, არამედ ერთეული პატრიოტები, უპირატესად სასულიერო პირნი, გამდიდრებული ვაჭრები, ნახარარები ან მელიქები, რომლებიც წყალობისთვის მოხვდნენ შაჰებთან და სულთნებთან. ძალზე დამახასიათებელია, რომ ეს იმედი იზრდება სწორედ რუსეთის ტერიტორიული ზრდის კვალობაზე, მისი ძლევამოსილი დროშის მიახლოებით წინა აზიასთან.

სომეხთა ურთიერთობა რუსულ მთავრობასთან საკმაოდ ჭრელია. პეტრე დიდს ღრმად ესმოდა რუსული ისტორიული მისიის მნიშვნელობა ახლო აღმოსავლეთში და, რა თქმა უნდა, არაფერი ჰქონდა საწინააღმდეგო, რომ ადამიანები, რომლებიც თავს მიიჩნევდნენ ქრისტიანებად, გაძლიერებულიყვნენ თავიანთი მუსლიმანი მბრძანებლების, მართლმადიდებლობის და რუსული სლავიანური საქმის მტრების წინააღმდეგ. ამიტომ ზემონახსენებ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავანტიურისტს, იზრაელ ორიას, მეფემ გამოთქმის საშუალება მისცა, თუმცა მის ანკესს არ წამოეგო. დიდმა იმპერატორმა ბრძანა, სიტყვიერად განეცხადებინათ სომხებისთვის, რომ „ამჟამად დაკავებულია შვედეთის ომით" და ავანტიურაში ჩათრევის საშუალება არ მისცა. იზრაელ ორიას თხოვნაზე კი, მიეცა მისთვის ამ ომში მონაწილეობის ნება რუს მეომრებთან ერთად, ხელმწიფემ უბრძანა ეპასუხათ, რომ „მას იქ არაფერი ესაქმებოდა".

საინტერესოა, რომ XVIII საუკუნის მონარქთაგან ანა იოვანოვნა (ალბათ ვოლინსკისგან მიღებული ცნობების საფუძველზე, იგი ახლოს იცნობდა სომხებს) ამ უკანასკნელთ არ ენდობოდა, თუმცა ქრისტიანულ პოლიტიკას ეწეოდა, ვინაიდან მისი მხედართმთავრები ამარცხებდნენ მუსლიმანებს. ეკატერინე II კი, პირიქით, სომხების მიმართ მივიდა წყალობის უკიდურეს ზღვრამდე, რაც აიხსნება შესაძლოა მის კარზე გამეფებული ზნე-ჩვეულებების გახრწნითა და დიდი ფუფუნებით. ეს ბუნებრივია, თუკი არსებობდნენ კარისკაცები, რომლებიც „ფეშქაშებს" იღებდნენ სომეხი ვაჭრებისგან ძვირფასი საქონლის სახით. გარდა ამისა, „თავრიდის დიდებული თავადი" უეჭველად იყო დიდი ფანტაზიის ადამიანი და სომხეთის ზეგანზე ქრისტიანული სამეფოს აღორძინების აზრი ართობდა. იმპერატორ ეკატერინეს მეფობისას სომხებში გაჩნდა მრავალი თვალსაზრისით შესანიშნავი ადამიანი, დაუოკებელი ენერგიითა და დიდი პოლიტიკური წინდახედულობით, რაც ხშირად აბეზარობამდე მიდიოდა. ეს იყო არქიეპისკოპოსი იოსები, წამოშობით ძველი, დიდი ხნის წინ კულტურის მიხედვით გაქართველებული სომხური გვარის წარმომადგენელი, რომელსაც ჰქონდა ქართველი მეფეებისგან მიღებული თავადის წოდება. მისი გვარი იყო არღუთაშვილი-მხარგრძელი, რაც ზუსტი თარგმანით ნიშნავს Аргутовъ-Плечистый, მაგრამ შემდეგ გადაკეთებული დიდი „ფანტაზიით" და რუსულ მეტყველებაში შესული სახელით "Аргутинскi-Долгорукiй". რა თქმა უნდა, ამ გვარს რიურიკოვიჩ-დოლგორუკებთან საერთო არაფერი აქვს. ნახსენებმა არქიეპისკოპოსმა იოსებმა 1779 წელს დონზე დააარსა ნახჭევანი, სომხური ქალაქი, რომელიც დასახლებული იყო ყირიმიდან და თურქეთიდან ლტოლვილებით, სულ 15000 კაცით. ლტოლვილებს მიეცათ კარგი შეღავათი:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყირიმიდან მთელი ქონების გადაზიდვა ხაზინის ხარჯზე, 12000 დესეტინა მიწა, რომელიც 10 წლის განმავლობაში ყველანაირი ბეგარისგან იყო განთავისუფლებული, თავისუფლება სადგომებისა და რეკრუტჩინისგან (სამხედრო ბეგარა); ყოველი მეოჯახისთვის განკუთვნილი იყო 30 დესეტინა მიწა, ხე-ტყე და საშენი მასალა უფასოდ ეძლეოდათ, ხოლო თესლი, პირუტყვი და ინვენტარი 10 წლის შემდეგ დაბრუნებით. ამ ყოველივე ჩამოთვლილზე არსებობს ზუსტი ცნობები კანონების სრულ კრებულში.

ქართველთა მეფის ერეკლე II-ის დროს იმავე არღუთინსკის ცოდვილობით, რომელიც ისწრაფოდა გაეღვივებინა სომხური თვითშეგნება, საქართველოში დაამკვიდრეს ვიღაც ყარაბაღელი მელიქები, რომელთაც ჰყავდათ თავიანთი დაქვემდებარებული გლეხები და დააარსეს სოფელი შულავერი. ორი მელიქმა, მეჯნუნმა და აბომ, იჩქარა თავიანთი ახალი მბრძანებლის ღალატი და ეახლნენ ჯაშუშ-გამცილებლებად სპარსეთის შაჰს, აღა-მაჰმად-ხანს, რომელმაც 1795 წელს თბილისი დაანგრია. ამ უკანასკნელ ფაქტს აღიარებს წარმოშობით სომეხი, გენერალ-ლეიტენანტი ს.ო. ქიშმიშევი. სანქტ-პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორი ა.ა. ცაგარელი საფუძვლიანად შენიშნავს, რომ XVIII საუკუნის ბოლოს არქიეპისკოპოსი იოსები დიდ ენერგიას ავლენდა „მარტო იმ მიმართულებით, რომელიც არ ეთანხმებოდა რუსული მთავრობის სახეებსა და გეგმებს!“ ამ დასკვნის დადასტურება შეიძლება ვიპოვოთ აკადემიკოს ნ.ფ. დუბროვინთან, რომელიც ამბობდა, რომ 1796 წლის ზაფხულში სომეხმა არქიეპისკოპოსმა გადაწყვიტა ჩარეულიყო დაპყრობილი დერბენდის სახანოს საქმეებში და ხელიდან არ უშვებდა შემთხვევას, შარი მოედო მუსლიმანებისთვის, ცდილობდა დაემცირებინა ისინი სომხების წინაშე – ერთი სიტყვით, დერბენდში თავისი ყოფნის ყველაზე მოკლე ხნის განმავლობაში თავის წინააღმდეგ აიმხედრა მთელი მოსახლეობა. გრაფმა ზუბოვმა გამოიძახა იოსები მთავარ ბანაკში, მაგრამ იქაც მოუხდა ზომების მიღება, რათა შეეზღუდა არქიმწყემსის პოლიტიკანობა. შევიდა რა ურთიერთობაში ეჩმიაძინის პატრიარქთან, არავისთვის უკითხავს ნებართვა, იოსებმა მასთან ერთად დაწერა „კოლექტიური წერილი სომხებისთვის, რომლებიც ცხოვრობდნენ ყარაბაღსა და ამიერკავკასიის სხვა ადგილებში“. ამ მანიფესტში ნათქვამი იყო,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ რუსული ჯარების სპარსეთში შესვლის ძირითადი განზრახვა იყო „გაეთავისუფლებინა სომხები მუსლიმანთა უღლისგან და გაეხადა ისინი დამოუკიდებელი". ამ წერილმა საყოველთაო მღელვარება გამოიწვია ამიერკავკასიის მთელ მოსახლეობაში; სომხები ოცნებობდნენ სომხეთის დიდი სამეფოს აღორძინებაზე.

ნახსენები არქიეპისკოპოსის თანამედროვე, პ.გ. ბუტკოვი, ადასტურებს იოსების დიდ პატივმოყვარეობას, იგი თითქოს აპირებდა სომხეთის მეფედ გაეხადა თავისი ძმისშვილი და მოამზადა კიდეც სამეფო გვირგვინი. ჯერ კიდევ რუსეთში ყოფნის დროს არღუთინსკი-დოლგორუკი აპირებდა ეჩმიაძინის საპატრიარქო ტახტზე ასვლას, ამიტომაც შეუკვეთა თავისთვის საკუთარი გრავირებული პორტრეტი საპატრიარქო სამოსელში.

სომხური ეკლესიის ძალიან საინტერესო პოლიტიკური ისტორიაა აღწერილი ბროშურაში „ეჩმიაძინის საპატრიარქო ტახტის ურთიერთობის დაწყება რუსულ მთავრობასთან", რომელიც ეკუთვნოდა ზემონახსენებ ბ-ი ეზოვის კალამს. სომხების მიმართ მისი დამოკიდებულება შეუძლებელია იყოს კრიტიკული ან თუნდაც მიკერძოებელი, რადგან ისინი მას მიიჩნევდნენ თავიანთ ერთ-ერთ ხელმძღვანელად და აპოლოგეტად. XVIII საუკუნის ბოლოს, ეჩმიაძინის კათოლიკოსის საყოველთაო-სახალხო არჩევის პრინციპის მიუხედავად, ამ კათედრაზე ავიდა არქიეპიკოპოსი გუკასი (ლუკა), რომელიც აირჩია მხოლოდ ეჩმიაძინის სამღვდელოებამ. კონსტანტინოპოლის სომეხმა პატრიარქმა ზაქარიამ ეს გააპროტესტა. გუკასი სწერდა მას დაშაქრულ წერილებს, ამ ხნის განმავლობაში კი კონსტანტინოპოლის სომხური თემი ზრუნავდა თურქეთის მთავრობისგან გამოეთხოვა ზაქარიას გადაყენება. გუკასის მოუთმენლობა, რომელიც ბ-ნ ეზოვს ქებით ცამდე აჰყავს, აიხსნება იმით, რომ საჭირო შეიქნა ეჩმიაძინის ტახტზე იზრაელის, აღვანის პატრიარქის (განჯისარაის მონასტრის ახლოს ქ. შუშა), არჩევის თავიდან ასარიდებლად. საუბარი იყო იმაზე, რომ დარტყმა მიეყენებინათ აღვანის განკერძოებული პატრიარქისთვის და დაემყარებინათ თეოკრატიული ერთმმართველობა. ამაში მოქმედი მოხელეების საქმეში ჩაუხედაობის ან მექრთამეობის გამო მას მხარი დაუჭირა თურქულმა და რუსულმა მთავრობამაც ამაღელვებელი ერთსულოვნებით, თუმცა მათი ინტერესები იყო

საპირისპირო. ჩვენი წარგზავნილი კონსტანტინოპოლში, ტომარი, 1801 წელს თანაგრძნობით ატყობინებდა მთავრობას, რომ გუკასი ისწრაფოდა „აღედგინა თავისი ერი რუსეთის დახმარებით". აღვანის პატრიარქატი უცხოელი კათოლიკოსის საამებლად თავდაპირველად ძალზე შეავიწროვეს, შემდეგ კი, ყარაბაღის და განჯის მიერთების მერე რუსეთთან, შეუმჩნევლად გააუქმეს, მოახდინეს მისი ექსამოტირება. ჩანს, ჩვენი პოლიტიკოსები ნაკლებშორსმჭვრეტელნი იყვნენ, ვიდრე თუნდაც თურქები, რომლებიც მიხვდნენ, რომ საჭირო იყო თავიანთ საზღვრებში მხარი დაეჭირათ სიის და ახთამარის საპატრიარქოების დამოუკიდებლობისთვის „სრულიად სომეხთა კათოლიკოსისგან".

საქართველოს მიერთების მომენტში სომხური სამღვდელოება ისწრაფოდა ეჩვენებინა, რომ სომხები აქ რაღაც განსაკუთრებულ როლს ასრულებდნენ და მთავარი არსი სწორედ სომხებში იყო. ვინაიდან სომხების მონოფიზიტობა რუსი იერარქების მიერ იყო წარმოქმნილი, ხოლო რუსეთმა იხსნა და თავის წიაღში მიიღო საქართველო, როგორც ერთმორწმუნე სამეფო, არქიეპისკოპოსმა იოსებმა იზრუნა გაევრცელებინა რაც შეიძლება სასურველი ცნობები სომეხთა გრიგორიანელობაზე. 1799 წელს სანქტ-პეტერბურგში გამოვიდა რუსეთში მცხოვრები სომეხი ხალხის არქიეპისკოპოსის, იოსების წიგნი „ქრისტიანული სარწმუნოების აღმსარებლობა სომხური ეკლესიის მიერ". მე-14 გვერდზე ნათქვამია ქრისტეს შესახებ: „ერთ პირში, ერთ სახეში და შეერთებული ერთ ბუნებაში"; 50-ე გვერდზე იოსები ამბობს, რომ ბუნება აქ ტოლია პირის ცნების. მაგრამ მაშინ რა საჭირო იყო ორისხვადასხვა მნიშვნელობის ცნების მოყვანა? აშკარაა, რომ ეს კეთდებოდა სომეხთა მონოფიზიტობის დასაფარად. რა თქმა უნდა, იგი საგულდაგულოდ დუმდა კათოლიკოს იოანე IV ოტცნიკელზე, ფილოსოფოსად წოდებულზე, რომელსაც გრიგორიანული ეკლესია მიაკუთვნებდა წმინდანებს. მუსლიმანი არაბების საამებლად და მათგან მიღებული ჯილდოს ფასად, ამ იერარქმა მოიწვია კრება, რომელზეც ანათემას გადასცა ქალკედონის კრება და წარმოთქვა შემდეგი გადაწყვეტილებები: „ვინც ამბობს, რომ ქრისტე იყო ადამიანი თავისი ბუნებით, და ქმნილება ხორცით ხრწნადი, რომელიც ექვემდებარება ტანჯვას და სიკვდილს ადამიანური ბუნებით, იყოს შეჩვენებული; ვინც არ აღიარებს ქრისტეს ერთიან

ეროვნული
ბიბლიოთეკა

უკვდავ არსად, დაე შეაჩვენონ“.

ხედავდნენ რა, რომ ეს სომხური ეკლესიის კომპრომეტირებას ახდენდა მართლმადიდებლების თვალში, XIII საუკუნეში სომეხი ისტორიკოსი კირაკოზი, ხოლო მოგვიანებით ნახსენები იოსები და კათალიკოსი ნერსესი ცდილობდნენ დაეფარათ სომეხთა მონოფიზიტობა.

ყველა ამ მაქინაციას საინტერესოდ ამხელს სასულიერო აკადემიის პროფესორი ტროიცკი „სომხური ეკლესიის სარწმუნოების გადმოცემაში“ 1877 წელს და ბ-ნი ანინსკი („სომხური ეკლესიის ისტორია“, კიშინიოვი, 1900 წელი).

არქიეპისკოპოსი იოსები, სხვათა შორის, ტყუილად შფოთავდა ამ საკითხის გამო. იმ დროს ჩვენი ბიუროკრატია ნაკლებად ზრუნავდა მართლმადიდებლობაზე და კიდევ უფრო ნაკლებად ესმოდა ეს. მას შემდეგ სომხური საქმე რუსულ ფარგლებში განუხრელად იზრდებოდა და დროდადრო დიდი ნახტომებით წინ მიიწევდა. თურქმენჩაის ტრაქტატის მიხედვით, რუსეთის შემადგენლობაში შევიდა ეჩმიაძინი და კათოლიკოსი დატოვეს სრულიადსომეხთამსოფლიოსაეკლესიოპატრიარქისუფლებებით. ქართული მართლმადიდებლური ავტოკეფალიური ეკლესია ჩვენ დროულად გავაუქმეთ და მისი მიწები გადაეცა ხაზინას, ხოლო ამის გვერდით, რუსეთის ფარგლებში აღმოჩნდა თეოკრატიული სახელმწიფო სახელმწიფოში, რომელიც ფაქტობრივად კონტროლს არექვემდებარებოდადაუზარმაზარიავტორიტეტიჰქონდათავისი „პოლიტიკური სამწყსოს“ თვალში. პასკევიჩის დროს სპარსეთში გაგზავნეს პოლკოვნიკი ლაზარევი სომეხთა მოსაწვევად, ისინი ამიერკავკასიაში დაახლოებით 40 000 სული გადმოვიდნენ. ეჩმიაძინის პატრიარქიც მონაწილეობდა ამ კომბინაციაში: მან უბრძანა სომეხ მღვდლებს გადმოსახლებულიყვნენ სპარსეთიდან, რათა მათ წამოყოლოდნენ თავიანთი სამრევლოები. ანდრიანოპოლის ხელშეკრულებით, ჩვენ მივიღეთ 100 000 თურქ სომეხზე მეტი; მარტო ერზერუმელმა არქიეპისკოპოსმა კარაპეტმა 70 000-მდე სომეხი მოიყვანა. მას შემდეგ სომეხთა გადმოსახლება მუსლიმანური სახელმწიფოებიდან განუწყვეტლად მიმდინარეობდა: ხან ძლივს შესამჩნევი ნაკადით, ხან, როგორც ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში, ფართო, სწრაფი ნაკადით. ახლა, როცა მეტ-ნაკლებად ნათელია, რა შედეგებამდე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიგვიყვანა კავკასიელ ადმინისტრატორთა სწრაფვამ, მოეზიდათ რაც შეიძლება მეტი სომეხი, ურიგო არ იქნება გავიხსენოთ მალოროსიული ანდაზა: „купивъ собі біду, тай за свои гроши".

რა თქმა უნდა, იოსებ არღუთინსკიც და კათოლიკოსი ნერსესიც, რომლებიც საპატრიარქო ტახტზე იმყოფებოდნენ 1843 წლიდან 1857 წლამდე, იყვნენ სომხური იდეის კოლოსები სხვა თავიანთ თანატომელებთან შედარებით. სომხური თვალსაზრისით, ნერსესის შემოქმედებითი მოღვაწეობა მისი არქიეპისკოპოსად ყოფნის დროს თბილისსა და კიშინიოვში პირდაპირ უზარმაზარია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 8. ტომობრივი განკერძოებულობა და ეკონომიკური მბრძანებლობა

სომხური მოსახლეობის მასა, ვგონებ, ფიქრობდა თურქეთსა და სპარსეთში ავტონომიების შესახებ, მაგრამ, როგორც კი გადავიდა უმძლავრესი რუსეთის ფარგლებში, თანაც კავკასიაში, რომელიც მაშინ საკმაოდ რაციონალურად იმართებოდა, თავდაპირველად არ აჰყვა უგუნურ ბოდვას. იგი ისვენებდა მძიმე განსაცდელისგან, მდიდრდებოდა და შეუმჩნევლად იმზადებდა ჯერ ეკონომიკურ ნიადაგს. თუმცა რომ აჯანყებულიყო, მაგალითად, ერმოლოვის დროს არც ისე მოსახერხებელი იქნებოდა.

მისი უდიდებულესობის ბრძანებით გამოცემული „კავკასიაში რუსულ სამფლობელოთა მიმოხილვის" (სპბ. 1836) 197–199-ე გვერდებზე ნათქვამია: სომხები, მოსეს ხალხის მსგავსად, უნდა გაფანტულიყვნენ მთელი დედამიწის ზურგზე, შეეგროვებინათ სიმდიდრე, რასაც თავიანთი მბრძანებლების უღელქვეშ ვერ აგროვებდნენ და ვერ ტკბებოდნენ საკუთარ მიწაზე. ეს გახდა სომხის უხასიათობის მიზეზი: ის გახდა კოსმოპოლიტი; მის სამშობლოდ იქცა ის ქვეყანა, რომელშიც იგი რაც შეიძლება მეტი სარგებლით და უსაფრთხოებით საკუთარ მარჯვე გონებას გამოიყენებდა მოგებისთვის. მაგრამ ამ თვალსაზრისითაც შესამჩნევია რაღაც სახით მისი სულის მფრთხალობა; საჭიროა ძალზე აშკარა, საკმაოდ დადებითი სარგებელი სომხის ბიძგისთვის რამე მნიშვნელოვანი სავაჭრო ბრუნვის განსახორციელებლად. თუმცა მაშინაც კი ხშირად შიში – დაკარგო უკვე შეძენილი – წარუმატებლობის მიზეზი ხდება წამოწყებულ საქმეში. ყოველივე ეს შეიძლება მომხდარიყო ნაწილობრივ იმ შევიწროებული მდგომარეობისგან, რომელშიც ისინი იყვნენ აზიური მმართველობის დროს, რადგან სიმდიდრე ზოგჯერ სიცოცხლეს საფრთხეს უქმნიდა, ან, უკიდურეს შემთხვევაში, საჭირო იყო საგულდაგულოდ დაემალათ შეძენილი. ეშმაკობა, ცბიერება – უმეცართა აუცილებელი თვისებებია და მით უმეტეს, ვაჭარ ხალხთა – დამახასიათებელი სომხებისთვის: მათთვის ყოველგვარი მოტყუება დასაშვებია ყიდვასა და გაყიდვაში, ყოველგვარი ზომა შესაძენად – კანონიერად. მათ ხელში ჩაიგდეს თბილისის და მთელი ამიერკავკასიის ვაჭრობა; ასრულებენ ყოველგვარი სახის დავალებებს, თითქმის ყველა იჯარა-შესყიდვა მათ ხელშია, იღებენ ყველა სანარდო სამუშაოს, ასრულებენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკომისარიატო და საპროვინციო კომისიათა მოვალეობებს. ისინი არიან მთარგმნელები, მომხსენებლები, ფაქტორები; ერთი სიტყვით, სადაც არის შესაძლებლობა მიიღო მოგება, იქ აუცილებლად იმყოფება სომეხი. ანგარება – მათი ყოველგვარი ზრახვის და საქციელის პირველი მამოძრავებელია.

ეს დახასიათება დღესაც სწორია, გარდა კოსმოპოლიტობაზე მითითებისა. 30-იანი წლების შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა და სომხური ტომობრივი განკერძოებულობა განვითარდა ძალიან სწრაფად სასულიერო და საერო პატრიოტების სწრაფი გამდიდრების და სიმდიდრის დაუბრკოლებელი მოხმარების შედეგად, აგრეთვე მთელ რიგ რუს მმართველებში შორსმჭვრეტელობის უქონლობის გამო, მათ სომეხი მოთავეები ყოველთვის არწმუნებდნენ ყოველგვარი საშუალებით, ზოგჯერ კი, კავკასიური გადმოცემების თანახმად, ნივთიერი არგუმენტებითაც რუსეთის მიმართ თავიანთ ურყევ ერთგულებაში. ეს უკანასკნელი, სხვათა შორის, თითქოს მტკიცდებოდა ყოველი ომის დროს, როცა სომხები მსახურობდნენ ჯაშუშებად თურქების და სპარსელების წინააღმდეგ; მტკიცებულება ნაკლებსაიმედო გახლდათ, ვინაიდან თვითონ ჯაშუშის ხელობაში არსებობს უნდობლობის საფუძველი მისი მატარებლის მიმართ.

საკმაოდ დამახასიათებელია „მიმოხილვის“ ავტორის შენიშვნა სომეხთა სულის გაუბედაობაზე სამრეწველო სფეროშიც კი. თავადი ვორონცოვი თითქმის ძალით ახვევდა მათ ხელსაყრელ წამოწყებებს, რითაც სათავე დაუდო სომხების უზარმაზარ ქონებას. მათ გამდიდრებაში პირველივე დღეებიდან დღემდე მამოძრავებელია პარაზიტული დასაბამი და არა შემოქმედებითი. გერმანულ ეკონომიკურ ლიტერატურაში ამას ეწოდება ჩონჯუნცტურგეწინნ, ანუ ხეირი, შემთხვევითი ან ხელოვნური, პირობათა განსაკუთრებული დამთხვევიდან მიღებული. ასეთ მომქაფავ ტექნიკაში გაწაფვისკენ, ადგილობრივ ხელისუფალთა და უცხო მოსახლეთა გაბმისკენ იყო მიმართული XIX საუკუნის პირველ ნახევარში სომეხი ბურჟუაზიის ყველა ძალა.

იმისთვის, რასაც „მიმოხილვის ავტორი“ უწოდებს სომხების „უხასიათობას“, უფრო ზუსტი იქნებოდა დაგვერქმია გარეგნობით ასიმილირების უნარი, ანუ უცხო სახელების, ტანსაცმლის და წეს-ჩვეულებების მიღება. საქართველოში სომეხთა დიდმა მასამ მიიღო გვარი დაბოლოებით „შვილი“, მუსლიმანურ პროვინციებში გაჩნდნენ უსუფ-ბეგები, ყარა-ბეგები, იბრაგიმ-ხანები და ამის მსგავსი სომეხთა საფარი; რუსეთში გაჩნდა არა მარტო სახელები სომხური ძირით და

რუსული დაბოლოებით, არამედ კრასილნიკოვები, საპოჟნიკოვები, ლისიცინები, სერგეევები, პოპოვებიც კი. ასტრახანში იყო საშინელი სომეხი მევახშე რუსული გვარით, რომელსაც უწოდებდნენ „წითელ სარტყელს". მისი შთამომავლები შეძვრნენ თავადაზნაურობაში და ისეთ წრეებში, სადაც ვერავინ წარმოიდგენდა...

ასიმილაცია, როგორც შემდგომ აღმოჩნდა, იყო ძალზე ზედაპირული და დროებითი. სომხობას განცალკევების ჯავრი სჭირდა და ეს ჯავრი იზრდებოდა, თავიდან შეუმჩნევლად, მაგრამ XIX საუკუნის მეორე ნახევარში თვალსაჩინო, თავბრუდამხვევი სისწრაფით.

განცალკევების იდეას სომხებს კარნახობდნენ ინგლისელებიც, რომლებიც სულ თავიდან, ჩვენი კავკასიური ომის დაწყებიდან, ისწრაფოდნენ შეეგულიანებინათ ყველა ადგილობრივი ტომი რუსეთის წინააღმდეგ ასაჯანყებლად, პოლონელებიც, ორი, თუ ასე შეიძლება ითქვას, შემხაპუნებით, 30-იან და 60-იან წლებში, უფრო მოგვიანებით გერმანელები და ბოლოს თვითონ სომხები, რომლებიც მოდიოდნენ საზღვარგარეთიდან. ასეთ სომხებს შორის გამოირჩეოდა განსაკუთრებით „შხამიანი" ორი ოჯახი: პირველს ჰქონდა კლერიკალურ-სეპარატისტული მიმართულება, მეორეს კი — სეპარატისტული, ბურჟუაზიულ-ლიბერალურ ნიადაგზე, ზოგჯერ რადიკალური ელფერით. რუსეთის ყოველი ომი მეზობელ აღმოსავლურ სახელმწიფოებთან, ერთი მხრივ, ზრდიდა სომეხთა რაოდენობას, ამასთან ისეთი ელემენტების მქონეთ, რომელთაც გამოიმუშავეს თავიანთ თავში ინსტინქტური მიდრეკილება ამბოხის მიმართ ქაოსურ აზიურ დესპოტიებში; მეორე მხრივ — ომი ფრიად ამდიდრებდა მათ სამრეწველო კლასს. მიმწოდებლები, ჯაშუშები, მორიდიორები ძალზე ითბობდნენ ხელს, ხოლო ფასები ყველა აუცილებელ პროდუქტზე სწრაფად იზრდებოდა ომის საბაბით, შემდეგ კი რჩებოდა ამ არანორმალურ დონეზე. ჯერ კიდევ პოგოდინი, რომელიც ეწვია ამიერკავკასიას თავად ბარიატინსკის დროს, აღნიშნავდა ცხოვრების საკმაო სიძვირეს, როგორც ჩანს, ხელოვნურს.

სამეფისნაცვლომ აგრეთვე არანაკლებ შეუწყო ხელი სომხების ეკონომიკურ სიძლიერეს და ტომობრივ განცალკევებას. ამჟამად უდავოდ დრომოჭმულ კავკასიის მმართველობის ფორმას იმ ისტორიულ პერიოდში ჰქონდა თავისი სიგონივრულის საფუძველი, მაგრამ ამასთანავე ბნელი მხარეებიც. ასე, მაგალითად, მეფისნაცვალმა, თავადმა ვორონცოვმა, რომელმაც მიზნად დაისახა კავკასიელ ხალხთა „ევროპეიზაცია", ისინი წაიყვანა მოთხოვნილებათა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძლიერი გაზრდის გზით ფუფუნების და ხმაურიანი საზოგადოებისკენ განვითარებისკენ. ეკონომიკურად მოუმზადებელი ელემენტები ღატაკდებოდნენ, ხოლო მტაცებლები, ე.ი. სომხური ბურჟუაზიის წარმომადგენლები, ძლიერ მდიდრდებოდნენ პატივმოყვარე დიდგვაროვანთა ძელებზე, რომლებიც მიფრინავდნენ ახალ სატყუარათა ცეცხლზე. პირველივე მეფისნაცვლის დროს წარმოიქმნა რაღაც სამეფო კარის მსგავსი და თუმცა „კარისკაცები“ ძირითადად იყვნენ დიდგვაროვანი ოჯახის წარმომადგენლები, მაგრამ მათი ფულადი დამოკიდებულება სომეხ მდიდრებზე განაპირობებდა იმას, რომ ეს უკანასკნელნი ფაქტობრივად გავლენიანი ადამიანები ხდებოდნენ, არა ყოველთვის მხარის უფროსობის ნებართვით.

სამხარეო განცალკევების წინააღმდეგ შეიძლებოდა ბევრად ადრე ზომების მიღება რუსული ეკონომიკური ძალის გონივრული დანერგვით და რაც მთავარია, ამიერკავკასიის რუსეთთან უფრო მოკლე რკინიგზით შესაძლო შეერთებით. მაგრამ სწორედ ეს არ გააკეთეს, როგორც უკვე მქონდა შემთხვევა აღმენიშნა ეს წინა თავებში. ამის ნაცვლად გაიყვანეს ამიერკავკასიის რკინიგზა, ე.ი. მოხდა ვრცელი მხარის ეკონომიკური სისხლის მიმოქცევის განცალკევების ორგანიზება. ჩვენში მიღებულია რკინიგზას ვუყუროთ როგორც პროგრესის და საერთოდ გამდიდრების ფაქტორს. ეს შეხედულება სრულიად არასწორია და შესაძლოა მოგონილია დაინტერესებული პირების მიერ, ხოლო ამას, არასათანადოდ გაგებულს, იმეორებენ სხვა მცხოვრებნიც. რკინიგზა არის იარაღი, რომელიც მთლიანად ემსახურება იმას, ვინც ეკონომიკურად ძლიერია სხვებზე, ასევე ძლიერსა და სუსტს შორის, ე.წ. შეთქმულთა ხროვასა და დაქსაქსულ მცხოვრებთა შორის უთანასწორო ბრძოლის კვანძის გამამწვავებელია და დამაჩქარებელი. ამიერკავკასიის გზა აღმოჩნდა უპირატესად ქვეყნის მთელი მოსახლეობის სწრაფი, მტაცებლური ექსპლოატაციის იარაღი სომეხი ბურჟუაზიის მიერ, ისევე, როგორც ბანკები და მრავალი სხვა...

თავიანთი ეკონომიკური ზემოქმედების ვრცელ რაიონს მბრძანებლები ასეთ პირობებში სიამოვნებით იღებენ მომავალ პოლიტიკურ ტერიტორიად, მით უმეტეს, რომ წინა აზიის მთელი ისტორია მდიდარია ფაქტებით, რომლებიც აღსავსეა ასეთი „მეოცნებეობით“. ან როგორ არ უნდა ეოცნებათ ადამიანებს, რომლებიც სწრაფად გამდიდრდნენ ბნელი გზებით, შემოქმედებითი შრომის გარეშე, თან ხედავდნენ, რომ რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში მათთვის ყველაფერი იყო ნებადართული, ყველაფერი

ხახვიით შერჩათ! მექრთამეობის სისტემა ორგანიზებულია, ადგილობრივი და დედაქალაქის ბეჭდვითი სიტყვა მათ სამსახურშია, პეტერბურგი, ხელისუფლების პატიოსანი წარმომადგენლების სახით, საქმეში გარკვეული არაა ... რა თქმა უნდა, უცნაური იქნებოდა, არ ეოცნებათ!..

მუსლიმანები,დაპყრობილიოლქებისმცხოვრებნი,მწარეირონიით კითხულობენ: „სად არიან რუსები? მაინც ვისთვის დაგვიპყრეს? ყოველ შემთხვევაში, არა თავიანთთვის. ჩვენ ეხედავდით მამაც რუს ჯარისკაცებს, ახლა კი ვუყურებთ მხოლოდ სუსტ ან ანგარებიან რუს მოხელეებს, ხშირად არარუსული წარმოშობით. არც თქვენი ვაჭრები, არც თქვენი მხვნელ-მთესველები აქ არ ჩანან! ყველა სომეხი ჩვენი გუშინდელი მონაა. რაღა გვეთქმის! ღირდა ომი, რომ ეს ცუდი ადამიანები გაგებატონებინათ?!..“

კავკასიელი სომხებისთვის გადამწყვეტი ეკონომიკური და შემდგომ პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა ორ ფაქტს, რომლებმაც, ასე ვთქვათ, გაარღვია კამხალი, რამდენადმე მაინც რომ აკავებდა მათ შეტევით მოძრაობას. ეს იყო, ჯერ ერთი, 60-იანი წლების რეფორმების ხარვეზები, მეორეც, ნავთობმრეწველობის განვითარება ბაქოს რაიონში.

პირველმა ფაქტმა გამოიწვია თავადაზნაურობის გალატაკება და მისი ავტორიტეტის დაცემა ამიერკავკასიაში, ბევრი ისეთი რუსის მოზღვავება, რომლებიც მტრულად განწყობილნი რუსული წყობის მიმართ გატაცებულნი იყვნენ ახალი იდეებით — ბურჟუაზიულ-ლიბერალურიდან დაწყებული ანარქიის ჩათვლით. ასეთი ადამიანები ვერც რუსულ საქმეს შექმნიდნენ, ვერც ხელს შეუშლიდნენ არარუსულ განცალკევებას. სამართლებრივი წესრიგი, მართებული იქ, სადაც ძლიერაა განვითარებული მოსახლეობის ყველა ფენის და კატეგორიის მოქალაქეობრიობა და თვითმოქმედება, აღმაშფოთებელ უგუნურებად იქცა ამიერკავკასიაში, რადგან ყველა და ყველაფერი ხელში ჩაუვარდა სომხებს, რომლებსაც ბურჟუაზიულ-სამართლებრივ წყობაში გამარჯვებისთვის აუცილებელი ხასიათის თვისებები ჰქონდათ. გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ ეს თვისებები განვითარებულია მათში სიმახინჯემდე. იატაკქვეშა ორგანიზაციების მიმართ ისტორიული ჩვეულების ძალით, მათ იციან თითქმის შეუთანხმებლად წრეებში გაერთიანება, გამომუშავებული აქვთ დისციპლინირების უნარი, შეუძლიათ გაფიცვების, პატარა ეკონომიკური და სხვა შეთქმულებების ორგანიზება ყველა სხვა მცხოვრების წინააღმდეგ. ამ უნარით ისინი ჯობიან ებრაელებს,

რომელთაც სამაგიეროდ დიდი შემოქმედებითი ფანტაზია აქვთ, ვიდრე სომხებს.

ნავთობმრეწველობის პიონერები მხარეში თავდაპირველად იყვნენ რუსები, მაგრამ მალე მათი კვალიც კი გაქრა, იმიტომ რომ მათ არ შეეძლოთ გამდიდრების სომხური საშუალებების გამოყენება, არც კონკურენტების შევიწროების სომხური უნარი გააჩნდათ — სისხლის სამართლის დანაშაულებების მეშვეობით, გაფიცვებით და ინტრიგებით სამუშაო ადგილების ყოველგვარ უწყებაში. რამდენიმე ათეული მილიონის ქონება თავბრუდამხვევი სისწრაფით წარმოიშობოდა. გუშინდელი მებელლე, მებარგული, ნავმისადგომის მტვირთავი, წვრილი ნოქარი ან მეტ-ნაკლებად ცნობილი კონტრაბანდისტი, მიიღებდა რა „თავისი ხალხისგან" ხაზინიდან მოპარულ სანავთობე ერთ მტკაველ მიწას, რამდენიმე თვის შემდეგ შეეძლო ეყიდა ათეულობით მოსამსახურე პირი, რომლებიც იყვნენ ხელმოკლენი, იზოლირებულნი, ყოველმხრივ მოკლებულნი ზნეობრივ და მატერიალურ მხარდაჭერას. შეიქმნა საშინელი ბაქანალია, რომელიც მზარდი ძალით დღემდე გრძელდება.

იქაური რუსი მსახურეული კლასის ნაწილი დიდი ხანია დამოკიდებულია სომეხ მდიდრებზე. არ არსებობს მხარეში თითქმის არც ერთი დაწესებულება, საქმე და პროექტი, რომელიც აბსოლუტურ საიდუმლოდ დარჩებოდა სომხებისგან. ყველა ადგილობრივი ტომის უმაღლესი წოდება თავიანთი წარმომადგენლების უზარმაზარი უმრავლესობის სახით თამასუქის ქამანდში მოქცეული დაწანწალებს და ზნეობრივად, ასე ვთქვათ, მხარის ახალი მბრძანებლების ეტლის ძარის უკან, სატერფულზე დგას. ბანკები, სახელმწიფოს ჩათვლით, ემორჩილება მათ: სახელმწიფო ბანკის ადგილობრივი განყოფილების სააღრიცხვო კომიტეტში დიდ უმრაველესობას სომხები შეადგენენ და ამით ფართოდ სარგებლობენ. ურთიერთკრედიტის საზოგადოება, რომლის ძირითადი კაპიტალი შედგება წინანდელი მოხელეების შედარებით მცირე დანაზოგისგან, სისტემატურად ემსახურება სოფლის და ქალაქის მევახშეების დახმარებას, მტკიცე ბადეში რომ ხლართავენ მთელ ადგილობრივ მოსახლეობას. ახლა ყველა კავკასიური ბეჭდვითი ორგანო მათ ძალაუფლებაშია ან სომხების გაელენის ქვეშ.

რამდენიმე რუსული გაზეთი, რომლებიც გამოცემულია სომხების მიერ და ამაღელვებლად სოლიდარულია ჩვენს ებრაულ ბეჭდვასთან, რა თქმა უნდა, მხოლოდ რუსულია სახელით; ბეჭდება და გამსჭვალულია რუსული შემოქმედებითი საწყისის მიმართ ზიზღით.

ცენზურა, რომელიც კანონით უნდა იყოს ობიექტური ტომობრივ საკითხში, ხშირად ძალზე აშკარად კეთილგანწყობილია სომხების მიმართ!

იმისათვის, რომ ეს ნათქვამი არ იყოს უსაბუთო, მოვიყვან რამდენიმე მაგალითს. ზემოთ უკვე აღვნიშნე, რომ ერთ-ერთ უძველეს მართლმადიდებლურ სიწმინდეზე დაცინვით აღსავსე წერილი ცენზურამ გაუშვა, მე კი ნება არ დამრთეს, გაზეთ „კავკაზში" მეპასუხა ამ სისაძაგლეზე, როგორც საჭირო იყო. მე შენახული მაქვს წერილის ამონაბეჭდი, რომელშიც რუსი ქალი მოუწოდებს თავის თბილისელ თანამემამულეებს მომჭირნეობისკენ, ზედმეტი ფუფუნებისა და საეჭვო კრედიტებისგან თავის შეკავებისკენ, ურჩევდა მათ გაფრთხილებოდნენ ქმრების, მამების და ძმების სამოხელეო ღირსებას და პატიოსნებას. წერილი აკრძალეს, იმიტომ რომ შეეძლო გაეღიზიანებინა ადგილობრივი ბობოლები, რომელთათვისაც ასეთი ქადაგების წარმატებულობა მიუღებელი იყო. ამგვარი წერილების აკრძალვის საბაბი იყო ეგრეთ წოდებული რასობრივი შეუწყნარებლობის დაუშვებლობა, თუმცა სომხების შესახებ იქ არც ერთი სიტყვა იყო ნათქვამი. ცენზურის რასობრივმა „შემწყნარებლობამ" ხელი არ შეუშალა მას, ნება დაერთო ქუჩის ფურცელში დაებეჭდათ უხამსი პასკვილი მაჰმადიანობაზე. ვიღაც ადგილობრიემა დაქირავებულმა კალმის ავაზაკმა დაწერა, რომ მაჰმადს ძალით უბიძგეს ჯოჯოხეთში. ეს ტყუილ-უბრალოდ კი არ იყო დაწერილი, არამედ იმ მიზნით, რომ გამოეწვიათ უწესრიგობა. მოედნესა და ბაზრებზე ამ ნომრის გამოსვლის დღეს სომხური ბრბოს წარმომადგენლებმა, რომლებიც მაშინვე იცოდნენ ეს, აჯავრებდნენ ამ წერილით ადგილობრივ მუსლიმანებს. ამ უკანასკნელთა გაღიზიანება იმ ზომამდე მივიდა, რომ ადგილ-ადგილ ადამიანებმა ხანჯალზე იტაცეს ხელი: მხარის მეთაური გასული იყო და მუსლიმანური სამღვდელოების წარმომადგენლებმა განუცხადეს მის თანაშემწეს, რომ პასუხს არ აგებდნენ თავიანთი სამწყსოს სიმშვიდეზე.

მხოლოდ ამ უკანასკნელი გარემოების წყალობით დამრთო ნება ცენზურამ, ძალიან მკვახე პასუხი გამეცა ნაძირალისთვის, რომელმაც უაზროდ ისროლა ბრბოში სხვა სარწმუნოების უხეში დაცინვა.

ამ ვითარების დასახასიათებლად დავამატებ, რომ წერილის ავტორი იყო სიღარიბისგან დემორალიზებული ქართველი აზნაური, რომელმაც შეწყვიტა თავისი „ლიტერატურული" კარიერა იმით, რომ ჩასაფრებიდან მოკლა ადამიანი, რომელთანაც ღორი ვერ გაიყო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სომეხი პლუტოკრატები აჭმევენ ასეთ ადამიანებს და ვინაიდან მათ ინტელიგენციას წერა არ შეუძლია, ხშირად სარგებლობენ გამყიდველი უცხოტომელების, ასევე ადგილობრივი და დედაქალაქის რუსების მომსახურებით. აღნიშნულ გმირს რაღაც დიდხანს ასამართლებდნენ, ინსტანციებს შორის შუალედში მან დაწერა ამაღელვებელი წერილი „ს.-პეტერბურგის ვედომოსტში“, იგი გადაასახლეს, შემდეგ კი ვიღაცის გულშემატკივრული შუამდგომლობით შეიწყალეს და ახლა ტფილისის საზოგადოებას ზნეობრივ პრინციპებს ასწავლის.

მეშინია, გვერდზე არ დაგავუხვიო და ჩავვარდე პირად მოგონებებში, მაგრამ თავს ვერ ვიკავებ და მინდა მოგითხროთ პატარა ფაქტი, რომელიც მოწმობს ადგილობრივთა კულტურულ დონეს, თუ ნებას დამრთავთ, მწერლების, სომხური ვარცლიდან რომ იკვებებიან. ერთხელ, შობის წინ, ადგილობრივი ქალაქების მასწავლებელთა ჯგუფმა მოაწყო ნაძვის ხე ღარიბი ბავშვებისთვის და ბეჭდვითი სიტყვით მიმართა საზოგადოებას შეწირულობისთვის. თითქოს საჭირო იყო ამ სათნო, თავდადებული მშრომელი ქალების წამოწყების მხარდაჭერა, თუმცა ზემოაღნიშნული გმირი, ქარეასლის იმ ვაჭრების საამებლად, რომელთაც არ სურდათ შეწირულობა გაეღოთ ამ საქმისთვის, გამოვიდა მომაკვდინებელი საწინააღმდეგო აზრით: „ღარიბთათვის ნაძვის ხის მოწყობას საფუძვლად უდევს კეთილი ქრისტიანული საქმე, მაგრამ ენერგია და ფული იხარჯება, მომიტევეთ უხეშობისთვის, სისულელეებზე. რა საჭიროა ასეთი ხარჯვა: უკეთესი არ იქნებოდა გაგვეყიდა ის და დაგვერიგებინა ღატაკთათვის. მაცხოვრის ეს სიტყვები ფრიად მართებულია ამ შემთხვევისთვის“.

სომხური მიმართულების გაზეთის ფელეტონისტმა ქრისტეს იუდას სიტყვები მიაწერა. ამის შემდეგ გამოთქმა „იუდას მორალი“ თბილისში ანდაზად იქცა.

სომხურ ბეჭდვით სიტყვაში რაღაც ენით აუწერელი ხდებოდა. მაგალითად, გაზეთი „არძაგანკი“ სისტემატურად დასცინოდა ყოველივე რუსულს, რის შესახებაც ვიღებდი მხოლოდ არასრულ ცნობებს. კერძო მთარგმნელს თბილისში ოქროთიც ვერ იშოვიდი. ბოლოს და ბოლოს, შემთხვევით ვიპოვე ისეთი ადამიანი, რა თქმა უნდა, არასომეხი, რომელმაც მომაწოდა მისი უწმინდესობის, კათოლიკოს მკრტიჩ I-ის ქადაგების ძალიან საჩოთირო თარგმანი და სომხური „პატრიოტიზმის“* რაღაც-რაღაც კადნიერი აღიარებები.

---

* აღნიშნულ ქადაგებაში, რომელიც მოთავსებულია 1897 წლის გაზეთ „არძაგანკის“ №37-ში, კათოლიკოსი წინასიტყვაობის სახით აფრთხილებდა სამწყსოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც კი ეს ამბები დაბეჭდე, იღმუვლა არა მარტო სომხური მიმართულების ბეჭდვითმა სიტყვამ, არამედ ცენზურამაც. რუსული ასოებით დაბეჭდილ გაზეთებში მიწოდებდნენ ტრადიტორე-ს – გამყიდველს, თითქოს მე ვილაცას ფიცი მივეცი, არასოდეს გადამეთარგმნა საჩოთირო ამბები, რომლებიც იბეჭდებოდა სომხურ გაზეთებში და მაშასადამე, თავს მიიჩნევდა *იატაკქვეშად*?! ცენზურა კი დაჟინებით მიუთითებდა ჩემს თარგმანში უზუსტობებზე და საერთოდ გაზეთ „არძაგანკს" იცავდა.

შემდგომში თარგმანის სიზუსტე დაადასტურა კომპეტენტურმა პირმა, რომელსაც ოფიციალური ადგილი ეკავა; გაზეთი „არძაგანკი", რომლის კლერიკალურ-რევოლუციურმა მიმართულებამ შემდგომში უკიდურეს ზღვრებს მიაღწია, საბოლოოდ აიკრძალა ერთი წლის შემდეგ. ნახსენები მთარგმნელი კი სრულიად გაქრა ჩემი თვალსაწიერიდან... მას ეშინოდა და არცთუ უსაფუძვლოდ, რომ გააგდებდნენ სამსახურიდან, თუმცა იგი რუსული მთავრობის დაწესებულებაში მსახურობდა...

ალბათ უცნაურია ასეთ ამბებზე საუბარიც კი, მაგრამ ამასთანავე, რასაც ვიტყვი, იმაში გადაჭარბებული არაფერია. მსხვილ თანამდებობრივ პირს კიდევ შეუძლია დაიცვას რუსული ინტერესები სომეხთა ხელყოფისგან, მაგრამ პატარა მოხელისთვის საკმაოდ

---

სომეხი ხალხისთვის „გაზაფხულის" დადგომაზე, თუმცალა დაგვიანებით და იმ კეთილდღეობაზე, რასაც იგი მოუტანდა მათ: „აი მოგვადგა გაზაფხული, გამოცოცხლდა ბუნება, მაგრამ ხანგრძლივი და მკაცრი ზამთრის შემდეგ ჩვენთვის სასურველი გაზაფხული ჯერ კიდევ არ დამდგარა". არ ვიცი, ასე რატომ იგვიანებს იგი, მაგრამ, რაც უნდა მოხდეს, იგი, ბოლოს და ბოლოს, უნდა მოვიდეს. ღვთის იმედით, მას მოთმინებით დაველოდებით".

რას გულისხმობდა „აირიკი" „გაზაფხულში", ჩანს ქადაგების დასკვნით სიტყვებში: „გქონდეთ რწმენა და ღვთის იმედი, თქვენი განთავისუფლების იმედი გქონდეთ, გიყვარდეთ ერთმანეთი, როგორც შეეფერება ჭეშმარიტ ქრისტიანს... აიღეთ ჩემგან მაგალითი. მე მთელი ცხოვრების განმავლობაში ბედის ყოველგვარი უკუღმართობა გამოვიარე და მივაღწიე ღრმა სიბერეს მაინც რწმენით სავსემ და იმედიანად. იმედს ნუ დაკარგავთ და იყავით მამაცნი! სამყაროში მარადიული არაფერია, ყველაფერი შედარებითია და დროებითი. ყოველთვის იმარჯვებს მარტოოდენ ჭეშმარიტება და სამართლიანობა. და თუნდაც იმას, რაც თქვენთვის ათასჯერ მაინც მითქვამს, დღეს კიდევ გავიმეორებ: ყოველთვის, როცა ღმერთს ვევედრები, მე შევთხოვ, ჩემი არსებობა გაახანგრძლივოს მანამდე, სანამ არ მივესალმები ჩემი უბედური და მრავალტანჯული სომეხი ხალხის თავისუფლების მეწამულ განთიადს".

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სამშიაიყოსსომხურიინტრიგისარამარტოაქტიურიმოწინააღმდეგე, არამედ უბრალოდ მკაცრად-პატიოსანი მოსამსახურე, რომელიც არ დაუშვებს სომეხი ბობოლების მონაწილეობით უწესრიგობას და ბოროტმოქმედებას. ასეთ ადამიანს აუცილებლად ცილს დასწამებენ, ამოსვრიან მის ფორმულარს, განდევნიან ამა თუ იმ ხერხით, თუკი არ აქვს ძლიერი მხარდაჭერა; შეეცდებიან, გავლენა მოახდინონ მის ცოლსა ან შვილებზე, იყიდონ მისი თამასუქები, თუკი ისინი აქვს, არ მისცემენ კრედიტს, თუკი სჭირდება. თბილისში არსებობს მყვირალა ფუფუნებით გაწყობილი მოჩვენებით-კულტურული და შესაფერისი სახელის მქონე დაწესებულება, რომელიც სპეციალურად დაფუძნებულია რუსი მოხელეების ჩასაბმელად თავიანთი შესაძლებლობების ზევით ცხოვრების ნირში, მოხელეთა ჭეშმარიტად წესიერი ცოლების გზიდან გადასახვევად და საერთოდ დროის გატარების სასიამოვნო საშუალებების საბაბით ადგილობრივი საზოგადოების გასაბრუებლად. ეს აღწერილი მაქვს ჩემს სატირაში თბილისურ ზნეზე: „ნორ–კაგაკი" (ახალი ქალაქი). აზრის უხამსობა, ზნეობრივ საწყისთა აბუჩად აგდება, ფრანტობა, ღორმუცელობა და „კლუბნიჩკა" – სომხური პოლიტიკის მოკავშირეებია. ეს მთელი სისტემაა, თან რთული, დაკავშირებული რუსული სახელისთვის სამარცხვინო შანტაჟთან.

მხარის მეპატრონეები სერიოზულ საკითხებში უკან არ იხევენ უკიდურესი ზომების წინაშეც. მაგალითად, პატიოსანი სასამართლო მოღვაწის, თბილისის სასამართლო პალატის წევრის, სტებლიცკის სიკვდილი დღემდე გაურკვეველ (თუმცაღა „გარკვეული") სამწუხარო გამოცანად ითვლება. იგი გარდაიცვალა მოულოდნელად, ჯერ კიდევ ძალებით აღსავსე, მნიშვნელოვანი საქმის წარმოების დროს. სამაგიეროდ დამყოლი ადამიანები „იფურჩქნებიან"; არსებობენ, მაგალითად, მსახურეული პირები თვალსაჩინო მდგომარეობით, რომელიც საშუალებას აძლევს მათ მსხვილი სომხური ქონების გაყოფა მოახდინონ სამედიატორო სასამართლო წესით და ამაში „ნავთობმრეწველების საჩუქრებს" იღებენ.

პირდაპირ ბოროტმოქმედებებზე უკვე აღარ ვლაპარაკობ: მათი სახელი ლეგიონია. დატაცებულია ათი ათასობით დესეტინა სახაზინო მიწა, დაფარულია ასობით აღმაშფოთებელი დანაშაული, რომელთა შესახებაც ლაპარაკობს მთელი მხარე. ადამიანებმა, რომლებიც აშკარად იყვნენ დაკავებული კონტრაბანდით, მიწების დატაცებით, სიყალბეებით და სხვა დანაშაულებებით, შემდეგ დააგროვეს მილიონები და საკუთარი რეპუტაციის და ზნეობრივი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიველურისთვის უმაღლეს წოდებებსა და ღირსებებს მიაღწიეს; ისინი უმეცრები და გარყვნილები აღმოჩნდნენ სასწავლო დაწესებულებების მფარველებად; ქურდები და მეთვალყურეობის ქვეშ მყოფები იქცნენ სომხური საეკლესიო სამზრუნველოების გავლენიან წევრებად, ბანკების მოთავეებად, საქველმოქმედო საზოგადოებების მეთაურებად.

იმაზე, თუ რა საშინელ სურათს წარმოადგენდა და დღემდე წარმოადგენს საქალაქო მეურნეობა, მაგალითად, თბილისის, ლაპარაკიც ზედმეტია. თუმცა სომხები იქ მხოლოდ მოსახლეობის 40%-ს შეადგენს, დუმა მაინც მთლიანად მათ ხელშია. ქართველები, რუსები, მუსლიმანები მასში ვერ აღწევენ. არც რიგიანი ხიდურები, არც კარგი განათება, არც ასატანი წყალმომარაგება. მრავალი წლის განმავლობაში მტკვრის მარცხენა ნაპირი, რომელიც დასახლებულია რუსებით, პერიოდულად წყალდიდობას განიცდის, ბავშვები იხოცებიან, როგორც ბუზები, სახლები ლპება. უფროსობა წერს, მოითხოვს, მიაწერს ვიღაცას, საქმე კი წინ არ მიდის. სომეხი წინამძღოლები ღიად ტრაბახობენ, რომ რუსებს განდევნიან იმ ადგილებიდან. სიტყვას „რუსი“, როცა ის მდაბიოა, ისინი საკმაოდ ჩვეულებრივ ამატებენ ტერმინს „ძაღლი“; ინტელიგენტურ, მაგრამ არაგავლენიან ადამიანებს არაფრად აგდებენ, ხოლო თავიანთ ლაქიებს ამყოფებენ ხან კომიკურ, ხან — სამარცხვინო როლში.

აი ფაქტი, რომელიც ურთიერთობის მთელ სურათს გვიხატავს. თბილისის საგუბერნიო ექიმმა, ბ-ნმა ქიქოძემ, ქართველმა, უზადო და მამაცმა ადგილობრივმა მოღვაწემ აღმოაჩინა, რომ ქალაქის სასაკლაოზე კი არ წვავდნენ ტრიქომონოზიან გატყავებულ და გამოშიგნულ ღორს, არამედ ვეტერინარი ექიმი, ისპანდარიანი, ყიდდა დიდი ოდენობით. სიცოცხლის ფასად, დაინტერესებულ პირთა მიერ გამიზნულ ხანჯლების მიუხედავად, ახალგაზრდა ექიმმა დაიჭირა ნივთიერი სამხილით ყასაბი-მყიდველი, აღმოაჩინა ქალაქის საწყობში აშკარად ტრიქომონოზიანი ღორის ხორცი და შეადგინა ოქმი. გამოძიებამ დაადგინა, რომ ეს სისტემა, რაღაც პერიოდი უკვე მოქმედებდა; გარდა უშუალო დამნაშავისა, ამ საქმეში ირიბად გარეული იყვნენ სამკურნალო-სანიტარიული ინსპექტორის მოვალეობის შემსრულებელი და სასაკლაოს ზედამხედველობაში ისპანდარიანის კოლეგები. ისპანდარიანმა თავი მოიკლა, დუმელები აფორიაქდნენ დასხვადასხვასაბაბით, მოჩვენებით-კეთილშობილური მომიზეზებითა და ფორმალურობით ძალიან აჭიანურებდნენ (თითქმის წელიწადი!) საკითხის განხილვას დუმაში. ამასობაში, კახეთის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტყეებში, როგორც ადგილობრივ გაზეთებში წერდნენ, საცოდავი შეშის მჭრელები იხოცებოდნენ უცნობი მტანჯველი ავადმყოფობისგან. ბოლოს და ბოლოს, ტრიქენელოზის საკითხთან დაკავშირებით ძალიან დაგვიანებით შემდგარ დუმის სხდომაზე ტრიქონელოზიანი ღორის ხორცის ფარულად გაყიდვის გამო ამ დაავადების ამბავი დაისვა. ამ ამბავს მოჰყვა კამათი, მათი აზრით, თბილისს არაფერი ემუქრებოდა. ბოლოს, დამსახურებული გენერლის და ნაფიცი რწმუნებულის შეილმა, რუსმა ადამიანმა საჯარო დუმაში, ვინმე ბ-ნმა ოპოჩინინმა თქვა, ვინაიდან მთავარმა დამნაშავემ თავი თვითონ დაისაჯა, ამიტომ საჭიროა საქმე დავიწყებას მივცეთო. საჩოთიროდ არ მიმაჩნია ამ ბატონის დასახელება, იმიტომ რომ თბილისში მაშინვე მკვეთრად გამოვხატე მის მიმართ აღშფოთება ბეჭდვითი სიტყვის საშუალებით. სიტყვები, სხვათა შორის, არ შველის იქ, სადაც „საჭიროა ძალაუფლების გამოყენება"!.. სანიტარიულ-საექიმო ინსპექტორის თანამდებობის შემსრულებელი ამ თანამდებობაზე დაამტკიცეს – და საქმე ასე დამთავრდა.

სომხური საკითხის სირთულე ისაა, რომ პარაზიტიზმის და პოლიტიკანობის ამოცანები ერთმანეთში მჭიდროდაა გადახლართული, ორგანულ კავშირშია... საქალაქო არჩევნების დროს ეს მჟღავნდება ძალზე თვალსაჩინოდ. ასეთი წესი ძალზე გავრცელდა ორი ძალიან „პატრიოტი" სომეხის დროს, ქალაქისთავებად მატინოვის და განსაკუთრებით განსვენებული იზმაილოვის ყოფნისას, როცა სომხური პოლიტიკა ქალაქური ცხოვრების მთავარი მამოძრავებელი გახდა. ბევრ რუსსა და ქართველს ხელოვნურად ართმევდნენ შესაძლებლობას, მონაწილეობა მიეღოთ არჩევნებში, ნაწილობრივ დაბეგვრის გადასახადის ნარჩენის გამო, ამასთან ზოგ შემთხვევაში ასეთ დაბრკოლებად ბოლო წუთს ხდებოდა გამგეობის მიერ უეცრად წარდგენილი გადასახადის ნარჩენი რამდენიმე კაპიკის ოდენობით, ნაწილობრივ კი იმიტომ, რომ არასომეხ ამომრჩევლებს ბანკები ემუქრებოდა თამასუქების მიხედვით გადახდევინებას.

ამ უკანასკნელზე შეგვიძლია არცთუ უსაფუძვლოდ შევნიშნოთ – მაინც რა რჯით ადამიანებს თავი შარში გაიბან?! მაგრამ საქმე ისაა, რომ ამიერკავკასიაში ამ მხარის ყველა გერი გასაკვირი არაა გაებას. ბაზარი ამ შეთქმული ყაჩაღების ხელშია, საარსებო პროდუქტი ძალზე ძვირია, ხოლო კრედიტი, რომელიც იქნებოდა ნორმალური სხვა ადგილას, აქ ყოველთვის სახიფათოა. საერთოდ, როცა ვახსენებთ რუსი ადამიანების სათაკილო მდგომარეობას, მათ სისუსტეებსა და დამყოლობას ზოგ შემთხვევაში, საჭიროდ მიმაჩნია

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეენიშნო, რომ ცოდვებიც კი შეიძლება დანაშაულად ჩაეთვალოთ მათ მხოლოდ მცირე ხარისხით. დამნაშავენი არიან არა ცალკეული პირები, რომელთაც ჩვეულებრივ არ შეიძლება მოსთხოვო გმირობა და ზუსტად რომ ვთქვათ, არც მხარის ცალკეულ მეთაურებს, რომლებიც შეიძლება საუკეთესო ზრახვებით იყვნენ სავსე, მაგრამ არ ჰქონდეთ სიბრძნე და ვერ პოულობდნენ პატიოსანი და ერთგული თანამშრომლებისსაკმაო კონტინგენტს. დამნაშავეა მხარის ისტორია, რომელმაც შექმნა განსაკუთრებული სისტემა, განსაკუთრებული ყოფითი წყობა, რომლის დროსაც რუსული ხელისუფლების უანგარო წარმომადგენელთა ყველაზე კარგი წამოწყებაც კი მხოლოდ მცირე შედეგს იძლევა.

აქ ნამდვილი გორდიას კვანძია. აუცილებელია მრავალი ტვინის, მთელი სპეციალური დაწესებულების მუშაობა, რომელიც გამოარკვევდა კავკასიაში საქმის ვითარების ჭეშმარიტ და არა მხოლოდ ფორმალურ-საანგარიშგებო მდგომარეობას და მის ისტორიულ მიზეზებს: ასეთი დაწესებულება არ უნდა ცდებოდეს ყოველდღიური ცხოვრების მძიმე საზრუნავზე, ისევე როგორც ადგილობრივი ხელისუფლება. ამ ჭრელ მხარეში ხომ ყაჩაღობებიცაა, მიწისძვრაც, სხვა სტიქიური უბედურებებიც და იმის აუცილებლობაც, დედაქალაქის ნაკლებად პრინციპულ და ცუდად ინფორმირებულ „სფეროებში" დაიცვა ცხოვრებით ნაკარნახები ესა თუ ის წამოწყება: დრო კი გადის, დრო ცოტაა და მოსვენება მცირეა შრომისთვის, რომელსაც თავისი სამეცნიერო მხარეები აქვს.

მარტივად რომ ვთქვათ, საჭიროა სენატორული რევიზია, ამასთან მნიშვნელოვანია, ასეთი სენატორი იყოს ჭეშმარიტად რუსი ადამიანი, თავისუფალი ძლიერი გავლენისგან, აგრეთვე ბურჟუაზიული სიყალბისა და ცრურწმენისგან; საჭიროა დიდი პატიოსნება არა მარტო გულის, არამედ გონებისაც.

ღმერთმა ქნას, ეს უბედური მხარე ამას მოესწროს. ჯერჯერობით კი უნდა დავაფასოთ ის, რომ ბოლო დროს რამდენადმე დაიკლო დატაცებათა ცინიზმმა და რამდენადმე მიწყნარდა მგზნებარება ადამიანთა, რომელნიც ბედავდნენ წარმოეთქვათ სიტყვა „რუსი" დამცინავი ღიმილით — მგზნებარება თავისი თავხედობით აუტანელი.

ადვილი წარმოსადგენია, როგორ უცერემონიოდ ეპყრობიან სომეხი პოლიტიკანები სხვა ხალხებს. რამდენიმე წლის წინ კახეთის ქალაქ სიღნაღში მართლმადიდებლები იორდანობას დღესასწაულობდნენ. სპეციალურად მართლმადიდებლობის

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასაცინად სომეხმა „პიჯაჩნიკმა“ ინტელიგენტებმა დაიქირავეს აუტანლად ჭყვიტინა ზურნა და დოლი, აძვრნენ მართლმადიდებლური იორდანის უახლოეს სამრეკლოზე და ატეხეს ისეთი წარმოუდგენელი ხმაური, რომ ღვთისმსახურების ხმა აღარ ისმოდა. ზურნა – ისეთი სტვირია, რომლის ხმა თითქმის ხუთ ვერსტზე ისმის. პოლიციამ ამ საყვარელ ადამიანებს თავის ნებაზე სკანდალის ატეხის ნება მისცა, რადგან მაზრის უფროსიც და მისი თანაშემწეც სიღნაღში იმ დროს იყვნენ სომხები. სკანდალისტები შემდგომ წესისამებრ გაასამართლეს და მიუსაჯეს რაღაც უბადრუკი სასჯელი, ისიც არა თავად მოთავეებს, არამედ მათ მიერ დაქირავებულ მუსიკოსებს.

ვახსენე რა სომხური ბურჟუაზიის პოლიტიკანობა, მე ეს სრულიად ობიექტურად გავაკეთე და არ მსურდა მოვლენა გადაჭარბებით ამესახა, რომელიც შეიძლება სერიოზულად გაიზარდოს, მაგრამ შესაძლებელია დაიყვანონ უფრო უმნიშვნელო ფორმამდე. ეს მომავლის საკითხია, რუსული თვითშეგნების საკითხი.

სომეხ ბობოლათა და მოჩვენებით ინტელიგენტ ადამიანთა ნაწილის პოლიტიკური ოცნებები ჩამოყალიბდა მეტ-ნაკლებად გარკვეულ ფორმულებად, როგორც ჩანს, პოლონელთა 63 წლის ამბოხების შემდეგ, მერე კი მხარდაჭერა პოვა რუსეთში მთავრობის საწინააღმდეგო მოძრაობასა და საზღვარგარეთ რევოლუციონერთა პატარა ჯგუფებში.

ამაში განსაკუთრებული როლი ითამაშა აწ განსვენებულმა „მშაკის“ ყოფილმა რედაქტორ-გამომცემელმა – არწრუნმა, რომელმაც კავკასიელ ადგილობრივ მკვიდრთათვის გამოიგონა რაღაც ფორმულები სომხური ხელმძღვანელობის ქვეშ გაერთიანების მიზნით, ამ ფორმულებს ახორციელებდნენ მეტ-ნაკლებად ეზოპეს ენაზე თვით რუსულ-სომხურ გამოცემებშიც კი: „გაერთიანდით საერთო მტრის წინააღმდეგ“, ანუ რუსეთის და „კავკასია კავკასიელებისთვის“. რუსი თვითუარმყოფელები, როგორც მიღებულია, მხარს უჭერდნენ ამას ძალზე უცერემონიოდ. თუმცა ქართველები მიხვდნენ, რაშიც იყო საქმე და ნიჭიერმა პოეტმა-იუმორისტმა თავ. აკაკი წერეთელმა უპასუხა ამჟამად შეწყვეტილ გაზეთ „დროებაში“ არწრუნის მოწოდებას შემდეგი ლექსით, რომელიც ახლა ქვემოთ მომყავს ბ.პ. ლებედევის თარგმნით პირველად, ვინაიდან იგი არ შეიძლება გამოჩენილიყო „კავკაზში“, თუმცა მის გვერდით სხვა გაზეთები ღიად ქადაგებდნენ „ქართულ-სომხურ სოლიდარობას“... საერთო მტრის წინააღმდეგ. აი ეს ლექსი:

## Комар и муха

Комар-хитрец сказал однажды мухе:
– «Сестрица, ведь тебе я друг!
Ты знаешь, всюду ходят слухи,
Что нас поймать затеял злой паук?!
Готова западня, готова паутина,
А мы все ссоримся с тобой!..
Давай, сестра, перед борьбой
Соединимся воедино,
Чтобы врагу навстречу полететь
Четою дружной, легкокрылой,
С двойною ловкостью и силой
Порвать губительную сеть!»
Лукавых речь всегда сладка для слуха –
И муха
Все лапки подала в восторг комару:
Отправились искать отважно паутину.
Комар на муху селъ...Да, видно, не к добру!
Знатъ, пить он захотел в воинственном жару. –
И ну сестрицу жалитъ в спину!
Сестрица терпит; братец пьет да пьет:
Знать, кровопийствоватъ разбойнику не вновь!
И вот, почувствовав, что в теле мало крови
И сил нет двигаться вперед, –
Союзнику взмолиласъ муха: – «Больно!
Товарищ, ты кусаться брось,
Иль прочь ступай! Я мучалась довольно!
Не в моготу пришлось!»...
– «Безумная!» – комаръ жужжит сурово, –
«Ведь мы союзники! Тебе я первый друг!
Смотри, вдали уж виден злой паук
И паутина там готова!»
– «Ну хоть бы даже так», – сестра ему в ответ, –
«зато теперь грозит мне смерть такая ж!
Паукъ еще меня поймает или нет, –
А ты меня наверно доканаешь!»...

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქმის ასეთი ჯანსაღი გაგება, რა თქმა უნდა, კარგის ნიშანია, მაგრამ ცხოვრების პირობებმა შეიძლება შეიტანოს და შეაქვს კიდეც განხეთქილება ჯანსაღ გაგებასა და უაზრო, საბედისწერო საქციელთ შორის.

კავკასიაში ქართველი და ველებში ჩაყარდნილი ყარაბაღელი მუსლიმანები ზოგჯერ არაგულწრფელი ღიმილით ამბობენ, რომ საკმარისია რუსულმა მთავრობამ გაიყვანოს კავკასიიდან ჯარი და სომხებისგან ძვლებიც არ დარჩება. უკვე ოცდაათი წელია, რაც ეს სიტყვები ჭეშმარიტებიდან ძალზე შორსაა. ჯერ ერთი, სომხებმა არა მარტო ეკონომიკურად დაიმონეს ყველა სხვა, არამედ ნაწილობრივ ხელში ჩაიგდეს ზოგი განცალკევებული ხალხის პოლიტიკური ტენდენციები; და ბოლოს, მათ უკვე ჰყავთ თავიანთი „არმია“ — ბრბო თურქეთიდან. კერძოდ, თბილისის ეთნოგრაფიული სურათი ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში ძალზე შეიცვალა. ასე, მაგალითად, ახლა იქ ძნელია რაჭველი ქართველებიდან შეხვდეთ მუშას (მებარგულს), ოდესღაც შავი მუშის ძალიან ცნობილ და სიმპათიურ ტიპს: ახლა ყველა რაღაც საოცრად ყაჩაღური სიფათის მქონეა თურქულ დოლბანდებსა და ყაბალახებში*. მდაბიო რუს და

* ქართული გაზეთი „ივერია“ 1897 წლის სექტემბერში ადასტურებს იმ ფაქტს, რომ უწინ მთელი საქართველოდან მიედინებოდნენ თბილისსა და სხვა ქალაქებში შავი მუშები, რომლებმაც ვერ იპოვეს სამუშაო თავიანთ სოფლებში მცირემიწიანობის, კლიმატური და სხვა პირობების გამო, ახლა კი ერევნის გუბერნიის და განსაკუთრებით თურქეთიდან დევნილმა სომხებმა შეავიწროვეს ისინი. ეს მოხდა არა კონკურენციის ან რაიმე სხვა პოლიტიკურ-ეკონომიკური შეჯახების შედეგად, რადგან ხელფასი ამ წლების განმავლობაში არ შემცირებულა, როგორც ეს ბუნებრივი კონკურენციის პირობებში ხდება, არამედ, პირიქით, მნიშვნელოვნად გაიზარდა. მაგალითად, იმისათვის, რომ გადახერხონ კუბური საჟენი არცთუ ისე მსხვილი შეშა სამი სომეხი „ამბალი“ 4 რუბლიდან 5,50 რუბლამდე ითხოვს, ამასთან სამუშაო სრულდება 4–5 საათში, თან ძალიან დაუდევრად.
იმავე გაზეთში იყო ცნობა, საიდანაც აშკარად ჩანდა, რომ ქალაქის შავ მუშა-მოსამსახურეთა რიცხვი 300-დან 400 კაცამდეა და მათგან 93% სომეხია. ქუჩის მგველები და მომრწყველები, ავჭალის წყალსადენის ყარაულები, 200 კაცამდე ადამიანი, სულ სომხები არიან. რამდენიმე წლის წინ ამ თანამდებობათა უმრავლესობა ეკავათ რაჭველებს და აისორებს, ფხიზელ კარგ მუშაკებს, რომლებიც ამჟამად შეცვალეს ზარმაცმა და უხეშმა ლტოლვილებმა თურქეთიდან, მნიშვნელოვნად გაზრდილი ხელფასით. თბილისის სამუშაო ბაზრის ამ არანორმალური პირობების სავალალო შედეგის მკაფიო მაგალითად გამოდგება ფაქტი, რომელიც აღნიშნული იყო გაზეთ „ცნობის ფურცელში“ იმავე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართველ მცხოვრებთა შევიწროება ქალაქის თვითმმართველობის და პლუტოკრატ შეთქმულთა მიერ განუწყვეტლად ხდება.

---

1897 წელს.

12 დეკემბერს თიანეთის საფოსტო გზაზე,საბადურის ახლოს,მეეტლემ შენიშნა ნახევრად შიშველი,დაქანცული ქვეითად მავალი,რომელიც აღმოჩნდა სოფელ საყდრიონის მცხოვრები სიმონ სისაური. საწყალი მიიყვანეს საბადურის დასახლებაში,სადაც გარდაიცვალა შიმშილისა და სიძაბუნისგან. გაირკვა,რომ განსვენებულს ძალიან უჭირდა და თბილისში გაემართა სამუშაოდ. რამდენიმე ხანს იხეტიალა იქ და ვერ იპოვა ვერანაირი სამუშაო, სისაურმა ქალაქში დახარჯა ბოლო გროშები და უკან,სოფელში,დაბრუნდა,რომლამდეც მიღწევა არ ეწერა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 9. სიმართლე თურქული მხეცობის შესახებ

ძალიანმწვავემნიშვნელობაჰქონდამთელიამიერკავკასიისთვის, კერძოდ კი, სომხობისთვის ბოლო რუსულ-თურქულ ომს და მის პოლიტიკურ შედეგს, რომელიც აისახა ბერლინის ტრაქტატის პარაგრაფში თურქ „ქრისტიანებთან“ დაკავშირებით. ეს უბრალოდ არ მომხდარა. ჯერ კიდევ ომამდე დიდი ხნით ადრე, გერმანია თავის მზერას აპყრობდა ახლო აღმოსავლეთს, სადაც ახალგაზრდა ოფიცრად გვარიანად მსახურობდა მოლტკე. ბერლინის ტრაქტატის მუხლი თურქ ქრისტიანებზე გერმანიის პირველი ნაბიჯი იყო ბაღდადის გზისკენ, მეორე მხრივ კი – გაღვიძებული ვულკანი, რომლის ამოფრქვევა ემუქრებოდა ევროპის მშვიდობას, კერძოდ კი, რუსეთის საქმეს ახლო აღმოსავლეთში. აუცილებელია აღინიშნოს, რომ ბოლო ოცდაათი წელია, რაც გერმანია სისტემატურად მუშაობს სომხური სეპარატიზმის განვითარებაზე ამიერკავკასიაში. ბევრი სომხური წრე თავმოყრილი იყო სწორედ გერმანიაში. თბილისს, ბერლინს, მიუნხენსა და ჩვენი ბალტიის პანგერმანელებს შორის გაცხოველებულიურთიერთობაიყო,რომელშიცცხარემონაწილეობას იღებდნენ ფინელი დემაგოგებიც. გენერალური შტაბის გერმანელი ოფიცრები არქეოლოგთა, ნადირობის მოყვარულთა და ტურისტთა სახით მნიშვნელოვან ჯგუფებად სტუმრობდნენ ამიერკავკასიას. დამახასიათებელია აგრეთვე, რომ ინტელიგენტი სომხები, რომელთაც განათლება მიიღეს ყოფილ დერპტის უნივერსიტეტში, ავლენენ სისტემატურად მტრობას რუსეთის მიმართ და კავკასიაში მომუშავე გერმანელები განსაკუთრებით მფარველობენ სომხებს.

ზემომოყვანილი პირობების გამო ბერლინის ტრაქტატის შემდეგ სომხებს გაუჩნდა უკვე რაღაც პოლიტიკური ოცნება ავტონომიაზე. მაგრამ არა პარაზიტული, არამედ რამდენადმე მტკიცე ავტონომიისთვის საჭიროა მეტ-ნაკლებად მთლიანი ტერიტორია. 1897 წელს საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ გამოქვეყნებული დოკუმენტებიდან როგორც ჩანს, თურქეთში მონაცემები ასეთი ავტონომიისთვის არ იყო და არც ყოფილა. მე-2 გვერდზე ნათქვამია: „სხვადასხვა ტომის განაწილების ღრმა შესწავლა საშუალებას იძლევა, დავადასტუროთ, რომ თურქეთის იმპერიის არც ერთ ვილაეთში სომხები არ შეადგენენ მოსახლეობის უმრავლესობას“. ამას თვალსაჩინოდ ადასტურებენ ადგილებზე

მოპოვებული სტატისტიკური მონაცემებით გენერალური შტაბის კავკასიელი ოფიცრები, გენერალი ზელიონი და პოლკოვნიკი კარცევი. ნახსენები წიგნის მე-12 გვერდზე ბ-ნ კამბონის, თურქეთის კარზე საფრანგეთის ელჩის, წერილში მინისტრ განოტოს მიმართ ნათქვამია, დამოუკიდებელ სომხეთზე ფიქრიც ზედმეტია და თუ რამე წარმოუდგენელი პირობების გამო ევროპა გადაწყვეტდა სომხეთის შექმნას, თითქმის შეუძლებელიც კი იქნებოდა მიგვეთითებინა ამ ახალი სახელმწიფოს საზღვრებიო.

იგივე ბ-ნი კამბონი პატაკში გვატყობინებს, რომ თურქეთში მიდის ინგლისის მიერ ხელოვნურად მომზადებული სომხური აჯანყების ძლიერი პროპაგანდა და როგორც დირბექირში საფრანგეთის ვიცე-კონსულის 1894 წლის 5 ოქტომბრის მოხსენებიდან ჩანს, ნაწილობრივ ამ საქმეში გარეული აღმოჩნდა თბილისიც. აი რას წერს ეს ბ-ნი მერიე თავის უფროსს: „ამბობენ, რომ ეს მოძრაობა დიდი ხნით ადრე მოამზადა საზოგადოება „გნჩაკმა“, რომელიც ამჟამად იმართება თბილისიდან, ადრე კი იმართებოდა ლონდონიდან და ათენიდან. ინსურგენტები კი ემორჩილებიან ამ საზოგადოების ბრძანებებს“.

შეიძლება დავუმატოთ, რომ სომეხი რევოლუციონერების მეორე ჯგუფი, სახელწოდებით „დროშაკ“, ანუ „დროშა“ კონცენტრირებულია ამავე სახელის მქონე გაზეთის ირგვლივ, ეს გაზეთი დღესაც არსებობს. იგი ჩვენს ფარგლებში არ გამოიცემა, მაგრამ „დროშაკისტები“ კავკასიაში ცოტა როდი არიან.

საფრანგეთის ელჩის პატაკები გამსჭვალულია სომხების, როგორც ქრისტიანების, მიმართ ძალიან ღრმა სიმპათიით, აგრეთვე — სწრაფვით სერიოზული რეფორმების განსახორციელებლად, რომელთაც გულწრფელად იზიარებს რუსული დიპლომატია, მათში ბ-ნი კამბონი ჩამოთვლის არაერთ მხეცურ მკვლელობას, რომლებიც ჩადენილია სომხეთის რევოლუციური კომიტეტის წევრების და მათ მიერ დაქირავებულების ხელით, აღნიშნავს საკმაოდ დამახასიათებელ ფაქტს, რომელიც შემდგომში გარკვეულწილად შევამოწმე, რომ სომხების ძირითადი მასა არ თანაუგრძნობს რევოლუციას და მხოლოდ თურქი სომხების ერთეული მცირე ჯგუფები თანდათანობით ემორჩილება თავიანთი მეთაურების მუქარასა და ტერორს, ნაწილობრივ კი საკუთარი ნების წინააღმდეგ ებმება ბრძოლაში. ბევრი თურქეთიდან დევნილი სომეხი, რომლებთანაც მე ან ჩემს ნაცნობებს გვიხდებოდა საუბარი, გულწრფელად აღიარებდა, რომ გამოიქცა რუსეთში არა თურქებისგან, არამედ თავიანთივე ტერორისტებისგან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნახსენებ წიგნში საუბარია სომხების მიერ გაჩაღებულ მასობრივ უწესრიგობებზე, ისინი ადგილ-ადგილ თავად ესხმოდნენ თურქებს და ქურთებს, რათა ხოცვა-ჟლეტა გამოეწვიათ. უწესრიგობების და აღმაშფოთებელი მხეცობების დაწყებამდე კონსტანტინეპოლში, სადაც, როგორც ცნობილია, სომეხთა ბრბო შეიჭრა დინამიტებით „ოტომანურ ბანკში“, სომხეთის რევოლუციური კომიტეტი პირდაპირ მიმართავს ბატონ კამბონს შესაბამისი ნოტით, რომელშიც ნათქვამია, რომ სომხებმა გადაწყვიტეს ჩაეტარებინათ „მშვიდობიანი დემონსტრაცია“ და კომიტეტი პასუხს არ აგებს შედეგებზე, თუკი პოლიცია ჩაერევა. მომდევნო მანიფესტაციების დროს სომხებმა პირველებმა დაიწყეს პოლიციელთა დახოცვა და ჟანდარმერიის ოფიცრებისაც კი. სწორედ ეს გახდა სომეხთა საშინელი ხოცვა-ჟლეტისთვის ბიძგი, რომლის გაფიქრებაზეც კი კაცს თმები ყალყზე დაუდგება. აღნიშნული წიგნიდან ჩანს, რომ სომხური ხოცვა-ჟლეტისთვის საბაბი მნიშვნელოვანწილად მისცეს თავად რევოლუციონერებმა თავიანთი გამომწვევი მოქმედებებით, რაც შეგნებულად იყო მიმართული იმისკენ, რომ ინგლისის ელჩს და კონსულებს მთელი ძალით გაებერათ და გაერთულებინათ ყოველივე ეს, ხოლო რუსეთის და საფრანგეთის ელჩები, თავიანთი სიმპათიის მიუხედავად ინტრიგანი და გასატანებული მუსლიმანების უდანაშაულო მსხვერპლთა მიმართ, ავლენდნენ დიდ პოლიტიკურ ტაქტს.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია დაუვიწყარი თავადის, ლობანოვ-როსტოვსკის, ჩვენი საგარეო საქმეთა მინისტრის გენიალური შორსმჭვრეტელობა და რკინისებური ნებისყოფა, მან არ დაუშვა რუსეთის ჩაბმა ამ უაზრო ომში. ამ ადამიანმა, სხვათა შორის, პირველმა შეარყია, მაგრამ, სამწუხაროდ, ძირიანად ვერ ამოგლიჯა ჩვენიდიპლომატიისდაუსაბუთებელიშეხედულებასომხებზე,როგორც მეგობრულდაჩვენთვისსასარგებლოელემენტზემეზობელსპარსეთსა და განსაკუთრებით თურქეთში. მას ესმოდა, რომ დრო დადგა რუსულ-თურქული ურთიერთობება შესულიყო ახალ ფაზაში, კერძოდ, ჩვენ უნდა დაგვეცვა თურქეთი უცხოური ექსპლოატაციისა და გარეშეთა ჩარევისგან, ხოლო ამის შემდეგ მშვიდობიანი გზით მიგვეღწია ქრისტიანთა ხვედრის გაუმჯობესებისთვის აღმოსავლეთში და რაც მთავარია, განგვემტკიცებინა საკუთარი მდგომარეობა ყურეებზე. სხვა მოსაზრების მომხრეები ეკეკლუცებოდნენ თურქეთში სომხებს, ილდიოზ-კიოსკში მხარს უჭერდნენ ჩვენ და სლავიანთა წინააღმდეგ გაბოროტებას, ამასთანავე არაპირდაპირ ეხმარებოდნენ სომხური

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტომის ჰეგემონიას კავკასიაში.

მაგრამ დავუბრუნდეთ სომხების უწესრიგობებსა და ხოცვა-ჟლეტას თურქეთში. ოტომანთა პორტა უღირსად იქცეოდა: მთავრობა აშკარად კეთილგანწყობილი იყო ხოცვა-ჟლეტის მონაწილეების – მუსლიმანების – მიმართ, ნაწილობრივ იზიარებდა მათ გაღიზიანებას, ნაწილობრივ კი, როგორც შემდგომში აღმოჩნდა, თურქული თვალსაზრისით რაციონალური ნივთიერებათა ცვლის გეგმის შექმნით, ანუ რაც შეიძლება დიდი, ერთიანი მუსლიმანური მოსახლეობის თავმოყრით წინა აზიაში და სომხების მოსპობით ან განდევნით რუსეთში, ესოდენ რომ დაავადდნენ მწვავე პოლიტიკური სენით. ეს გეგმა (დიდი ხნის წინ შეწყვეტილი, ხოცვა-ჟლეტის გარდა) ახლა ხორციელდება საოცარი ფენომენური წარმატებით.

ყოველი მოვლენა, განსაკუთრებით ის, ისტორიის მონაპოვარი რომ გახდა, საჭიროებს ზუსტ განსაზღვრას. უდავოა, რომ თურქული მხეცობა იყო საშინელი თავისი არსითაც და ზომითაც. მაგრამ უეჭველია ისიც, რომ ინგლისურ-სომხური ბეჭდვითი სიტყვა, სხვადასხვა დილონის სახით და ყველა ქვეყნის კოსმოპოლიტური ბეჭდვის დახმარებით ძალიან აზვიადებდა ამ მძიმე სახალხო უბედურების ზომებს, უმატებდა რა ნულს ნამდვილი მსხვერპლის ათეულებს და ასეულებს.

ამიერკავკასიაში რუსებიც და სომხებიც ერთნაირად იყვნენ შეძრწუნებულნი და აღშფოთებულნი, ესმოდათ რა ათასობით ადამიანის სასიკვდილო კვნესის გამოძახილი. უეჭველია, აგრეთვე ის, რომ სიტყვა „მუსლიმანური რელიგიური ფანატიზმი“ გაისმოდა ძალზე ხელაღებით. ბერძნებიც, კათოლიკეებიც და თვით სომეხი კათოლიკეებიც მნიშვნელოვნად ნაკლებად დაზარალდნენ, ვიდრე გრიგორიანელები. ფრანგი კონსული 1896 წლის 25 იანვარს უპატაკებდა შემდეგ ღირსშესანიშნავ ფაქტს ტრაპიზონის ვილაეთში ხოცვა-ჟლეტის შესახებ: „სანამ ხოცვა-ჟლეტას დაიწყებდნენ სოფელ გიუმიშ-ხანეში, მუსლიმანები შეიკრიბნენ მოედანზე. გამოაცალკევეს სომხები სხვა ქრისტიანებისგან და გაიყვანეს ეს უკანასკნელნი გვერდზე, რათა არ არეოდათ ისინი ადრე მონიშნულ მსხვერპლთან“. აშკარა იყო, რომ თურქი ფანატიკოსები ებრძოდნენ სომხურ-გრიგორიანულ და რევოლუციურ სომხურ ორგანიზაციას, რომელიც სახელმწიფოს სიმშვიდეს და შესაძლოა მთლიანობასაც კი ემუქრებოდა. ყველასთვის, ვინც ნამყოფია მცირე აზიაში ან იცის იქაური სოციალურ-ეკონომიკური პირობები, სრულიად ნათელია, რომ იქ იყო უწესრიგობების ისეთივე ეკონომიკურ-ყოფითი ფაქტორი,

როგორსაც ვხედებით ევროპული ბინადრობის ზოლში; მაგრამ, საუბედუროდ, თურქებმა და განსაკუთრებით ქურთებმა არ იციან თავშეკავება, როცა გამძვინვარდებიან; რაც მთავარია, უმძიმესი ბრალდება მათ წინააღმდეგ ისაა, რომ ისინი მივიდნენ ისეთ მასობრივ ხოცვა-ჟლეტამდე, რომლის დროსაც არ არჩევდნენ სქესსა და ასაკს, არც რევოლუციური ბანდების გაჟლეტით შემოფარგლულან.

იმ ადამიანთა ხილვა, რომლებიც ნამდვილად დაზარალდნენ ამ რბევის შედეგად და თავშესაფარი პოვეს რუსეთის დროშის ქვეშ, თავისთავად რაღაც სულის შემძვრელი იყო. განსაკუთრებით ტრაგიკული კი ის იყო, რომ ძირითადად თავად მდიდარმა სომხებმა, სასულიერო პირებმა და სხვა პოლიტიკანებმა გაწირეს დასაღუპავად და შესაბღალად თავიანთი ხალხის უმცროს ძმათა ნაწილი.

მოვიყვან მცირე პოეტურ სურათს, რომელიც ჩემ მიერაა გადაღებული ნატურიდან.

### Шушаника

Картинно прислонясь к узорной двери храма,
С утра до вечера, покорно иль упрямо,
Армянка-нищая проводит много дней;
Сидит, недвижная, как будто изваянье,
Кивая изредка кладущим подаянье
В тарелку медную, лежащую пред ней.

Бедна, оборвана. Полузакрыты веки;
Под ними − взора нет; для нищенки навеки
Все в тьму погружено, погас небесный свет...
Лицо не горестно: по нем порою зыбко
Скользит болезненно-блаженная улыбка...
Улыбка? Почему?! Она дала ответ:

-- Зовутъ меня, ага, счастливой Шушаникой.
«Из Вана родом я. К нам для расправы дикой
Нагрянули враги, нещадней, чем гроза!
Насилье, трупы, кровь!.. Живые разбежались...
Я в церкви спряталась... Нашли и надругались
Два курда надо мной, и выжгли мне глаза»...

«Какая злая боль!.. Но легчо жить мне стало:
Кого-то мучили, кого, – я не видала!
И что-то рушилось!.. Смятенье, крики, стон...
Затишье... Снова шум, и выстрелы, и топор!..
Потом... послышался мне торопливый шепот...
Зовут меня!.. Идем... и путъ – как страшный сон!»

«Тут – мне велят ползти, там – мчатся, что есть мочи!..
Вот – резкий ветер гор... иль просто холод ночи?
Вот... на веревке я: должно быть, крутизна?
Иль хищники меня схватили вновь, быть может?
Нет, мирны голоса!.. Но голод, голод гложет!..
Нет сил! Я падаю... Что это?... Тишина?»..

«Где спутники мои? Где я, и что со мною?!.
Вдругъ.. снова голоса! Какою то волною
Я снова поднята!.. Крик слышен впереди,
На языке чужом... Везут меня куда-то:
Я слышу скрип арбы, и мерный шаг солдата,
И как-то мне легко, тревоги нет в груди»...

«Потом... не помню, что!.. Болела, верно, где-то...
И вот, теперь сижу, накормлена, одета...
Я знаю: это храм! – И хорошо мне тут:
Я возле Господа, близ милости великой!..
Я назвала себя «счастливой Шушаникой»:
Ведь на моем пути одни цветы цветут!»

«Недолго видела я близких истязанья,
А здесь зато навек ни злобы, ни страданья,
Ни жадности людской мне видеть не дано!
Шаги...звучат шаги... порой звучит монета...
Я брата-ближняго благодарю за это,
А Господа... за то, что все кругом темно!»..

## 10. ეკლესიის პოლიტიკური როლი და სომხური პროგრამა

ღვთის ტაძარმა იმედი არ გაუცრუა მრავალტანჯულ გლახას, მაგრამ, ცხადია, სწორედ სომხური საეკლესიო ორგანიზაციის ნაკლოვანებებს და საბედისწერო, ვერაფრით გამართლებულ შეცდომებს, მეტი რომ არ ვთქვათ, სომხურ საეკლესიო-თეოკრატიულ პოლიტიკაში ჰქონდა და დღემდე აქვს ძალზე დამღუპველი შედეგი არა მარტო რუსული სახალხო-სახელმწიფოებრივი საქმისთვის, არამედ თვით სომეხი ხალხისთვისაც.

არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ თურქეთში სომხური მანიფესტაციების და უწესრიგობების აღმაელობა და რუსეთის ფარგლებში სომეხი ტომის საყოველთაო ნერვიულობა დაემთხვა ეჩმიაძინის საპატრიარქო ტახტზე მისი უწმინდესობის, კათოლიკოს მკრტიჩ I-ის ასვლას. მხცოვანი იერარქი სანამ რუსეთში ჩავიდოდა, თურქეთში იყო პოლიტიკურ მოღვაწედ, გახლდათ გულმხურვალე სომეხი პატრიოტი, რის გამოც თურქული მთავრობა დევნიდა მას.

სრულიადაც არაა გასაკვირი, რომ მრავალწლიანი მოღვაწეობის შემდეგ, სიბერის ჟამს, პატრიარქმა თავისი შეხედულებები, სწრაფვა და ინსტინქტური გრძნობები გადაიტანა თავის ახალ სამშობლოში.

პატრიარქის არჩევის დროს სომხური ბურჟუაზიის და მოჩვენებით-ინტელიგენტური კლასის ნაწილი, გაერთიანებული გაზეთ „მშაკის" მიერ, რომელიც შექმნა ცნობილმა არწრუნმა, იდგა მკრტიჩის მოწინააღმდეგეთა რიგებში ბურჟუაზიულ-ლიბერალური და შესაძლოა ლიბერალურ-ათეისტური შეხედულებების სახელითაც. ახლაც ბევრ მსხვილ ვაჭარს, ბანკირს, ნავთობმრეწველს ზიზღს გვრის კლერიკალიზმი ევროპული კაფეშანტანების და სმოკინგების გაცნობის შემდეგ და თავიანთ სულიერ ხელმძღვანელს არასათანადო პატივით ეპყრობიან, მიდიან რა მასთან ერთად ტომობრივი განცალკევების საერთო მიზნისკენ, სჯერათ, რომ საქმე წავიდოდა სწრაფად ეგრეთ წოდებული სოციალურ-ეკონომიკური ევოლუციის დახმარებით.

საბოლოო ჯამში, უთანხმოება უფრო აკადემიურია, ვიდრე ღრმად ცხოვრებისეული, ვინაიდან ორივე პარტია ერთმანეთს შეეწყო და ეწყობა ყოველთვის, მაშინაც კი, როცა პატარა შემთხვევა საბაბს აძლევთ, „გაერთიანდნენ საერთო მტრის წინააღმდეგ".

ეჩმიაძინის სომხური ეკლესია საშინაო მართვით თავისი სრულიად ერთპიროვნული არაა, რადგან, კანონით, სინოდის სათავეში კათოლიკოსი დგას, რომლის პროკურორი ინიშნება რუსული მთავრობის მიერ. ეჩმიაძინის

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასულიერო აკადემია დიდი ხანია უნდა ხელმძღვანელობდეს კანონიერი წესდებით, ვინაიდან მისი შემცვლელი დროებითი წესების ვადა დიდი ხნის წინ ამოიწურა*. დასასრულ, რუსული ხელისუფლების კომპეტენცია პოლიტიკური ან ზოგადი სისხლის სამართლის საქმეებში, რა თქმა უნდა, ვრცელდება ეჩმიაძინზეც. ამასობაში, მთავრობის კანონიერი მოთხოვნები ყოველთვის როდი სრულდება და ხშირად უპასუხოდაც კი რჩება, ან არასათანადო პასუხს სცემენ. ახალწვეულთა და სასამართლო საქმეების მონაწილეთა ფიცი, სენატის ბრძანებით, უნდა სრულდებოდეს რუსულ ენაზე, ხოლო პოლიტიკანი სამღვდელოება მღვდლებს უკრძალავს, დაემორჩილონ ამას. რამდენიმე წლის წინ კათოლიკოსი ტელეგრამით ემუქრებოდა კავკასიის ხელმძღვანელს, რომ დახურავს სინოდს, თუკი არ მოაშორებენ მისი უწმინდესობისთვის არასასურველ სინოდის სამთავრობო ჩინოვნიკს. პასუხის მოლოდინში სინოდი დახურეს, ხოლო უკანონო მოთხოვნის დათმობის შემდეგ იგი გახსნა ახალმა კონდაკმა.

„კონდაკები" საერთოდ გამოიყენებოდა ძალიან თავისებურად. ასე მაგალითად, კონდაკს ანიჭებდნენ რევოლუციურ-კლერიკალური გაზეთის „არძაგანკის" გამომცემელს. ეს გაზეთი აკრძალული იყო რუსული მთავრობის მიერ. პატრიარქის ტიტულ – ვერხაპარი – ნიშნავდა უწმინდესობას; მიმართვა მის მიმართ – ცერტ ტერუტიანუტი – ნიშნავდა თქვენს მმართველობას. თავად ეს ეპითეტები იყო პოლიტიკური თეოკრატიის ნიშნები, რომლებიც დამოკიდებული არ იყო სხვა ძალაუფლებაზე. სინოდის წევრი, არქიმანდრიტი ვაგანი და კათოლიკოსის ყოფილი პირადი მდივანი და აკადემიის რექტორი, ნახაპეტიანი, მთავრობის საწინააღმდეგო აგიტაციისა და სხვა უკანონო ქმედებებისთვის გაასახლეს მისი აღმატებულობის ბრძანებით ამიერკავკასიიდან, ხოლო შემდეგ კათოლიკოსმა პირველი რუსული მთავრობის უნებართვოდ დანიშნა ნახჭევანელ ვიკარად, მეორე კი – სომხური ეკლესიის კოშინიოეური მამულების მმართველად.

~~როცა თურქ~~ეთში რევოლუციონერთა ქმედებებით გამოწვეული

* ეს „დროებითი წესები", 1874 წელს დამტკიცებული ცხრა წლით, შემოიღო განსვენებულმა ხელმწიფემ, ალექსანდრე II-მ. იგი დღემდე ცვლის ეჩმიაძინის სასულიერო აკადემიისთვის ნებისმიერ წესდებას. ყველა კათალიკოსი, ვინც ამ ოცდაათი წლის განმავლობაში ეჩმიაძინის ტახტზე იყო,ცდილობდა ამა თუ იმ გზით თავი აერიდებინა წესდების შემუშავებისთვის და, სამწუხაროდ, მიზანს მიაღწიეს,მიუხედავად ასეთი ვითარების აღმაშფოთებელი არანორმალურობისა და საფრთხისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოლო ხოცვა-ჟლეტა მოხდა, რუსულმა ხელისუფლებამ პატრიარქს შესთავაზა, ეთქვა გამოსაფხიზლებელი სიტყვა, მან კი, პირიქით, აღმგზნები ქადაგება დაიწყო, დააწესა „ღამის ფხიზლობა“ და ასეთივე სახის ქადაგებები იბეჭდებოდა გაზეთ „არარატში“ არქიმანდრიტ კარაპეტის ხელმოწერით.

ეჩმიაძინი ფლობს უზამაზარ მამულებს, რომელთა მართვა ხორციელდება რაღაც ამოუცნობი გზით. მონასტრებში გულდასმით მალავენ ინვენტარს, ქონების სიებს, უწყისებს და ა.შ. ქონებას ყიდულობენ და იღებენ გირაოთი. ასე, მაგალითად, ვიღაც ბ-ნი შაჰ-აზიზოვ კამსარაკანის მამული გირაოთი აიღო ეჩმიაძინის მონასტერმა. მეორე მხრივ, საეკლესიო დაწესებულებები ფართოდ კრედიტდებოდა ბანკების მიერ. ასეთი ეკონომიკური ქაოსის დროს საკვირველია განისაზღვროს, რა მიდის საეკლესიო საქმეებზე და რა იხარჯება ბევრად ნაკლებმწარმოებლურად რელიგიური თვალსაზრისით. თუკი იმასაც დავუმატებთ, რომ რამდენიმე წლის წინ ეჩმიაძინში, ერთ-ერთ მონასტერში, მოკალათდა რუსული ფულის ნიშნების გამყალბებელთა ბანდა, მაშინ ამ რაიონის ეკონომიკური სურათის ბუნდოვანება თავის აპოგეას მიაღწევს.

სომეხი ხალხის ნაღვლიანი ისტორიის შედეგი იყო ეკლესიის რელიგიურ ამოცანათა მნიშვნელოვანი აღრევა ყოველგვარ ამქვეყნიურ საქმესთან*. ეს ვნებს სომხების სულიერი განვითარების

* აი თარგმანი იმისა, თუ რას წერს ამასთან დაკავშირებით ეჩმიაძინის ნახვის შემდეგ ფრანგი მეცნიერი, ბარონი დე ბაი, რომელსაც ჰქონდა პატივი თავისი სამშობლოსთვის გაეცნო რუსეთი არაერთი წიგნითა და ბროშურით. კავკასიამან რამდენჯერმე დაიარა მთელ სიგრძე-სიგანეზე, მისი თხრობის ტონი ყოველთვის გამოირჩეოდა ზომიერებითა და მიუკერძოებლობით.

„ვუახლოვდებით სოფელ ვარშაპეტს. უპირველეს ყოვლისა, ჩვენ ვხედავთ წმინდა რიფსიმეს ძველ მიტოვებულ ეკლესიას, ამჟამად აღდგენილს, რომელიც გარშემორტყმულია გაშავებული კედლებით. ეს ეკლესია რამდენიმე ხნის წინ ყალბი მონეტების მჭრელთა ბუდე იყო. მაგრამ აი ჩვენ უკვე ეჩმიაძინში ვართ; ყოველ უცხოელს იქ ძალიან გულღიად ხვდებიან და მე არ მყოფნის სიტყვები, რომ გადმოვცე, რა თავაზიანნი იყვნენ ჩემ მიმართ ბერები (თითქმის ყველა ეპისკოპოსის წოდებით იყო). მაგრამ, მიუხედავად ჩემი მადლიერებისა, მინდა ვიყო გულწრფელი. ამ მონასტერმა ჩემზე უფრო პოლიტიკური ცენტრის შთაბეჭდილება მოახდინა, ვიდრე რელიგიურის. მისი უწმინდესობა კათოლიკოსი საკმაოდ ღირსეული მოხუცია, რომელიც ალერსიანად იღებს უხოელებს. მას ძალიან დახვეწილი, დიპლომატიური ჭკუა აქვს; ამბობენ, რომ იგი თავის ქადაგებებში სიამოვნებით იყენებს იგავებს“...

გადმოცემის საწინააღმდეგოდ, რომლის თანახმადაც ეჩმიაძინს მიაკუთვნებენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქმესაც და საბოლოო ჯამში, თვით კათოლიკოსის და სხვა იერარქების ზნეობრივ პრესტიჟსაც. როდესაც გარდაიცვალა კათოლიკოსი მაკარი, ამის შემდეგ ვერ იპოვეს ვერც დოკუმენტები, ვერც ფული. არსებობს ეჭვი, რომ იგი გარდაიცვალა ძალადობრივი სიკვდილით. ასეთივე საეჭვო ვითარებაში გარდაიცვალა არქიეპისკოპოსი იერემია, სომეხი ხალხის ჭეშმარიტი მეგობარი, ამასთანავე, რუსეთის გულმხურვალე ერთგული.

სომხური საეკლესიო ქონების სეკულარიზაცია არის დაჟინებით აუცილებელი ზომა არა მარტო დიდი სიმშვიდის დასამყარებლად სომხებს შორის, არამედ ძირითადად იმ თვალსაზრისით, რომ სომხურ ეკლესიას შესაძლებლობა ჰქონდეს, შეასრულოს თავისი წმინდა სულიერი მისია და არ მოცდეს სხვა საქმეებით ან ოცნებებით*. როგორც ქვემოთ ვნახავთ, სომეხი ხალხი მიატოვა თავისმა ხელმძღვანელობამ აღმზრდელობითი თვალსაზრისით, მას ხელოვნურად რყვნიდნენ, წყვეტდნენ ღვთის სამართლიდანაც და ადამიანური კეთილგონიერებიდანაც.

აქ დიდადაა დამნაშავე, სხვათა შორის, სომხური უმაღლესი სამღვდელოება. ეჩმიაძინის აკადემია და ნერსესიან-სემინარია, ასევე სხვა სემინარიები ისე იყო გადავსებული ახალგაზრდობით, რომ კედლები იბზარებოდა, ხოლო სამღვდელოების დიდი უმრავლესობა შედგებოდა უბრალო და უბირი გლეხებისგან.

---

მეოთხე საუკუნეს, ბარონი დე ბაი, არქეოლოგიური ნიშნებით, მას მეთხუთმეტე საუკუნის ძეგლად მიიჩნევს და აღნიშნავს, რომ კედლის ფერწერა სპარსული ხელოვნების ანარეკლია. „უძველესი“ საგნების მიმართ ავტორი სკეპტიკურია:

„საცავში შემორჩენილ რელიკვიათა სიძველე, ძირითადად კი „წმინდა შუბის“, საკამათო გახდა ამ სფეროში ბევრად უფრო კომპეტენტური მეცნიერებისთვის, ვიდრე მე ვარ. ვინაიდან მონასტრების არქივები, საუბედუროდ, გაქრა; ამდენად, არ არსებობს არანაირი ცნობაც კი ამ საგანძურში შენახულ საგნებზე. ამ კედლებში ნაკლებად აწუხებთ არქეოლოგიური, ისტორიული და მხატვრული შრომები; ყოველგვარი ზრახვა და ზრუნვა ეძლვნება ახლანდელ დროს და მიმდინარე საკითხებს. ადამიანები, რომლებიც ეჭვობენ, რომ აქ ინგლისის მიმართ დიდი სიმპათიის კერაა, მცირედითაც არ ცდებიან. ყოველ შემთხვევაში, ინგლისი ყველა საშუალებას იყენებს, რათა აღძრას ეს სიმპათია ამ ადგილას, აზიური თურქეთის სიახლოვეს...“

* ეს სტრიქონები დაწერა ვ.ლ. ველიჩკომ 1903 წლის მიწურულს, 12 ივნისს სომხურ-გრიგორიანული ეკლესიის ქონების მართვის წესის შესახებ კანონის უზენაესის მიერ დამტკიცების შემდეგ.

გამომც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი სახალხო განათლების სამინისტროს გამგებლობაში სომხური საეკლესიო სკოლების გადაყვანის ისტორიას შევეხები ძალიან მოკლედ*. ამ სამინისტროს ორგანოებმა აღმოაჩინა, რომ სომხური სამრევლო სკოლები, მიუხედავად სომეხი ხალხის მასის თვალსაჩინო და ყოველ ნაბიჯზე გამოხატული სწრაფვისა, შეესწავლა სახელმწიფო ენა, არა მარტო აფერხებდა მოქალაქეობრიობის განვითარების ამ ბუნებრივ საშუალებას, არამედ იყო ყველაზე უხეში და ფანატიკური განცალკევების დამნერგავი. რომ აღარაფერი ვთქვათ, სულელურ სახელმძღვანელოებზე, რომლებშიც საუბრობდნენ ყბადაღებულ დიდ სომხეთსა და სომეხთა მსოფლიო მოწოდებაზე, ყველა თავიანთი მეზობელი ცივილიზებული გაეხადათ, ამ სკოლებში ვრცელდებოდა დიდი სომხეთის რუკებიც თითქმის ვორონეჟამდე, თბილისში დედაქალაქით** და ყოველგვარი ემბლემა, მათ იყენებდნენ სწორედ იმავე ინტრიგაში, რომელსაც თავდაპირველად ინგლისი უჭერდა მხარს, ახლა კი გერმანიზმის ერთ-ერთი საყვარელი ქმნილებაა. ვიყენებ სიტყვა გერმანიზმს და არა გერმანიას, იმიტომ რომ კავკასიაში რუსეთის ქვეშევრდომი გერმანელები, ხშირად მოხელეებიც კი, იყვნენ სომხური ხრიკების მხურვალე მომხრეები და მფარველები.

შესანიშნავმა ადგილობრივმა მოღვაწემ, კავკასიის სასწავლო ოლქის ყოფილმა მზრუნველმა, განსვენებულმა კ.პ. იანოვსკიმ, დაუღალავი ენერგიით მიაღწია აღნიშნული სკოლების გადაცემას სახალხო განათლების სამინისტროსთვის მათში სომხური ენის და სომხური ღვთისმეტყველების შენარჩუნებით. სომხური სამღვდელოება ამას არ დაეთანხმა და ერთბაშად დახურა მრავალი სკოლა, აჯობინა რა, ხალხი დაეტოვებინა უმეცრების სიბნელეში, ოღონდ არ დაეკარგა მას ხელოვნური განცალკევება. სომეხთა ღარიბ ფენებში პირდაპირ „კვნესოდნენ", ამასთან აგიტატორებმა წინასწარ გაავრცელეს სიცრუე, თითქოს სკოლები დახურეს არა სომხური თეოკრატიის აგენტებმა, არამედ რუსეთის მთავრობამ. ჩვენი

* ამ საკითხზე უფრო დაწვრილებითი ფაქტობრივი მონაცემები შეიძლება იპოვოთ ბ-ნ ლ-ის წერილიდან „სიმართლე საეკლესიო-სამრევლო სკოლების დახურვაზე",რომელიც დაბეჭდილია „დანართში".

** ამ წარმოსახული ქვეყნის რუკები,რომლებიც მინახავს კავკასიის სასწავლო ოლქის ყოფილ მზრუნველთან, კ.პ. იანოვსკისთან, ვრცელდებოდა ლითოგრაფიული სახით და აბრეშუმზე ნაქარგის სახითაც. ეს უკანასკნელი ეკუთვნის უცხოურ ყაიდაზე გაწვრთნილ რომელიმე მაზუთის დედოფლის ხელებს.

ავტ.

მოჩვენებითი ლიბერალური ბეჭდვითი სიტყვა, რომელთა შორისაც აღმოჩნდნენ ბაქოს ნავთობის კრეზების მიერ სუბსიდირებული ადამიანები, გაძლიერებით უჭერდა მხარს ამ თავხედურ ტყუილს რუს გაუთვითცნობიერებელ მკითხველ საზოგადოებაში. კავკასიის სასწავლო ოლქმა მაინც მოახერხა გადმოეყვანა თავის გამგებლობაში არაერთი სკოლა, რომლებიც ახლა წარმატებით მუშაობს ახალ საწყისებზე. სკოლებთან ერთად მათ გამგებლობაში გადავიდა სკოლის ქონებაც, ანუ სკოლების შენახვის წყაროებიც და ის ინვენტარი, რომელიც სომხურმა სამღვდელოებამ ვერ მოასწრო დაემალა ან მიეთვისებინა; აქ, სხვათა შორის, შევნიშნავ, რომ ამ სახის ოპერაციები მიმდინარეობდა სკანდალურად, მთელი თბილისის დასანახად, სასწავლო უწყებამ კი ვერ მიიღო სათანადო მხარდაჭერა დაფარული ქონების დადგენის და მითვისების საქმეში.

რაც შეეხება საშუალებებს (უძრავ ქონებას და კაპიტალს), რომლებითაც ინახებოდა სომხური სკოლები, აქ ადგილობრივ საქმოსანთა მოხერხებულობამ და მოდავეობამ სასწავლო ოლქს არანაკლები გასაჭირი შეუქმნა — და გამომძეურდა ბევრი ისეთი სიურპრიზი, რომლებიც კავკასიაში მოსალოდნელი იყო, როცა საუბარია რაიმე სომხურ ქონებაზე.

აშკარად სკოლის ქონება მნიშვნელოვანი ოდენობით აღმოჩნდა საეკლესიო და სამონასტრო ეტიკეტის ქვეშ. წამოვიდა სარჩელები, რომელთაც წინ უძღოდნენ სომეხი ტერტერები იებრაული ადვოკატურის ისეთი ყოფაცხოვრებითი გაქნილობითა და თავხედობით, როგორიც „დიდი სომხეთის" შვილებს შეეფერებოდა. კავკასიაში სასამართლო პრაქტიკა ხშირად კეთილგანწყობილია სომხების მიმართ: შეიძლება ისინი მართლაც ყოველთვის სუფთა და მართლია, ანდა იქნებ ამას სხვა მიზეზები აქვს, რომელთა გამოკვლევა ბევრ საინტერესო ფაქტს წარმოაჩენდა. საქმე იქამდე მივიდა, რომ ერთმა მომრიგებელმა მოსამართლემ (თუ არ ვცდებით, თემირ-ხან-შურინსკიმ) სცადა კიდეც თავის კამერაში გამოეძახა უწყებით თვით სასწავლო ოლქის მხცოვანი მზრუნველი. კავკასიის სასამართლო დაწესებულებებმა, რომელთა გადაწყვეტილებებითაც მრავალი წლის განმავლობაში სანქცირებული იყო სახაზინო მიწების სომეხი ბობოლების მიერ არაერთი მიტაცება, ამ საკითხშიც საკმაოდ დიდი რაოდენობის საქმე გადაწყვიტა კავკასიის სასწავლო უწყების საზიანოდ. ზოგი სარჩელი, სხვათა შორის, შეაჩერეს იმის გამო, რომ სკოლის ქონების შესახებ ერთ-ერთი მსხვილი საქმე მივიდა სენატამდე. მთავარი საკითხი მდგომარეობდა იმაში, ექვემდებარებოდა თუ არა მსგავსი

საქმეები ადმინისტრაციულ ან სასამართლო გადაწყვეტას. სენატმა აზრი გამოთქვა ამ უკანასკნელის სასარგებლოდ და ახლა საქმე აირდაირია, რაც ძალზე საზიანოა რუსული საქმისა და პრესტიჟისთვის კავკასიაში*.

ასეთი გაუგებრობა, უპირველეს ყოვლისა, მოწმობს კავკასიაში ერთიანი ეროვნული პოლიტიკისთვის სხვადასხვა უწყების მეგობრული მსახურების არარსებობას. სხვაგვარად ადგილზე გაიმარჯვებდა შეხედულება, რომ სახალხო სკოლის საკითხი არის სახელმწიფო საქმე და არა ვიწრო სამოქალაქო. სასწავლო უწყება სკოლებისთვის ან ეკლესიებისთვის ქონების კუთვნილების განსაზღვრისას იპოვიდა სათანადო მხარდაჭერას, რათა ზუსტად გაერკვია ყველა წვრილმანი, ამასთან ამ უკანასკნელთ არ მიეცემოდა გადაჭარბებული მნიშვნელობა მოხერხებულ-ფორმალური ნიშნების მიხედვით. ამ მოხერხებულობამ უფრო მეტად უბიძგა ადგილობრივ ხელისუფლებას აემოქმედებინა დიდი ხნის წინ მომწიფებული და აღმაშფოთებლად მწვავე საკითხი — სომხური საეკლესიო ქონების სეკულარიზაცია. მისი დაშვებით უარყოფით მოვლენათა მრავალი მღვრიე ტალღა, ახლა დაუბრკოლებლად რომ ვრცელდებოდა კავკასიაში, დაუბრუნდებოდა თავის ჩვეულ კალაპოტს.

ადგილობრივი რუსი ადამიანები თანაგრძნობით ადევნებენ თვალს შინაგან საქმეთა სამინისტროში მუშაობის ინტენსივობის ამაღლებას და ამ ცენტრალური დაწესებულების შემოქმედებითი ინიციატივისგან კეთილისმყოფელ ზემოქმედებას მოელიან რუსული საქმის შერყეულ საფუძველზე, არასასურველ იერს რომ იძენს ამ ცენტრიდან ძალზე მოშორებულ და საკმაოდ გახრწნილ განაპირას.

სომეხი ხალხი ხარბად ისწრაფვის რუსული ენის შესწავლისკენ, რადგან იგი მათ გზას უხსნის გასამრჯელოს და ნამდვილი კულტურის მისაღებად, მეთაურები კი დაბრკოლებას უქმნიან, იმიტომ რომ ეშინიათ არ დაუსხლტნენ ისინი გაელენის სფეროდან. თუ როგორია ეს გაელენა მეორეხარისხოვან საკითხებში, შეიძლება ვიმსჯელოთ იმით, რომ გაზეთი „მშაკი" მთელ სომხურ ბურჟუაზიასთან ერთად დრეიფუსის მხარეზე იდგა, მას მიეცა შემთხვევა აღფრთოვანებული ყო ასეთი შეხედულების გავრცელებით ელისავეტოპოლელ ნახევრად ველურ მხენელ სომხებს შორის. ერთ-ერთმა ასეთმა ბრიყვმა შავგვრემანმა თავის საყვარელ კამეჩებს დრეიფუსის საქმის უახლოეს მონაწილეთა სახელებიც კი დაარქვა.

სხვათა შორის, კავკასიური არმიის გმირობებით სახელგანთქმულ

* 1903 წლის 12 ივნისის კანონით ამ აურზაურს ბოლო მოეღო.

მხარეში, რომელიც ქვეყანაში რუსული საქმის ერთადერთი ურყევი და უმწიკვლო განსახიერება იყო, დაგეწერა დრეიფუსის წინააღმდეგ, ცენზურის პირობებში ძალზე ძნელი გახლდათ. სომხური მიმართულების და სომხურ ბეჭდვით ორგანოებში კი, რომელიც ყველაზე დაბალ ფენებამდე აღწევდა, იქმნებოდა ამ „უკუღმა პატრიოტის" პატივსაცემად ჰიმნები. თბილისელ პოლიტიკანთა საკმაოდ მნიშვნელოვანმა წრემ, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდნენ გაუნათლებელი კონკიადორუნები, ემილ ზოლას გაუგზავნა შემდეგი ტელეგრამა რუსულ ენაზე:

„პრომეთეს წამების ქვეყნიდან მოწიწებით ქედს ვიხრით იმ ეკლიანი გვირგვინის წინაშე, რომელიც დაგვაკისრა ჩვენმა ქვეყანამ მთელი კაცობრიობის სამარცხვინოდ. ეკლიანი გვირგვინი – საუკეთესო ჯილდოა სამართლიანობისთვის თავდადებული მებრძოლისთვის".

ქარვასლელი ნოქრები, ჩანს, ისეთივე უფლებით მიიჩნევდნენ თავს პრომეთეს ტანჯვით ზეშთაგონებულებად, როგორც გაზეთი „ნოვოსტი" ძველთაგან განთქმულ მცხეთას და ვერცხლისფერი არაგვის დაბლობს უწოდებდა „ცხელ სომხეთს". სომეხთაგან კავკასიელი დრეიფუსიანელების ტენდენციები ემთხვეოდა ზოგიერთი სამოქალაქო ჩინის მქონე პირებისას და როცა ერთ-ერთმა მათგანს, რუსეთის ქვეშევრდომ „გერმანელს" მონათლულ ებრაელთაგან, ვკითხე, რა საფუძველზე „მირჩევს", არ დავწერო დრეიფუსის წინააღმდეგ, მან მხრების აჩეჩვით მიპასუხა:

– მომიტევეთ, თავად იმპერატორმა აღიარა დრეიფუსი უდანაშაულოდ!

– რომელმა იმპერატორმა?

– ვილჰელმმა!

ამაზე მე, ჩემი თვინიერების მიუხედავად, გავბრაზდი:

– მოითმინეთ! ეს შეიძლება თქვენი იმპერატორია და არც ერთ შემთხვევაში ჩემი.

კიდევ ორიოდე სიტყვა სკოლების შესახებ. უპირველეს ყოვლისა, სამწუხაროა, რომ საკითხი მათზე ან უფრო სწორად მათ ქონებაზე წყდებოდა და დღემდე წყდება სასამართლო და არა ადმინისტრაციული წესით*. სასამართლო ხელისუფლებას, რომელიც შეზღუდულია გარკვეული წესდებებით, ფორმებიდან და განყენებული სამართლებრივი საწყისებიდან გადახრა კეთილშობილური მიზნით

* დაწერილია 1903 წლის 12 ივნისის კანონამდე.

გამომც.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ან თუნდაც საერთოსახელმწიფოებრივი საქმის სასარგებლოდ არ შეუძლია. ის, რასაც ზოგჯერ ნაჩქარევად ბრალად წაუყენებენ ხოლმე პატრიოტული თვალსაზრისით სასამართლო ხელისუფლებას კავკასიაში, უნდა მიეკუთვნებოდეს მიზეზთა მეორე კატეგორიას. სასამართლო წესდებები და მრავალი საერთოიმპერიული კანონები, უპირველეს ყოვლისა, არ ესადაგება კავკასიურ პირობებს. ასეთებია, მაგალითად, საკითხი დროგადასულობაზე, შეჯიბრებითობის პროცესზე და მოცემულ. შემთხვევაში სკოლების გადაცემაზე. სომხების მიერ სკოლის ქონებაზე რამდენიმე სასამართლო პროცესის მოგებამ მთელ ამიერკავკასიაში გაცხოველებული მითქმა-მოთქმა გამოიწვია, ხოლო სომეხ პოლიტიკანებში უაზრო იმედები გააჩინა.

ახლა ახლოდან დავაკვირდეთ ამ პოლიტიკანებს და მათ პროგრამას. თავისთავად ცხადია, არც ერთ რუსულად მოაზროვნე ადამიანს ისინი ამ პროგრამას ზუსტად ფორმულირებული სახით წასაკითხად არ მისცემენ; მაგრამ საკმარისია რამდენიმე წელი იცხოვრო მხარეში და დააკვირდე მრავალ მოვლენას, რომ სომხური პროგრამა გამირკვეს უცილობელი უტყუარობით, ვიღებთ როგორც საძიებელ რიცხვს ამოხსნილ განტოლებაში.

სომეხი ხალხის არამკითხე მეურვეთა შორის ავტონომიური „სამეფოს" შექმნაზე ოცნება, თანაც სწორედ რუსეთის ფარგლებში, არ ქრება, პირიქით, სულ უფრო ღვივდება. თურქეთში არ იყო ტერიტორია და იგი ხელოვნურად იქმნება ამიერკავკასიაში. ათი ათასობით თურქი ემიგრანტი იჭრება ჩვენს ფარგლებში, ხოლო ჩვენი მებრძოლები ვერ წყვეტენ ესროლონ ამ „მშვიდობიან" ბანდებს, იმიტომ რომ სომხები წინ აყენებენ ქალებსა და ბავშვებს. არავითარი თურქული „მხეცობის" ხსენებაც არაა, თურქეთის მთავრობა კი უკან არ იღებს ლტოლვილებს. ამ უკანასკნელთაგან ბევრი უარს ამბობს რუსეთის ქვეშევრდომობის მიღებაზე და უკვე თითქმის ყველა, გამონაკლისის გარეშე, დაავადებულია გადამდები სენით, მიდრეკილია სიზარმაცისა და სისხლის სამართლის ველური დანაშაულისკენ.

ამიერკავკასიელი მდაბიო სომხები, რომელთა ზნე შედარებით შერბილდა რუსეთში ყოფნის რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში, თურქ თანამემამულეთა მოსვლას მიიჩნევენ დიდ უბედურებად. ადამიანებს სჭირდებათ მიწა – და ყველაფერი, რაც არის კავკასიასა და რუსეთის დედაქალაქებში სომხური ზემოქმედებისთვის მისაღწევი, ამ მიწას მიაკუთვნებს სომხებს, ეწინააღმდეგება რა ამით რუსულ კოლონიზაციას, იმის მიუხედავად, რომ მხარის მეთაურმა მისი

უმაღლესობის ნებით ღიად ჩართო იგი თავის პროგრამაში.

ჩვენს ენაზე წინააღმდეგობა – ნიშნავს შეკამათებას; კავკასიაში კი ამ სიტყვის მნიშვნელობა საშინელია, ველური, ისეთი, რომ თმები ყალყზე გიდგება. რამდენიმე წლის განმავლობაში დუხობორულ საკითხზე ყოველმხრივ ჩაღრმავებითა და პირველწყაროებიდან ფაქტების შეგროვებით მთელი ჩემი სულიერი ძალებით მივედი დასკვნამდე, რომ დუხობორული მარტიროლოგიის, უგუნურების და დაღუპვის საწყისი გახდა სწორედ სომხური ინტრიგა, რომელიც მიზნად ისახავდა თურქი სომხების გადმოსახლებას მათ მიწაზე. მსახურეულ პირთა ერთი ნაწილის დანაშაული და მეორეთა შეცდომები, ტოლსტოველების სენტიმენტალურ-არაადამიანური ბოდვა და ა.შ. – ყველა ეს ფაქტორი უკვე შემდგომი იყო და არა ძირითადი. საბედნიეროდ, სომხურმა პოლიტიკამ ამ მიზანს მიაღწია ძალიან მცირედ, მიტაცებით და სხვა შემოვლითი გზების მეშვეობით.

რას ნიშნავს სომხურად „წინააღმდეგობა", ამის შესახებ იციან ტერტერაში, ელისავეტპოლის გუბერნიაში დაღუპული რუსული დაბის მცხოვრებლებმა. ამ საშინელ ეპოპეას დაწვრილებით აღვწერ ქვემოთ, იმ თავში, რომელიც ეძღვნება რუს გადასახლებულებს. ერთ-ერთი ცოცხლად დარჩენილი გადასახლებულის ნაამბობმა მსმენელებზე ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა, რომ თურქული ხოცვა-ჟლეტის საშინელებები ფერმკრთალდება ცივი, სატანური სისატკით ჩადენილი „მშვიდობიანი" და „კულტურული" სომხების მიერ რუსების გაწამების საქმეში იმ ტერიტორიიდან, რომელიც მოპოვებული იყო რუსული სისხლით.

ნახსენებ პოლიტიკანებს სურთ გააწამონ აგრეთვე მხარის მუსლიმანური მოსახლეობა და შეულახონ რეპუტაცია მუსლიმანებს, რათა მომავალში ისარგებლონ მათი მიწებით. მათ მსახურეულ თანამოაზრეთა ან მონათა შორსმჭვრეტელურმა უმოქმედობამ დღემდე ხელი შეუშალა წოდებრივ-საადგილმამულო უფლებების განსაზღვრას მუსლიმანურ პროვინციებში და იქ სათავადაზნაურო-საგლეხო ბანკის დაფუძნებას. თავისთავად ცხადია, რომ წოდებრივ-საადგილმამულო აურზაური ხელს უწყობს ადგილობრივი ფიცხი მოსახლეობის ნერვიულობას, იწვევს უკმაყოფილობას და ერთ-ერთი უსერიოზულესი მიზეზია ძარცვისა და სისხლიანი შეტაკებებისთვის. პეტერბურგის წინაშე სგულდასმითინიღბება–დავიდაც „კავკასიელი მკვიდრი" ბ-ნი ვ.ს.კ. „ნოვოე ვრემენის" საოლქო განყოფილების რედაქტორთან პოლემიკისას ხაზს უსვამდა კავკასიელ მუსლიმანთა სიფიცხეს, ნერვიულობას და საგულდაგულოდ გვერდს უვლიდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკითხის ერთ-ერთ მთავარ ფაქტორს, რომელიც ზემოქმედებას ახდენდა ამ სიფიცხეზე. ფაქტი აშკარაა: მრავალი ათწლეულის განმავლობაში მოსახლეობის მთელი ჯგუფის ინტერესების საკითხებზე საქმეები არ იძვრის და ამისთვის გონივრული მიზეზი არ მოიძებნება! შედეგები კი ცხადია! ძნელია არაა იმის მიხვედრა, აქ ვინ მოქმედებს!.. შედეგად მთელი მუსლიმანური ამიერკავკასია უკვე გახვეულია სომხურ ქსელში, ისევე, როგორც დანარჩენი ადგილები, ნაწილობრივ ქუთაისის გუბერნიის გარდა. სომეხი მილიონერები – ვეშაპები არიან, რომლებზეც შენდება „სომხეთის“ სამრეწველო-პოლიტიკური ტერორი, – გროშებად ყიდულობენ ათეულობით ათას დესეტინა მიწას ქართველი თავადებისგან, თათარი აღალარებისგან და ისაკუთრებენ ცუდად შენახულ სახაზინო მამულებს*; ეს მამულები კი დღემდე ცუდად ინახება, ნაწილობრივ ადგილობრივი პირობების მიმართ საერთოიმპერიული კანონების გამოუსადეგრობის შედეგად.

ამასთან ერთად, რუს ადამიანებს გამყიდველი რუსივე პუბლიცისტები არწმუნებენ, რომ სომხები კავკასიაში ერთადერთი მშვიდობიანი და კულტურული ელემენტია. პეტერბურგში მდიდარ სომხებსა და მათ რწმუნებულებს შეუძლიათ დაუმტკიცონ ეს გავლენიან კლასებს და სავალალოდ, ბეჭდვითი სიტყვის ბევრ წარმომადგენელს ნავთობის აქციებით, გემრიელი სადილებით და სპეციალურად მათთვის დაქირავებული ლამაზი ქალების ბაგეებითაც კი. ვიმეორებ: გაუთვითცნობიერებლობაც ჩვენში საოცარია, თითქმის დანაშაულებრივი. თვით რუსული მიმართულების იშვიათ გამოცემებშიც კი გვიხდება წაკითხვა, რომ სომხები – „აღმოსავლეთში ქრისტიანობის ბურჯია“, ხოლო სრულიად არარუსულიმიმართულებისგამოცემებიკავკასიასადედაქალაქში (მაგალითად, ყბადაღებული „ს.-პეტერბურგის ვედომოსტი“) სომხების მიმართ მორგების ისეთ ჰერკულესურ გოდოლებამდე აღწევს, რომ ეს პირდაპირ სამარცხვინოა და ამაზრზენი.

ახალგაზრდა, თან გულუბრყვილო რუს ადამიანებს სომეხი მეთაურები და მათი თანამოაზრეები, ებრაელების მსგავსად, ცდილობენ დაარწმუნონ, რომ რუსეთი სავსებით მომწიფდა მბრძანებლური სახალხო წარმომადგენლობისთვის და ჭეშმარიტი პატრიოტიზმი უნდა გამოიხატებოდეს ამ „სიმწიფის“ ფართო გამოყენებაში, განაპირა მხარისა და არარუსებისთვის თავისთავადობის მიანიჭებაში. საქმის მიმართ სხვაგვარი

* ეს მიწები მთლიანად დასახლებულია თურქი სომხებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამოკიდებულება იქნებოდა „შეუწყნარებლობა“ და „ბნელეთის მოციქულობა“. ვისაც მოუსმენია ასეთი აფორიზმები კავკასიაში, მისთვის გასაგებია ბევრი პეტერბურგული ნაწერი, როგორც უნდა იყოს ისინი შენიღბული თვით განსაკუთრებული სახის რუსული „ნაციონალიზმითაც“ კი. როცა სომხები და მათი დაქირავებული მჯღაბნელები იყენებენ რუსი ინტელიგენციის გონებაჩლუნგი ნაწილისთვის ბურჟუაზიული ლიბერალიზმის ჩვეულ ფორმულებს და საუბრობენ, მაგალითად, ყველა ხალხის თანასწორობასა და ძმობაზე, რა თქმა უნდა, ეს სიცრუეა, საზიზღარი და ცუდად დაფარული სიცრუე, რომელსაც ბავშვიც კი არ გაიმეორებს, თუკი ის პატიოსანია და მიხვდა, რა ხდება. ადამიანები, რომლებიც თავს ისე გვაჩვენებენ თითქოს სომხური ლიბერალურ-ჰუმანური რწმუნებების სჯერათ, ისეთივე მატყუარები არიან, როგორიც ამგვარი რწმუნებების ავტორები. საკმარისია, ცოტა ყურადღებით წაიკითხოთ, თუ რას წერენ სომხურ საკითხზე და დაუკვირდეთ კავკასიურ საქმეებს, რომ მოყვანილი დასკვნა აქსიომად იქცეს.

მაგალითად, ისე ჩანს, რომ ლიბერალურ-ჰუმანური იდეა არ კრძალავს რუსი ხალხის მასაზე ზრუნვას, პირიქით, გვავალებს დავეხმაროთ იმ ჯგუფებს, რომლებსაც ჩვენი ცენტრის გაღარიბება და უმიწობა განაპირა მხარეებში დევნის. ამასობაში, პუბლიცისტიკის სომეხი მეცენატების თაოსნობით რამდენიმე წლის განმავლობაში ყველა საშუალებით წარმოებს ბრძოლა უმაღლესი ხელისუფლების მიერ განსაზღვრული ამიერკავკასიის თავისუფალი მიწების რუსი მოახალშენეების მიერ დაკავების წინააღმდეგ.

ავიღოთ სხვა ანომალია, კიდევ უფრო აღმაშფოთებელი კავკასიური თვალსაზრისით და თვით სომხური ფორმულის „კავკასია კავკასიელებისთვის“ აშკარად საპირისპირო. აღმოსავლეთ ამიერკავკასიის მრავალ ქალაქში მუსლიმანები შეადგენენ მოსახლეობის უმრავლესობას, ამ დროს კი ისინი არ სარგებლობენ ქალაქის თვითმმართველობაში სომხების თანაბარი უფლებებით, იმ საბაბით, რომ ეს უკანასკნელნი „ქრისტიანები“ არიან. ასეთი საბაბით შეიძლება თავგზა აუბნიო მხოლოდ იმ ადამიანებს, რომელთაც კავკასიაზე წარმოდგენა აქვთ მხოლოდ საკალენდრო ცნობებით. მოსახლეობის გარკვეული ჯგუფების უფლებების შეზღუდვა სასარგებლოა და აუცილებელი ჭრელტომობრივ სახელმწიფოში, მაგრამ ეს უნდა გამომდინარეობდეს საყოფაცხოვრებო პირობებიდან და არ უნდა იყოს დამყარებული ფორმალურ ნიშნებზე. ექსპლოატატორების, „შეთქმულების“

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხროვის, პოლიტიკანების, კაგალური წყობის ადამიანების შეზღუდვა აუცილებელია; ასეთი ადამიანები კი არიან სწორედ სომხები და არა მუსლიმანები. ქრისტიანობა ქრისტიანული მორალის გარეშე ყალბია და ტყუილად როდი მითხრა ერთხელ ერთმა განთქმულმა იერარქმა, რომელიც კავკასიის ცხოვრებას იცნობდა, რომ მუსლიმანებს სულითა და ზნეობრივი არსით უფრო ახლოს მდგომად მიიჩნევს მართლმადიდებლობასთან, ვიდრე მონოფიზიტ-სომხებს. მაგრამ, მაშინაც კი, თუ დავდგებით სამართლიანობის მექანიკურ-გამათანაბრებელ თვალსაზრისზე და უარვყოფთ ყველანაირ შეზღუდვას, სავსებით ბუნებრივი იქნებოდა, მუსლიმანებისთვის მიგვენიჭებინა სომხების თანაბარი უფლებები, განსაკუთრებით ქვეყანაში, სადაც მუსლიმანები უფრო მკვიდრი მოსახლეობაა.

კავკასიური ხელისუფლება ამისკენ კეთილსინდისიერად ისწრაფოდა და ხანმოკლე დროის განმავლობაში საკითხი სასურველი გაგებით გადაჭრილად მიიჩნიეს. სომხური ბეჭდვა, რომელიც ქადაგებდა ეგრეთ წოდებული „ლიბერალიზმის“ ყველა დოგმატს და საკმაოდ უცერემონიოდ ექცეოდა მართლმადიდებლურ სიწმინდეებს, უეცრად განსაკუთრებით ცხარედ ამღერდა „ქრისტიანობის“ თემაზე, ხოლო პეტერბურგში აამოქმედეს ყოველგვარი გავლენა, რათა მუსლიმანთა უფლებების შეზღუდვა ძალაში დარჩენილიყო. გაზეთები, რომლებზეც სომხებს ხელი მიუწვდებოდათ, უცებ ახმაურდა პანისლამიზმზე. და დამყოლმა პეტერბურგმა გააუქმა კეთილშობილური ზომა, რომელსაც კავკასიური ხელისუფლება უკვე პრაქტიკაში ახორციელებდა...

სომხები და მათი დამქაშები, როგორც ჩანს, თავიანთ ლიბერალიზმს ჯიბეში მალავენ, როცა საქმე ეხება მათ ტომობრივ ინტერესებს. ტყუილად კი არ აქვთ ანდაზა: „გინდა — ისაი არაქელოვიჩი, გინდა არაქელ — ისაიჩი“. ყველაფერი სხვისი, თუნდაც სისხლით და გმირობით მოპოვებული, მათ არასწორად მოხვეჭილი ეჩვენებათ. ასე, მაგალითად, მართალია, სომხები კავკასიაში უკვე ორმოცი წელია დე ფაქტო სიტყვის სრული გაგებით მხარის პატრონები არიან, რუსული ხელისუფლება მეტ გარეგან პატივს ტრადიციულად მიაგებს რუსეთის ერთგულ ძველი ქართული გვარების წარმომადგენლებს და დამსახურებულ მეომრებს, ვიდრე გუშინდელ ნოქრებს ან სახაზინო მიწების მიმტაცებლებს. მაგრამ ესეც „სწყინთ“ სომხური ჰეგემონიის დამცველებს და აღმაშფოთებელ უსამართლობად ეჩვენებათ!

გაზეთ „კავკაზში“ ჩემს რედაქტორობამდე ცოტა ხნით ადრე თბილისში, ჩემთან სასტუმროში გაცნობის მიზნით მოვიდა ცნობილი „მოწინავე“ პუბლიცისტი — გრიგორი ავეტოვიჩ ჯანშიევი. იგი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სარგებლობდა გულწრფელი, უმწიკვლო ლიბერალის რეპუტაციით. პატივს ვცემ რა ყოველგვარ გულწრფელობას და მის შესახებ კარგი გამიგია პეტერბურგში, ძალიან მესიამოვნა მისი ყურადღება; მან სრულიად მომხიბლა თეორიული შეხედულებების სიფართოვით. მე გულწრფელად ვუთხარი, რომ მკვეთრად ვასხვავებ ერთმანეთისგან სომხურ ხალხურ მასას მოჩვენებით-ინტელიგენტური კლასისგან და განსაკუთრებით მტაცებელი პლუტოკრატიისგან. ის ოდნავ შეიჭმუხნა, მაგრამ რწმენა გამოთქვა, რომ სხვადასხვა ბანაკის ადამიანებს შეუძლიათ გაერთიანდნენ ხალხის კეთილდღეობის სახელით, თუკი ისინი სინათლის, საჯაროობის, ცხოვრებისეული სიმართლის წინააღმდეგნი არ არიან.

მე გულუბრყვილოდ ვირწმუნე მისი. თუმცა თბილისის საქალაქო მესვეურთა ანტისაზოგადოებრივი ოინების და ტომობრივი შეუწყნარებლობის პირველივე სერიოზული მხილების შემდეგ ამ მოჩვენებითი ლიბერალისა და თავგამოდებული სომეხი პატრიოტისგან (ამ სიტყვის პარაზიტული გაგებით) მივიღე საკმაოდ დამახასიათებელი წერილი. მომყავს ამ წერილიდან სტრიქონები, რომლებშიც ჯანშიევმა „გახსნა კარტები":

„მე მთელი გულით ვუსურვებ მას (ქართველ ხალხს) ყოველგვარ წარმატებას, მაგრამ მხოლოდ თანაბარუფლებიანობის და არა როგორცადმინისტრაციისგანგაკაპრიზებულინებიერასსაფუძველზე, როგორიც ის ყოველთვის იყო და დღემდე რჩება თვით „ნოვოე ვრემენის" აღიარებით. სომხებს იმიტომ ექნებათ მომავალი, რომ ისინი არსად და არასოდეს ითხოვდნენ თავიანთთვის პრივილეგიებს სხვა ხალხების საზიანოდ. თქვენს გაზეთში კი იგრძნობა მათი, როგორც მავნე ელემენტის, არაფრად ჩაგდების ტენდენცია. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ისინი, მსახურეული პირნი, უკვე სამი წელია დევნის საგანი გახდნენ, განსაკუთრებით მგრძნობიარენი არიან ყოველგვარი უსამართლობის, განსაკუთრებით იმ პირთაგან, რომელთა მიუკერძოებლობის სწამდათ. ასეთი განწყობის დროს თვით სამართლიანმა ზომამაც კი შეიძლება გაღიზიანება გამოიწვიოს. რა იქნებოდა იმაზე სამართლიანი, რომ თათრები გაგვეთანაბრებინა ქრისტიანებთან ქალაქის მმართველობაში? მაგრამ მე სრულიად მესმის იმ ადამიანების, რომელთაც ეს ზომა უდროოდ მიაჩნიათ, ვინაიდანიგი აშკარად შთაგონებულია არა იმდენად სამართლიანობის სიყვარულით, რამდენადაც ზიზღით სომხების მიმართ. თქვენ, რა თქმა უნდა, არ გეეჭვებათ, რომ უნკოვსკის უყვარდა ხალხი, ამ დროს კი აღშფოთებული იყო მილიუტინზე მისი პოლონური საგლეხო

ნადელების გამო, იმიტომ რომ ის შთაგონებული იყო პოლონელი ხალხის სიძულვილით და არა მასზე ზრუნვით!!.."

ვფიქრობთ, კომენტარი ზედმეტია, თუკი თვით სამართლიან ზომასაც კი შეუძლია გამოიწვიოს გაღიზიანება იმ მგრძნობიარე ბატონებში, „რომლებიც არ ითხოვენ თავიანთთვის პრივილეგიებს", მაგრამ მუსლიმანთა თანაბარუფლებიანობის წინააღმდეგნი არიან!

სომეხთა რუსი დამქაშები ამ გზაზე კიდევ უფრო შორს მიდიოდნენ. ასე, მაგალითად, თავად უხტომსკის ორგანოში სომეხ გადმოსახლებულთა კუნძულ კრეტაზე მოწყობის ვარაუდთან დაკავშირებით ერთხელ აზრი გამოითქვა, რომ ასეთი ზომა არასასურველია, ვინაიდან სომხები, როგორც ეკონომიკურ სფეროში განსაკუთრებით მარჯვენი, ახალ ადგილზეც თავიანთ წინააღმდეგ განაწყობდნენ დანარჩენ ქრისტიანებს.

რაღა ითქმის, კარგი „უნარია", რომელიც გარდაუვლად იწვევს მეზობელი მოსახლეობის უკმაყოფილებას! აშკარაა, რომ ასეთ „უნარიან" ადამიანებს ადგილი აქვთ მხოლოდ ბევრისმომთმენ რუსეთში: მასთან, ღდილოსთან, საცერემონიო არაფერია!..

განსაკუთრებით საინტერესოა ფრანგი მწერალი-არმენოლოგის, ბ-ნ პიერ მორანის (ჟურნალი „**Correspondant**", 1897 წლის 10 აპრილი) წერილი, რომელიც აშკარად სომეხი პოლიტიკანების მიერ „იყო მომზადებული" და მათ კარტებს ხსნიდა.

ამ მწერლის აზრით, რუსეთმა მორალურად ვერ განამტკიცა თავისი ბატონობა შავსა და კასპიის ზღვებს შორის, რაც სრულიად არასწორია. განსაკუთრებით ღრმაა და აქტიური, — ამბობს ის, — თვითმყოფადობის იდეა და განცალკევების წყურვილი სწორედ სომხებში. ისინი წუწუნებენ თავიანთი მდგომარეობის მიმართ გულგრილობაზე საფრანგეთის მხრიდან, რომელმაც მისთვის დამამცირებელ ფრანგულ-რუსულ კავშირში დაივიწყა თავისი პრინციპები და უარყო საკუთარი ტრადიციები; რუსეთის მთავრობა კი, არ ასრულებს რა თავის მოვალეობას, გამოიხსნას საზღვარგარეთელი სომხები, თითქოსდა ჩაგრავს რუსეთის სომხებს გამაღიზიანებელი ღონისძიებებით პარ დეს პროცედეს ვეხატოირეს. ვითომ სომხებს დევნიან რუსეთში მათი შემოქმედებითი ენერგიისთვის, კეთილდღეობისთვის, ძლიერი გონებრივი კულტურისთვის, დასასრულ, მხოლოდ იმიტომ, რომ „ისინი უბრალოდ სომხები არიან". ბ-ნი მორანი მიიჩნევს, რომ ამ ადამიანებს აქვთ რკინისებური ნებისყოფა, შეუპოვრობა, გამჭრიახობა და შრომისმოყვარეობა, ერთი სიტყვით, არიან ადამიანები დიდი შინაგანი ძალით და არა ls

ეროვნული
ბიბლიოთეკა

**seve vigoureuse.** იგი აღიარებს, რომ მათ ამიერკავკასიაში ყველგან „მიიტაცეს ადგილები, რომლებიც განკუთვნილი იყო თითქოს უფრო რუსებისთვის" და რომ ისინი თავიანთი თავისთვის ქმნიან რუსულ საზღვრებში ახალ სამშობლოს, ხელში იგდებენ ყველა დიდ საწარმოს არცთუ კეთილსინდისიერად, ასე ვთქვათ, ბნელი გზით (პარ ლეს დესსოუს), როგორც უმოწყალო მევახშეები, ბნელი საქმოსნები, „ქრისტიანი ურიები", რომლებისაც რუსებს შურთ, ვინაიდან არ შეუძლიათ მათთან კონკურენცია.

სიღრმისეულად სწორად განსაზღვრავს მორანი ეჩმიაძინის პატრიარქის როლს, როცა ამბობს, რომ ისინიც კი, „ვინც ზებუნებრივის მიმართ რწმენა დაკარგა" (ე.ი. მთელი სომეხი ინტელიგენცია) პატივს სცემენ თავიანთ ეკლესიას, ვინაიდან იგი – ეროვნული დაწესებულებაა და მათ ეროვნულ თვითშეგნებას ინახავს. მასზე გადააქვთ სომხებს ის გრძნობა, რომელსაც სხვა ხალხები სამშობლოს სიყვარულს უწოდებენ.

ცნობები გეოგრაფიაზე, ისტორიასა და ლიტერატურაზე, როგორც ჩანს, ამოკრეფილი სომეხი პოლიტიკანებისგან, შესაბამისად, უზუსტობით გამოირჩევა. ასე, მაგალითად, ის ამბობს, რომ ბათუმი, ყარსი და არდაგანი თავიანთი ტერიტორიებით ოდითგან სომხური სამფლობელოები იყო და ქართველები არსებითად აგრეთვე სომხურ მიწებზე ცხოვრობდნენ.

იგი ცილს სწამებს იმპერატორ ნიკოლოზ I-ს, რომელიც თითქოს დაპპირდა სომხებს ავტონომიას, ამბობს, რომ ალექსანდრე II-ის დროს (გრაფ ლორის-მელიქოვის ძლევამოსილების ხანაში) სომხები დიდ იმედს ამყარებდნენ თავიანთი „სამეფოს" აღორძინებაზე და ხატავს იმპერატორ ალექსანდრე III-ის დიადი მეფობის ცილისმწამებლურ, უხეშად არასწორ სურათს, ამასთან, გამოთქვამს სწორ აზრს, რომ სომხებს განსაკუთრებით სძულთ თვითმპყრობელობა და მისი ეშინიათ, რადგან იგი იმპერიის ყველა ნაწილის და განცალკევებული ელემენტის ცენტრალიზებას და ნიველირებას ახდენს.

მას მიაჩნია, რომ სომხებს თავიანთი პატრიოტული იმედების დამყარება შეუძლიათ მხოლოდ „ლიბერალურ მთავრობაზე". აზრი სწორია და ამხსნელი, თუ რატომ აქვთ სომხებს, დაწყებული ცნობილი კარაკოზოვიდან, ებრაელების მსგავსად, ასეთი მიდრეკილება მონაწილეობა მიიღონ ყოველგვარ ამბოხში, რომელიც მიზნად ისახავს ჩვენი სახელმწიფო წყობის შერყევას ან შეცვლას.

მორანიამბობს,რომსომხებსარშეუძლიათარიყვნენგანუსაზღვრელ მონარქიაში ოპოზიციური ელემენტები და საშიში ქვეშევრდომებიც კი, ***des sujets redoutables*** როგორც პოლიტიკური თვალსაზრისით, ასევე სახალხო მეურნეობის სფეროში, როგორც „ქრისტიანი ისრაელი", – **un Israel chretien**. ეს მწერალი საკმაოდ ეწინააღმდეგება თავის თავს: ერთ ადგილას ის ამბობს, რომ სომხებს მხოლოდ სურთ „სამოქალაქო თანასწორობა და რელიგიური თავისუფლება" (თუმცა, როგორც

ეროვნული ბიბლიოთეკა

კავკასიიდან ჩანს, ისინი არა მარტო ფართოდ იყენებენ, არამედ უკანონოდაც ბოროტად სარგებლობენ ერთითაც და მეორითაც), ხოლო სხვა ადგილას აღიარებს, რომ „წარმატებამ სომხებს მიანიჭა სიამაყე, ენერგია,მგზნებარებადაძალა;სანამისინიიყვნენღარიბებიდასუსტები, თავს იდრეკდნენ თავიანთი მბრძანებლების წინაშე; გამდიდრებულნი კი წინააღმდეგობაზე ფიქრობენ; ბევრს არ აკმაყოფილებს თავისი მდგომარეობა“. ნავთობმრეწველების ბობოლების და ბანკირების ფსიქოლოგია სწორედ ამითაა განსაზღვრული.

საუბრობს რა შემდგომ ძირეულ წინააღმდეგობაზე სომხურ ტენდენციებსა და რუსულ სახელმწიფოებრივ წყობას შორის, სომხებს უწოდებს საშიშ ქვეშევრდომებს, ხოლო სომხურ ეკლესიას – ეროვნულ დაწესებულებას და „ვატიკანსაც“ კი (**Vatican armenien**), მორანი წერილს აბოლოებს სომხების მიმართ მხურვალე აპოლოგიით და დაჟინებით ურჩევს რუსულ მთავრობას მათი მოთხოვნები შეასრულოს, უარი თქვას „უპატიოსნო“ (**deloyale**) პოლიტიკასა და „ნოვოე ვრემენის“ და „მოსკოვსკი ვედომოსტის“ ნდობაზე, რადგან ისინი იგონებენ ყოველგვარ ზღაპარს სომხურ „კომპლოტებზე“.

როგორც ჩანს, რუსეთმა უნდა უარი თქვას თავისი წყობის ძირითად პრინციპებზე, რათა გზა მისცეს ავტონომიურ „ქრისტიანულ ისრაელს“ ვორონეჟამდე და შეიძლება იმის იქითაც?! რას ვიზამთ, გმადლობთ კეთილი რჩევისთვის, რომელსაც ალბათ მხარს დაუჭერს ზოგიერთი „რუსული წყობის ფილოსოფიური განახლების“ ქომაგი!..

მანამდე კი, სანამ რჩევა ჯერ კიდევ არ მიგვიღია, სომხური პროგრამა განუხრელად სრულდება.

მიჰყავთ რა ამიერკავკასიის დანარჩენი მოსახლეობა გაერთიანებისკენ და ასე ვთქვათ, ზოოლოგიური უკმაყოფილებისკენ, სომეხი მესვეურები იმედოვნებენ დანარჩენი მკვიდრნი გადააქციონ თავიანთ კონდოტიერებად, რომლებიც გამოადგებათ რუსეთისთვის წარუმატებელი ომის შემთხვევაში. ძალზე დამახასიათებელია, რომ სომეხი პოლიტიკანებისთვის განსაკუთრებით საძულველია ყოველგვარი ზომა, ყოველგვარი კეთილი სიტყვა სხვა მკვიდრი მოსახლეობის სასარგებლოდ ან დასაცავად. ისინი სრულიადაც არ ბრაზობენ რუსებზე, რომლებიც ხელაღებით ლანძღავენ „ყველა კავკასიელს“: ასეთი რუსი პატრიოტებისთვის სომხები მზად არიან ფული გაიღონ, რადგან, ყოველთვის უსამართლო, უსაფუძვლო მსჯელობა სომხური ფორმულისთვის „კავკასია კავკასიელებისთვის“ განსაკუთრებით მისაღებია. მათი ძირითადი თვისებაა – სინათლის შიში, მოუსყიდველი საჯაროობის შიში და ამაში ისინი ერთსულოვანნი არიან არასაიმედო მსახურეული ადამიანების, რომლებიც პირობით „საანგარიშო“ და არა ცხოვრებისეულ სიმართლეს ემსახურებიან. სომეხ პოლიტიკანებს განსაკუთრებით აღაშფოთებთ მითითება, რომ სომხური ჰეგემონია ღუპავს დანარჩენ კავკასიელ მოსახლეობას: მაშინ ისინი ყვირიან, რომ ეს ტომთაშორისი განხეთქილების გაჩაღებაა; მათი დავა კი იღებს „ორმხრივი დაბეზღების“ ფორმას, რომელიც

ესოდენ დამახასიათებელია სომხებისა და ებრაელებისთვის, და ყველა, ვინც კი არის სამხარეო სამსახურში დამპალი, გამყიდველი, სომხური ბატონობის გაგრძელებით დაინტერესებული, უკვე „ცენზურული" თვალსაზრისით ხმას იმაღლებს სისაძაგლის მხილების, ასევე სინამდვილის კეთისინდისიერი ასახვის წინააღმდეგ.

პოლიტიკურ ოცნებებში გადავარდნილი ხალხის ხელში კოლოსალური კაპიტალი შეიძლება სერიოზულ საფრთხედ იქცეს არა მარტო რამე გართულების შემთხვევაში, არამედ ჩვეულებრივ დროსაც. არის რა არა შეუპოვარი შრომის და შთაგონებული ცოდნის, არამედ სულელურ-შემთხვევითი ან არასწორი მომხვეჭელობის ნაყოფი, ეს კაპიტალი უმეცარ, უკულტურო ხელში სოციალური საფრთხეა, როგორც მოქრთამვის და გარყვნის ფაქტორი.

ვინაიდან თანამედროვე სახელმწიფოში ამ სიმდიდრის ჩამორთმევა არ შეიძლება, გარდა დამტკიცებული ამბოხებისთვის ან კრამოლისთვის კონფისკაციის კანონიერი შემთხვევებისა, ამდენად, საჭიროა გააზრებული ეკონომიკური პოლიტიკა, საჭიროა კულტურული ბრძოლა. დროა, რუსულმა ფხიანობამ თავისი სულიერი და მატერიალური ძალები გამოიყენოს ჩვენს სამხრეთ განაპირაში. დროა, ეს შემოქმედებითი აზრი საფუძვლად დაედოს ჩვენს განაპირა სახელმწიფო პროგრამას. მნიშვნელოვანია პოლიციური დაცვის გაძლიერებაც, რუს კავკასიელ მსახურეულთა დონის ამაღლებაც, მაგრამ ყველაფერი ეს პალიატივია, რომელიც მომწიფებულ საკითხს ვერ გადაჭრის.

სომეხ პოლიტიკანთა ჩმახვა ალბათ ჩმახვად დარჩება, ვინაიდან ვერავითარი რევოლუციური ავანტიურა წინ ვერ დაუდგება რუსი ჯარისკაცის ხიშტს. მაგრამ უზომოა ეკონომიკური და სულიერი ზიანი, რომელსაც კავკასიაში სომეხი წინამძღოლები აყენებენ რუსულ სახალხო-სახელმწიფო საქმესაც და თვით სომეხ მოსახლეობასაც. ეს წინამძღოლები ამაზრზენი არიან, როგორც გამხრწნელები, როგორც სოციალური ხრწნის მიკრობები და პარაზიტები.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## 11. ხალხის მასა

ახლა ორიოდე სიტყვა ამ ტომის ხალხის მასაზე. მხოლოდ ორი სიტყვა, ვინაიდან ამ ბნელი ბრბოს ფსიქოლოგია რთული არაა. უძველესი, მრავალსაუკუნოვანი მონობის ლაქა დიდხანს არ სცილდებოდა და დღემდე აქვს შერჩენილი მათ სულიერ პიროვნებას, მაცულასერვიტუტის,რომლისმიღმაცნელ-ნელასჭვივისრაღაცუფრო ადამიანური. მე მიხდებოდა ამიერკავკასიის სხვადასხვა ადგილას მდაბიო სომხებთან შეხვედრა და ასეთები სამსახურშიც ამყავდა — შესანიშნავი, მშვიდობიანი, მუშა და აკურატული ადამიანები. თუმცა ასეთი ტიპის ყველა ადამიანი არათანაგრძნობით ექცეოდა თბილისელ მოლაპარაკე-პატრიოტებს და ღმერთს შესთხოვდა მხოლოდ ერთს: ისინი დაეფარა სომხური განცალკევების მოჩვენებით-კულტურული ხელოვნური ამოცანებისა და პერიპეტიებისგან, რათა საშუალება ჰქონოდათ, მშვიდობიანად ემუშავათ რუსული ხელისუფლების ჭერქვეშ.

რა თქმა უნდა, არსებობს ძალიან ბევრი მდაბიო სომეხი, ნახევრად ველური, თურქულ სტილში და ვერაგი — ევროპულ სტილში, მაგრამ სულიერად გაკეთილშობილებულ, ბეჯით და ჭკვიან არაერთეულ სომეხთა არსებობა კულტურის მიმართ ამ ხალხის უნარის სასარგებლოდ მეტყველებს. ამას ხელს უწყობს ფიზიკური პირობებიც. სომხები — ესაა ხალხი ფართო მაგარი ყბებით, ამტანი და სიცოცხლისუნარიანი. მათ შორის ძალზე გავრცელებულია უსუფთაობა, ებრაელთა ანალოგიურად, მაგრამ განათლებას შეუძლია აღმოფხვრას ისიც და დაავადებებიც, რომლებიც მისით ჩნდება. სომეხთა დიდი ნაწილი ზეგანის მცხოვრებია ან იქიდან წამოსული, იქ დამღუპველი არაა არც პაპანაქება, არც მალარია: ეს წარმატებისთვის მნიშვნელოვანი ფაქტორია, ვინაიდან შედარებით ჯანმრთელი კლიმატი უშუალოდ მოქმედებს გაწონასწორებული ხასიათის გამომუშავებაზე, რაც ყოველგვარი პროგრესის ჭეშმარიტი ბერკეტია. უნდა დავამატოთ, რომ სომეხთა შერეული ქორწინებები სხვა ტომთა წარმომადგენლებთან კარგ, სულიერად გაუმჯობესებულ შთამომავლობას იძლევა. სამწუხაროდ, სომხური განკერძოებულობა ახლა ხელს უშლის შერეულ ქორწინებებს.

მეგანსაკუთრებულმნიშვნელობასვანიჭებხალხურშემოქმედებას, იმიტომ რომ მათში ხალხი თავის თავზე ლაპარაკობს.

მოვიყვან ერთ სომხურ ზღაპარს, რომელშიც, რამდენადაც

მეჩვენება, აისახა ამ ტომის სწორედ საშუალო სულიერი დონე.

იყო და არა იყო რა, იყო ერთი სოფელი, რომელშიც ცხოვრობდა ღარიბი სარქისი, ჩვენებურად სერგეი. ის იყო ისე ღარიბი, ხოლო მისი მეზობლები ისე ძუნწი და გულქვა იყვნენ, რომ, როცა შეეძინა ბიჭი, მეზობელთაგან არავინ ისურვა მისი მონათვლა, რათა თავი აერიდებინათ ღარიბი კაცის სახლში ხარჯისთვის. გავიდა სარქისი გზაზე, რათა ნათლიობა ეთხოვა პირველი შემხვედრისათვის. ხედავს, მისკენ მოდის ძალიან ღარიბი მოხუცი. სარქისმა არ იუკადრისა და ჰკითხა სახელი.

— მე სურ-სარქისი, წმინდა სარქისი ვარ, შენი პატრონი, — უპასუხა იმან, — და მზად ვარ მოვნათლო შენი შვილი.

— შენს გზას დაადექი! — უყვირა განრისხებულმა სარქისმა, — კარგი წმინდანი ხარ, კარგი პატრონი, თუკი ასეთ სიღატაკეში მამყოფებ. შეიძლება აღიარო და პატივი სცე ისეთ წმინდანებს, რომლებიც გვეხმარებიან და არა უსაქმურობენ. აი კარაპეტს მისი წმინდანი დაეხმარა გაეხსნა დუქანი და გამდიდრებულიყო, შენ კი? გასწი, დამეკარგე!

მეორე შემხვედრი აღმოჩნდა ლამაზი ყმაწვილი, რომელმაც უთხრა სარქისს, რომ იგი გაბრიელია, სიკვდილის ანგელოზი და მზად იყო ნათლია გამხდარიყო.

— კარგი, — უპასუხა სარქისმა, — შენ არ არჩევ არც მდიდარს, არც ღარიბს და მიხვალ როდისმე მდიდარ კარაპეტთანაც სიკვდილისთვის, ამიტომაც მოდი ჩემთან ნათლიად.

გაბრიელი თანასწორობის მომხრე იყო და ეს სიტყვა მოეწონა. ნათლობის შემდეგ მან უთხრა სარქისს:

— მე შენ მოგცემ სიმდიდრის წყაროს: ექიმად გაქცევ. ბევრს უმკურნალებ და ყოველთვის შეუცდომლად. როგორც კი მიხვალ ავადმყოფთან და დაინახავ, რომ მის ფეხებთან ვდგავარ და ვიღიმები, მაშინ ხელი მოჰკიდე მკურნალობას, თავი მოაჩვენე, თითქოს ამზადებ რაღაც შინაურ წამალს — და მიზანს მიაღწევ. ხოლო, თუ მე პირქუში სახით თავთით დავუდგები, მაშინ მკურნალობაც არ სცადო: მაშასადამე, მისი საქმე წასულია. მაგრამ პირობა მომეცი: გახსოვდეს სინდისი და ღვთის ნებით დაეხმარე ღარიბებს.

თქვა ეს გაბრიელმა, სიკვდილის ანგელოზმა და გაქრა.

ორი ათასჯერ და კიდევ ორჯერ ნახა სარქისმა გაბრიელ ანგელოზი ავადმყოფთა ფეხებთან. მკურნალობდა და მდიდრდებოდა. ასე გაითქვა სახელი განჯაშიც, ყარაბაღშიც და ამ ხმამ თავრიზამდეც მიაღწია. ავად გახდა ერთი ძლევამოსილი მეფე, მოიწვია ყველა ქვეყნის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ექიმი: რუმიდან, სამარყანდიდან, ინდოეთიდან, მავრიტანიიდან. ისინი ცდილობენ, აძლევენ წამლებს, მეფე კი უარესადაა. აქ მეფემ მოიკრიბა უკანასკნელი ძალები და თქვა:

— ყველა ექიმი უვიცია, ერთ სომეხ ექიმს კიდევ შეუძლია ჩემი დახმარება. ვერც ერთი სამეფო ვერაფერს გახდება სომხის გარეშე: ისინი დიადი ხალხია და მოხერხებული.

ეახლა სარქისი მეფეს მოწოდებაზე: ჰოი, სიხარულო! მეფის ფეხებთან დგას გაბრიელი და იღიმება. სარქისი ჩაფიქრდა და სერიოზული სახე მიიღო, გადაწყვიტა, ერთბაშად არ ეჩვენებინა თავისი ხელოვნება, რათა მისთვის უფრო მეტი ფასი მიეცა. მან მეფეს გამოუცხადა, რომ განკურნავდა, მაგრამ მანამდე 7 დღე და 7 ღამე დაყო განსაკუთრებულ ოთახში, სადაც ითხოვდა კარგ საჭმელს და ყოველგვარ შინაურ წამალს. მეფემ უკვე იმედი დაკარგა, როცა ბოლოს და ბოლოს სარქისი მივიდა, მისცა რაღაც დასალევად და წუთში მოარჩინა. მეფემ სარქისი აავსო უდიდესი წყალობით, გახადა იგი კარის ექიმი — და დაიწყო ცხოვრება სარქისმა, როგორც დამოუკიდებელმა ხანმა. მთელი დღეები გადადიოდა ბაქმაზიდან ტკბილ ღვინომდე ან გრილ მაწვნამდე, ფლავში ლამის ბანაობდა, გადაცოცდებოდა ხოლმე ხორესნული ხალიჩიდან თექისაზე; ხოლო მაჰმადის სამოთხის სიამოვნების შესახებ მან მიმართა თავის სინდისს: „თუკი მე ჩემი მბრძანებლის პატიოსანი ექიმი ვარ, მაშინ არ ძალმიძს მისი საქციელის გაკიცხვა, პირიქით, მის მაგალითს უნდა მივბაძო". და როცა მბრძანებელი აჩუქებდა ხოლმე სარქისს მონა ქალს, მის მიმართ ალერსიანი თუ არ იქნებოდა, ეს მეფის მიმართ ერთგვარ ამბოხს დაემსგავსებოდა. თანაც მართლაც ხომ არ უნდა დაკარგულიყო სიკეთე: დაბერდებოდა ქალი და არაფერი ფასი აღარ ექნებოდა.

მაგრამ ერთხელაც სარქისთან მივიდა ლატაკი დედაბერი; ნოქარმა (მსახურმა) ამის შესახებ მოახსენა, შევიდა რა რბილი ფეხსაცმლით, რათა არ შეეშინებინა იგი.

— გარეთ გაუძახე! ცოტა როდი დაეთრევა ასეთი! — უყვირა სარქისმა და გადაბრუნდა მეორე გვერდზე, თან ერთი მუჭა ქიშმიში პირში ჩაიდო.

კიდევ მოდის მსახური.

— ჩემო ბატონო, ლატაკი დედაბერი ამბობს, რომ სარქისხანის წყალობის იმედი აქვს, გთხოვს, გაიხსენო სინდისი, იფიქრო ღარიბებზე.

— გაეთრიე! — წამოიძახა სარქისმა და წამოიჭრა ისე ძლიერ, რომ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თავის ქვეშიდან მუთაქა გამოუვარდა ძირს. მოტრიალდა სარქისი და ხედავს, სიკვდილის ანგელოზი, გაბრიელი, დგას მის თავთან და პირქუშად უყურებს.

სარქისს, უპირველეს ყოვლისა, გაახსენდა ანდაზა, რომელიც მამამ დაავალა დაემახსოვრებინა, როგორც ქადაგება: „стой впереди лягающегося и позади кусающегося". წამში მოტრიალდა ტახტზე, ისე, რომ გაბრიელი ფეხებთან აღმოჩენილიყო. მაგრამ გაბრიელი, პირქუში, როგორც სარდალი, იდგა მის უკან, თავთან. კიდევ უფრო სწრაფად მოტრიალდა სარქისი და ისევ ის განმეორდა.

— რას აკეთებ? — უყვირა სარქისმა, — შენ ხომ ჩემი ნათლია ხარ, ჩვენ ნათესავები ვართ! შენ ნათესავის მოკვლა არ შეგიძლია, ეს წმინდა წესის საწინააღმდეგოა! კანონის საწინააღმდეგოა! მოკალი გარეშეები, აირჩიე ნებისმიერი, მე არ შეგეძავები. წაიყვანე ყველა ჩემი ავადმყოფი, ახლანდელი და მომავალი.

მაგრამ გაბრიელმა უთხრა:

— მე სახუმაროდ არ მოსულვარ!

სარქისმა მიადო ცერა თითი საჩვენებელს და შეევედრა:

— შენ ხომ ჩემი ნათლია ხარ! მაშ, შემისრულე სიკვდილის წინ თხოვნა: ნება მომეცი, არ მოვკვდე მანამ, სანამ არ წავიკითხავ ლოცვას „მამაო ჩვენო". ხომ არ შეიძლება ლოცვის გარეშე სიკვდილი!

ნათლია დაეთანხმა და დაიფიცა კიდევ, რომ შეუსრულებდა თხოვნას.

მაშინ სარქისმა რაღაც უცნაურად ჩაიცინა და დაიწყო ლოცვის კითხვა.

—„Гхаир-мер-вор-геркинзес-сурп-iергхцы-анунко", — და შეჩერდა.

— რა იყო?

სარქისი კი ხელახლა იწყებდა: „гхаир-ьер-вор"...

ასე გრძელდებოდა მანამ, სანამ გაბრიელი არ მიხვდა, რომ სარქისმა იგი გააბრიყვა.

მაშინ გაბრიელმა გადაწყვიტა, სარქისს დადარაჯებოდა. შვიდი წელი სარქისმა არც ერთხელ არ წაიკითხა ბოლომდე უფლის ლოცვა და წირვაზეც კი ეკლესიიდან მაშინ გამოდიოდა, როცა მას მღეროდნენ.

მაგრამ სიკვდილის ანგელოზი ყოველ ადამიანზე ეშმაკია. ერთხელ სარქისი შვილთან ერთად სამოგზაუროდ გაემართა და ღამით გზაზე მკვდარი დაინახა. შეებრალა სარქისს, თუმცა მდიდარი ადამიანი იყო და უთხრა შვილს:

— ნუთუ ის აქ უნდა დარჩეს ლოცვისა და დამარხვის გარეშე?

და წაუკითხა უფლის ლოცვა. აქ მკვდარი აღმოჩნდა არა მარტო ცოცხალი, არამედ თვით გაბრიელი. სარქისი, როგორც ჭკვიანი ადამიანი, მიხვდა, რომ ვერაფერს იზამდა და მოკვდა...

ზღაპარი დამახასიათებელია და ბრძნული. საჭიროა დავამატოთ, რომ ორიგინალობით იგი უდავოდ სომხური არაა, სხვა ხალხებიდანაა ნასესხები. დამახასიათებელია დეტალები, რომლებშიც გამოიხატა ღრმა მატერიალიზმი, არსებითად სომეხი ხალხის ყველა ფენას რომ განაცალკევებს. ეს ის მატერიალიზმია, რომლის ძალითაც ერთმა ინტელიგენტმა სომეხმა მიმითითა მოხუც ვეტერანზე, რომელიც ტიროდა მეფე-მშვიდობისმყოფლის პანაშვიდზე და მკითხა სულის ეპიკური უბრალოებით:

— რატომ ტირის იგი? გეგონება, ჯიბიდან ფული ამოაცალეს!

ანგარების ნაგვისა და ცბიერების ვიწრობში, ხალხური სულის უჩინარი სამალავიდან გზას იკვლევს სიტყვა ღვთის სიყვარული. გაასუფთაო გზა ამ ცოცხალი ნაკადისთვის, გაათავისუფლო იგი ხელოვნური დაბრკოლებების უღლისგან, რომელსაც სომხური განკერძოებულობის ანგარებიანი ხელმძღვანელები ქმნიან, ძმური ხელი გაუწოდო ხალხს, რომლის ზნეობრივი სახე დამახინჯებულია ხანგრძლივი მონობით, მაგრამ იმსახურებს აღდგენას და ამის უნარი გააჩნია — აი რუსული ჰუმანური ამოცანა, რომელიც ემთხვევა მხარეში ჩვენი სახელმწიფო-სახალხო საქმის ამოცანას.

ტომობრივ თვითმყოფადობასა და პარაზიტულ ტომობრივ ეგოიზმს შორის მთელი უფსკრულია და ნამდვილად კულტურულმა სომხებმა დროა ეს შეიგნონ. გონივრული ტომობრივი თვითმყოფადობა სავსებით ესადაგება ლოიალურობას რუსეთის მიმართ და მისი კულტურის უმაღლესი ძღვენის ათვისებას. მეტსაც ვიტყვი: მხოლოდ ვიწრო, ანგარებიანი განცალკევების და აუხდენელი ოცნებების უარყოფით, მხოლოდ საკუთარ გაგებათა და გრძნობათა საზღვრების გაფართოებით, მხოლოდ რუსული სულის საგანძურიდან სომხობისთვის რელიგიურ-ზნეობრივი საწყისის ამოღებით, რომელიც აკლიათ — შეუძლიათ სომხებს ფეხზე დააყენონ და გადაარჩინონ თავიანთი ხალხი, მოუპოვონ მას კეთილი სახელი. ვინაიდან რელიგია ერთადერთი საიმედო წყაროა იდეალიზმისთვის, სომხებს თავად მართებთ იფიქრონ საეკლესიო რეფორმაზე, წმ. გრიგორის ეკლესიის განთავისუფლებაზე პოლიტიკური და ფისკალური ამოცანებისგან, მის დოგმატურ დაახლოებაზე მსოფლიო მართლმადიდებლობასთან. დიდ რელიგიასთან მიკუთვნება უზარმაზარ ზნეობრივ და გონებრივ

შესაძლებლობას იძლევა. მაგალითად, სომეხი-კათოლიკეები სომეხი გრიგორიანელების რასის არიან, მაგრამ ამ უკანასკნელებზე ბევრად მაღლა დგანან: უფრო ჭკვიანები არიან, ზნეობრივები, ისინი ნაკლებად სძულთ მეზობლებს. სომხებს სჭირდებათ იდეალიზმი ლიტერატურაშიც და საზოგადოებაშიც. ზოგიერთი პოეტი, მაგალითად პატკანიანი, ცდილობდა ემუშავა ამ მიმართულებით, მაგრამ ასეთებს არ ჰყოფნიდათ უნარი, არც საზოგადოებრივი მხარდაჭერა ჰქონდათ; და ბოლოს, მათ ხელს უშლიდა „ზოოლოგიური პატრიოტიზმი", რომელიც ძირს უთხრიდა სამართლიანობას და სიმართლეს აბუნდოვანებდა. სომხებს სჭირდებათ უშიშარი, თავდადებული სატირიკოსები, რომელთაც ეყოფოდათ გამბედაობა ეთქვათ მათთვის მთელი სიმართლე. თუკი ამას ეტყვის რუსი ადამიანი, მაშინ მიზანს მცირედ თუ მიაღწევენ: სომეხი პოლიტიკანები მაშინვე დაიწყებენ ყვირილს „სომეხი ხალხის დევნაზე", არაკეთილსინდისიერი მოხელეები და გამყიდველი პუბლიცისტები აჰყვებიან ასეთ ყვირილს იმის შიშით, რომ მათთვის არასასურველი მხილება არ მოხდეს — და სიმართლეს სადღაც ბნელ კუნჭულში მიჩქმალავენ.

ყველაზე სასურველი იქნებოდა ძლიერი ეთიკური მიმდინარეობა ახალგაზრდა სომხურ თაობაში, რომელიც აღიზარდა კარგ პირობებსა და სიმშვიდეში: მას შეეძლო გაეჯანსაღებინა „სომხური იდეა", მიანიჭებდა მას სხვა ხალხების მხრიდან პატივისცემას. ცალკეული ახალგაზრდა ინტელიგენტი სომეხი, როგორც ჩანს, ამაზე ფიქრობს, მაგრამ ისინი ერთმანეთისგან დაშორიშორებული არიან, დათრგუნვილები, თავიანთი სულიერი და საერო წინამძღოლების ტერორით. ასეთი ტერორის თანდათანობით შესუსტება და შემდეგ მოსპობა დამოკიდებულია მხარეში რუსულ ხელისუფლებაზე, მის სისტემატურ მუშაობაზე. ამ სისტემის ერთ-ერთი საფუძველი უნდა გახდეს ღიად ნაქადაგები და პრაქტიკაში გატარებული ზნეობრივი საწყისების უპირატესობა საეჭვო წარმოშობის სიმდიდრესთან შედარებით. როცა სომეხი ინტელიგენცია და სახალხო მასა დაინახავს მოსამსახურე ადამიანების მოუსყიდველობას და გამდიდრებული მტაცებლების დაუსჯელობის მოსპობას, დაინახავს გამბედავ პატიოსნებას, როგორც სამხარეო პოლიტიკის ხელმძღვანელ საწყისს, მაშინ დაიწყება სომეხი ხალხის აღზრდა.

მანამდე კი მისი ჭეშმარიტი მეგობრები უნდა იყვნენ არა „მეგობარი-მლანძღველები", არამედ „შემხვედრი-მეგობრები", ე.ი. უნდა ჩანდნენ მტრებად და ატარებდნენ ასეთი გარეგნობის ყველა მძიმე შედეგს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაე სომეხმა პატრიოტებმა (ამ სიტყვის ჭეშმარიტი გაგებით!) იფიქრონ ყოველივე ამაზე მშვიდად, ცრუ თავმოყვარეობის და თავიანთი არამკითხე მოთავეების წინაშე შიშის გარეშე.

სომეხ ხალხთან ნუ გააიგივებენ თავს ის შფოთისთავები და ბნელი ადამიანები, რომლებიც არ ინდობენ თავიანთ სისხლ-ხორცს და არცხვენენ მის სახელს; ამაოდ უწოდებენ ისინი და მათი დამქირავებლები „ბნელეთის მოციქულობას“ ადგილობრივი ცხოვრების მიუკერძოებელ ასახვას.

რუსული საქმე საყვედურსა და ცილისწამებაზე მაღლა დგას, როცა იგი წარმოებს ჭეშმარიტების სიმაღლეზე და არა პირობითი ან ყალბი ადამიანურობით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 12. სომხურ-გრიგორიანული ეკლესიის ქონების მართვის რეფორმა და სომხური უხამსობა

12 ივნისს გამოქვეყნდა უზენაესი ბრძანება რუსეთში სომხურ-გრიგორიანული ეკლესიის ქონების მართვის თავმოყრაზე მთავრობის დაწესებულებების გამგებლობაში და სახალხო განათლების სამინისტროსთვის აღნიშნულ ეკლესიათა იმ საშუალებების და ქონების გადაცემაზე, რომლებითაც უზრუნველყოფილი იყო ყოფილი სომხურ-გრიგორიანული საეკლესიო სასწავლებლების არსებობა, დასახელებულ სამინისტროს რომ ექვემდებარება 1898 წლიდან.

საეკლესიო მიწები უნდა იყოს მიწათმოქმედების და სახელმწიფო ქონების სამინისტროს, ხოლო კაპიტალი – შინაგან საქმეთა მინისტრის გამგებლობაში. საკუთრების უფლება უძრავ ქონებაზე და კაპიტალი რჩება სომხურ-გრიგორიანული ეკლესიაზე, ხოლო შემოსავალი დაიხარჯება მის ახლანდელ, კანონიერ საჭიროებებზე, გარდა ქონების მართვისა და სომხურ-გრიგორიანული ეკლესიის დამხმარე კაპიტალის შექმნაზე ხარჯისა.

ესზომაუზარმაზარიმნიშვნელობისააპოლიტიკურიდარელიგიური თვალსაზრისით. სიცხადის, წესრიგის და კანონიერების შეტანა საშუალებების განკარგვაში მრავალი თვალსაზრისით მოუწყობელ სომხურ-გრიგორიანულ ეკლესიაში უეჭველად აღმოფხვრის შესაძლებლობას, გამოიყენონ საეკლესიო ფული საქმეებზე, რომლებსაც საერთო არაფერი აქვს ეკლესიასთან; ეკლესიასთან, რომელსაც არ შეუძლია ზომიერი გახადოს სომხური თეოკრატიის პოლიტიკური ხასიათი და დააცხროს სომეხი ხალხისთვის ზიანის მომტანი სულიერი და სხვადასხვა შეხედულების მრავალი ოცნება. ეს საკითხი დიდი ხნის წინ მომწიფებული, დიდხანს იყო დამუხრუჭებული, იმიტომ რომ სომეხ მრეწველ-პოლიტიკოს საქმოსნებს ძლიერი მხარდაჭერა ჰქონდათ კავკასიის და დედაქალაქის გავლენიან სფეროებში. რუსული სახელისთვის არასახარბიელო ეს მხარდაჭერა ხშირად იმდენად უხეშ ფორმებს იღებდა ბეჭდვაშიც, ცხოვრებაშიც და ოფიციალურ წრეებშიც, რომ სახელმწიფო წესრიგის ქომაგებს, რომელთათვისაც შეუთავსებელი იყო ისეთი ანომალია, როგორიცაა პოლიტიკანური თეოკრატია, ზოგჯერ ეჩვენებოდათ, რომ ჯანსაღ მოსაზრებათა ზეიმი საეჭვო მისაღწევი იყო.

სომხური საეკლესიო სკოლების და მათი ქონების გადაცემის

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკითხი სახალხო განათლების სამინისტროს გამგებლობაში სულ თავიდანვე იმავე არასასურველი ზემოქმედების გავლენით დაისვა არანორმალურად და საჩოთიროდ, ვინაიდან დავა ქონებაზე წყდებოდა სასამართლო წესით მთავრობისთვის ფრიად არასასურველ პირობებში: კავკასიაში უმდაბლესი ადმინისტრაცია სომხების კაბალაშია, ხოლო უმაღლესი ხშირად არასაკმარისადაა გათვითცნობიერებული, იმისათვის რომ ებრძოლოს ამ ბოროტებას: ცრუმოწმეობა, გაყალბებული დოკუმენტები, ეშმაკური დამთმობობა ოფიციალური ოქმების, რომლებიც საეკლესიო სამზრუნველოებიდან მოდიოდა; საოცარი მომხვეჭელური მოხერხებულობა სომეხ საქმოსანთა, რომელთაც „ხელი" მიუწვდებოდათ არსებითად მხარის ყველა დაწესებულებაში – ყოველივე ეს ძალზე არასასურველ ვითარებას უქმნიდა სახალხო განათლების სამინისტროს ორგანოებს სკოლის ინტერესებისთვის საბრძოლველად. მთელი თბილისის თვალწინ სომეხ პატრიოტებს მიჰქონდათ, იტაცებდნენ ან გროშებად ყიდდნენ სასკოლო ქონებას, ხოლო, როცა ამას ვერ ახერხებდნენ, მაშინ ძალზე თავხედურად იწყებდნენ სამოქალაქო პროცესებს მაშინაც კი, როცა ეგონათ, რომ საქმეს ვერ მოიგებდნენ.

სახალხო განათლების სამინისტროს მიერ სკოლის ქონებაზე პროცესის წაგების ყოველი შემთხვევა დიდ ხმაურს იწვევდა ადგილობრივ სომხური მიმართულების ბეჭდვით ორგანოში, ამასთან ადგილობრივი უცნაური ცენზურით, ამის პარალელურად ყურადღებას არ აქცევდნენ სასწავლო უწყების წინააღმდეგ ველურ გამოხდომებს; საზოგადოებაში ეს სენსაციას იწვევდა და ყველა ადგილობრივი ელემენტი, რომლებიც კეთილგანწყობილნი არ იყვნენ რუსეთის მიმართ, შემთხვევით სარგებლობდა, რათა მიეთითებინა რუსული ხელისუფლების უძლურება ან მისი ღონისძიების მიზანშეუწონლობა.

ეს ბაკქანალია ხუთი წელი გრძელდებოდა იმიტომ, რომ ამ ანტირუსულ გრძნობებს მოეტანა რაც შეიძლება მეტი ნაყოფი.

ახლა, მადლობა ღმერთს, ამ უმსგავსობებს ბოლო მოეღო: საკითხი სომხურ საეკლესიო და სასკოლო ქონებაზე განიხილეს მინისტრთა კომიტეტში და იმპერატორის ნებით დაიწყეს ცხოვრებაში გამაჯანსაღებელი ზომების გატარება. ის ეხება ძირითადად ამიერკავკასიას, ბესარაბიას, ნაწილობრივ ყირიმს, დონის ოლქს და ასტრახანის გუბერნიას. სამწუხაროდ, ახალი კანონის მოქმედებას არ ექვემდებარება სომხურ-გრიგორიანული საეკლესიო ქონება ორივე დედაქალაქში, სადაც ეკლესიათა გარშემო დაჯგუფებული

ეროვნული ბიბლიოთეკა

სომხური ორგანიზაციები (სომხურად „ჯოგები“) მხოლოდ რელიგიურ ამოცანებზე როდი ზრუნავს. მაგრამ ასეა თუ ისე, მთავარი საქმე გაკეთდა.

კერძოდ, ეს საკანონმდებლო ზომა მნიშვნელოვანი იდეური ზეიმია ამ სტრიქონების დამწერისთვის. მთელ რიგ წერილებში, თუნდაც დამახინჯებული სახით, ადგილობრივი ცენზურის გავლით ძლივს რომ ბეჭდავდი გაზეთ „კავკაზში“ ჩემი რედაქტორობისას და 1903 წლის „რუსკი ვესტნიკის“ ივნისის წიგნში ვცდილობდი, შეძლებისდაგვარად გამერკვია სომხური საეკლესიო საკითხი და მივუთითებდი სწორედ იმ ზომათა აუცილებლობას, რომლებიც ამჟამად აღიარებულია სასარგებლოდ და დროულად, რის წყალობითაც ისინი კანონიერი გახდა. მარტო ეს ფაქტი მაღალი სულიერი ჯილდოა სახელმწიფო და სახალხო ინტერესების გამორკვევის უმადური სამუშაოსთვის, რომელიც არ მოსწონდათ არარუსულ ორგანიზაციებს და მათ დაქირავებულ აგენტებს. ამ სფეროში კი მართალი სიტყვა მაშინვე იწვევს ცილისმწამებლურ ბრალდებებს ბნელეთის მოციქულობაში, რასობრივ შეუწყნარებლობაში და ა.შ.

ამ შემთხვევაში ურიგო არ იქნება კიდევ ერთხელ აღვნიშნოთ, რომ ნავთობმრეწველებისა და სხვა სომეხი პოლიტიკანებისთვის არასასურველი ახალი ზომა შთაგონებულია, უპირველეს ყოვლისა, სომეხი ხალხის სულიერ და სამოქალაქო ინტერესებზე ზრუნვით. ამ ხალხისთვის მნიშვნელოვანია საეკლესიო საშუალებები იხარჯებოდეს ეკლესიისთვის, სკოლისა – სკოლისთვის, ამასთან მწარმოებლურად, ანუ იმიტომ რომ ხალხი იღებდეს განათლებულ სულიერ და საერო წინამძღოლებს, რომლებიც თავიანთი კეთილი გავლენით „ბედნიერ და მშვიდობიან ცხოვრებას“ განამტკიცებენ. ამას კი რუსეთი აძლევს ყველა თავის ხალხს, არარუსული ორგანიზაციების თვითმარქვია მეთაურების ჯიბრზეც კი. როგორც ყველგან, ასევე ჩვენს სამხრეთ აზიურ განაპირასაც, რუსული ხელისუფლების ჩარევა სულიერი განვითარების და სახალხო მასის თავისუფლების საქმეს ემსახურება, მზრუნველობას და თანაგრძნობას რომ იმსახურებს.

ხალხისთვის კეთილისმყოფელი ეს ზომა საბაბი გახდა ჩემ მიერ კავკასიური სინამდვილიდან ამოღებული და ასე ვთქვათ, სიმწრით მოპოვებული შეხედულებების მჭევრმეტყველი დადასტურებისთვის სომხეთა სოციალურ-პოლიტიკურ არაკეთილსაიმედოობაზე.

მიუხედავად მძიმე დაბრკოლებებისა და უსიამოვნებებისა, კავკასიაში კიდევ მომიხდა საუბარი იმის შესახებ, რომ მხარის ეკონომიკურ დაპყრობას ორგანიზებულ სომეხ „შეთქმულთა“

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიერ, რომელიც თავისი თავხედობით სამრეწველო-პოლიტიკურ ტერორამდე მიიდა, გარდაუვალად უნდა გამოეწვია პოლიტიკური გართულებები.

ბევრ პატიოსან, ჭეშმარიტად რუს ადამიანსაც კი ასეთი შეხედულება ეჩვენებოდა მიკერძოებულობის ან პირადი გაღიზიანების ნაყოფად, ხოლო მოყვანილი განზოგადება – ძალზე ცალმხრივად და ნაჩქარევად. შემდგომ განვითარებული მოვლენები ახლა თვალსაჩინოდ ადასტურებს იმ დასკვნებს, რომელთა თქმა თავის დროზე საკმაოდ ძვირი დამიჯდა.

ბათუმის ერთ-ერთ ფორტში აფეთქება, სხვადასხვა სახის ქუჩის უწესრიგობა, ბოროტმოქმედების მიერ მოწყობილი მატარებელთა კატასტროფები, ძარცვა-გლეჯის გაძლიერება – ერთისიტყვით, მთელი რიგი მოვლენები ხდებოდა პირდაპირი ან არაპირდაპირი გზით ამ სამრეწველო-პოლიტიკური ტერორის მიერ, რომელთა მეთაურებსაც უზარმაზარი საშუალება გააჩნიათ – ყოველივე ამან ბოლო წლებში კავკასიური ქრონიკის ბინძური ფურცლები შეავსო, თუმცა პირდაპირი კავშირი ამ მოვლენებსა და მათ პირველსაწყისებთან ჯერ კიდევ ოფიციალურად არ იყო დადასტურებული.

შემდეგ დაიწყო პოლიტიკური მკვლელობები (ჯამგაროვის და სხვ.), ამასთან სომხური მრავალსაუკუნოვანი ისტორიული წესით პოლიტიკა მჭიდროდ იყო გადახლართული საკუთრების წინააღმდეგ დანაშაულობებთან. ნახევრად ველური თურქი სომხების ბანდები, რომლებიც შეადგენდნენ სომხური რევოლუციური ფონდის მოქმედ არმიას, გადმოდიოდნენ ჩვენს ცუდად დაცულ აზიურ საზღვრებზე და ან სახლდებოდნენ მიწებზე, რომლებიც ნაყიდი იყო სხვადასხვა სომეხი ბობოლას მიერ გაღარიბებული ქართველი თავადებისა და თათარი აღალარებისგან, ან დაეხეტებოდნენ ქალაქებში და მთელ ამიერკავკასიაში, რითაც ავსებდნენ დაქირავებულ მკვლელთა და ყოველგვარი სახის დამნაშავეთა რიგებს.

ქართველი საზოგადოების ნაწილი რამდენიმე წელიწადში გაიხლართა სომხურ ინტრიგაში, რომლის საბოლოო მიზანი იყო ამბოხების მოწყობა მხარის ჭრელტომობრივ მოსახლეობაში და „ხელსაყრელი გარემოების“ შემთხვევაში (მაგალითად, რუსეთის ჩაბმა წარუმატებელ ომში) მითიური სომხური სამეფოს აღდგენა კავკასიაში რუსული გამგებლობის ნანგრევებზე.

რა თქმა უნდა, ეს იყო უაზრო ოცნება; მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ სომხეთის მთელი ისტორია, სავსე მოულოდნელი ღალატით, მუხანათობითა და კაცთმოძულეობით, ამ ოცნების ხან

ეროვნული

იატაკქვეშა, ხან გარეთ გამოფრქვეული მსახურებაა. V საუკუნეში სომხური სამეფოს გაუქმების გამო სამღვდელოება კათოლიკოს იოსების წინამძღოლობით სათავეში ჩაუდგა სომეხთა აჯანყებას სპარსეთის მეფის იეზდიგერის წინააღმდეგ; მან თავის სამწყსოს ასეთი სახასიათო წერილით მიმართა: „დე აღიმართოს ძმის ხელი ღვიძლ ძმაზე, თუკი იგი უარყოფს ღვთის ქადაგებას და მამა თანაგრძნობის გარეშე წავიდეს შვილზე, შვილი კი – მამაზე; დე ნუ შეუშინდება ცოლი ხელის აღმართვას მუხანათ ქმარზე და დაე აჯანყდეს მსახური ბატონის წინააღმდეგ". ასეთი იყო უკვე მაშინ კლერიკალური ტერორი, რომელიც ამძიმებდა ხალხის შედარებით მშვიდ ნაწილს, ხშირად არც ისე სიამოვნებით რომ იღებდა მონაწილეობას მოპოლიტიკანო სამღვდელოების სახიფათო წამოწყებებში. ისე მხარის შედარებით ახალ ისტორიაშიც არსებობს დამახასიათებელი ფაქტები, რომელთა შესახებაც წერა და ლაპარაკი, სამწუხაროდ, შესაძლებელი იქნება მხოლოდ 50 წლის შემდეგ.

აღნიშნული ოცნების განუხორციელებლობა საეჭვოა საჭიროებდეს დამტკიცებას, ვინაიდან ხალხი, რომელიც იმსახურებს სახელმწიფოს ფორმის მიღებას, ბუნებრივად აღწევს ამას. გარე დაბრკოლებები ისე მნიშვნელოვანი არაა, როგორც შიდა. სახელმწიფოს უნდა ჰქონდეს პოლიტიკური, საზოგადოებრივი და პირადი სათნოებები (პატიოსნება), რომლებიც სომხებს არასოდეს გააჩნდათ. როგორც ქალაქი, სულ მცირე, „სამ წმინდანს ემყარება", ასევე სახელმწიფოს სჭირდება საკმაო კონტინგენტით სულიერად მაღალი და თავდადებული ადამიანები, აგრეთვე ის, რომ ხალხის მასა გამსჭვალული იყოს სახელმწიფოებრივი იდეალით, საერთო კეთილდღეობისთვის პირადი ცხოვრების მრავალი მხარის და სიხარულის დათმობის აუცილებლობის შეგნებით, არ უნდა იშურებდეს მისთვის არც მატერიალურ ინტერესებს, არც თავად სიცოცხლეს. სახელმწიფოსთვის აუცილებელია გარკვეული ტერიტორია, რომელთანაც ხალხი დაკავშირებული იქნებოდა ხანგრძლივი დროითაც და მაღალი ზნეობრივი ტრადიციებითაც; და ბოლოს, ძალიან მნიშვნელოვანია ხალხის მიდრეკილება შემოქმედებითი, არაპარაზიტული შრომისკენ.

სომხებს, რომელთა ძარღვებშიც უპირატესად სემიტური სისხლი ჩქეფს, სათანადოდ არ აქვთ განვითარებული ხალხის სახელმწიფოებრივი თვისებები, უანგარო შემოქმედების უნარი და უფრო სპეკულაციური მიდრეკილებით გამოირჩევიან, ვიდრე

ეროვნული ბიბლიოთეკა

შრომის, რომელიც დაკავშირებულია მოყვასის* გაუბედურებასთან. აი რატომ აქვთ მათ, თავიანთი ნათესავი ებრაელების მსგავსად, უპირველეს ყოვლისა, ვაჭრობის და შუამავლობის ყოველგვარი ფორმისკენ მიდრეკილება, თვით დანაშაულებრივისკენაც კი.

* აი რას ამბობს სომეხ ინტელიგენციაზე 1898 წლის 30 იანვრის №... გაზეთი „მშაკი".

ერთადერთი სომხურ გაზეთთაგან, რომელიც ხანდახან ამათრახებდა თავის თანამემამულეთა მანკიერებებს და ნაკლოვანებებს: „მთელი რიგი ფაქტორები ამტკიცებს, რომ სომეხი საზოგადოების არც ერთი კლასი ისე ზარმაცი არაა და უდარდელი, როგორც მისი ინტელიგენცია. მას მძიმე და კეთისინდისიერი შრომის ეშინია, საქმის მიმართ სერიოზული დამოკიდებულების ეშინია.

ავიღოთ მაგალითი! აი მასწავლებელი ცენზის გარეშე და ამდენად, სომხურ სკოლებში სწავლების უფლებას მოკლებული; მას სთავაზობენ მოემზადოს დაწყებითი მასწავლებლის წოდებაზე გამოცდის ჩასაბარებლად — იგი ამაზე უარს აცხადებს. არადა ის ხომ მთელი წლები დაკავებული იყო პედაგოგიური მოღვაწეობით, ის ხომ მოუწოდებდა თავის მოსწავლეებს სიბეჯითისა და შრომისაკენ და უეცრად თავად ისე ზარმაცია, რომ არ უნდა თავის შეწუხებაც კი, რათა მოემზადოს ასეთი ადვილი გამოცდისთვის. შემდეგ, აი სომეხ მსახიობთა დასი, რომელიც ჩიოდა სომხური თეატრის მიმართ საზოგადოების სიცივეზე; ამასობაში, იგი მთელი ამ ხნის განმავლობაში საზოგადოებას სთავაზობდა აუტანელ პიესებს. მსახიობები გადიოდნენ სცენაზე ისე, რომ როლებს კარგადაც კი არ სწავლობდნენ, რომ აღარაფერი ვთქვათ რაიმე სრულყოფისკენ სწრაფვაზე... აი ლიტერატურის მუშაკთა მთელი პლეადა, რომელთაც თავიანთ თავზე აიღეს უცხოური ენებიდან გამოჩენილი ლიტერატურული ნაწარმოებების სომხურად თარგმნა: ისინიც საქმის მიმართ ზერელე მიდგომით გამოირჩევიან, სახელდახელოდ თარგმნიან, ძალიან ხშირად ისე, რომ ორიგინალის აზრიც არ ესმით, საზოგადოებას აწვდიან ცუდ თარგმანებს, რომლებიც სავსეა კორექტურული შეცდომებით.

ჩვენში არ არის და არც წარმოიშობა ლიტერატურულ ან გონებრივ ინტერესებთან მჭიდროდ დაკავშირებული წრეები: არც ერთი სამეცნიერო ან საზოგადოებრივი გამოკითხვა არ იქცევს ინტელიგენციის ყურადღებას, რომელიც საერთო ძალებით შეეცდებოდა ეს საკითხები გადაეჭრა. და თუ ეს უკანასკნელი არის, მაშინაც ყველაფერი კეთდება ზედაპირულად, დამახინჯებულად და იგი სავსეა მხოლოდ ფრაზიორობით"...

თუკი ამას დავუმატებთ მდარეხარისხიან პოლიტიკანობისკენ დაუძლეველ სწრაფვას და რუსეთის მიერ მათთვის გაწეული სულგრძელი სტუმართმასპინძლობის და სხვა სიკეთეების მიმართ უმადურობას, მივიღებთ „ინტელიგენტის" სახეს, რომელიც ძალიან შორსაა იმ „კულტურულობისგან", რაზეც ხმამაღლა პრეტენზიას აცხადებენ სომხები.

ამასთან ერთად, ისინი, საერთოდ სხვა აღმოსავლელი ხალხების და განსაკუთრებით სემიტების მსგავსად, უკიდურესად პატივმოყვარენი არიან. რუსული ეროვნული გრძნობის საპირისპიროდ, რომელიც გამოირჩევა თვითკრიტიკის და სინდისიერების მაღალი ელემენტით, აგრეთვე ინგლისური ეროვნული სიამაყის საპირისპიროდ, რომელიც გულისხმობს კულტურის ცნობილი სიკეთეების საყალდებულოობას, სომეხთა ტომობრივი ამბიცია გამომდინარეობს მდაბალი პატივმოყვარეობიდან, რომელსაც ზურგს უმაგრებს ბნელი გზებით მიღწეული ეკონომიკური წარმატება.

რუსული ადმინისტრაციის მიერ ჭრელ ამიერკავკასიაში თავიანთი ამოცანების მრავალი წლის განმავლობაში გაუგებრობამ, ასევე მხარეში ეროვნულ-რუსული ფინანსური პოლიტიკის მრავალწლიანმა არარსებობამ, დასასრულ, ქარით მოტანილი სანავთობე მილიონებმა ავადმყოფურად გაამძაფრა სომხური ტომობრივი პატივმოყვარეობა. აუხდენელი ოცნების ჭაობის ცეცხლმა კაშკაშით დაიწყო თავისკენ სომხების მიზიდვა, ამასთან, თავისთავად ცხადია, რომ რუსეთის საზღვარგარეთელმა მტრებმა: ინგლისელებმა, ამერიკელებმა, გერმანელებმა, ფრანგმა მასონებმა და მთელი მსოფლიოს ებრაელებმა, დაიწყეს ამ ცეცხლზე ნავთის დასხმა. ნავთობმრეწველობის სირინოზებმა ინგლისურ სერთუკებში და მათმა გაიძვერა რწმუნებულებმა რუსეთის და საზღვარგარეთის სხვადასხვა გაველენიან ცენტრში პოლიტიკურ მოღვაწეთა, ბიუროკრატთა და ზოგ-ზოგი პუბლიცისტის გულში შეღწევის გზა მონახეს.

ბეჭდვითი ორგანოების გამყიდველობის და უპრინციპობის ხარისხი განიზომება მათში მოკალათებული პირდაპირი ან გადაცმული ებრაელების პროცენტით. როგორც ჩანს, იგი ყველგან საკმაოდ დიდია, ვინაიდან საზღვარგარეთული ბეჭდვა თითქმის საყოველთაოდ შეუდგა სომხური ბაყაყის გაბერვას ხარის ზომამდე. ეტყობა, რუსულ ბეჭდვაშიც საქმე ურიგოდაა, რადგან სომეხი პლუტოკრატების, მევახშეების და პოლიტიკანების საკმაოდ დასაბუთებულმა მხილებამ მათი ველური გააფთრება გამოიწვია, განსაკუთრებით ეგრეთ წოდებული ლიბერალების, რომლებსაც თითქოსდა პირიქით, თუკი ისინი გულწრფელნი იყვნენ, უნდა თანაეგრძნოთ თაღლითობის და ხალხის შრომის მჩაგვრელი ექსპლოატაციის წინააღმდეგ ყოველგვარი ბრძოლისთვის. როგორც ჩანს, ამ ბატონებს აქვთ პოლიტიკური პროგრამის განსაკუთრებული პუნქტი, რომლის თანახმადაც ისინი თანაუგრძნობენ ყოველგვარ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანტირუსულ მოძრაობას, ყოველ თუნდაც უბადრუკ ძალას, რომელიც ბედავს დაემუქროს რუსულ წყობას, წესრიგს და სიმშვიდეს.

სომხური შეტევითი მყვირალობა ამ ბატონებს ძალზე მოეწონათ და ამან გამოძახილი პოვა, როგორც რაღაც მშობლიურმა, გაზეთის ებრაელებში. ეს მყვირალობა, ზუსტად რომ ვთქვათ, უფრო ებრაულია, თუკი გავითვალისწინებთ, რომ ებრაელები შედარებით დიდი და სულიერად ნიჭიერი ხალხია, რომელმაც მსოფლიოს ცოტა საზრუნავი როდი გაუჩინა, მაგრამ ასევე მისცა მრავალი გამოჩენილი ადამიანი გონებრივი ცხოვრების სხვადასხვა ასპარეზზე. ორივე ხალხი ერთმანეთს ემსგავსება იმით, რომ მთელი თავიანთი მოხერხებულობის და სულიერი გაუბედაობის მიუხედავად, შეუძლიათ ხმაურის ატეხა, გაყოყოჩება და არაადამიანური შეუწყნარებლობის გამოვლენა, როცა ეჩვენებათ, რომ ძალა მათ მხარეზეა.

სომხები, სხვათა შორის, გაყოყოჩდნენ არა მარტო იმიტომ, რომ მათ დაუბრკოლებლად გაახვიეს თავიანთ ბადეში მნიშვნელოვანი ტერიტორია, რომელიც ზომით საფრანგეთს აჭარბებს, არამედ უკვე მარტო იმითაც, რომ სარგებლობენ ქრისტიანთა ყველა უფლებით, გამოირჩევიან რა ებრაელთა ყველა ინსტინქტით. ასეთ პირობებში კანონზომიერი თანაბარუფლებიანობა ფაქტობრივი პრივილეგიაა ამიერკავკასიის დანარჩენ მოსახლეობასთან შედარებით.

მრავალი წელია უკვე ისმის ბეჭდვით ორგანოებშიც და მმართველ სფეროებშიც თავისი ცოდნით ავტორიტეტული ხმა, რომლებიც მიუთითებს ასეთი მდგომარეობის არანორმალურობას. და ყოველთვის სომხური ორგანიზაცია, რომელიც ემყარება ფულად ძალას და მისთვის მისაწვდომ ცდუნების ყველა საშუალებას, პოულობდა გაელენიან დამცველებს, ხან პრინციპული, ხან ნაკლებად პატივსაცემი ზრახვით რომ ხელმძღვანელობდა. რუსული ხელისუფლება და რუსული საზოგადოებრივი აზრი დროებით კვლავ მიიძინებდა ხოლმე და ნელ-ნელა გრძელდებოდა ორმაგი სამუშაო: მხარის ეკონომიკური დამორჩილება და რუსულ სახელმწიფოებრივ საწყისთან ბრძოლისთვის მზადება.

სომხური განკერძოებულობის ცენტრალური ორგანო მრავალი საუკუნის განმაელობაში იყო და დღემდე არის, როგორც ზემოთ ითქვა, სომხური თეოკრატია, რომელიც თავისთავად ნახევრად ფარული სახელმწიფოებრიობის განსაკუთრებული ფორმა იყო. გარეგნულად — ეს ეკლესია იყო, ხოლო არსით — უპირველეს ყოვლისა, „ეროვნული“ დაწესებულება, რომელიც მეტწილად რელიგიურ მოწოდებაზე მაღლა ფარულ პოლიტიკურ ამოცანას აყენებდა. ეს ეკლესია, — რა

ეროვნული ბიბლიოთეკა

თქმა უნდა, იყო არა ღვთის ტაძარი, არამედ სომეხთა საკრებულო, გაერთიანებული საერთო ამოცანებით, — ხშირად წარმოადგენდა ხან ბირჟას, ხან პოლიტიკური და სხვა თათბირებისთვის ადგილს. კავკასიაში საკმაოდ გავრცელებულია ეჩმიაძინს დაუძახონ „სახელმწიფო ქაღალდების დამზადების ექსპედიცია“.

საეკლესიო ორგანიზაციისთვის, რომელიც ემთხვეოდა პოლიტიკურს, უცხო არ იყო, ამ და ყველა სხვა ბნელი მხარის შედეგად რელიგიურ-ზნეობრივი და სახელმწიფო წესრიგის საწინააღმდეგო ყოფილიყო. ამიტომაც ნებისმიერ სომხურ ეპარქიაში და თვით ეჩმიაძინშიც ხშირად გადამწყვეტ როლს ასრულებდნენ საერო პირები, რომელთაც ხელთ ეპყრათ ან პოლიტიკური ინტრიგის ძაფი, ან მაგრად გატენილი ფულის ყუთის გასაღები. ყოფილ თბილისელ ქალაქისთავს — გეორქ ევანგულიანს, რომელსაც რუსულად ევანგულოვს უწოდებდნენ, მაგალითად, მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდა ეჩმიაძინის საქმეებზე*, ისევე როგორც ამჟამად აკრძალული გაზეთის „არძაგანკის“ გამომცემელს, ვინმე აბგარ იოანისიანს და მოსკოველ ადვოკატს გრიქორ ჯანშიევს, ცრუ-ლიბერალ, ცრუ-რუს პუბლიცისტს. ეშმაკმა, კუზიანმა არწრუნიმ, თბილისის გაზეთ „მშაკის“ ყოფილმა გამომცემელმა, კათოლიკოსის ბოლო არჩევნებისას, კინაღამ ეჩმიაძინის ტახტზე დასვა თავისი კაცი; არსებობს ვარაუდიც, რომ მას თავად სურდა გამხდარიყო

---

* ეს დასტურდება სომხურივე გაზეთით „მშაკი“ (№116,1897წ.),რომელიც წერდა,რომ „იგი ათ წელიწადზე მეტი ხანი უახლოესი მრჩევლის როლს ასრულებდა ეჩმიაძინის მონასტრის საქმეებთან დაკავშირებით და ყველაფერი,კარგი თუ ცუდი,რაც მოხდა იქ ამ დროის განმავლობაში,გაკეთდა მისი რჩევით,რასაც არ მალავენ მისი მეგობრებიც კი. მის მეგობრებს რჩებათ მხოლოდ ის,გვიჩვენონ: რამდენი კარგი და რამდენი ცუდი გააკეთა მან იქ“. იმავე პატივსაცემი მოღვაწის დახასიათების გაგრძელებისას,გაზეთი ამბობდა: „იგი ცნობილია როგორც მტერი არა მარტო ხალხთა სოლიდარობის,არამედ როგორც არაგრიგორიანული აღმსარებლობის სომხების მტერი. მიუხედავად უმაღლესი განათლებისა,იგი ყოველთვის ქადაგებდა: „სომხურ-გრიგორიანული ეკლესიის გარეშე ხსნა შეუძლებელიაო“ და უნდა ვაღიაროთ,რომ ის დიდი წარმატებით ატარებდა ცხოვრებაში ამ იეზუიტურ იდეას. იგი არასოდეს სცემდა პატივს საზოგადოებრივ აზრს, არ აღიარებდა კონტროლის უფლებებს საზოგადოებრივ დაწესებულებებში“. თავისი მსოფლმხედველობის ეს უკანასკნელი თავისებურება ბ-მა ევანგულოვმა თვალსაჩინოდ გამოავლინა თბილისის საქალაქო დუმაში თავისი დიქტატურის დროს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კათოლიკოსი, ისევე როგორც ნახსენებ ევანგულიანს. დღესდღეობით ნებისმიერი მსხვილი ნავთობმრეწველი ან ბანკირი, მანთაშევის ან ცატუროვის მსგავსი, ერევა თავისი ეკლესიის საქმეებში და დროდადრო ელაპარაკება ეჩმიაძინს დიქტატორის ტონით. გადმოცემული აუცილებელია გავითვალისწინოთ ბოლო დროს გამოკვეთილი მოვლენების შეფასებისას, რადგან ისინი თვალსაჩინოდ გვიდასტურებს, რომ სომხურ ეკლესიაში ჭარბობს პოლიტიკური ელემენტი და ამ უხამსობაში დამნაშავე მარტო სამღვდელოება არაა, ვინაიდან ეს ორგანიზაციის საქმეებია, ხალხის ყველა ფენას რომ მოიცავს, ეჩმიაძინის უზენაესი ხელმძღვანელობით.

მოკლედ შევახსენებთ დიდი ხნის წინ მომზადებული სომხური ამბოხების უდროო აფეთქებებს. 1903 წლის 13 აგვისტოს, საღამოს შვიდ საათზე ქ. ალექსანდრეპოლში ქუჩაში ხანჯლით მოკლეს მართლმადიდებელი დეკანოზი ვასილოვი, რომელზეც სომხური რევოლუციური კომიტეტი აღშფოთებული იყო სამი სომხური სოფლის მართლმადიდებლურად მოქცევის გამო. კავკასიაში ფრიად გავრცელებული წესით მკვლელი უკვალოდ გაქრა. ცოტა ხნით ადრე თურქი სომხებისგან დაქირავებულმა მკვლელებმა ხანჯლებით მოკლეს ერევნის რკინიგზის ერთ-ერთ სადგურზე ეჩმიაძინის მაზრის შაგრიარის მცხოვრები, სტეპან დრამპოვი, რომელიც ეჭვმიტანილი იყო, რომ მან გასცა სომხური ეროვნული მიზნისთვის ფულის აკრეფის ორი მთავარი ორგანიზატორი; ეჭვი უსაფუძვლო იყო, რადგან საქმის ნამდვილად მთავარი ორგანიზატორები არათუ დადიან, არამედ დანავარდობენ კიდეც თავისუფლად ძვირფას ეტლებში, კავკასიის და დედაქალაქის ბიუროკრატიაში მხარდაჭერით სარგებლობენ, ატარებენ საპატიო წოდებებს და მაკონტროლებელი ხელისუფლებისთვის ჯერჯერობით მიუწვდომელნი რჩებიან. სწორედ თურქი სომხების, თურქული „სკოლის" ღირსეული აღზრდილების როლი, წარმოშობით ნახევრად ქურთები რომ არიან, აშკარად იკვეთება როგორც აღნიშნულ, ასევე მრავალ სხვა საქმეში; საპროკურორო ზედამხედველობის ცნობით, როგორც იტყობინება „ნოვოე ვრემენის" ერევნელი კორესპონდენტი, ბ-ნი გრიგორიევი, სომხების მიერ ჩადენილი ყველა დანაშაულის 80% ხდება სწორედ თურქი სომხების მიერ, რომლებიც ავსებენ დაქირავებულ მკვლელთა ვრცელ კონტინგენტს, ხოლო ამ მკვლელობათა საბაბი მეტ-ნაკლებად იძულებითი შემოწირულობების აკრებაა ყბადაღებული „ეროვნული მიზნებისთვის".

ცალკეულ მკვლელობებზე და ფულის გამოძალვის შემთხვევებზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცნობები ყოველთვის როდი ხვდება ბეჭდვით ორგანოებში, ვინაიდან მათში გარეულები აღმოჩნდებიან ხოლმე (როგორც, მაგალითად, ჯამაგაროვის საქმეში) საკმაოდ შეძლებული და მხარის სხვადასხვა დაწესებულებაში კავშირების მქონე სომხების „ინტელიგენტი" შვილები. თუმცა უეჭველია, რომ მთელ ამიერკავკასიაში სუფევს პოლიტიკური შანტაჟის დამთრგუნველი ატმოსფერო და ამას გრძნობს ყოველი ცოტა მაინც ყურადღებიანი მცხოვრები*. დიდხანს დაფარულმა სოციალურ-პოლიტიკურმა სენმა ბოლო დროს იმდენად რელიეფური ფორმები მიიღო, რომ თვით კავკასიის ბეჭდვითი ორგანოებისთვისაც შეუძლებელი გახდა მათ შესახებ გაჩუმება. ეს მოხდა უზენაესი ბრძანებით 1903 წლის 12 ივნისს სომხების საეკლესიო ქონების სამოქალაქო ხელისუფლების გამგებლობაში გადაცემასთან დაკავშირებით. ზემოთ დაწერილებით განვიხილეთ ამ სამთავრობო ზომის ღრმა მიზანშეწონილობა, რომელიც ძლიერ ოპოზიციას წააწყდა ზოგიერთ ჩვენს გაელენიან სფეროში. აქ საკმარისია მოკლედ გავიმეოროთ, რომ ეს ზომა ანტირელიგიური არ ყოფილა, არც ანტიეკლესიური, უფრო პირიქით, ვინაიდან ის ერთ-ერთი აუცილებელი სამკურნალო საშუალება იყო სომხური ეკლესიისთვის, რითაც დაეხმარებოდა ამ უკანასკნელს შეესრულებინა თავისი მაღალი ქრისტიანული ამოცანა პოლიტიკური ავანტიურის და სათაკილო გეშეფტების მხარეს გადახრის გარეშე. ეს შესანიშნავად ესმით იმ მცირე განცალკევებულ და მორიდებულ ჭეშმარიტ სომეხ პატრიოტებს, რომელთაც პოლიტიკური ტერორი ახლა პირს უხშობს. ამას გაიგებს სომეხი ხალხის მასაც, რომელიც ნელ-ნელა განთავისუფლდება თავისი თვითმარქვია მეთაურებისგან.

ამ ზომის მოწინააღმდეგეები ტყუილად ფიქრობდნენ, რომ მას თავისთავად შეუძლია სომეხი ხალხის უკმაყოფილება გამოიწვიოს. რა თქმა უნდა, აქ არანაკლებ როლს თამაშობს მის განმხორციელებელ ხელისუფალთა მოხერხებულობის ხარისხი; ხალხმა უნდა იცოდეს, რომ სომხური ეკლესიის საშუალებები რჩება ხელუხლებელი და მას მხოლოდ იცავენ იმ მიზნებზე დახარჯვისგან, რომელთაც საერთო არაფერი აქვს რელიგიასთან. ცხადია, სომეხი პოლიტიკური

---

* თავად განსვენებული ვ.ლ. ველიჩკო მის მიერ გაზეთ „კავკაზის" რედაქტორობის დროსაც და შემდგომაც, სიცოცხლის ბოლო დღეებამდე, ყველაზე სხვადასხვანაირი გამოვლინებით განიცდიდა ამ შანტაჟს, დაწყებული ანონიმური წერილებიდან, რომლებიც ხან მუქარის იყო, ხან ისტერიულად სალანძღავი და დამთავრებული თავისი მრავალფეროვნებით გასაოცარი სხვა შანტაჟურ ზემოქმედებათა მცდელობებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წინამძღოლები ცდილობდნენ დაემტკიცებინათ ხალხის მასისთვის სწორედ საწინააღმდეგო და წარმატებას მიაღწიეს კიდეც თავიანთ სწრაფვაში იმიტომ, რომ სომეხი მოსახლეობის ანტირუსული ორგანიზაცია ძლიერ წავიდა წინ. ამის მომდევნო უწესრიგობები, რომელთა შესახებაც ქვემოთ დაწვრილებით ვიტყვით, აღმოჩნდა საკმაოდ ღირებული რეაქტივი, რაც იმის მაჩვენებელი იყო, რომ რაღაც მზადდებოდა, მწიფდებოდა და გარდაუვლად იფეთქებდა რუსული საქმისთვის უფრო არახელსაყრელი ვითარების დროს. უნდა გვიხაროდეს, რომ გარდაუვალი მოხდა ნაადრევად და სომხურმა პოლიტიკურმა ინტრიგამ გახსნა თავისი კარტი მანამ, სანამ უფრო საგრძნობ ზომებს მიაღწევდა.

სომხური საიდუმლო ორგანიზაციის აშკარა ნიშნები ვლინდებოდა ისეთ გარეშე და შემთხვევით საბაბთაგან დამოუკიდებლადაც, როგორიც აღნიშნული ზომა იყო; ეს მტკიცდება ზემონახსენები მკვლელობებითა და სხვა დამახასიათებელი ფაქტებით. ასე მაგალითად, ართვინის ოლქში დაიჭირეს სომხების ბანდა, რომელსაც მეთაურობდა შტუტგარდტის პოლიტექნიკუმის სტუდენტი აბრამიანი; ამ პატრიოტებთან იპოვეს დროშა წარწერით „სიკვდილი ან თავისუფლება“, იარაღი, დინამიტები, სასკდომი ბომბები და ა.შ.; ბანდის წევრები მანამდე ცხოვრობდნენ ამიერკავკასიის სხვადასხვა ქალაქში. ბანდა თითქოსდა მიემართებოდა თურქეთში, მაგრამ ალბათ საეჭვო არაა, რომ მას განზრახული ჰქონდა „წაემუშავა“ რუსულ ფარგლებშიც. ამასთან, ეს ერთეული შემთხვევა როდი იყო: 1903 წლის 29 აგვისტოს ყარსში, ყრუ შესახვევში, ყუბანის პოლკის ყაზარმების მახლობლად, ვინმე ტანოევის ბინაში ამერიკის ქვეშევრდომი, სომეხი ჯონ ნახიკიანი, დაკავებული იყო ხელის გრანატების დამზადებით; როგორც ჩანს, ეს პატრიოტი და მისი თანამოაზრეები ემზადებოდნენ არა ქურთებთან საბრძოლველად, არამედ სურდათ გაეპროტესტებინათ დინამიტებითა და სხვა ფეთქებადი ნივთიერებებით 12 ივნისის უზენაესი ბრძანება. განგებამ თავად დასაჯა ეს ბოროტმოქმედები: მოხდა აფეთქება, რის შედეგადაც ისინი დაიღუპნენ.

შემდეგ ამიერკავკასიის სხვადასხვა ადგილიდან მოდის ცნობები სომხური ამბოხებების აფეთქებებზე. ერივანში, ეჩმიაძინსა და ახლომდებარე სოფლებში ატყდა წარმოუდგენელი ხმაური. მთელი ბრბოები მიემართებოდა კათოლიკოსთან, ითხოვდნენ, რომ მას გაეპროტესტებინა კანონი, თუმცა სამღვდელოება აღიარებდა, რომ ამის მოთხოვნა საჭირო არ იყო, რადგან კანონის მიმართ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაუმორჩილებლობა თავად ეჩმიაძინის პატრიარქისგან მოდიოდა.

29 აგვისტოს ელისავეტპოლში, ქალაქის განაპირას, სომხური ეკლესიის მახლობლად ზარის დარეკვის ხმაზე შეიკრიბა რამდენიმე ათასი სომეხი, რომლებმაც შეავიწროვეს პოლიცია და საერობო მცველები (ჩაფრები), თან დაშლის მოთხოვნას უპასუხეს ქვების სეტყვითა და რევოლვერის გასროლით. უწესრიგობის ადგილზე დროულად მისული ჯარისკაცები იძულებული იყვნენ, ცეცხლი გაეხსნათ, რის შემდეგაც ბრბო გაიფანტა, ადგილზე კი დატოვა 7 მოკლული და 27 დაჭრილი.

ამ მოვლენამ ძალზე მწვავე გამოძახილი ჰპოვა თავად ამიერკავკასიის დედაქალაქში, სადაც თავმოყრილი იყო მთავარი ადგილობრივი სამთავრობო დაწესებულებებიც და უამრავი ჯარისკაციც. ეს ადამიანები საოცრად თავხედურად იქცეოდნენ. სამთავრობო შეტყობინებით, 31 აგვისტოს თბილისში, სომხურ ტაძარში ლიტურგიის შემდეგ სამღვდელოებამ ეკლესიის ღობის შიგნით 2000-კაციანი ბრბოს წინაშე გადაიხადა პანაშვიდი 7 პირზე, რომლებიც დახოცეს ელისავეტპოლში ადგილობრივი სომხების მიერ მოწყობილი უწესრიგობის დროს. პანაშვიდის შემდეგ მღვდელმა ტერ-არარატოვმა დაწყევლა („ნოვოე ვრემია" საფუძვლიანად კითხულობს: „ვინ?") საეკლესიო ქონების ჩამორთმევის გამო. იქ გაისმოდა რევოლუციური მოწოდებები, ბრბო ხმაურობდა, ისროდა ქვებს და დაახლოებით 40-ჯერ ესროლა პოლიციის ჩინოსნებს. უწესრიგობის ადგილზე გამოიძახეს კაზაკები, რომლებმაც გაფანტეს ბრბო, დააპატიმრეს 4 წამომწყები, მათ შორის მღვდელი ტერ-არარატოვი.

1903 წლის 2 სექტემბერს ასეთივე ამბოხებამ იფეთქა ყარსში სახაზინო მმართველობაში სომხური ეკლესიების — სუპ-ნიშანის და წმინდა ღვთისმშობლის — ქონების გადაცემის გამო. როგორც „კავკაზი" აღწერს, ისევ და ისევ ზარის რეკვაზე, შეიყარა სომხების დიდი ბრბო და განლაგდა სუპ-ნიშანის ეკლესიის გარშემო, აგრეთვე — მეზობელი სახლების სახურავებზე და შიგნით. პოლიციის და პოლიციის ჩაფრების მოთხოვნაზე, დაშლილიყვნენ, ბრბომ ქვების სეტყვით და სროლით უპასუხა, მერე უკან დაახევინა მათ. მალე ეკლესიაში მოვიდა ჩაფრების რეზერვი ოლქის უფროსით და ესკის კაზაკთა პოლკის ორი ასეული. სულ უფრო გაზრდილი ბრბო მათ ქვების და იარაღის სროლით შეხვდა. ვინაიდან მოთხოვნა დაშლილიყვნენ, არ შესრულდა, მცველები იძულებული გახდნენ, რამდენჯერმე გაესროლათ, რის შემდეგაც მათ კაზაკებთან ერთად მოედანი

და სახლები გაათავისუფლეს ბრბოსგან. ჯარს აგრეთვე მოუხდა სომხების ბრბოს განდევნა წმინდა ღვთისმშობლის ეკლესიიდან, ამასთან დააპატიმრეს 77 სომეხი, მათ შორის ორი მღვდელი.

კიდევ უფრო ორგანიზებული და ცხარე წინააღმდეგობა გაუწიეს ბაქოელებმა, რომლებიც, როგორც ჩანს, უფრო შეეჩვიენენ თავიანთ ნავთობის მეფეთა ხელისუფლების აღიარებას, ვიდრე რუსული მთავრობის. იმავე „კავკაზის" აღწერით, ქალაქბაქოში 2 სექტემბერს, დაახლოებით საღამოს 5 საათზე, ადგილობრივი სომხური ტაძრის ზარების რეკვის ხმაზე თავი მოიყარა სომეხთა დიდმა ბრბომ. პოლიციის წინადადებაზე, დაშლილიყვნენ, ბრბომ ქვების სეტყვითა და რევოლვერებიდან სროლით უპასუხა; ისროდნენ თვით ეკლესიის ფანჯრებიდანაც კი, რის გამოც გამოიძახეს ორი ასეული კაზაკი და სალიანსკის ქვეითი სარეზერვო პოლკის ნახევარასეული. ჯარისკაცებს ასევე ქვებითა და რევოლვერების სროლით შეხვდნენ, ამასთან ბრბო დაიმალა ეკლესიის ქვის ღობის მიღმა და თვით ეკლესიაში; ამის გამო ნახევარასეულმა ცეცხლი გახსნა და ბრბომ, რომელსაც მიჰყავდა ტაძარში მოკლულები, თავი შეაფარა ტაძარს, მას კი ალყა შემოარტყეს ჯარისკაცებმა. ჩამორთმეულია და ნაპოვნია ბევრი იარაღი, ამასთან თვით ტაძარშიც კი, ხოლო მის საკურთხეველზე აღმოჩნდა დატოვილი რევოლვერები, პატრონები და სასროლი ჰილზები.

შუშაში, რომელიც ძველთაგან ცნობილია ადგილობრივი სომხური ელემენტის პოლიტიკური მღელვარებითა და საოცარი თავხედობით, 12 სექტემბერს, ხაზინის გამგებლობაში საეკლესიო ქონების მიღების დროს, სომეხთა ბრბომ აგრეთვე ატეხა წარმოუდგენელი ხმაური და მუქარით გაემართა გუბერნატორის ბინისკენ; ჯარისკაცებს მათთან მოუხდათ შეტაკება, რის გამოც თავი ვერ აარიდეს დახოცვასა და დაჭრას. შუშაში სამღვდელოება არ იყო წამოწეული. ბევრ სხვა პუნქტში საეკლესიო ქონების გადაცემა ხდებოდა ასევე არასასიკეთოდ. პოლიტიკური მკვლელობები გრძელდებოდა. ყარსში 9 სექტემბერს დაქირავებულმა თურქმა სომხებმა მოკლეს თურქი შარიფლაშიბეკოვი, რომელიც შემჩნეული იყო სომხების სიძულვილსა და მათ შესახებ ცნობების მიწოდებაში თურქ ხელისუფალთათვის. მკვლელობა მოხდა გუბერნატორის კანცელარიიდან ორ ნაბიჯზე, ამასთან, იქ შეკრებილი სომეხთა ბრბო დაეხმარა მკვლელს, დამალულიყო, მან ამასთანავე დაჭრა ქალაქის პოლიციელი. შემდეგ ყველა ეს მედუქნე და ნოქარი სრულ უცოდინრობას აცხადებდა მომხდარის შესახებ. სომხობა დგას მთლიანი კედელივით, ფარავს

როგორიც გნებავთ ისეთ საშინელებებს და ტრაბახობს კიდეც დანაშაულთა ზოგიერთი წვრილმანით; ასე, მაგალითად, ხმამაღლა ლაპარაკობენ, რომ მართლმადიდებლური ტაძრის დეკანოზის, ვასილოვის მკვლელობისთვის მკვლელებმა მიიღეს 25 000 რუბლი. აშკარაა, რა როლს ასრულებენ ასეთ საქმეებში სომეხი ფულიანი ბობოლები.

13 სექტემბერს, დღისით-მზისით, ეჩმიაძინში თურქმა სომხებმა, როგორც ჩანს, მათი მბრძანებლების დავალებით ბაზრის მოედანზე მოკლეს ვინმე პოგოიანცი, რომელსაც ადანაშაულებდნენ, რომ იგი საეკლესიო ქონების ხაზინაში გადაცემის დროს მოწმეთა შორის იყო და ხელი მოაწერა ოქმს, რევოლუციური კომიტეტის მუქარის მიუხედავად. ეს ამ რაიონში უამრავ პოლიტიკურ მკვლელობათაგან ერთ-ერთია. მოსახლეობა ტერორიზებულია, განსაკუთრებით იმით, რომ მკვლელები და მათი მბრძანებლები უჩინარნი და დაუსჯელნი რჩებიან. ცნობილია, რომ ეჩმიაძინის მონასტერი ინახავს და აჭმევს ასეულობით თურქ სომეხს, ადამიანებს, რომელთაც ყაჩაღური იერი და ცხოვრების წესი აქვთ.

სომხური ამბოხების ყველა ზემოაღწერილ აფეთქებაში თვალში საცემია რიგი დამახასიათებელი ფაქტი. ჯერ ერთი, სომეხთა ბრბოს, რომელსაც ჩვეულებრივ მიიჩნევენ მშვიდობიან და მორცხვ ადამიანებად და რომელიც მართლაც ბუნებით ლაჩარია, აღმოაჩნდა ბევრი იარაღი; როგორც ჩანს, არსებობდა დიდი ხნის წინ მომზადებული იარაღის საწყობები, რაც მოწმობდა გარკვეული მოქმედებისთვის მომზადებული ორგანიზაციის არსებობას. მეორეც, უწესრიგობების ადგილზე მეამბოხე სომხები იხმეს ზარების რეკვით და ისინი იარაღით ხელში მოვიდნენ, ამასთან ყარსსა და ბაქოში დაიკავეს თავისებური სტრატეგიული პოზიცია; მაშასადამე, ყველაფერი ადრევე იყო მომზადებული. მესამეც, ეკლესია, რომელიც მოიხმობს ადამიანებს ზარების რეკვით არა ლოცვისთვის, არამედ ხოცვა-ჟლეტვისთვის, ეკლესია, რომლის საკურთხეველი შებღალულია განადგურების იარაღით, სალოცავი სახლი კი არაა, არამედ მხეცობის კერა და ამბოხების ბუნაგი კანონიერი ხელისუფლების წინააღმდეგ, ხელისუფლების, რომელიც მოქმედებს ამავე ეკლესიის სულიერი ინტერესებისთვის.

და ბოლოს, 1903 წლის 14 ოქტომბერს, დღისით-მზისით თბილისის გასასვლელთან, ბოტანიკური ბაღის ახლოს, კავკასიაში სამოქალაქო ნაწილის მთავარსარდალს, გენერალ-ადიუტანტ თავად გოლიცინს, რომელიც მეუღლესთან ერთად ბრუნდებოდა ეტლით ქალაქგარეთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სეირნობიდან თავს დაესხა სამი არამზადა, რომლებმაც ხანჯლით მიაყენეს რამდენიმე ჭრილობა თავზე, სახესა და ხელზე, თან ცდილობდნენ გადმოეთრიათ მხარის მეთაური ეტლიდან. თავადი მამაცურად იგერიებდა ჯოხით და რამდენიმე სახიფათო დარტყმა აიცილა. კაზაკისიპლიევენკომმამაცურადშეებრძოლათავდამსხმელებს და დაიჭრა; მათ დასახმარებლად მოუსწრეს ჩინოსანმა საერობო ჩაფრებმა, შემდეგ კი — კაზაკებმა. თავზეხელაღებულნი ხეობით გაიქცნენ, თან ისროდნენ; ერთი მათგანი უსულოდ მკვდარი დაეცა, ხოლო ორი სასიკვდილოდ დაიჭრა და იმავე დღეს გარდაიცვალა.

თბილისიდან მაშინვე მიღებული ცნობით, აღმოჩნდა, რომ კავკასიაში ძლევამოსილი ხელისუფლების წარმომადგენელზე თავხედურ თავდასხმაში მონაწილე დამნაშავეები ეკუთვნოდნენ სომხური მოსახლეობის ყველაზედაბალ ფენებს. საკითხი დანაშაულის ზნეობრივ დამნაშავეებზე, მის მოტივებზე და სრულ ვითარებაზეც კი გაურკვეველი დარჩა. ჩვენი ბეჭდვითი ორგანოების ნაწილმა გამოავლინა ან უცოდინარობა ან, ებრაული სულისკვეთების ბეჭდვის სახით, პირდაპირი სწრაფვა ამ ბნელი საქმიდან გამოეხსნა სომხური ინტრიგა, გადააბრალა რა იგი მთლიანად კავკასიელ ყაჩაღებს. იმ ადამიანებისთვის, რომლებიც იცნობენ კავკასიას, ასეთ განმარტებაში არის უეჭველი ძალდატანება. მოგვიანებით გაირკვა, რომ მკვლელები რუსი ქვეშევრდომი სომხები კი არ არიან, არამედ ეკუთვნიან სომხურ ტერორისტულ ბანდას. კარგი იქნებოდა გაგვეგო, გარეგნულად როგორი მშვიდობიანი სომხები მონაწილეობდნენ მასში ფულით ან სხვა საშუალებებით...

საერთოდ ალბათ საკმაოდ დაგვიანებულიცაა სერიოზულად ჩაეუღრმავდეთ როლს, რომელსაც ასრულებენ დანაშაულებში, ძარცვა-გლეჯაში, ამბოხებებსა და კავკასიური ცხოვრების სხვა წყლულებში სომხები, ასევე ბნელი წარსულის და კიდევ უფრო ბუნდოვანი აწმყოს მქონე ზოგიერთი მდიდრის მრავალმილიონიანი ქონების და გავლენის საკითხს. კავკასიისთვის ამ ძირეული საკითხის კეთილსინდისიერი და სიღრმისეული შესწავლა გასაღებს მისცემდა მთავრობას მრავალი საიდუმლო კარისთვის, რომელთა მიღმაც ხდებოდა მხარის სიმშვიდისთვის უკეთური და დამღუპველი საქმეები.

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ განა ნათელი არაა, რომ 12 ივნისის კანონი იყო ძალზე აუცილებელი ზომა, თანაც უფრო დაგვიანებული, ვიდრე ნაადრევი?!

ამ თვალსაზრისით ყოველი დაკარგული წელი, ყოველი დღე

ეროვნული ბიბლიოთეკა

სავალალო გართულებების მომტანი იყო, იმიტომ, რომ სომხური რევოლუციური ორგანიზაცია იზრდებოდა ღრმად და ფართოდ. თუკი დროულად წინ აღუდგებოდნენ ამას, მაშინ არ იქნებოდა მოუსაზრებლობის, რევოლუციური ჰიპნოზის და ბრმა ფანატიზმის მრავალი არასაჭირო, საფუძველშივე საცოდავი მსხვერპლი. ასეა თუ ისე, ეს ველურები სიბრალულს იმსახურებენ, რადგან თავიანთ უსულგულო მეთაურებს რომ არ ჩაეთრიათ ამ საქმეებში, თუ განსაკუთრებული სარგებლობის მომტანნი არ იქნებოდნენ, მშვიდობიანი რუსი ქვეშევრდომები მაინც გახდებოდნენ.

სახელმწიფო პოლიტიკაში, როცა მას საქმე აქვს დიდ სახალხო მასებთან, არაფერი ისე უხეშია არაა, როგორც თეინიერება ან ნახევარზომა იმ მეთაურების მიმართ, რომლებსაც ბრბო მიჰყავდათ ამბოხების გზით. რამდენიმე წლის წინ მტკიცე, მბრძანებლური ხელით რომ გაეძევებინათ დღემდე პრივილეგიური, ათეულობით ბედნიერი სომეხი პოლიტიკანი, ახლა ჯარისკაცებს სროლა აღარ დასჭირდებოდათ. დაიჭირო და დასაჯო წვრილი აგიტატორები და განზე დაგრჩნენ მთავარი საქმოსნები, ნიშნავს, ეცადო მდინარის ვედროებით ამოხაპვას. ყოველ მეტ-ნაკლებად სერიოზულ მოვლენას, რომელიც უბედურების მომტანია, უნდა სათავეშივე სტაცო ხელი: თუ არადა, არამიზანშეწონილი სახელმწიფო საქმე გამოდის წესრიგის თვალსაზრისით და სასტიკი ხალხისთვის, რომელიც სისხლით ზღავს იმ უგუნურებისთვის, მასში რომ იზრდებოდა ანარქიული მოვლენების მთავარი დამნაშავეების მიმართ ხელისუფლების რბილი დამოკიდებულების გამო.

ნათქვამი განსაკუთრებით ეხება სწორედ აღმოსავლეთის ხალხებს. აღმოსავლეთი ემორჩილება მხოლოდ მრისხანე ძალას, სამართლიანს, მაგრამ აუცილებლად მრისხანეს. თეინიერებას, წარმოშობილს ჰუმანური ზრახვებით, იგი სისუსტედ მიიჩნევს. განსაკუთრებით სომეხს, როგორც ხალხის ტიპს, არ ესმის დიდსულოვნება, იმიტომ, რომ თავად ეს განცდა მისთვის ძალზე უცხოა.

„ნოვოე ვრემია", სხვათა შორის, ერთ-ერთ თავის მოწინავე წერილში მეამბოხე მღვდლის ტერ-არარატოვის გაუგონარ თავხედობასთან დაკავშირებით წერდა: „თუკი ზოგიერთი სომეხი მღვდლის სულს ძალზე ელამუნება 1863 წელს პოლონელი ქსენძების როლი, მხოლოდ იმიტომ, რომ მათ რუსული ისტორიის უცოდინრობის გამო არ იცოდნენ იმათი შემდგომი ბედი, ვისზეც მურავიოვ-ვილენსკი ამბობდა, რომ, თუ დამტკიცდებოდა ამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მღვდლების დანაშაული, მათ „ანაფორებიც კი ვერ იხსნიდა"...

ანალოგია ზუსტადაა მოძებნილი: იგი თავისთავად ჩნდება, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ კათოლიკე ქსენძები აჯანყების დროსაც კი არ კარგავდნენ ღვთის ნაპერწკალს და არ ივიწყებდნენ, რომ ისინი ქრისტიანები იყვნენ. სომეხი სამღვდელოების უმეტესობას კი თითქმის არაფერი ჰქონდა საერთო ნამდვილ ქრისტიანებთან.

რა დასკვნამდე შეიძლება მივიდეთ ზემოაღნიშნული სავალალო მოვლენების გამო?

ჯერ ერთი, რაც უნდა სამწუხარო იყოს, კარგია, რომ ეს მოხდა ადრე, ვიდრე სომხური რევოლუციური ორგანიზაცია ფარულად გაიზრდებოდა უფრო მასშტაბურ ზომებამდე.

მეორეც, არეულობების ვითარება და კერძოდ, მნიშვნელოვანი რაოდენობის იარაღის არსებობა მოწმობდა, რომ ორგანიზაციამ მოიცვა სომეხი ტომის ყველა ფენა და არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ სამღვდელოებით.

და მესამე, საკითხი არ ამოწურულა, სომხურ ამბოხებას ბოლო არ მოღებია. ჩვენ ვნახეთ მხოლოდ უდროოდ გაფურჩქნილი ყვავილები, ხოლო შხამიანი კენკრა ჯერ კიდევ წინაა. რუსეთის მთავრობას მართებს გაიხსენოს კარგად გათვითცნობიერებული არმენოლოგის პიერ მორანის სიტყვები, რომელმაც სომხებს საშიში ქვეშევრდომები უწოდა. თუკი ისინი ხელსაყრელ დრომდე თავს შეიკავებენ შეიარაღებული აჯანყებისგან, მაშინ მათი იატაკქვეშა გამხრწნელი საქმიანობა უცილობლად გაძლიერდება. საჭიროა მათგან დავიცვათ სასწავლო დაწესებულებები. ეჭვგარეშეა, რომ სომეხი აგიტატორები, ყურში ჩამწვეთებელი ებრაელების მსგავსად, შეეცდებიან არეულობებში ჩაითრიონ ჩვენი მოსწავლე ახალგაზრდობა. ამ აგიტატორების ლოგიკა აღმოჩნდება სუსტი, ვინაიდან გამოვლენ რა ეკლესიის წინააღმდეგი „ლიბერალური" ახალგაზრდობის წინაშე თავიანთი ეკლესიისთვის, ისინი იძულებული გახდებიან აქცენტი გააკეთონ სომხური თეოკრატიის საერო, პოლიტიკურ მხარეზე, რითაც გასცემენ თავიანთ ამჟამად დაფარულ ჭეშმარიტ არსს. სომხური ორგანიზაცია, რომელმაც მოიცვა ამიერკავკასია და ბუდე გაიკეთა ჩვენს ორივე დედაქალაქში, იმუშავებს გაორმაგებული ძალით – ერთ ნაწილს გახრწნის, მეორეს მიაძინებს და მესამეს აჯანყებს. ხოლო, როცა დადგება „დრო", არადა, რა იცი, რა მოხდება! ხომ არ შეჩერებულან სომეხი რევოლუციონერები ოტომანთა ბანკის შეიარაღებული აღების წინაშე და მისი სახურავიდან ბომბის სროლისგან! და ეს მოხდა თურქეთში, სადაც მკვიდრი მოსახლეობა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

არ ხუმრობს!..

რა თქმა უნდა, ყოველივე ეს შეიძლება და საჭიროა ალიკვეთოს მნიშვნელოვანწილად. ამისათვის აუცილებელია ორგანული, მუდმივი ზომები მხარეში, საჭიროა ხელი შევუშალოთ სომეხ ინტელიგენციას თავგასულობაში. საჭიროა ცოტაოდენად საქმის ცოდნა და სიმტკიცე.

სომხურმა ინტრიგამ ნაადრევი „კარტის გახსნით" ზიანი მიაყენა თავის თავს, რითაც მიუთითა კავკასიური ცხოვრების რადიკალური გაჯანსაღების აუცილებლობას. უდავოდ, უნდა ჰქონოდათ დიდი წარმოდგენა თავანთ თავზე და ქედმაღლობა, რათა მსგავსი შეცდომა ჩაედინათ და გაეცათ თავი: ეს შეიძლება მომხდარიყო მხოლოდ რუსული ხელისუფლების და სახელმწიფო კანონების მიმართ ხანგრძლივი უპატივცემულობის ფონზე.

კათოლიკოსი მიეჩვია მთავრობის განკარგულებების დაუსჯელად შეუსრულებლობას; სომეხი მდიდრები, სახაზინო მიწების მიმტაცებლები, სახაზინო დაწესებულებებისთვის უხარისხო პროდუქტების მიმწოდებლები, კონტრაბანდისტები და ბნელი საბანკო საწარმოების ხელმძღვანელები მიეჩვიენენ უპასუხისმგებლობას ადმინისტრაციული და სასამართლო დაწესებულებების წინაშე; სომეხი პოლიტიკანები მიეჩვიენენ თავიანთი თავხედობის ღიად გამოვლენას ადგილობრივ და დედაქალაქის დაწესებულებებში კავშირის საფარველქვეშ; სულ რამდენიმე წლის წინ ერთმა სომეხმა აგიტატორმა, რომელმაც სახელი გაითქვა მნიშვნელოვანი სახელმწიფო დოკუმენტის გატაცების საქმეში, თავხედურად დაბეჭდა იგი მთლიანად „Times"-სა და თურქეთში გამოცემულ სომხურ გაზეთში „არაველქში", იპოვა გაველენიანი ქომაგები და თითქმის დაუსჯელი გადარჩა*. სომხური და სომხური მიმართულების ბეჭდვითი სიტყვა მრავალი წლის განმავლობაში სარგებლობდა თავზე ხელის გადასმით და აძლევდა თავგასულობას, რომელსაც უუნაროდ აღკვეთდნენ ხოლმე და თანაც უმეტესწილად მას შემდეგ, როცა მიყენებული იყო დიდი პოლიტიკური ზიანი, ამის აღმოფხვრა კი შეეძლო და უნდა განეხორციელებინა კიდეც ადგილობრივ ცენზურას. ბოლო რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში ამიერკავკასიის ცხოვრება ყოველგვარი დაუსჯელობის მთელი ზღვა იყო, ე.ი. ჯამში პოლიტიკური და სამართლებრივი უპრინციპობა.

* მას უბრალოდ შესთავაზეს მოსკოვში ეცხოვრა პეტერბურგის ნაცვლად, სადაც იგი, სხვათა შორის, სრულიად დაუბრკოლებლად, ხშირად ჩადის ხოლმე. (ეს სქოლიო 84-ე გვერდზეა!!!)

რაც უფრო ადრე აელენდნენ ასეთი უწესრიგობის მწვავე შედეგებს, მით უკეთესი იყო და მით მეტ პატივს მიაგებდნენ სახელმწიფო ადამიანებს, რომელთაც თავიანთ თავზე აიღეს ღონისძიებათა თაოსნობა, ესოდენ მკვეთრი რეაქტივი რომ ჰქონდა.

სომეხ მეამბოხეთა შეთქმულება აიხსნება აგრეთვე ზოგიერთი პეტერბურგული სფეროს უპრინციპობით საერთოდ, კერძოდ კი გარემოებათა სულელური განმარტებით, რომელთა მიხედვითაც გატარდა სომხური საეკლესიო ქონების რეფორმა. ნებისმიერი მედუქნე თბილისში, ერევანში ან შუშაში შეუსვენებლად მოგითხრობთ ამ საკითხთან დაკავშირებით დავის წვრილმანებს, რომელიც მიმდინარეობდა შესაბამის სახელმწიფო დაწესებულებებში, ამასთან ღიად და მრავალმნიშვნელოვნად ასახელებენ იმ პირთა სახელებს, რომელთა მორალური მხარდაჭერის იმედი აქვთ სომეხ მეამბოხეებს. ასეთი აღმაშფოთებელი ფაქტის მიზეზები და შედეგები, აგრეთვე მისი ინტიმური სარჩული ძნელია გამოარკვიო ბეჭდვით ორგანოში, მაგრამ ამაზე გაჩუმებაც იქნებოდა არაპატრიოტული და არაჰუმანური თავად სომხების მიმართ, რომელთაც შეიძლება ძვირად დაუჯდეთ თავიანთი ცდომილება.

ისინი ხომ დარწმუნებული არიან, რომ დედაქალაქში მოძებნიან გაელენიან მფარველებს, რომელთაც შეუძლიათ მიაღწიონ იმის გაუქმებასაც კი, რაც უზენაესი ნებით გაკეთდა და თვითწინააღმდეგობას არ ექვემდებარება. ასეთ უაზრო ცდომილებაში მათ განამტკიცებს მხარეში გავრცელებული (და შესაძლოა გამოგონილიც) ნახსენები დავებიდან ციტატები, რომლებიც თითქოსდა არაპირდაპირ რჩევას იძლევა, უზენაესის ნებას უკიდურესი წინააღმდეგობა გაუწიონ. ეს უკვე პირდაპირ გადიდგულებული აღმოსავლელი ხალხის რაღაც ფსიქოზია და აშკარაა, რომ ასეთი საშიში სენის წინააღმდეგ საუკეთესო წამალი შეიძლებოდა ყოფილიყო ხელმწიფე-იმპერატორის წინასწარდასახულობის შემსრულებელთა მხრიდან პატიოსანი სიმტკიცე.

თითქოს არ გვაქვს საბაბი, ეჭვი შევეპაროს დედაქალაქის და კავკასიის ამ საქმის მთავარ ხელმძღვანელებში ასეთი სიმტკიცის არსებობაზე, მაგრამ, ამის მიუხედავად, აუცილებელია ყურადღება მივაქციოთ აღმოსავლურ ფსიქოლოგიას და ეს უნდა გაითვალისწინონ მეორეხარისხოვანმა ადგილობრივმა ორგანოებმა, რათა იმოქმედონ მკაცრად შემუშავებული პროგრამით, განუხრელად და სისტემატურად. ამასობაში ამ კუთხით შეინიშნება რაღაც ზადი, იგი სათაკილოა კავკასიური ადმინისტრაციის მეორეხარისხოვანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორგანოებისთვის, რომლებსაც უშუალოდ ეხება ეს საქმეები.

ზუსტად რომ ვთქვათ, ზემონახსენებ რეფორმას არ უნდა გაეოცებინა არც ჩვენი მმართველი სფეროები, არც თავად სომხები. 90-იან წლებში განსვენებული გენერალ-ადიუტანტი ს.ა. შერემეტევი პირადად მესაუბრებოდა მთელ რიგ სერიოზულ მონაცემებზე, რომლებიც ამისკენ უბიძგებდა და მხოლოდ დაურწმუნებლობას გამოხატავდა პეტერბურგის მაშინდელი გავლენიანი წრეების მიმართ საკმაო გულისხმიერებასა და მიუკერძოებლობაში. როგორც ჩანს, ნახსენები მონაცემების კვალი უნდა არსებობდეს როგორც კავკასიის, ასევე დედაქალაქის ცენტრალურ დაწესებულებებში. თავად სომხები როგორც უბრალო, ასევე ინტელიგენტები იყვნენ ძალზე უკმაყოფილო თავიანთი საეკლესიო წესებით. მღვდლებსა და სამწყსოს შორის მუდმივად ხდებოდა უთანხმოება ეკონომიკურ ნიადაგზე. თბილისში ჩემი ყოფნის დროს სომხური გაზეთები „მშაკი“ და „ნორ-დარი“ აჭრელებული იყო მწვავე მხილებით სასულიერო და საერო პირებზე, რომლებიც მართავდნენ სომხური ეკლესიის ქონებას*. ამ მოთავეებს

---

* 1898 წლის 23 იანვრის „მშაკი“ ეჩმიაძინის სალაროდან 200 000 რუბლის ქურდობის შესახებ ხმაზე,სხვათა შორის,წერდა:

„ფულის მსხვილი ქურდობის ეს შემთხვევა საბაბს გვაძლევს გავიმეოროთ ეჩმიაძინის მონასტრის მისამართით ის ელემენტარული ჭეშმარიტება,რომ საჭიროა საზოგადოებას ჩავაბაროთ ანგარიში სომეხთა ამ რელიგიური ცენტრის ფულად საქმეებზე. მიუხედავად ამ ძალიან მარტივი ჭეშმარიტების ჩვენი არაერთგზის შეხსენებისა, სამწუხაროდ, ყველა ჩვენი საჩივარი რჩებოდა „უდაბნოში მღაღადებლის ხმად“. არასასურველი ხმების წარმოშობის მთავარი მიზეზი თავად ეჩმიაძინია,ვინაიდან მან დღემდე ვერ ისწავლა თავისი ფულადი საქმეების სწორი სისტემით მართვა,ვერ ისწავლა სამონასტრო ფულის დაცვა შემთხვევითი თავგადასავლებისგან,ვერ ისწავლა საზოგადოებისთვის დაწვრილებითი და სწორი ანგარიშის მიცემა იმის შესახებ,რამდენი აქვს შემოსავალი,რამდენი გასავალი და რამდენი რჩება სალაროში. აკეთებს რა ყოველივე ამას საიდუმლოდ,ეჩმიაძინი ამით ზემონახსენების მსგავსი უსიამოვნო ხმების წარმოშობის საბაბს იძლევა; იგი პირდაპირ ვნებს საკუთარ თავს კიდევ იმით,რომ აიძულებს საზოგადოებას იფიქროს,თითქოს ფლობს განუსაზღვრელ ქონებას,რომელსაც ყოველმხრივ ძარცვავენ,ამიტომაც საჭიროდ არ მიაჩნიათ წარუდგინონ საზოგადოებას ანგარიში. ასეთი ხმების უარსაყოფად საუკეთესო ხერხი,ასევე მონასტრის ფულადი საქმეების რეგულირებისთვის არის ყველა ფულადი საქმის სისტემაში მოყვანა და ზუსტი,დაწვრილებითი ანგარიშის წარდგენა ყველა საქმეზე. ჩვენ იძულებული ვართ გავიმეოროთ ეს ელემენტარული ჭეშმარიტება კიდევ ერთხელ,თუმცა სომეხ სამღვდელოებას ამის გაგონებაც არ სურს“.

ხშირად ბეჭდვისას ქურდებს უწოდებდნენ ყოველგვარი შელამაზების გარეშე, ამის დასტურად კი მომაკვდინებლად-მჭევრმეტყველი ფაქტობრივი საფუძველი მოჰყავდათ.

აი რამდენიმე ფაქტი, რომლებიც მეხსიერებაში შემომრჩა, რა თქმა უნდა, მხოლოდ ზოგადი მონახაზით. ელისავეტოპოლის გუბერნიის განჯის და ხოჯევანის მამულებს, რომელთა საერთო ფართობიც შეადგენდა 90 000 დესეტინა მიწას და იმართებოდა ბერების მიერ, საერთო ჯამში, სომხური ეკლესიისთვის მოჰქონდა 50 მანეთზე ნაკლები შემოსავალი წელიწადში, თანაც არა ერთ დესეტინაზე, არამედ მთლიანად! თვად კათოლიკოსის უშუალო ზედამხედველობის ქვეშ მყოფი ბორჩალოს და ყაზახის მაზრებში არსებულ უზარმაზარ მარცის მამული, რომელიც მდიდარი იყო საუკუნოვანი ფიჭვის ტყეებით, საბადოებით და საძოვრებით, ზომით თითქმის 200 000 დესეტინა იყო და 1-დან 3 ათას მანეთამდე შემოსავალი მოჰქონდა. გარდა სომხური ეკლესიისა, ამ მამულით სარგებლობდა კიდევ რამდენიმე თანამონაწილე კერძო პირი, რომლებიც ღიად წუხდნენ ამ უზარმაზარი სიმდიდრის მიმართ მტაცებლურ დამოკიდებულებაზე. იგი მდებარეობდა სადგურ სანაინის მახლობლად, ყარსის რკინიგზასთან. ბარბაროსულად იმართებოდა ასევე ელისავეტოპოლის გუბერნიის მამული ჩარექაჟანქი. საქმე მიდიოდა იქამდე, რომ, ფინანსთა სამინისტროს ადგილობრივი წარმომადგენლების სიტყვებით, ზოგიერთ კონსისტორიაში (მაგ., ყარაბაღის) გროვდებოდა სახაზინო დანაკლისის მნიშვნელოვანი თანხა, ხოლო ეჩმიაძინის მონასტრის ხარჯთაღრიცხვა ხშირად წელიწადში 100 000 რუბლზე მეტით დეფიციტით თავდებოდა.

ჩანს, სომხური ბეჭდვა სრულიად მართალი იყო, როცა ღიად საუბრობდა ბარბაროსობაზე, უეჭველი იყო ისიც, რომ ეს ტერმინი საკმაოდ გასაგები გახლდათ საზოგადოების ყველა ფენის პრაქტიკული სომხებისთვის, რომლებიც ძალზე კარგად ერკვეოდნენ ფულად საქმეებში. მოსახლეობას, რა თქმა უნდა, არ მოსწონდა საეკლესიო მონაპოვრის დატაცება.

ამასობაში, 12 ივნისის კანონის გამოცხადების შემდეგ პრაქტიკაში ეს ხელსაყრელი ნიადაგი ნაკლებად გამოიყენა ადგილობრივმა ორგანოებმა, რომლებიც ფაქტობრივად მთავრობის განკარგულებებს ახორციელებდნენ. ჯერ ერთი, სომეხ ხალხს არც კი აუხსნეს სათანადოდ, როგორი იყო ახალი ღონისძიება: ვერ მოიძებნა სათანადო პირი, რომელიც პოპულარულად, გასაგებად და დამაჯერებლად გადმოსცემდა სომხურად რეფორმების არსსა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და საფუძველს, თუმცა იფიქრებდი, ასეთი ადამიანის მოძებნა შეიძლებოდა, თუნდაც ადგილობრივი ცენზურის კომიტეტის ჩინოსნებს შორის. მეორეც, მკვეთრმა წინააღმდეგობამ კათოლიკოსის და მისი მაჩანჩალების მხრიდან სომხური ქონების სახაზინო მართვაში გადაცემას მისცა გარეგნულად ისეთი სახე, რომელიც სრულიად არ შეესაბამებოდა ამ გამაჯანსაღებელი აქტის ჭეშმარიტ აზრს. აქ აუცილებელია აღინიშნოს, რომ ყაზახის მაზრის მცხოვრებლებმა, როგორც დელიჯანიდან მწერენ, ყურადღება მიაპყრეს აგარცინის მონასტრის უზარმაზარ ტყეებში საშინელ ხე-ტყის გაჩეხას, რომელიც მოხდა ამ მამულის სახაზინო მართვაში ჩაბარების წინ; დამახასიათებელია, რომ აღარცინის მამულს განაგებდა თავად კათოლიკოსი. გამოდის მოქმედება... **in fraudem rei publicae**. დასასრულ, სამწუხაროდ! უნდა ვაღიაროთ, რომ ხელისუფლების ზოგიერთი მეორეხარისხოვანი ადგილობრივი წარმომადგენელი, მაგ., ერევნის გუბერნიაში, თავის მოვალეობას ახალი კანონის გამოყენებისას ასრულებდა, რბილად რომ ვთქვათ, არასათანადოდ. სომეხი პოლიტიკანი პლუტოკრატების გარემოში პოპულარული ეს ხალხი, უპირველეს ყოვლისა, უფრთხილდებოდა ანტირუსულ გარემოსთან თავის კარგ ურთიერთობას და არაპირდაპირ შეძლო საბაბი მიეცა ზომების არასწორი ახსნისთვის, რომელთაც საერთო არაფერი ჰქონდათ რელიგიურ შეუწყნარებლობასთან ან სომეხი ხალხის არაკეთილმოსურნეობასთან, რომლის ჭეშმარიტი ინტერესები მთავრობის მიერ შორსმჭვრეტელურად დაცულია...

სომეხმა აგიტატორებმა სამღვდელოების მეთაურობით დაბეჭდილი პროკლამაციების და ზეპირი „ქადაგებების" მეშვეობით გაავრცელეს უაზრო არაკი, თითქოს მთავრობას სურდა ჩამოერთმია წმ. გრიგორის ეკლესიისთვის თავისი საკუთრება და ძალდატანებით მოექცია სომხები მართლმადიდებლებად. იმან, რომ მღვდელი ტერ-არარატოვი ჯერ კიდევ თვალსაჩინოდ და ჭკუის სასწავლებლად არ დასაჯეს გაუგონარი მეამბოხური თავხედობისთვის*, ფრთები შეასხა სომეხი პოლიტიკანების ამგვარივე თავხედობას, რომელთა საუბარსაც ხალხის მასამ კიდევ უფრო მიუგდო ყური. ბევრი თბილისელი ეკითხება თავის თავს: როგორ მოხდა, რომ თუნდაც საპროკურორო ზედამხედველობამ, სასჯელის შესახებ დებულების საწინააღმდეგოდ,

---

* ამასწინანდელი ცნობებით, ტერ-არარატოვი „გაასახლეს" ქუთაისში (!), სადაც მშვიდობიანად არაგზნებდა უფრო მგზნებარე ადგილობრივ ელემენტებს მტკიცებით, რომ მისი უწმინდესობა, კათალიკოსი მისი ხელის ხლების უფლებას არ მისცემს რუსულ ხელისუფლებას.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ყურადღება არ მიაქცია ტერ-არარატოვის დანაშაულს, რის გამოც სერიოზულად აგებდა პასუხს რუსეთის და საერთოდ ნებისმიერი სახელმწიფოს ყოველი მკვიდრი? შეიძლება დარწმუნებით ითქვას, რომ თავადი გოლიცინის წინააღმდეგ თავდასხმის შესაძლებლობა მნიშვნელოვნად შემცირდებოდა, თუკი სომხური ამბოხების ნახსენებ აფეთქებებს უმალ მოჰყვებოდა მკაცრი რეპრესია. აღმოსავლეთში ნახევარზომაზე უარესი არაფერია, განსაკუთრებით სახალხო მღელვარების დროს: ნახევარზომა ყოველი მსგავსი მოძრაობის მეთაურთა თავხედობას, წინდახედულობას და ავტორიტეტს ზრდის.

საკმაოდ დამახასიათებელია, რომ მთავარსარდლის სიცოცხლეზე ავაზაკური თავდასხმის შემდეგ მხარის მთელმა საზოგადოებრივმა დაწესებულებებმა და ტომობრივმა ჯგუფებმა გამოხატეს თავადი გოლიცინის, როგორც ადამიანის და რუსული ხელისუფლების წარმომადგენლის, მიმართ ლოიალური გრძნობა ადრესების, პარაკლისების და ა.შ. მეშვეობით. გამონაკლისს შეადგენდნენ სომხები – და შეიძლება ვიფიქროთ, რომ ამ გაყოყოჩებული ხალხის ყველა ფენა მკვლელების სოლიდარული იყო.

სინამდვილეში ეს, რა თქმა უნდა, ასე არაა და საკითხი დადის იქამდე, რომ, ერთი მხრივ, ავტორიტეტი შეურყიონ სომეხი ტომის თვითმარქვია მეურვეებს და, მეორე მხრივ, დაამსხვრიონ ზემონახსენები არაკი სომხური რელიგიის ხელყოფაზე. ერთიც და მეორეც, რა თქმა უნდა, შესაძლებელია, განსაკუთრებით, თუ პეტერბურგი თავისი უპრინციპო ელემენტების სახით არ შეუდგება ხელისუფალთა მუშაობის პარალიზებას, დიდი ხნის წინ მიშვებული კავკასიის საქმეების მოწესრიგებას რომ ლამობენ.

ასეთ უპრინციპო პეტერბურგელებზე დღესაც დიდ იმედს ამყარებენ სომეხი პოლიტიკანები. მე მწერენ თბილისიდან, რომ სომხების იმედი ბოლო დროს იზრდება, ვინაიდან მათ უკვე მისცეს ინსტრუქცია „თავიანთ ხალხს" დედაქალაქის სალონებისთვის. ჩამოვა აქ ვიღაც ვითომ ქართველი თავადი ან უბრალოდ უცხო მოგზაური და დაიწყებს რაღაცის ლაპარაკს, ქვემოთ მოყვანილის მსგავსს:

– „ეს მე არ მეხება, მე სომეხი არ ვარ და სომხები არ მიყვარს, მაგრამ შემინდეთ! პრინციპში, სასარგებლო რეფორმა ჩატარდა ნაადრევად, ეს უტაქტობაა და სახიფათოა, მით უმეტეს, რომ ხალხი თელიდა და ყოველთვის (?!) ჩათვლის ამას თავისი რელიგიის ხელყოფად! კათოლიკოსიც საშინლად დამწუხრებულია! ეს რუსეთის ერთგული კეთილი მოხუცი იძულებულია (!) წინააღმდეგობა გაუწიოს ახალ კანონს, თუმცა მისი გული სავსეა ულოიალურესი გრძნობებით.

ყველაზე კარგი იქნებოდა მისთვის ახსნის შესაძლებლობა მიგვეცა..."
და ა.შ. და ა.შ. კავკასიის ყველა ხალხი უზარმაზარ მნიშვნელობას ანიჭებს თავიანთი წარმომადგენლების გამგზავრებას პეტერბურგში, განსაკუთრებით მაშინ, როცა ეს გამგზავრება დაკავშირებულია ხელმწიფე-იმპერატორთან პირადად წარდგენის შესაძლებლობასთან. ახლა გასაგებია, რატომ ცდილობენ დიდი მონდომებით სომეხი პოლიტიკანები ხმების გავრცელებას აქ კათოლიკოსის მალე ჩამოსვლის შესახებ „პირადი მოლაპარაკებებისთვის", რადგან დიდ იმედს ამყარებენ თავიანთი დედაქალაქელი შუამავლების ჩვეულებრივ მხარდაჭერაზე.

უნდა ვისურვოთ, რომ რუსეთის სახელმწიფო ღირსებისთვის ამგვარმა ჩაგონებამ ვერ მიაღწიოს მიზანს. როგორც ზემოთ ითქვა, რეფორმათა დროულობა მტკიცდება უკვე იმით, რომ მისი წყალობით გამოელინდა დიდი ხნის წინ ფარულად დაწყებული სომხური ინტრიგის გეგმები. ზღაპრები წმ. გრიგორის ეკლესიის რელიგიური ან მატერიალური ინტერესების ხელყოფის შესახებ თავისთავად იმსხვრევა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც სომეხი მოსახლეობა დაინახავს, რომ ეკლესიამ, კერძოდ, მატერიალურად მხოლოდ მოიგო და დაადგა სულიერი გაჯანსაღების გზას. ამისათვის სასარგებლო იქნებოდა ფართო საჯაროობა, ერთი მხრივ და გადამწყვეტი სიმტკიცე – მეორე მხრივ.

აუცილებელია, რა თქმა უნდა, აგრეთვე, რომ მიწათმოქმედების და სახელმწიფო ქონების სამინისტროს ადგილობრივმა ორგანოებმა მკაცრი სამსახურებრივი სასჯელის საფრთხის გამო თავგამოდებით მოჰკიდონ ხელი მათთვის მინდობილი სომხური საეკლესიო მიწების რაციონალურ მეურნეობას; ამ საქმეში მათი მხრიდან მცირედი დაუდევრობა იქნებოდა პოლიტიკური შეცდომა, რომელსაც სომეხი აგიტატორები მოუთმენლად ელიან სახელმწიფოს ორგული მსახურების დახმარების იმედით. ეს სახუმარო საკითხი არაა. კათოლიკოსის როლი მასში საკმაოდ ნათელია, მაგრამ ადამიანები, რომლებიც ისწრაფვიან მის გამართლებას, უკან არ იხევენ წარმოადგინონ იგი მსხვერპლად და არა იმ მოძრაობის სულისჩამდგმელად, რომელიც „ნაადრევად" იქნა გამოწვეული თითქოსდა სამთავრობო ზომით. ამავე მიზნით ქალაქ ალექსანდროპოლში გაითამაშეს კიდეც განსაკუთრებული სახის პოლიტიკური „სპექტაკლი". ბრბო ქვებს ესროდა მკრტიჩ ხრიმიანის ვაგონს, ხოლო ბრბოს მიერ ხელში მღვდელი ტერ-ოვანესოვი, აყვანილი, ილაკნებოდა და თავხედურად უყვიროდა თავის სულიერ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეთაურს, რომ მან ან უნდა უარყოს პატრიარქობა, ან წინააღმდეგობა გაუწიოს რუსულ ხელისუფლებას. ეს მოხდა მკრტიჩ I-ის შეიდღიანი აგზნებული ბორგვის შემდეგ ერევნის ეპარქიის სხვადასხვა ადგილას, სადაც იგი, ერთი მხრივ, თავს არიდებდა ახალი კანონის შესახებ ოფიციალური ცნობის მიღებას, ხოლო, მეორე მხრივ – თავის ხელქვეითებს შესაბამის ინსტრუქციებს აძლევდა... კათოლიკოსს არაფრის ახსნა არ სჭირდება. ის უკვე მრავალი წელია ხსნის თავისი მიმართულების არსს საკმაოდ ენაწყლიანად – სამთავრობო განკარგულებების მიმართ თავხედური დაუმორჩილებლობის ფაქტებით.

რა თქმა უნდა, ძნელი არაა წინასწარ განეჭვრიტოთ, რა ზომამდე მივა სომხური ფსიქოზი*, მით უმეტეს, რომ სწორედ ადგილობრივი ხელისუფლების არც ისე საიმედო მეორეხარისხოვან წარმომადგენლებზეა დამოკიდებული ფარულად მისი გაღვივება ან დაშოშმინება ავადმყოფობის გამომწვევი მიკრობების მოსპობით. ერთი რამ უეჭველია, რომ ამ კავკასიურ სენს შეუძლია შემთხვევითი საფრთხის შექმნა მხოლოდ ცალკეული თანამდებობის პირებისთვის და არა მხარეში რუსული საქმისთვის. საბოლოო ჯამში, ჩვენ დროული რეფორმის წყალობით ვიცით, რა არის მისი არსი და აქ გამოგვადგებოდა დამამშვიდებელი ფრანგული ანდაზა: „Un home prevenu en vaut deux"...

---

* თავისი სისასტიკითა და სიმდაბლით აღმაშფოთებელი ბრბოში ბომბის სროლის ერთადერთი ფაქტი ბაქოში ომთან დაკავშირებით ადგილობრივი სომხების უფრო ადამიანური წარმომადგენლების მიერ გამართულ თანამგრძნობ მანიფესტაციაზე ნათლად ამტკიცებს,რომ ამ „ფსიქოზს" სჭირდება სერიოზული და სწრაფი მკურნალობა. რაოდენ ველური და ბოროტი უნდა იყო,რომ ხელი აღმართო ამგვარი ბოროტმოქმედების ჩასადენად,მაშინ,როცა მთელი რუსეთი თავისი ყველაზე მშფოთვარე განაპირა მხარეების ჩათვლით მოცულია სიყვარულის და ერთგულების კეთილშობილური,სულის გამაერთიანებელი სწრაფვით მეფისა და მამულის მიმართ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# 13. აზერბაიჯანელი თათრები

კავკასიელიმუსლიმანებიდამახასიათებელითვისებებისმიხედვით შეიძლება გავყოთ ორ მკვეთრ კატეგორიად: პირველს შეადგენენ მუსლიმანები, რომლებიც შედიან თურქეთის შემადგენლობაში და განსაკუთრებით სპარსეთის, თავისი ვასალური სახანოებით; მეორეს – დაღესტნის მცხოვრებნი და სხვა მთიულნი, რომლებიც ისლამს აღიარებენ. თურქები და ქურთები ჩვენს სამფლობელოებში ცოტაა და ისინი თავისთავად პატარა არაკაშკაშა ლაქაა ჭრელ კავკასიურ ხალიჩაზე. აზერბაიჯანელი თათრები სულ სხვა საქმეა: ისინი ბევრნი არიან და მნიშვნელოვანი და ბევრი თვალსაზრისით ღირებული ელემენტია, რომელსაც აუცილებლად უნდა დააკვირდე ახლოდან.

აღმოსავლეთ ამიერკავკასია საუკუნეების განმავლობაში ითვლებოდა სპარსეთის სამფლობელოდ და ნაწილად და ასეთი იყო სინამდვილეში ცალკეულ შემთხვევებში; ჩვეულებრივ კი იგი დაყოფილი იყო წვრილ სახანოებად (განჯის, ერივნის, ტალიშინის, შექის და ა.შ.), რომლის მფლობელებიც თავიდან იყვნენ სპარსეთის მთავრობის მიერ დანიშნული მოხელეები, რომლებიც შემდგომ აღწევდნენ თავიანთი ადმინისტრაციული უფლებამოსილებების გადაცემას მემკვიდრეობით, ბოლოს კი ჩამოშორდებოდნენ ხოლმე სპარსეთს, იღწვოდნენ დამოუკიდებლობისთვის და იყვნენენ პატარა ტირანები აღმოსავლურ სტილში. ასეთივე მემკვიდრეობითობას ტერიტორიის უფრო პატარა ნაწილების მართვაში აღწევდნენ ბეგები, განსაკუთრებით მაშინ, როცა ისინი დანათესავებულნი იყვნენ ხანის სახლებთან. მუსლიმანური მოსახლეობა ემორჩილებოდა ამ მმართველებს აღმოსავლურ-სახელმწიფოებრივ საწყისებზე და არ იყო მათ მიმართ ბატონყმურ დამოკიდებულებაში. აზერბაიჯანელები ხნავდნენ მიწას, დაკავებული იყვნენ მებაღეობით და მეცხოველეობით, ნადირობით, ომით და ... ძარცვა-გლეჯით, რომელთა პრინციპული განსხვავება ომისგან, მიწის საზღვრების და სამართლებრივი ცნებების ბუნდოვანების გამო ადგილობრივი მოსახლეობისთვის დღემდე სავსებით ნათელი არ იყო. თუკი ერთი სახანოს ან საათაბაგოს მცხოვრებნი თავს ესხმოდნენ სხვა სოფელს გაძარცვის მიზნით, სისხლის ასაღებად ან სიმამაცის გამოსავლენად, მაშინ ამას ეძახდნენ ომს. ახლა ეს ძარცვა-გლეჯაა, ამასთან, თანამედროვე რუსული სასამართლოს აზრით, რომლის პრინციპები

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსახლეობისთვის გაუგებარია, ხოლო ფორმები – ცდუნებათა წყარო, გაბოროტებას და ახალ-ახალ დანაშაულს რომ წარმოშობს. სომხები დაკავებული იყვნენ ვაჭრობით, ძრთოდნენ ხანის მათრახის წინაშე, დახოხავდნენ ბეგების წინაშე და ფითრდებოდნენ ხანჯლიანი კაცის დანახვაზე. მათ ხშირად უხდებოდათ მონახვეჭის იძულებიით გაყოფა თავიანთი მუსლიმანი მბრძანებლებისთვის. გამონაკლისს შეადგენდნენ არასწორად წოდებულნი (წარსულის თვალსაზრისით) სომხებად, ყარაბაღის (Албания или Агвания) მცხოვრებნი, რომლებიც სომხურ-გრიგორიანული სარწმუნოების მიმდევრები იყვნენ, მაგრამ წარმოშობით მთიულებისა და თურქული ტომებიდან იყვნენ, ოღონდ გასომხდნენ მხოლოდ 3–4 საუკუნის წინ. ქრისტიანი ყარაბაღელები ხშირად ავლენდნენ მეომრულ სულისკვეთებასაც და ადგილობრივი ხანებიც მათ ანგარიშს უწევდნენ.

აზერბაიჯანელებს თათრებს ეძახიან, მაგრამ ეს სრულიად არაზუსტია, თუკი მათ ამასთანავე მიავკუთვნებთ მონღოლურ ტომს. თუ აზერბაიჯანელების ძარღვებში თათრული სისხლიცაა, ეს მხოლოდ მონღოლური შემოსევის შედეგია, ბათუ-ყაენის, მანგუს და (ამიერკავკასიაში) ხულაგუ-ხანის დროს; ასეთივე სახის შედეგი დარჩა არაბების შემდეგაც: დღემდე აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში გვხვდებიან არაბული ტიპის ადამიანები, ისეთებიც კი, მულატებს რომ მოგვაგონებენ, ძალიან შავი კანით და ხუჭუჭა თმით. ძირითადად კი წარმოშობით აზერბაიჯანელები არიან თურქები, თურანელები, ძველი ოგუზების, სელჯუკების, თანამედროვე თურქების და ქურთების ღვიძლი ნათესავები. აზერბაიჯანმა სპარსეთს მისცა თავისი ერთ-ერთი უდიადესი დინასტია, რომლის დროსაც ამ სახელმწიფოში გაიფურჩქნა მეცნიერებები, ხელოვნება, მიწათმოქმედება და საბრძოლო საქმე. ალპ-არსლანის სახელი დღემდე ახსოვთ აზიის ამ მხარეში.

თუკი პეტერბურგის სასტუმროებსა და სალაყბოებში, რომლებიც გაჟღენთილი იყო კოსმოპოლიტიზმით, არსებობს ტენდენციური მოთხოვნა, არ დასვან საკითხი ვინმეს ტომობრივ წარმოშობაზე, კავკასიაში და საერთოდ ყველა ქვეყანაში, სადაც ადამიანები ახლოს არიან ბუნებასთან, მიღებულია ყურადღების გამახვილება სისხლზე: იქ იციან, რომ ადამიანი ფსიქო-ფიზიკური არსებაა და არა განყენებული მათემატიკური გამოანგარიშება; რომ სულიერი წყობა მჭიდრო კავშირშია თავისი და სხეულის სხვა ნაწილების მოწყობილობასთან, ადამიანთა საქციელს კი მართავს არა მარტო აწმყო, არამედ წარსულიც; მათში ხომ წინაპართა სისხლი

მეტყველებს.

აზერბაიჯანელებსსისხლი უეჭველად კეთილშობილური აქეთ; ისინი ბუნებით კეთილნი, მამაცნი, სულგრძელნი არიან, აქვთ გონებრივი და ზნეობრივი განვითარების უნარი. სახელმწიფოებრიობის იდეა, თანაც ძლიერი, რომელიც შთააგონებს მათ ძალაუფლების, ტრადიციების და წესრიგის პატივისცემას, უდავოდ დამახასიათებელია მათთვის, მიუხედავად მათი მოჩვენებითი ანარქიულობისა, ისტორიით, მხარის გეოგრაფიული მდებარეობით და მისგან გამომდინარე საყოფაცხოვრებო პირობებით რომ აიხსნება. აზერბაიჯანელები განუსაზღვრელი, ძლიერი და პატრიარქალურ-სამართლიანი ხელისუფლების სტიქიური მომხრეები არიან: ეს თითქმის იგივე ფსიქიკური რასობრივი თვისებაა, რომელიც არსებობს რუს ხალხშიც, თვითმპყრობელობის ერთგული რომ არის არა მარტო გონებითა და გულით, არამედ, ასე ვთქვათ, შინაგანი არსით. რამდენადაც სომხები და ებრაელები თავიანთი რასობრივი ინსტინქტის გამო შინაგანი არსით ყოველგვარი სახელმწიფოებრიობის და განსაკუთრებით განუსაზღვრელი მონარქიის მიმართ მტრულად არიან განწყობილნი, იმდენად,აზერბაიჯანელებისტიქიურად,ორგანულადთანაუგრძნობენ მას, თვით მეამბოხეებიც და ყაჩაღებიც კი. რა თქმა უნდა, რუსებთან ამ საკითხში ფსიქიკური იგივეობა არ არსებობს, ვინაიდან რუსი ხალხი გამოაღვიძა უფრო მაღალმა ბიზანტიურმა რელიგიურ-პოლიტიკურმა კულტურამ და მასობრივად არ ექვემდებარებოდა ისეთ ანარქიულ ზემოქმედებას, როგორიც აისახა აზერბაიჯანელების ხასიათზე; მაგრამ საფუძველში უეჭველად არსებობს ანალოგია.

ისლამს, რომელიც ამ ხალხის ერთ-ერთი კულტურული საწყისი იყო, რა თქმა უნდა, შეეძლო მხოლოდ განევითარებინა აღნიშნული თვისება და მიეცა მისთვის იდეური დასაბუთებულობა: ალაჰი ერთიანია, მოციქული ერთიანია, წინასწარმეტყველის ერთადერთი წარმომადგენელია, საეროხელისუფლების მატარებელი. ყველაფერში არსებობს ერთმმართველობის იდეა, იდეა იმდენად ძლიერი, რომ ლახავს აღმსარებლობის განსხვავებებს და ყოველი ხელისუფალი, თუნდაც უცხოსარწმუნოების, სათაყვანოა, როგორც განუსაზღვრელი ერთმმართველობის წარმომადგენელი. ამიერკავკასიელი მუსლიმანები არაერთხელ შებრძოლებიან თავიანთი სარწმუნოების მქონე თურქებს თეთრი მეფის დროშის ქვეშ, ქედს იდრეკდნენ რა განათლებული, კულტურული ერთმმართველობის სიდიადის წინაშე.

დასავლელ ხალხებს, განსაკუთრებით გერმანელი ტომის ენერგიულ ნაწილს – ანგლოსაქსებს – ორგანული მიდრეკილება აქეთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოლიტიკის მიმართ, ყველა თავისი წვრილმანით, კინკლაობითა და ყოველდღიური ორომტრიალით, რომელიც უამრავ დროს და ძალ-ღონეს აკარგვინებს მათ გადამწყვეტი როლისთვის ბრძოლაში ხალხის მმართველობაში. აღმოსავლელ ხალხებს და განსაკუთრებით აზერბაიჯანელებს ურჩევნიათ ირწმუნონ პოლიტიკურად ძლიერი პიროვნების, რომელსაც თაყვანს სცემენ და მადლობას უძღვნიან ხალხის გასაჭირზე მამობრივი მზრუნველობისთვის, სიმშვიდისთვის, ძალისა და დიდებისთვის, რომელსაც მიაღწიეს მისი დროშის ქვეშ. სწორედ ესაა ორგანული სხვაობა მსოფლმხედველობებში, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს მრავალი პოლიტიკური და საყოფაცხოვრებო შედეგი.

ალბათ საჭირო არაა იმის დამტკიცება, რომ ხალხი სახელმწიფოს შესახებ აღმოსავლური შეხედულებით ღირებული შემოქმედებითი ელემენტია ისეთი განუსაზღვრელი მონარქიისთვის, როგორიც რუსეთია; იგი თავისთავად სამშენებლო მასალაა, რომლითაც სახელმწიფო ხელისუფლებას, საკმარისი სიფხიზლე რომ გააჩნია, შეუძლია ისარგებლოს თავისი განვითარებისა და ისტორიული მისიის წარმატებული შესრულებისთვის.

ისლამის ცნებას ჩვენში ხელაღებით უკავშირებენ ფანატიზმს. როგორც კი ალაპარაკდებიან მუსლიმანებზე, მაშინვე ახსენებენ სიტყვა „ჰაზავათს", ანუ წმინდა ომს, აშინებენ ადამიანებს პანისლამიზმით, თურქული მხეცობებით და ა.შ., განსაკუთრებით ახლა იმ გამოუთქმელი ტანჯვის გავლენით, რომელიც განიცადა მაკედონიის და ძველი სერბეთის უბედურმა მოსახლეობამ გამხეცებული ბალკანელი მუსლიმანების უღელქვეშ; ამავე დროს კი, ჩვეულებრივ, ივიწყებენ ამერიკელთა მხეცობებს ზანგების და ფილიპინელების მიმართ, გერმანელების–ჩინელებზე, ინგლისელების – ბურებზე, დაქირავებული ებრაელი ბანკირების – კონგრეგაციების მიმართ. ისლამი ჩვენში არ იციან: ყურანიდან იციან მხოლოდ ორი-სამი საბრძოლო სურა, რომლებიც დაწერილია შემთხვევისთვის და იღებს დროებით დოგმატურ მნიშვნელობას მხოლოდ მაშინ, როცა ამა თუ იმ ქვეყნის მუსლიმანური მოსახლეობა ან გააფთრებულია არანორმალური ცხოვრების პირობებით, ან შთაგონებულია რომელიმე ენერგიული ბელადის მიერ, რომელიც ცისარტყელისებურ პერსპექტივებს უხატავს.

ისლამის საკითხს ჩვენ აქამდე უკულტუროდ ვუდგებოდით. მუსლიმანებს ჩვენს სახელმწიფოში რაოდენობის მიხედვით რუსების შემდეგ პირველი ადგილი უკავიათ, ხოლო ჩვენ არ გვაქვს წიგნი

ეროვნული ბიბლიოთეკა

**„Le coran analyse"**-ს თარგმანიც კი, რომელიც ყოველი ფრანგი მოხელისთვის ჩრდილოეთ აფრიკაში სამაგიდო წიგნია; რაიმე სერიოზულ და მიუკერძოებელ დამოუკიდებელ გამოკვლევაზე, რომელიც დაეხმარებოდა მუსლიმანებთან ურთიერთობაში მსახურეულ ადამიანებს, რათა ჩაეხედათ ამ უკანასკნელთა მსოფლმხედველობის მთავარ წყაროში, ჩვენთან ლაპარაკიც კი ზედმეტია. სიმართლე რომ ვთქვათ, ჯერჯერობით ასეთი წიგნები არავისთვისაა საჭირო, რადგან ჩვენი აზიური მიყრუებული მხარეების მოხელეები სულ სხვა ინტერესებით სულდგმულობენ.

სარწმუნოების ერთგულება, რომელსაც ადამიანი მართლად მიიჩნევს, ბუნებრივია, უნდა ემთხვეოდეს სხვა სარწმუნოებათა ჭეშმარიტობის უარყოფას მათი სრული მოცულობით: როგორც მართლმადიდებელი, მე შემიძლია მხოლოდ მართლმადიდებლობა ჩავთვალო ჭეშმარიტ სარწმუნოებად, სხვა დანარჩენი რელიგიების საზარალოდ. მიუხედავად ამისა, უცნაური იქნებოდა უარგვეყო ამ უკანასკნელში იმ მარადიული ერთიანი ჭეშმარიტების ნაწილის არსებობა, რომელიც სავსებით შეადგენს მართლმადიდებლობის შინაარსს; კიდევ უფრო უცნაური იქნებოდა ამა თუ იმ უცხო რჯულის აღმსარებლობის არა მარტო კეთილისმყოფელი გავლენის უარყოფა მათ მიერ გასხივოსნებულ ხალხებზე, არამედ ცალკეულ შემთხვევაში ასეთ აღმსარებლობათა პრაქტიკულ-სუბიექტური უპირატესობისაც ადამიანთა რასებისთვის, რომლებიც იმყოფებიან შესაბამის სულიერ დონეზე და მოწყობილი აქვთ სპეციალური პირობები. ასეთია, კერძოდ, ისლამი. არ აქვს რა, ჩვენი მართლმადიდებლური თვალსაზრისით, ჭეშმარიტების სისრულე, იგი იძლევა იმ ხალხებისთვის, ვინც ის აღიარა, თავის ელემენტებს მოკლე, ადვილად გასაგები ფორმულებითა და ასათვისებელი დოზით. პრაქტიკულად თუ ვიტყვით, შეიძლება ითქვას, რომ ერთი და იგივე ადამიანი, კეთილსინდისიერად რომ ასრულებს ისლამის ნებას, რომელიც თავის თავში მოიცავს ქრისტიანული მორალის მნიშვნელოვან დოზას, ამის შედეგად პატრიარქალურ-ღირსეულ ცხოვრების გზას ეწევა, შეიძლებოდა ბევრად უარესი გამხდარიყო, თუ მას მიაწვედიდნენ მისი გაგებისთვის უფრო მაღალ, მაგრამ ნაკლებად მისაწვდომ ქრისტიანობის საწყისთ, რომელნიც ნაკლებად უპასუხებდა მის ფსიქიკურ წყობას; გაუგებრობას მოჰყვებოდა გამოუყენებლობა. ზნეობრივი შინაარსი აორთქლდებოდა და დარჩებოდა მკვდარი წეს-ჩვეულება, სწორედ იმ წარმართობის სხვა ფორმა, რომელთანაც ბრძოლაში მუჰამედი წარმოგვიდგა ჭეშმარიტ განმანათლებლად, თავის თანამემამულეთა

ზნეობრივი პროგრესის ჭეშმარიტ მოღვაწედ.

თუკი ჩავუღრმავდებით ისლამის დოგმატიზმს და ისტორიას, არ შეიძლება, არ ვაღიაროთ, რომ ეს რელიგია, რომელიც ქადაგებს გულმოწყალებას ახლობელთა მიმართ, ზრუნვას უძლურთა და ტანჯულთათვის, ადამიანს დღეში რამდენჯერმე რომ ასხივოსნებს (მკაცრად აუცილებელი ნამაზებით) ერთიანი ღმერთის შეხსენებით, არის, ასე ვთქვათ, თავისი ეთიკური მხარეებით, მართალია, გადახლართული მეომრულ შეუწყნარებლობასთან და მგრძნობიარე მატერიალიზმთან, ქრისტიანობის სულიერი შტო, შენაკადი, რომელიც მოსწყდა ამ დიად მდინარეს და გარდაუვალად დაუბრუნდება მას. თუკი დავაკვირდებით გამუსლიმანებულ ქართველ აჭარელს და მართლმადიდებელ გურულს (ტომობრივი წარმოშობით თითქმის ღვიძლ ძმებს), მაშინ უპირატესობა უნდა მივანიჭოთ პირველს, რადგან იგი უფრო პატიოსანია, დიდსულოვანი და საერთოდ ზნეობრივად უფრო მაღლა დგას. თუკი ავიღებთ მუსლიმან აზერბაიჯანელს, თუნდაც ყაჩაღებიდან და მორწმუნეს, „ყველას მიერ პატივცემულ", კავკასიელ ხელისუფალთაგან ნაფერებ „ქრისტიან" სომეხს, ფილოსოფიის დოქტორის დიპლომით ჯიბეში და საპატიო წოდებით სავიზიტო ბარათზე, მაშინ ყველა ზნეობრივი უპირატესობა აღმოჩნდება პირველის მხარეზე; პირველი, მართალია, ცოდვილია, მაგრამ ჭეშმარიტად სწამს ღმერთის, ამიტომაც პირველის სული მის საფუძველში ქრისტიანულია, ხოლო მეორის სული უბრალოდ ინგლისურ ქურთუკში გამოწყობილი ეშმაკი ცხოველია, რომლისთვისაც ქრისტიანობა მკვდარია და ამასთან დამახინჯებული ასო.

ისლამის უზარმაზარი კულტურული დამსახურება ხალხთა წინაშე, რომელთაც იგი შეითვისეს – ეს მისი მიწერილობების და დოგმების ელემენტარულობა და სინათლეა. იგი არ გამორიცხავს მასში ღრმა თეოსოფიურ საწყისებს, რომელთა ლოგიკური განვითარება აშკარად და უშუალოდ აახლოებს ისლამს ქრისტიანობასთან. სუფიების სექტები ამის თვალსაჩინო დასტურია, ხოლო ომარ ხაიამის ლექსები, რომლებშიც ასახულია „იესოს ცხოველმყოფელი სუნთქვა", ისლამის ქრისტიანულ განწყობათა მხატვრული დადასტურებაა. ამ უკანასკნელის რთული დოგმატური მუშაობა არაბული ცივილიზაციის აყვავების ხანაში ძალიან ორიგინალური ნაყოფია, კერძოდ, ესაა სწრაფვა შეარიგოს სარწმუნოება გონებასთან. რამდენიმე სღვთისმეტყველო სკოლამ წარმატებულად უძღვნა საკუთარი თავი ამ შრომას. შეხედულებას, რომ ჭეშმარიტი სიბრძნე

ეროვნული

ემთხვევა სათნოებას და ღვთის სიმართლეს, შეიძლება ხშირად წააწყდეთ კავკასიელ მუსლიმანებში საკმაოდ დამახასიათებელი გამოვლინებებით. ასე, მაგალითად, აზერბაიჯანელი, რომელიც კიცხავს რომელიმე ძალიან ეშმაკ და შორსმჭვრეტელ ვიგინდარას, აუცილებლად იტყვის მასზე მოპარსული თავის კანტურით: „ოჰ, როგორი განუსჯელი ადამიანია!“...

რა თქმა უნდა, რელიგიის უმაღლესი საწყისების და პრაქტიკაში გამოხატული ფორმების იდეალებს შორის არის საკმაოდ არსებითი სხვაობა. როდესაც ამიერკავკასიაში ისლამის შესახებ ვსაუბრობთ, უნდა გავითვალისწინოთ ბნელი მასის უმეცარი დამოკიდებულებაც რელიგიის მედავითნურად (სიტყვასიტყვით) დაცვაზე (მაგ., შიიტებთან „შაჰსეი-ვახსეი“) და მოხეტიალე დერვიშებიც, რომლებიც აფორიაქებენ ხალხს თავიანთი ფანტაზიებით, ბუნდოვანი ქადაგებებითა და ფოკუსებით, ასევე – ემისრები მეზობელი აზიური სახელმწიფოებიდან – პოლიტიკური მოღვაწეები რელიგიურ ნიადაგზე. პრაქტიკაში ისლამი ხშირად უხეშ, ველურ ფორმებს იღებს და ცრურწმენა, რომლის შესახებაც ჯერ კიდევ თავადი დმიტრი კანტემირი წერდა თავის შესანიშნავ „სისტემათა წიგნში“, პამფლეტში „მაჰმადიანური რელიგიის“ წინააღმდეგ, დღემდე არ გამქრალა და ვგონებ, მალე არც გაქრება თქმულებათა სფეროში. ყოველივე ეს არის, ყოველივე ამის გათვალისწინება აუცილებელია, მაგრამ არ შეიძლება ისლამში იმათ იგნორირება, რაც თუნდაც ხშირად განხორციელებული მხარეები არაა, თუმცა საჭიროა ისინი ვაღიაროთ დადებითად ზოგადადამიანური სიმართლის და ჩვენი სახელმწიფოებრივი ინტერესების თვალსაზრისით.

კიდევ უფრო ნაკლებდასაშვებია მოსახლეობის იმ ბუნებრივი თვისებების იგნორირება, რომელთა განვითარებას შეუძლია, სახელმწიფო თვალსაზრისით, სასურველი შედეგების მოტანა. აზერბაიჯანელების კულტურულ განვითარებას ასე თუ ისე შეუძლია განაპირობოსმათთმიერმხოლოდრუსულიდაარადასავლეთევროპული საწყისების ათვისება; მსგავსად მთელი ვოლგისპირეთის თათრებისა და შუა აზიის სახანოების მოსახლეობისა, აზერბაიჯანელები კულტურის თვალსაზრისით ბუნებრივად ელტვიან სწორედ რუსულ წყობას, რომელიც მათთვის, ასე ვთქვათ, განვითარების ბუნებრივი სტადიაა. რუსულ-თათრული სკოლები შესანიშნავად იკიდებს ფეხს და თანაგრძნობით სარგებლობს მთელ მოსახლეობაში, რუსული ენის შესწავლას და რუსებთან დაახლოებას რომ ესწრაფვიან. ისეთი მოვლენა, როგორიცაა სომხური სამღვდელოების და პლუტოკრატიის

ბრძოლა რუსულ ხელისუფლებასთან ძველი ტიპის სკოლებისთვის, რომლებშიც რუსული ენა ფაქტობრივად მხოლოდ ფიქტიურად ისწავლება, თათრებს შორის დღემდე არ შემჩნეულა. არსად ვლინდება ის მიკერძოებული ზიზღი რუსების მიმართ, რომელსაც ადგილ-ადგილ გამოხატავს თავისი თეითმარქვია ხელმძღვანელების მიერ წაქეზებული სომეხი მოსახლეობა. რა თქმა უნდა, მხარის პირველი რუსი კოლონიზატორები, ჩვენი სექტანტები, პირველ ხანებში მაინც ვერასცდნენთათრულხანჯლებს. ახლანდელისენტიმენტალურობამდე შლეგი დუხობორების წინაპრები, რომლებიც გრაფმა ტოლსტოიმ მიერ ისტერიკამდე მიიყვანა, ამ საკითხს საკმაოდ რეალურად უყურებდნენ და თათარ ყაჩაღებს სისხლიან წინააღმდეგობას უწევდნენ; საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ სექტანტების სოფლებამდე რამდენიმე საიარაღო გასროლის მანძილზე ვერც ერთი შეიარაღებული თათარი ვერ ბედავდა გამოჩენას და დუხობორებმა სრულ უსაფრთხოებას მიაღწიეს.

თათრებს ესმით და აფასებენ ძალას, რომელიც გონებით ხელმძღვანელობს. სექტანტების ენერგიის წყალობით რუსთა სახელი თათრებში საკმაოდ სათანადო სიმაღლეზე იდგა და ახლანდელ რუს გადასახლებულებს ამიერკავკასიაში ძალზე უიოლდებოდათ ურთიერთობა თათრებთან, ვიდრე სხვა მეზობლებთან. თვით ერთმორწმუნე ქართველებიც კი უფრო ხშირად აღმოჩნდებოდნენ ნაკლებმოხერხებულნი, ვიდრე მუსლიმანნი, სწორედ იმიტომ, რომ ეს უკანასკნელნი ბუნებით და ისტორიის გაკვეთილებითაც რუსების მიმართ კეთილმოსურნენი იყვნენ.

აზერბაიჯანელებს კარგი ისტორიული მეხსიერება და გმირობების დიდი მემკვიდრეობითი პატივისცემა აქვთ. დღემდე დიდების სხივით ბრწყინავს კოტლიარევსკის სახელი, ლენქორანის გმირის, რომელსაც ერთი მუჭა დევგმირების წყალობით წმიდათაწმიდა შიშსა და მორჩილებაში ჰყავდა ამიერკავკასიის ყველა მუსლიმანი. რა თქმა უნდა, კანცელარიებმა თავიანთი ორომტრიალით და მომაკვდინებელი დამოკიდებულებით ცხოვრების მიმართ საშინელმა ბიუროკრატიამ და ადგილობრივი გაგებისთვის უცხო სასამართლოებმა ბოლო 50 წლის განმაელობაში ძალიან აენო რუსულ პრესტიჟს, ისე, რომ მუსლიმანთა ახლანდელ მდგომარეობას და მათი განწყობას სრულიადაც ვერ უწოდებ ნორმალურს. ზოგან წესრიგი ჯერჯერობით ემყარება ისტორიულ მეხსიერებას და თეთრი მეფის სამართლიანობის ღრმა რწმენას. ასეა თუ ისე, ჩვენ ახლა ამ მხარეში ვხარჯავთ ჩვენი გონიერი წინაპრების ძეირფას

ეროვნული ბიბლიოთეკა

მემკვიდრეობას, ხოლო მხარის ცხოვრების რეფორმის შემდგომი პირობები თითქოს ძალად ჩამოყალიბდა ისე, რომ ხელი შეეწყოს უცხო ტომის ელემენტებში განკერძოებულობას, ხელოვნურად მოიშოროს ყველა, ვისაც სწამს ჩვენი ძალის და სიმართლის და საბოლოო ჯამში, გამოიწვიონ სისხლიანი გართულებები.

აზერბაიჯანელ თათრებს ჩვენი მბრძანებლობის დროს არ უმართლებდათ. თვით თავადმა ვორონცოვმაც კი, შემოქმედმა მეფისნაცვალმა, თავისი პირადი შეხედულებების გამო შეცდომა დაუშვა, როცა დააწესა ბატონყმობა იქ, სადაც ის არ ყოფილა და შეეცადა წამოეწია თათართა საგვარეულო თავადაზნაურობა. მაგრამ ეს შეცდომაც ვერ მიიყვანეს ბოლომდე და დღემდე ამიერკავკასიის მუსლიმანური მოსახლეობა არაფრით გამართლებული მიზეზების გამო განწირულია ქაოსისთვის წოდებრივ-სამამულო სფეროში.

ბევრი რამ კეთდებოდა და დღემდე კეთდება განზრახ, რათა ამ ხალხს გაურთულონ მშვიდი ცხოვრება და გადასვლა უფრო კულტურულ ფორმებზე. რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში არსებულმა წოდებრივ-სამამულო კომისიამ ვერაფერი გააკეთა და იგი გააუქმეს, მისი საქმეები კი გადასცეს სამოქალაქო ნაწილის მთავარმართებლის კანცელარიას კავკასიაში სამხედრო-სახალხო მართვისთვის. იმის შესახებ, რომ ეს საქმეები წინ მიდის, ჯერჯერობით არაფერი ისმის. ამასობაში ურთიერთობათა წარმოუდგენელი ქაოსია: ბატონყმობა გააუქმეს, ხოლო სავალდებულო ურთიერთობა გლეხ მუსლიმანებსა და ბეგებს შორის დარჩა, ამასთან სავარგულები არ დაუყვიათ; გაუგებრობა ხდება ყოველ ნაბიჯზე, რაც ადგილობრივ პატარა ხელისუფალთათვის შემოსავლის წყაროა და სამართლიან უკმაყოფილებას იწვევს მოსახლეობის ყველა ფენაში.

წოდებრივ უფლებათა გაურკვევლობა აგრეთვე იწვევს მძიმე ეკონომიკურ და საყოფაცხოვრებო შედეგებს. მთელი რიგი გარემოებების შედეგად, რომლებიც გამოწვეულია ბატონყმობის გაუქმებით და პატრიარქალური წყობიდან გახრწნილ ბურჟუაზიულზე გადასვლის გამო ცხოვრების თანდათანობითი გაძვირებით, ბეგებს და აღალარებს, ანუ ადგილობრივ მიწათმფლობელებს, აუცილებლად დასჭირდათ კრედიტი. ამ დროს ჯერ კიდევ თავად-აზნაურთა უფლებების არმქონეთ არ შეეძლოთ სათავადაზნაურო ბანკში კრედიტის აღება, ხოლო სახალხო მასისთვის აუცილებელი ბანკი ჯერ კიდევ არ იყო დაარსებული. ამის შედეგად ადგილობრივი მოსახლეობის ყველა ფენა წინდაუხედავი რუსული ხელისუფლების გამო სომეხი მევახშეების მარჯვე ხელებში აღმოჩნდა. თუკი ამას

ეროვნული ბიბლიოთეკა

შევუფარდებთ წოდებრივ-სამამულო კომისიის მრავალწლიან უმოქმედობას, მაშინ ძნელი არ იქნება მივიდეთ ლოგიკურ და სასიცოცხლოდ სწორ დასკვნამდე, რომ სწორედ სომხური პლუტოკრატია, რომლისთვისაც ხელსაყრელი იყო ეს არანორმალური საქმის ვითარება, ხელს უწყობდა თავისი გამხრწნელი გავლენით ადგილობრივ სამთავრობო დაწესებულებებს ან ერთეულ უსინდისო მოღვაწეს. მუსლიმან ბეგებს, რომელთა წინაპრებს თვალსაჩინო თანამდებობები ეკავათ ქართველი მეფეების ხელში, ხოლო შემდეგ იყვნენ რუსული ჯარის ოფიცრები, არ შეეძლოთ თავიანთი შვილები მოეწყოთ კადეტთა კორპუსში სახაზინო ანგარიშზე, იმის გამო, რომ არ იყო გარკვეული მათი წოდებრივი უფლებები. მაღალი წოდების წარმომადგენლებს, ბეგებსა და აღალარებს, მიდრეკილება ჰქონდათ სამხედრო სამსახურისკენ; მაგრამ იმ შემთხვევაშიც კი, თუ ისინი ამას უმწიკვლოდ ასრულებდნენ, წარმატებით, მაინც არ თავისუფლდებოდნენ გადასახადისგან, რომელსაც ახდევინებდნენ მუსლიმან მოსახლეობას სამხედრო ბეგარის ნაცვლად.

მხარეში ეროვნული ფინანსური პოლიტიკის უქონლობის გამო ყოველწლიურად სწორედ მუსლიმანთა ეკონომიკური მდგომარეობა უარესდება. სომეხი პლუტოკრატია მტკიცედ შეკრული შეთქმულნი არიან, რომელნიც აუფასურებენ თათარი მიწათმოქმედების და მეცხოველეების შრომას, მათ დაიპყრეს საერთოდ ყველა ბაზარი კრედიტით და ფულადი მიმოქცევით. მთელი მხარე დაყოფილია რაიონებად, რომლებიც დატაცებული აქვთ მეტ-ნაკლებად მსხვილ ობობა-სომხებს, ისინი ექსპლოატაციას უწევენ ადგილობრივ თათარ მოსახლეობას. ერთ ადგილას ზის გროშებად ნაყიდი თუთითა და ყურძნით რომელიღაც ხუბლაროვი, მეორეგან – სოლომონოვი, მესამეგან – კიდევ ვიღაც ასეთივე. სოფლის პროდუქტები კი მალე ფუჭდება, დროულად თუ არ გაყიდის, გლეხს შრომა წყალში ჩაეყრება და მისი ოჯახი ულუკმაპუროდ დარჩება. ქალაქში წავა და გადამყიდველები არ მიუშვებენ ბაზრამდე, წვრილი პოლიციაც მათ მხარეზე იქნება. ამიტომ იძულებულია იმოქმედოს უკრაინული ანდაზის მიხედვით: „скачи, враже, якъ пан каже"...

კავკასიური ცხოვრების თანამედროვე არანორმალურ პირობებში საშინელება იქნებოდა იმაზე ფიქრიც კი, რომ მევახშური ექსპლოატაციის თათარი მოსახლეობის რაიონებში შეჭრილიყო გარეშე ეკონომიკური ძალა, გაეწია კონკურენცია და აემაღლებინა სახალხო გასამრჯელოს დონე. ასეთ მცდელობებთან საბრძოლველად იყენებენ ყველანაირ საშუალებას, უმძიმესი დანაშაულების ჩათვლით.

ეროვნული

კავკასიაში დიდი ხმაური ატყდა ეგრეთ წოდებულ ხუბლაროვის საქმეზე, ანუ მკვლელობის გამო სოფელ შელაში ელისავეტოპოლის გუბერნიაში. რუსმა მრეწველმა გადაწყვიტა, მონოპოლისტ-სომეხის ხუბლაროვის რაიონში არყის ქარხანა გაეხსნა. ყველანაირად ეცადნენ მის გადათქმევინებას და საწარმოს გახსნისთვის ხელის შეშლას. ხოლო, როცა მან ადგილზე, ე.ი. შუშის მაზრის აგდამის უბანში რამდენიმე მოსამსახურე გაგზავნა დასაპროექტებელი ქარხნის საქმეებზე, ისინი დახოცეს, თან გვამები რამდენიმე დღე დაუმარხავი დატოვეს, ვინაიდან სასამართლო გამომძიებელს სამსახურებრივი მოვალეობისთვის არ ეცალა რაღაც ოჯახური ბედნიერების გამო. საქმეს კი ისეთი „მონდომებით“ მოჰკიდა ხელი, როგორითაც დათვური მიმიკით „ქალები სამუშაოზე დადიან“. ამასთან შემდგომშიც ცდილობდა მოეპოვებინა მტკიცებულებები მონოპოლისტ-ხუბლაროვის გასამართლებლად, მიუხედავად ამისა, ამ უკანასკნელს საკმაოდ წონიანი სამხილების გამო მიუსაჯეს წინასწარი პატიმრობა, მთელი სომეხი ფულიანი არისტოკრატიის გააფთრების მიუხედავად. განსაკუთრებით წონიანი სამხილები მოიპოვეს არა წინასწარ გამოძიებისას, არამედ საპოლიციო მოკვლევის დროს. მაშინ დაიწყო ყველა იმ პირის წინააღმდეგ დევნა, ვინც გულთან მიიტანა მხეცური დანაშაულის გახსნა. ამოქექეს საქმეები, რომელთა მიხედვითაც ხდებოდა მაზრის უფროსის და უბნის ბოქაულის კომპრომეტირება, ამოწიეს მანამდე აღძრული საქმეები, ისინი შემდეგ ცხრაკლიტულში ჩადეს და საჭირო მომენტში ამოიღეს მხოლოდ იმ მიზნით, რომ ნდობა შეელახათ ამ მსახურეული ადამიანების ჩვენებებისთვის და ეს უკანასკნელნი ოფიციალური მიმართვიდან გაექროთ. იმავდროულად შეთითხნეს აღმაშფოთებელი ჭორი შუშელ მიწათმფლობელზე, თათარ ჯაფარ-ბეგ ვეზიროვზე, რომელიც დაადანაშაულეს იმიტომ, რომ დაინტერესდა დანაშაულის გახსნით, ვინაიდან მისი ერთ-ერთი ნათესავი იყო მოკლული. შეთხზეს და კადნიერად ექცეოდნენ იმ მიზნით, რომ მოემზადებინათ საზოგადოებრივი აზრი დიდი ხნის წინ ჩაფიქრებული ფოკუსისთვის, იურიდიულ საზოგადოებაში საჯაროდ, გამჭვირვალე მინიშნებით ელაპარაკათ, რომ ჯაფარ-ბეგ ვეზიროვს, თავის რაიონში გავლენიან კაცს, ადგილობრივი მოსახლეობა მიჰყავდა მეჩეთში და აიძულებდა მას დაეფიცა (!) მის ერთგულებაზე. იმავდროულად ცნობასთან ერთად, რომ ხუბლაროვის საქმე გადაეცემა კავკასიის უფროსობის ნებით სამოქალაქო სასამართლოდან სამხედროს და ბატონი ხუბლაროვისთვის არასასიამოვნო პოლიციის მოხელეები

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნდა გაათავისუფლონ სამსახურიდან, თბილისში გავრცელდა ხმა, რომ ხუბლაროვის დაცვის საქმე ორგანიზებულია სრულიად განსაკუთრებული სახით: მის „გაცილებას“ ხელი მოჰკიდა ერთმა ადგილობრივმა არამზადამ, წარმოშობით კავკასიელმა, რომელსაც კავშირები გააჩნია თბილისის სხვადასხვა სფეროში და დიდი ხნის წინ შელახა რუსული სახელი ცინიკური მსახურებით ყოველგვარ სომხურ ფანდთან. სწორედ მას უნდა „გაეცილებინა“ საქმე, თვითონ კი ჩრდილში დარჩებოდა; ამ უცოდველ დანახარჯებისთვის ასიგნებული თანხები, მთხრობელთა პირით, მერყეობდა 40-დან 100 ათასამდე. სომხური ბეჭდვა უკიდურეს ლირიზმამდე მივიდა ხუბლაროვის დასაცავად, ხოლო მის წინააღმდეგ ადგილობრივი ცენზურის პირობებში დაწერა ძალზე ძნელი იყო.

შუშაში ჩავიდა სამხედრო-საოლქო სასამართლოს სესია სამხედრო მოსამართლის, ივანენკოს თავმჯდომარეობით. როგორ წარმოებდა საქმე, ანუ ახალი წინასწარი და სასამართლო გამოძიება – ეს შეეძლო გამოერკვია მიუკერძოებელ რევიზორს, რომელიც, სამწუხაროდ, იქ არ გაუგზავნიათ. უეჭველი იყო მხოლოდ სამი ფაქტი: პროკურორის თანაშემწემ საბრალდებო სიტყვის ნაცვლად თქვა რაღაც თითქოს გამამართლებელი და იგი იმავე სახით დაიბეჭდა სომხური მიმართულების გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეში“; შემდეგ, განაჩენის გამოტანამდე ორი დღით ადრე, რომელიც, წესით, წინასწარ არავის უნდა სცოდნოდა, მთელი შუშა ემზადებოდა ლუკულუსისებური აზიური ნადიმისთვის და გასვლითმა სესიის შემადგენლობამ, გარდა ერევნის პოლკის ერთი პოდპოლკოვნიკისა, მონაწილეობა მიიღო ხუბლაროვის ზეიმებში მას შემდეგ, რაც ბატონმა ივანენკომ გამოიტანა გამამართლებელი ვერდიქტი ლირიკული მისალმებით მშვიდობიანი ბატონი ხუბლაროვის მიმართ*. ჯაფარ-ბეგ ვეზიროვი

* ვ.ლ. ველიჩკოს სიკვდილის შემდეგ და ამ თავის „რუსკი ვესტნიკის“ № 10-ში ცალკე წერილად გამოჩენიდან სამი თვის მერე ამ ფაქტების შესახებ დაიბეჭდა იმავე ჟურნალში (№ 1,1904 წ.,ცენზ. და ბეჭდ. შესახებ დრ. ბრძ. 26-ე მუხ. საფუძვ.,დან. 1868 წ. კან. კრ. ტ. XIV-ის წინასიტყ.-ში) კავკასიის სამხედრო-საოლქო სასამართლოს თავმჯდომარის, ბ-ნი მაკედონსკის უარყოფა. იმის გამო,რომ იგი,როგორც ჩვენ გვგონია,არის მხოლოდ შეპასუხება და არა საჩვენებელი უარყოფა არსის მიხედვით, შესაძლებლად ვერ მივიჩნევთ ამ წიგნის გამოცემისას შევიტანოთ რაიმე ცვლილება ან შემოკლება ტექსტში, მით უმეტეს, რომ ავტორი ძალზე სერიოზულ მნიშვნელობას ანიჭებდა ამ საქმის დაგვირგვინებას „მოუ-

მთელი გუბერნიისთვის მოულოდნელად დააპატიმრეს და წინასწარი პატიმრობა მიუსაჯეს. იქ იგი საკმაოდ დიდხანს დააკავეს და შემდეგ გაუშვეს უდანაშაულო ავადმყოფი მოხუცი, უთხრეს რა: „pardon, monsieur!"

შემდეგ ... ყველაფერი მოგვარდა შესანიშნავად. ვერც ერთმა ახალმა მეწარმემ ვერ გაბედა კონკურირება სომეხ სამრეწველო ფეოდალებთან, რომელთაც „ვერაფერი ერევა". ყველა პატიოსანი ადამიანი კავკასიაში, განსაკუთრებით ჩვენი ბრწყინვალე არმიის წარმომადგენლები, აღშფოთებულნი იყვნენ, იხმაურეს, ილაპარაკეს, შემდეგ კი ამ ბინძურმა საქმემ სხვა ბინძურ საქმეებს დაუთმო ადგილი, მათი სახელი კი ლეგიონია.

აღნიშნულ საქმეში, ისევე როგორც სხვა მრავალ სასამართლო დრამაში, რომლებიც გათამაშდა ამიერკავკასიაში, სათაკილო, მაგრამ, სამწუხაროდ, თათარი მოსახლეობისთვის დამახასიათებელი წვრილმანებია დაქირავებულ მკვლელთა არსებობა და თათართა შესამჩნევი მიდრეკილება ცრუმოწმეობისკენ. ორივე მოვლენის მიზეზი რთულია და ყველა შემთხვევაში არ შეიძლება მივაკუთვნოთ მხოლოდ თავად აზერბაიჯანული რასის დანაშაულს. დაქირავებულ მკვლელებზე საკითხის განხილვა უმჯობესი იქნება ძარცვა-გლეჯასთან დაკავშირებულ საკითხებთან ერთად, ამას ქვემოთ შევეხები და იგი აქილევსის ქუსლია მხარის ყველა უფროსისთვის, რადგან აშკარად არღვევდა საანგარიშო კეთილდღეობის ჰარმონიას კავკასიაში.

ცრუმოწმეობა – ეს სავალალო, თითქმის საყოველთაო მოვლენა ფესვგადგმულია არა იმდენად მუსლიმანი მოსახლეობის ხასიათში, რამდენადაც გარეშე მიზეზებში. აზერბაიჯანელი თათარი რელიგიურია და საერთოდ, ცხოვრებაში მართალი; იგი მეგობრობაში ერთგულია, სიტყვის პატრონია და უფრთხილდება სახელს. სასამართლოში კი ის აუცილებლად იცრუებს. ერთი მხრივ, მისთვის გაუგებარია ჩვენი სასამართლოს პრინციპები, მეორე მხრივ – მის ნერვებზე დამღუპველად მოქმედებს ჩვენი სამართალწარმოება. სულში იგი მგზნებარედ სპორტული ადამიანია; შეჯიბრებითი პროცესი მისთვის არა ჭეშმარიტების გამორკვევის საშუალებაა, არამედ ბრძოლა, რომელშიც მართალი აღმოჩნდება გამარჯვებული. გარდა ამისა, სასამართლო, რომელიც არ ითვალისწინებს ადგილობრივ წეს-

---

წყვლადი" მონოპოლისტი სომხების პრესტიჟისთვის. სამართლიანად მიგვაჩნია აღნიშნული შეპასუხების მოთავსება ჩვენი შენიშვნებით ამ წიგნის „დანართში".

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვეულებებს და გაგებას, ხშირად ცდება ცხოვრებისეული სიმართლის წინაშე, ვერ უნერგავს მუსლიმანს იმ ნდობას და თაყვანისცემას, რომლის დროსაც ენა ძლივს გიბრუნდება სიცრუის სათქმელად. ადვოკატურა, როგორც იატაკქვეშა, ასევე ირონიულად წოდებული „მსაჯულთა“, რომელიც ყველას და ყველაფრის დაცვას კისრულობს, თავად უბიძგებს დამნაშავეებს და მოწმეებს სიცრუის გზაზე, კანონის დაცინვის გზაზე. თუკი ამას დავუმატებთ მძიმე მატერიალურ და საყოფაცხოვრებო პირობებს, რომელიც აკნინებს ზნეობრივ დონეს, პირობებს, რომლებშიც კავკასიაში ჩაყენებულია მთელი მსახურეული კლასი, მათ შორის სასამართლო უწყება, მაშინ ძნელი არაა, მივხვდეთ და გარკვეულწილად გავამართლოთ მუსლიმანი ადერბეიჯანელების, ასევე საერთოდ მთელი დანარჩენი კავკასიელი მოსახლეობის უარყოფითი დამოკიდებულება ჩვენი სასამართლოს მიმართ.

საქმეს ძალიან ვნებს აგრეთვე მკვიდრი მოსახლეობის მიერ სახელმწიფო ენის არცოდნა, რომელზეც წარმოებს სამართალწარმოება, სასამართლო უწყების ჩინოსნების მიერ მკვიდრი ენების არცოდნა და საბოლოო ჯამში, უზომოდ ფართო და გარკვეულწილად ნაკლებსაიმედო მთარგმნელების გადამწყვეტი როლი. ადგილობრივმა მცხოვრებლებმა კარგად იციან ამ უკანასკნელთა ფასი და ეს კიდევ მეტ საფუძველს აძლევს მათ, სკეპტიკურად განეწყონ რუსული სასამართლოს მიმართ. ამისთვის კიდევ ერთი მიზეზიც არსებობს აზერბაიჯანელი თათრების ფსიქოლოგიაში. ისინი საუკუნეების განმავლობაში მიჩვეული იყვნენ, რომ თავიანთი ალალარების და ხანების მკაცრი გადაწყვეტილებები სწრაფად შეესრულებინათ, ე.ი. დამნაშავეს მაშინვე ჩამოახრჩობდნენ ხოლმე უახლოეს ჭადარზე ან სასწრაფოდ ჩამოართმევდნენ ქონებას. სისხლის სამართლის უსამართლობის ცნება არც ისე მკვეთრად იყო გამიჯნული სამოქალაქო უსამართლობისგან და ზოგ შემთხვევაში, ვფიქრობთ, ცხოვრებისეულად აიხსნებოდა. ასე, მაგალითად, თუკი პურით მოვაჭრე აწესებდა საკმაოდ მაღალ ფასს პურზე, რითაც იწვევდა მოსახლეობაში უკმაყოფილებას, მაშინ ხანი ან ყადი მას ყურით აჭედებდა კარზე და ამყოფებდა ასეთ პოზაში, სანამ ის არ უარყოფდა მევახშურ ფასს სასიცოცხლოდ აუცილებელ პროდუქტზე. ეს წესი დღემდე გამოიყენება სპარსეთში. თანამედროვე კანონმდებლების ნერვებისთვის ეს საშინელი სისასტიკეა, მაგრამ ადგილობრივ ზნე-ჩვეულებათა თვალსაზრისით იგი რაციონალურია, ვიდრე ჩვენი ხანგრძლივი სამართალწარმოება

თავისი აპელაციებით, კასაციებით, თავდებობით და გადასახლებით, საიდანაც მამაც ჯიგიტს არ გაუჭირდებოდა გაქცევა. ამ ორი უკანასკნელი პირობის გამო მოწმეებს ეშინიათ სიმართლის თქმა, რადგან შესანიშნავად იციან, რომ დამნაშავე აუცილებლად იძიებს შურს: ან სახლ-კარს გადაუწვავს, ან მოკლავს. ასეთი საფუძვლიანი შიში საკმაოდ ართულებს მართლმსაჯულების საქმეს არა მარტო ამიერკავკასიაში, არამედ რუსეთის სხვა ნაწილებშიც, ამიტომ ამის მიწერა მხოლოდ მუსლიმანთა უკულტურობისთვის იქნებოდა უსამართლობა.

საბოლოო ჯამში, როგორც ჩანს, ამიერკავკასიის მკვიდრი მოსახლეობა და კერძოდ, მუსლიმანები საჭიროებენ სხვაგვარ ღრმად გააზრებულ სამართალმოწყობას და სამართალწარმოებას, მხარეში სასამართლო ხელისუფლების მოღვაწეობასთან მჭიდროდ დაკავშირებულ სხვა დანარჩენ სახელმწიფო ფუნქციათა სათანადო რეგულირებასთან ერთად. სხვათა შორის, საჭიროა, რომ სკოლამ, რაც შეიძლება, ფართოდ და ღრმად მოახდინოს ზემოქმედება მოსახლეობის მასაზე. მუსლიმანთა გავლენიანი კლასები არ ეწინააღმდეგებიან რუსული სკოლის შემოღებას სომხების და ნაწილობრივ ქართველი პატრიოტების საპირისპიროდ, ხოლო კავკასიური ხელისუფლება ამ საქმეში სიძუნწეს იჩენს, სომეხი პოლიტიკანების, წვრილმანი ვაჭრების და მიყრუებული ადგილების მოხელეების გასახარად, რომელთათვისაც ხელსაყრელია მუსლიმანი მოსახლეობა, რომელმაც არ იცის სახელმწიფო ენა, არც კანონები, რაც შეიძლება დიდხანს იყოს ყოველგვარი ექსპლოატაციის მსხვერპლი. სომხებისთვის ხელსაყრელია აგრეთვე, რომ მუსლიმანების შესახებ ჩამოყალიბდეს რუს საზოგადოებაში ცუდი აზრი, როგორც უკულტურო, ველურ და ყოველმხრივ არასაიმედო ელემენტზე. სომხური იდეოლოგიის ბეჭდვისთვის შესაძლებლობა, შეატყობინონ თათართა ძარცვა-გლეჯის შესახებ, რომელიც თითქოსდა ჩრდილს აყენებს „ქრისტიანთა“, ანუ სომხების მშვიდობიან განწყობას და ძირს უთხრის მხარეში რუსული ხელისუფლების ძალის მიმართ ნდობას, ჭეშმარიტი ზეიმია...

ეროვნული ბიბლიოთეკა

# 14. ყაჩაღობა

ყაჩაღობა ადგილობრივი ცხოვრების დიდი წყლულია. ამაში უპირატესად დამნაშავეა აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში მუსლიმანები და დასავლეთ-ქართველური ტომები ქუთაისის, შავიზღვისპირეთის გუბერნიებში, ასევე ახლად წარმოქმნილ ბათუმის ოლქში. ყაჩაღობების და მათ წინააღმდეგ ბრძოლის საშუალებების შესახებ დაწერილია მთელი ტომები, მაგრამ ამ უბედურების პანაცეა დღემდე ვერ მოუძებნიათ. აშკარაა, რომ ეს ადგილობრივი სოციალური ორგანიზმის რომელიმე ნაწილის სენი კი არაა, არამედ მთელი ორგანიზმის. მისი წარმომშობი მიზეზიც რთულია.

ერთი მხრივ, პარტიზანული ცხოვრების მრავალსაუკუნოვანი ჩვევა და სათანადო სახელმწიფოებრიობის უქონლობა, რომელიც უზრუნველყოფდა მშვიდობას და ვრცელ ფართობზე წესრიგს, ფეთქებადი ზნე, სპორტულობა, გმირობის წყურვილი, ადგილობრივი მოსახლეობის ნერვული გაუწონასწორობლობა; მეორე მხრივ, მძიმე სოციალურ-ეკონომიკური პირობები, რომელშიც იგია ჩაყენებული: სომეხ-ექსპლოატატორთა დაუბრკოლებელი ბატონობა, მსახურეული კლასის მნიშვნელოვანი ნაწილის ტრადიციადქცეული გამყიდველობა, წოდებრივ-სამამულო ურთიერთობათა გაურკვევლობა, გვაროვნული სისხლიანი ანგარიშსწორებები; ჯამში — ეს უსამართლობის მთელი ზღვაა, რომელიც თავისი ბინძური ტალღებით მთელ ადგილობრივ ცხოვრებას ფარავს.

გასაკვირი არაა, რომ ისეთმა ყაჩაღებმა, როგორებიც არიან: არსენა თბილისის გუბერნიაში, ხან-ბაბა ბაქოს, ქიარამი, ანუ ქერიმი ელისავეტპოლში, ხოლო მოგვიანებით ალაი-ბეგ მურსაკულოვი თბილისის და მის მომიჯნავე გუბერნიებში, ასე დიდხანს გაძლეს, იყვნენ მოუხელთებელი და მოსახლეობაში მოიხვეჭეს საქები და გარკვეულწილად საპატიო სახელი. ეს ადამიანები ბანალური ყაჩაღები კი არა, ზოგ შემთხვევაში შელახული სამართლიანობის აღმდგენლებად გვევლინებოდნენ. ისინი ძარცვავდნენ და ხოცავდნენ ხალხის მჩაგვრელებს, ამასთანავე აელენდნენ სიმამაცის და მოხერხებულობის სასწაულებს, რითაც აკმაყოფილებდნენ თავიანთი თანამემამულეების ზნეობრივ და მხატვრულ მოთხოვნებსაც კი.

მათი ოინები ბრწყინავდა ხან ზღაპრული ეფექტურობით, ხან — რაინდული სულგრძელობით, ხან — შესანიშნავი იუმორით. ალაი-ბეგ მურსაკულოვმა, მაგალითად, რამდენიმე ვაჟკაცთან ერთად გაძარცვა დილიჟნების ქარავანი, მასში 100 კაცამდე იჯდა, მათ შორის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცოტა როდი იყო შეიარაღებული; თავის ხელქვეითებს იგი მკაცრად უკრძალავდა ქალების და ბავშვების წყენინებას, ზოგ შემთხვევაში კი ქალებისთვის უკან დაუბრუნებია სამკაულები, როცა გაუგია, რომ ისინი დაკავშირებული იყო ძვირფას მოგონებებთან. ქიარამი სისტემატურად ურიგებდა ღარიბებს ნაძარცვის მნიშვნელოვან ნაწილს. იგი უკიდურესობამდე მოუხელთებელი და გამბედავი იყო. ასე, მაგალითად, როცა-მაზრის ერთმა უფროსმა მიზნად დაისახა, რადაც უნდა დასჯდომოდა, დაეჭირა ქიარამი, ეს უკანასკნელი ერთი თვის განმავლობაში ცხენით დაჰქროდა მაზრაში თავგამოდებული ადმინისტრატორის ჩაფრების ან მცველების რიცხვში, რა თქმა უნდა, საერობო პოლიციის დაბალი ჩინიანთა თანადგომით. ალაი-ბეგ მურსაკულოვმა, რომელიც 4 ყაჩაღით გამოცხადდა ბორჯომის ერთ-ერთ სააგარაკო ადგილას, სომეხ პლუტოკრატთა საყვარელ საზაფხულო რეზიდენციაში, აიძულა მილიონერი სომეხი ქალი, პირადად დაედგა მისთვის სამოვარი და მაგიდას მომსახურებოდა. ამ ეპიზოდმა ფურორი მოახდინა ადგილობრივ საზოგადოებაში, რომელიც დათრგუნვილი იყო პრივილეგიური სომეხი მდიდრების თავხედობით და გაუხარდა, როცა მიეცა საშუალება მიეღო გარკვეული ზნეობრივი დაკმაყოფილება, თუნდაც იუმორისტი ყაჩაღის დახმარებით.

ალაი-ბეგ მურსაკულოვი, ყაჩაღების სხვა ატამანების მსგავსად, იყო გარკვეულწილად შემთხვევითი, უნებური ყაჩაღი და არა პროფესიონალი. იგი წარმოშობით მხარეში განთქმული, კარგი, პატივსაცემი აღალარების ოჯახიდან იყო, გაიარა გიმნაზიის რამდენიმე კლასი, შესანიშნავად ლაპარაკობდა რუსულად და საერთოდ კულტურული ადამიანი გახლდათ. სულელურმა სასამართლო საქმემ, რომელიც დასრულდა საგვარეულო მამულის დაკარგვით, სათავე დაუდო მის არაერთ უბედურებას; ნათესავმა, რომელმაც სასამართლო წესით წაართვა საგვარეულო მამული, შემდეგ მოსტაცა საცოლე და მურსაკულოვმა ეს კაცი მოკლა. მკვლელი გადაასახლეს ციმბირში, საიდანაც გამოიქცა და სათავეში ჩაუდგა ყაჩაღების ბანდას. ასეთია ზოგადად ადგილობრივი მონათხრობი ალაი-ბეგის წარსულის შესახებ. ის, რომ დროულად შეეწყალებინათ, გაეთვალისწინებინათ ადგილობრივი შეხედულებები, მისი ფიცხი ტემპერამენტი და დანაშაულის სხვა შემამსუბუქებელი გარემოებები, ან ჩინეთის საზღვარზე ჯარისკაცად წაეყვანათ, მაშინ ალბათ იქნებოდა მეფის და მამულის ერთგული მსახური, წმ. გიორგის კავალერი და ღირსეული ადამიანი. ჩლუნგი ფორმალიზმით გაფუჭდა მთელი საქმე და შეიქმნა ყაჩაღი, რომელსაც კავკასიურმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელისუფლებამ ვერაფერი მოუხერხა ჩვეულებრივი გზით. ალაი-ბეგ მურსაკულოვი დაიღუპა დაქირავებული მკვლელის ხელით, თავის ყოფილი თანამზრახველის მიერ, თანაც არა რუსეთის საზღვრებში, არამედ თურქეთში, სადაც თავს უსაფრთხოდ მიიჩნევდა... რა თქმა უნდა, უცნაური იქნებოდა ცალკეული მაგალითების საფუძველზე, როცა გარემოებათა ტრაგიკული დამთხვევა ქმნის მხატვრულად სიმპათიურ ყაჩაღს, პოეტიზირებას რომ ექვემდებარება, მივსულიყავით განზოგადებამდე, რომელიც ყაჩაღს დახატავდა სასურველი ფონით. მასისთვის, მისი დიდი უმრავლესობისთვის ყაჩაღები საზიზღარი მტაცებლები არიან, რომელთა წინააღმდეგაც კეთილმოწყობილმა სახელმწიფომ შეუპოვარი ბრძოლა უნდა გააჩაღოს მათ მოსპობამდე. არც ადმინისტრატორს, არც პუბლიცისტს უფლება არ აქვს, დაკავებული იყოს „სოციალური პოეზიით“ ადგილობრივი მკვიდრის ხარჯზე, რომლის უსაფრთხოებაც უნდა იყოს უზრუნველყოფილი. სხვა – პოეტის ან ბელეტრისტისთვის დესერტია...

საკითხი ყაჩაღობების შესახებ ძალიან მჭიდროდ უკავშირდება ადმინისტრაციული დონის საკითხს. არასოდეს დამავიწყდება ერთი დამახასიათებელი შემთხვევა, რომელიც მოხდა თბილისში განსვენებული თავადის, ა.მ. დონდუკოვ-კორსაკოვის ოჯახში, სადილზე. ერთ-ერთი ადგილობრივი, ტიპური კავკასიელი ადმინისტრატორი გულუხვი სმის დროს გულახდილობის ხასიათზე დადგა და მხარის უფროსს უთხრა, რომ იცის თავისი რაიონის ყველა ყაჩაღური ბუნაგი, ხვრელი და შეუძლია უმოკლეს ხანში დაიჭიროს და ჩამოახრჩოს ყველა იქაური ყაჩაღი. წინადადებაზე, რომ შესდგომოდა ამ ოპერაციას რაც შეიძლება ჩქარა, მან უპასუხა, რომ ეს იქნებოდა არახელსაყრელი, ვინაიდან მაშინ სამსახური წარიმართებოდა ერთფეროვნად, ადმინისტრაციული გმირობების და შესაბამისი ჯილდოების გარეშე. მან ასე დაამთავრა: „ჩვენ ყაჩაღებს ამისთვის ვაჩერებთ განზრახ“. ისე, უნდა შევნიშნოთ, რომ ამ აღიარების ავტორი იყო კავკასიელი და არა რუსი წარმოშობით და ასეთი სახის „ფილოსოფია“ ბოლო ხანებში ადგილს უთმობდა უფრო კეთილშობილ შეხედულებებს საქმეში. ყოველ შემთხვევაში, მთავარი კავკასიური ხელმძღვანელობა გულწრფელად ისწრაფვის ასეთი ტიპის ადმინისტრატორების მოსაშორებლად, მაგრამ განაპირისთვის დამახასიათებელ ტიპებს კიდეც ქმნიან და კიდეც იშორებენ არა ერთბაშად.

შეიძლება ნახსენებმა კავკასიელმა ფუშემ ამ შემთხვევაში წაიტრაბახა კიდეც, მაგრამ უეჭველია, რომ მის სიტყვებში სიმართლის

წილია. კეთისინდისიერი, სწორად შერჩეული ადმინისტრაციის დროს, როცა მისი დაბალი ჩინების მხრიდან წაქეზება არ ხდება, ყაჩაღობები აუცილებლად უნდა შემცირებულიყო მნიშვნელოვნად. ამასთან ერთად, საჭიროა გააზრებული ზრუნვა ხალხის კეთილდღეობაზე, რომელიც დამყარებული იქნება ადგილობრივი ეკონომიკური პირობების და ყოფა-ცხოვრების თავისებურებების ღრმა ცოდნაზე. ასე, მაგალითად, ძველი კავკასიელი ადმინისტრატორის და მებრძოლის, კ.ვ. კომაროვის საკმაოდ დასაბუთებული აზრით, ბევრგან ყაჩაღობა მესაქონლეობისთვის მიწის უკმარისობის შედეგია. ეს შეხედულება აუცილებელია გავითვალისწინოთ ამიერკავკასიაში თავისუფალი ადგილების რუსებით დასახლების საკითხის გადაჭრისას; საჭიროა, ასეთი ადგილები ნამდვილად იყოს თავისუფალი, ე.ი. მათი გამოყოფა, არ უნდა ნიშნავდეს ადგილობრივ მკვიდრთათვის მიწის ჩამორთმევას, უკანასკნელი ლუკმის გარეშე მათ დატოვებას. მეომრული სულის ადამიანს შიმშილი აუცილებლად ყაჩაღობამდე მიიყვანს.

საერთოდ ეკონომიკური ფაქტორების მნიშვნელობა ყაჩაღობის საკითხში უზარმაზარია და ეს საკითხი მხოლოდ მაშინ გადაიჭრება, თუკი ცენტრალური მთავრობა და კავკასიური ხელისუფლება შეიგნებს გააზრებული ეროვნულ-ეკონომიკური პოლიტიკის აუცილებლობას. მართლაც, რა უნდა ქნას ფიცხმა და ბუნებით მეომრული სულის თათარმა, რომელიც მატერიალურად დათრგუნვილია ობობა-სომხის მიერ და ხედავს, რომ სხვადასხვა უწყების რუსულ მუნდირებში გამოწყობილი ადამიანები ხშირად მოქმედებენ ამ უკანასკნელის სასარგებლოდ? მიწათმოქმედების სამინისტრო ავრცელებს ბამბის თესლს, ცდილობს გააუმჯობესოს მეცხოველეობა; წყლის სამმართველო ნელ-ნელა აღადგენს სარწყავი მიწების სწორ მორწყვას. ყველა ეს დოვლათი უბრალო თათარ მიწათმოქმედს ულვაშებზე ჩამოსდის, პირში კი არ ხვდება. ძალზე დამახასიათებელია მუღანლოს ველის სკანდალური ამბავი, რომელიც დროულად დაიწერა ყოველდღიურ ბეჭდვით ორგანოში — „რუსკი ვესტნიკში“. ინჟინერ-ჰიდრავლიკოსმა უკანონოდ გადაიყვანა წყალი რუსული დაბების უბნებიდან აქამდე უნაყოფო და იჯარით გროშებად აღებულ თათართა დაბის მიწებზე, ხოლო ინტელიგენტმა სომეხმა კირაკოზოვმა ამ მიწებზე დათესა ბამბის თესლი, რომელიც მიიღო მიწათმოქმედების სამინისტროს მოხელისგან, მებამბეობის განვითარება რომ ევალებოდა სოფლის მოსახლეობას შორის. სახაზინო ხარჯზე მოტყუებული დარჩნენ ადგილობრივი გერები, ე.ი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსები და თათრები, ხოლო დიადი და მდიდრული წყალობა ერგო საქმოსანთა ბანდას სომხის მეთაურობით. განა გასაკვირია, თუ ასეთ გარემოებაში თათარი მაგრად მოუჭერს ხელს თავისი შაშხანის ლულას ან ნერვიულად მოეფერება ხანჯლის ტარს? თუკი გსურთ სისხლიანი ძარცვა-გლეჯის აღმოფხვრა, მაშინ მოსპეთ საყოველთაო უკანონობა და ყაჩაღობის აღმაშფოთებლად თავხედური ზრდა მთელ ქვეყანაში, სადაც ხალხი სხვა წესრიგს ელოდა განათლებული რუსული ხელისუფლებისგან.

ზოგჯერ ყაჩაღობა, სისხლიანი თუ უსისხლო, ხელიხელ ჩაკიდებული მიდის და ერწყმის კიდეც ერთმანეთს. სომეხ მსხვილ მრეწველებს დამცველთა ან მსახურთა სახით ჰყავთ დაქირავებული მკვლელები და კონტრაბანდისტები; მდიდარი მემამულეების ნოქრები (მსახურები) აგრეთვე თავისთავად შეიარაღებული რაზმელები არიან. ადამიანები, რომლებიც დაიღუპნენ ხუბლაროვის ბნელ საქმეში, უეჭველად დახოცეს დაქირავებულმა მკვლელებმა, ისევე, როგორც ნაფიცი ვექილი სტაროსელსკი ბაქოში. ნამდვილი დამნაშავეები ვერაფრით იპოვეს, რადგან მდიდარი ადამიანები კავკასიაში ჩვეულებრივ... უდანაშაულო აღმოჩნდებიან ხოლმე.

ამ მხარეში დაქირავებული მკვლელი თითქმის ოფიციალურად გამოყენებული ხელობის წარმომადგენელია. ელისავეტოპოლში მოხდა შემდეგი დამახასიათებელი შემთხვევა. ამიერკავკასიის რკინიგზის სამომხმარებლო საზოგადოებამ გადაწყვიტა ამ ქალაქში გაეხსნა თავისი მაღაზიის განყოფილება, ადგილობრივი მონოპოლისტის, მსხვილი საბაყლო საქონლით მოვაჭრის დიდად სამწუხაროდ. სომეხი ვაჭარი თბილისშიც კი გაემგზავრა, რათა პირადად გაეფრთხილებინა საზოგადოების მმართველობის თავმჯდომარე, რომ ამ საქმიდან არაფერი გამოვიდოდა, ვინაიდან ელისავეტოპოლი — „ვაი, რა მშფოთვარე ადგილია“. ადგილი მართლაც მშფოთვარე აღმოჩნდა: უცნობმა ადამიანებმა ღამით ორჯერ ზედიზედ ესროლეს სამომხმარებლო საზოგადოების მაღაზიის ფანჯარას, თავდაპირველად, როგორც ჩანს, მხოლოდ შეშინების მიზნით; ნოქრის მიმართვამ პოლიციაში მხოლოდ ის გამოიწვია, რომ მეორე დღეს უფრო სერიოზული სროლა ატყდა; ნოქარი არ მოკვდა მხოლოდ იმიტომ, რომ შემთხვევით დაიხარა სროლის დროს. საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარემ, როცა დაინახა, რომ ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან დაცვა არ ვარგოდა, მიმართა ერთ ნაცნობ ბეგს რჩევისა და დახმარებისთვის. მან მშვიდად უპასუხა, რომ ასეთ შემთხვევაში საჭიროა სამაგიეროს გადახდა.

— კი, მაგრამ როგორ?

— აი დაინახავთ. მე ამას მოვაწყობ.

მეორე დღეს მონოპოლისტი სომხის მაღაზიაში მოხდა კარგეჩით მშვენიერი გასროლა, რის შედეგადაც გატყდა რამდენიმე ქილა და ბოთლი ძვირფასი საქონლით, ნოქარი კი საშინლად შეშინდა. დამნაშავეები, რა თქმა უნდა, ვერ იპოვეს, მაგრამ მას შემდეგ სამომხმარებლო დუქანს უკვე სრულიად დაუბრკოლებლად შეეძლო არსებობა. ჰომეოპათიურმა პრინციპმა „**similia similibus**", უკიდურესად მიზანშეწონილმა აღმოსავლეთში, თავისი გავლენა მოახდინა და ამავე დროს, დაქირავებული მკვლელების ჭეშმარიტი პატრონი აღმოაჩინა.

ამ პრინციპის სიცოცხლისუნარიანობა დასტურდება ანდაზით: „**Птица ловится птицей**". ეს ანდაზა სხვადასხვა ენაზე არსებობს: ქართულად, აზერბაიჯანულად და სპარსულად. ერთმა სპარსელმა კონსულმა ტფილისში როგორღაც ნახევრად ხუმრობით მითხრა: „აი თქვენში, კავკასიაში, ყაჩაღობა მძვინვარებს, ჩვენთან კი, სპარსეთში — არა. ჩვენთან როგორც კი გამოჩნდება ოდნავ მაინც მხნეილი ყაჩაღი, ჩვენ მას მაშინვე ვიწვევთ სამსახურში, ვაძლევთ სახარბიელო ადგილს ჯარში ან ადმინისტრაციაში, იმიტომ, ტომ ნიჭიერი ადამიანები გვჭირდება. თქვენთან კი უცნობ ან საქმიანი თვალსაზრისით უბადრუკ ადამიანს ადმინისტრატორად ნიშნავთ და შემდეგ იგი გახდება ხოლმე თავად ან ყაჩაღი, ან უძლური ნიჭიერი ყაჩაღის წინააღმდეგ"...

მეორე ადგილობრივი ანდაზა კიდევ უფრო მკაფიოდ გამოხატავს სპარსულ შეხედულებას ამ საკითხზე. იგი ღაღადებს: „თუ გინდა შეინახო რამე ნივთი, მიაბარე იგი ქურდს". ასეთ შეხედულებას, ბუნებრივია, ვერ დაეთანხმება რუსული ხელისუფლება, თუმცა უეჭველია, რომ დამნაშავეობასთან ბრძოლის საქმეში ვერანაირი პოლიცია გვერდს ვერ აუვლის ყოფილი დამნაშავეების დახმარებას, ხოლო კავკასიისთვის დამახასიათებელ ყაჩაღობებთან ბრძოლა შეუძლებელია ყოფილი ყაჩაღების გარეშე, ვინაიდან ჩიტს ნამდვილად ჩიტი იჭერს და არა თევზი. კიდევ უფრო უაზრობა იქნებოდა გვევარაუდა, რომ ხელისუფლებას, რომელიც ებრძვის მარცვა-გლეჯას, შეუძლია ამის გაკეთება ადგილობრივი პირობების კარგად მცოდნე ადგილობრივ მცხოვრებთა გარეშე, რადგან საკმარისია საიმედო რუსი ადამიანები შიდა გუბერნიებიდან. მაგრამ გარდა საიმედოობისა, საჭიროა სპეციალური სიმარჯვეც. თუკი არ გინდათ, დაიჭიროთ არასაიმედო ადგილობრივი „ჩიტის" დახმარებით, მაშინ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოაშენეთ და აკლიმატიზაცია მიაღებინეთ, მიუსადაგეთ ადგილობრივ პირობებს საკუთარი ჩიტი: დაასახლეთ მარჯვედ შერჩეულ პუნქტებში კაზაკთა სტანიცები. თავისთავად კი, სწორხაზოვანი საკანცელარიო გეგმების საფუძველზე, არაფერი გაკეთდება. ვიმეორებ: ხომ შეძლეს სექტანტებმა რამდენიმე წელიწადში რადიკალურად დაეცვათ თავი ყაჩაღობებისგან, შემდეგ კი ადგილობრივი მოსახლეობის სიმპათიაც დაიმსახურეს.

იმის ვარაუდი, რომ ამ უკანასკნელთა შორის არ არიან საიმედო ელემენტები, რომლებიც მზად იქნებიან მთავრობის დასახმარებლად მშვიდობის და წესრიგის განსამტკიცებლად, უაზრობა და უსინდისობა იქნებოდა. მაშასადამე, საკითხი დადის უნარამდე, მონახო ასეთი ადამიანები და მოიპოვო მათი თანაგრძნობა. მაშასადამე, საჭიროა ტაქტიანი და კეთილსინდისიერი ადგილობრივი ხელისუფლება, რომელიც ნდობით ისარგებლებდა მოსახლეობაში. ხელისუფლების ამგვარი წარმომადგენლების საკმაო რაოდენობა დღესდღეობით იქ ძალიან ცოტაა, ხოლო ადგილობრივი ცხოვრების სცენაზე ხშირად იცვლება პატიოსნები, მაგრამ მოუხერხებლები მოხერხებულებით, ანდა უპატიოსნოებით და იმავდროულად მოუხერხებლებით. ამის გამო ყაჩაღობები არ წყდება, პირიქით, ძლიერდება.

ყაჩაღობა იმდენად ღრმა და რთული ადგილობრივი სენია, რომ მსჯელობა მასზე სიმპტომების სიმკვეთრის მიხედვით უდავოდ შეუძლებელია. ასე, დროდადრო, აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ზოგიერთ მაზრაში ყაჩაღობები იკლებდა, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავდა, რომ იქ ის არ ხდებოდა და ხალხი განთავისუფლდა თავისი მჩაგვრელებისგან: პირიქით, აქ სწორი იქნება დავინახოთ ნიშანი, რომ პოლიცია კომპრომისზე წავიდა ყაჩაღების მეთაურებთან, რომლებმაც სწორი გადასახადით დაბეგრეს მოსახლეობა და მშვიდად ხარობენ, იღებენ რა თავიანთ შემოსავალს ყოველგვარი რისკის გარეშე, სწორედ ისეთივე საფუძველზე, როგორითაც სარგებლობენ შაქრის ქარხნის პატრონები მადლიანი ნორმირებით ადგილობრივ მკვიდრთა ხარჯზე, ნავთობმრეწველები კი მფარველობითი გასატანი ტარიფებით და სხვა შეღავათებით დაინტერესებული უწყებებისგან. თქმაც არაა საჭირო, რომ ასეთი სახის მშვიდობის გამო მოსახლეობას არ ულხინს და მისი ნდობაც რუსული ხელისუფლების მიმართ არ იზრდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# 15. საყოფაცხოვრებო პირობების არანორმალურობა

ნდობა, რომელიც აზერბაიჯანელ თათრებს იმთავითვე ჰქონდა, ხშირად იმგვარ სასტიკ გამოცდას ექვემდებარება, რომელთა შესახებ ფიქრიც კი მტკივნეულია და საშინელი. აზერბაიჯანელი თათრებით დასახლებული ადგილების ადმინისტრაცია საერთოდ თავის მოწოდებაზე მნიშვნელოვნად დაბლა დგას. სამსახურებში ცუდად უხდიან, არ ითვალისწინებენ მუდმივად მზარდ ფასებს სასიცოცხლო პროდუქტებზე, რომლებიც სომეხ შეთქმულთა ხელშია; დანიშვნა უმეტესწილად შემთხვევით ხასიათს ატარებს, ამასთან ხდება ისეთი დანიშვნაც, როცა თავიანთი წინა საქმიანობით სახელგატეხილი ადამიანები, მაგალითად გამორიცხულნი სამხედროთა ამხანაგური წრიდან და ა.შ., ხვდებიან საკმაოდ მაღალ თანამდებობებზე.

დღევანდელი კავკასიური უფროსობა – თავისი მიმართულებით უეჭველად რუსული და არა კოსმოპოლიტური – უდავოდ ისწრაფვის მსახურეული კლასის დონის ამაღლებისკენ, მაგრამ მას ანგარიშის გაწევა უხდება წარსულის მემკვიდრეობასთან, ამიერკავკასიის „ცხოვრებისეული სკოლის“ მრავალწლიან ნაყოფთან, მთელ რიგ მძიმე პირობებთან, რომელთა აღმოფხვრა საჭიროებს დროსა და მოღვაწეთა მთელი პლეადის მეგობრულ ძალისხმევას. მაგრამ ახლანდელი კავკასიური უფროსობის ძირითადი ლოიალურობის მიმართ იდეური თანაგრძნობა, ვერ მოსპობს ადგილობრივი ადმინისტრაციული მუშაობის ნაკლის მითითების აუცილებლობას.

უბრალო მდაბიო თათარი, რომელიც რუსულად ვერ ლაპარაკობს, დაცული არ არის ნებისმიერი უსამართლობისგან, რამე ძალადობისგან, რამე საშინელი შეცდომისგან. ის შეიძლება მშვიდად იჯდეს გორაკზე, აძოვებდეს თავის ფარას და წვავდეს მწვადს, რომ უეცრად მოიჭრან წესრიგის თავგამოდებული დამცველები, მოკლან იგი და, როგორც ალაფი, წაიღონ ბოქაულთან. ბოქაული მას იცნობს,ვინაიდან წელიწადში ორჯერ მისგან იღებდა „ფეშქაშს“, ცხვრის ან მიწის სხვა დოვლათის სახით; მაგრამ ბოქაული მის ცხედარს გააგზავნის მაზრის უფროსთან, რომელიც ასევე შეიძლება იცნობდეს მას, რადგან მისგან ნაყიდი ჰყოლია მოპარული ცხენი ქალაქის მნიშვნელოვანი მოხელისთვის მისართმევად. მიუხედავად ამისა, მწყემსის ცხედარი მიაქვთ საგუბერნიო ქალაქში, საიდანაც უფროსობას ეგზავნება შეტყობინება, ხოლო გაზეთებს – დეპეშა,

რომ „ახალ საერობო მხედარ-მცველებსა და ყაჩაღებს შორის სროლების დროს დაიღუპა მრისხანე ყაჩაღი იბრაგიმ-ოღლი, რომელიც პანიკას გვრიდა რაიონის მოსახლეობას“.

ბევრი თათარი მარწმუნებდა ასეთი უსიამოვნო შემთხვევის შესაძლებლობაში. ორი თუ სამი წლის წინ „ნოვოე ვრემენის“ სვეტებში მოთხრობილი იყო მშვიდობიან მწყემსებზე ასეთი ადმინისტრაციული ნადირობის შემთხვევა; კორესპონდენტს, რომელმაც ეს ამბავი შეატყობინათ, შეუცნობელი გზებით კავკასიაში აღარ იყენებდნენ, მაგრამ მის მიერ მოწოდებული ფაქტი დღემდე არ ითვლება საკმარისად უარყოფილად. ამგვარი მონათხრობის გაჩენის შესაძლებლობაც კი, რომლისაც ადგილობრივ მოსახლეობას უდავოდ სჯეროდა, რუსული სახელისთვის სათაკილოა და რუსულ საქმეს არ წაადგება. შეიძლება აღარ გამოვიყენოთ ესა თუ ის კორესპონდენტი, ისე, რომ არ მივმართოთ სასამართლოს და არ დავამტკიცოთ კეთილსინდისიერი გამოძიებით მის მიერ შეტყობინებული ამბის სიცრუე, მაგრამ სიმართლის სავსებით და სამუდამოდ დაფარვა ძნელია.

კავკასიურ ხელისუფლებას ვერ ჩამოუყალიბდა გარკვეული კულტურული შეხედულება აზერბაიჯანელი თათრების საკითხზე. უზარმაზარი და მადლიანი ველი შემოქმედებითი მუშაობისთვის რჩება მოუხენელი. ადგილობრივ ადმინისტრატორებს ავიწყდებათ, რამდენი მონღოლთათრული სისხლი ჩქეფს რუსულ ძარღვებში: როგორც ჩანს, ჩვენი ადრინდელი შიდა პოლიტიკა ამ უცხოტომელების მიმართ იყო გონივრული და პრაქტიკული. კერძოდ, როგორც ითქვა, სკოლის საკითხს არ მიაქციეს სათანადო ყურადღება. ეთქვათ, სკოლა მთელ რუსეთში ცუდია და მისი აღმზრდელობითი მნიშვნელობა უბადრუკი. მაგრამ სამაგიეროდ ჩვენ გვაქვს სხვა, უფრო სრულყოფილი და პრინციპულად მთლიანი სკოლა, სახელდობრ, ჩვენი შესანიშნავი არმია. აზერბაიჯანელი თათრები მასში სწავლებით განავითარებდნენ თავიანთ ბუნებრივ ღირსებებს, რომლებიც სასარგებლოა სახელმწიფოსთვის და უკუაგდებდნენ ბევრ ახლანდელ ნაკლს. ერთი შეხედვით, პირდაპირ გაუგებარია, რატომ იხდის ეს ხალხი, რომელიც სამხედრო [illegible] ვარგისია, დღემდე განსაკუთრებულ [illegible] სამხედრო ბეგარის მოხდის სანაცვლოდ. უფრო ახლოს თუ გავეცნობით ამ საკითხს, აღმოჩნდება, რომ ეს ანომალია — რუსული საქმისთვის მტრული — ადგილობრივი კავკასიური გავლენის შედეგია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა თქმა უნდა, საჭიროა მკვიდრი მოსახლეობისგან არა მუსლიმანური რაზმების ფორმირება, არამედ მუსლიმანების გაწვევა ჩვეულებრივ პოლკებში იმის გარანტიით, რომ იქ დაუბრკოლებლად შეძლებენ თავიანთი რელიგიური წეს-ჩვეულებების შესრულებას. მაშინ ისინი სიხარულით წავლენ მეფისა და სამშობლოსთვის სამსახურში. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ეს მომწიფებული საკითხი გადაწყდება უახლოეს მომავალში.

მუსლიმანი ინტელიგენციისთვის ნელ-ნელა წარმოიშობა მეორე საკითხი, წმინდა საყოფაცხოვრებო. იღებენ რა ჩვენს უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში განათლებას და როგორც სახლში, თავს ისე გრძნობენ რუსულ ინტელიგენტურ გარემოში განათლებული მუსლიმანები, დაბრკოლებას აწყდებიან შესაფერი ცოლის არჩევაში. მკვიდრი მოსახლეობიდან ქალები არასაკმარისად განვითარებული არიან, ჰარამხანული წყობა მოძველებულია, ხოლო რუს გოგონებზე დაქორწინება თათრებს არ შეუძლიათ გარკვეული დაბრკოლებების გამო, რომლებიც ყველა მართლმადიდებელ ქვეყანაში, გარდა რუსეთისა, უკვე დიდი ხანია უარყოფილია. კონსტანტინეპოლში მუსლიმანს შეუძლია მართლმადიდებელზე დაქორწინება, ხოლო თბილისსა ან ელისავეტპოლში — არა. განათლებული მუსლიმანებისთვის უცხოა ყოველგვარი ფანატიზმი, სიამოვნებით დაქორწინდებოდნენ მართლმადიდებლებზე და კეთილსინდისიერად აღზრდიდნენ მართლმადიდებლებად თავიანთ ბავშვებს ასეთი ქორწინებიდან; მხოლოდ თვითონ არ აქვთ მიდრეკილება, უღალატონ მამა-პაპათა სარწმუნოებას, რადგან ამას ადამიანური ღირსების დამცირებად მიიჩნევენ. მე ვიცი ამიერკავკასიაში მუსლიმანების ქრისტიანებთან ოჯახური ცხოვრების რამდენიმე სანიმუშო მაგალითი, მათ მიმართ საკმაოდ კეთილგანწყობილია მთელი უცხო რჯულის საგვარეულო. ეს ქორწინებები გაფორმებული რუსეთის ფარგლებგარეთ და შემდეგ დაკანონებული ხდებოდა მისი უმაღლესობის განსაკუთრებული წყალობით: ჩვენს თვითმპყრობელთა მამობრივმა შორსმჭვრეტელობამ ამ შემთხვევაში გულგრილ კანონს გაუსწრო.

დროა, ეს ნათელი გამონაკლისი წესად ვაქციოთ და ასე ვთქვათ, მოვამზადოთ მომწიფებული ნაყოფისთვის ხონჩა. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ, როგორც ვთქვით, გონივრულად წარმართული მუსლიმანთა კულტურული განვითარება უცილობლად მიგვიყვანს მათ უმჭიდროეს დაახლოებამდე რუსებთან, რომლებთანაც სისხლით

ეროვნული ბიბლიოთეკა

და იდეურად დანათესავებული არიან, როგორც გვიჩვენებს მთელი ჩვენი ისტორია.

იმისათვის, რომ ეს ნათესაობა სულ არ გაქრეს, აუცილებელია სამართლიანი და გონიერული დამოკიდებულება საქმის მიმართ. ამასობაში კი ჩვენთან ბეჭდვით ორგანოებშიც (განსაკუთრებით სომხური და ევროპული იდეოლოგიის) და პრაქტიკაშიც არ არის განსაკუთრებით სამართლიანი დამოკიდებულება მუსლიმანების მიმართ: მათ ძალიან ხშირად და უსაფუძვლოდ მიანიშნებენ, რომ ისინი გერები არიან. რატომ არ არიან, მაგალითად, ისინი თავიანთ სამშობლოში გათანაბრებული ყველა უფლებით სომხებთან, ხშირად ასეთ საეჭვო და ფიქტიურ გადამთიელ ქრისტიანებთან, რომლებიც განისაზღვრელად ნაკლებსაიმედონი არიან პოლიტიკურ თუ საზოგადოებრივ ურთიერთობებში? რატომაა ნებადართული კავკასიურ ბეჭდვით სიტყვაში მუსლიმანთა წმიდათაწმიდა რწმენის ცინიკური დაცინვა, ხოლო სომხური ოინების მხილება — ძალზე ძნელი?

ზემოთ აღვნიშნე სომხური იდეოლოგიის პუბლიცისტის აღმაშფოთებელი გამოხდომა მაჰმადის ხსოვნის წინააღმდეგ, რომელმაც კინაღამ ხოცვა-ჟლეტა გამოიწვია. ახლა მახსენდება არანაკლებ დამახასიათებელი შემთხვევა. იმავე „ტიფლისსკი ლისტოკში" დაახლოებით შემდეგი შინაარსის სტატია იყო: „ელისავეტოპოლის გუბერნიის რომელიღაც ადგილას არსებობს თავისუფალი მიწა რუსული კოლონიზაციისთვის. ადრე ამ მიწებზე ცხოვრობდნენ სომხები, ახლა კი ცხოვრობენ მუსლიმანები, რომლებმაც ისინი გამოდევნეს. ამ მიწებზე შეიძლებოდა დაგვესახლებინა რუსი გლეხები". ეს სტატია სავსებით უგუნური იყო, ვინაიდან როგორ შეიძლება მიწას უწოდო თავისუფალი, როცა იქ უკვე ცხოვრობენ მუსლიმანები, რუსების ქვეშევრდომები. აშკარა იყო, რომ ეს დაიწერა იყო რუსული კოლონიზაციის საქმის, როგორც აღმაშფოთებელი უსამართლობის, გამოსამზეურებლად და მონური სიძულვილის გამოსაღვიძებლად მუსლიმანების მიმართ, თან იმისთვის, რომ მათთვის მიენიშნებინათ — თქვენთან ცერემონია არ გვჭირდება, მიწასაც წაგართმევთ, ამით კი გააღვივებდნენ მუსლიმანურ გარემოში უკმაყოფილებას რუსული ხელისუფლების წინააღმდეგ. მე, რა თქმა უნდა, მოვალეობად მივიჩნიე მეპასუხა „კავკაზში" ამ სიბინძურეზე, რომ რუსული კოლონიზაცია არ ხელყოფს ადგილობრივ მკვიდრთა სასიცოცხლო ინტერესებს,

ამასთან, ვიცოდი რა ადგილობრივი ცენზურის წესები, გამოვიყენე ყველაზე თავშეკავებული გამოთქმები. მიუხედავად ამისა, ჩემი პასუხი ცენზურამ დააყოვნა ორი დღე და მხოლოდ მას შემდეგ გაუშვა, როცა „ტიფლისსკი ლისტოკის" რედაქცია თავად შეედავა თავის უცნაურ წერილს. მაშინ მივმართე უკვე მოტივირებული განცხადებით მთავარმართებლის კანცელარიას და სხვა ანალოგიური შემთხვევების საპირისპიროდ, სომხური იდეოლოგიის გამტარებელი ცენზორი მოხსნეს, ვინაიდან მის მიერ დაშვებული სიბინძურით ფიალა ძალზე აშკარად შეივსო.

ამიერკავკასიის მუსლიმანურ პროვინციებში შიგადაშიგ საუბრობენ მკვიდრი მოსახლეობის თურქეთსა და სპარსეთში გასახლებაზე, ხოლო ნაწილობრივ გასახლება მიმდინარეობს უწყვეტად. ამას ნაწილობრივ იწვევენ ამსახელმწიფოების ემისრები, რომლებიც ჰპირდებიან მუსლიმანებს ოქროს მთებს, ასევე ის, რომ მეომარ აზერბაიჯანელებს არ სურთ გადავიდნენ ახალ, ნაკლებად მომთაბარე და ცხოვრების უფრო მშვიდობიან პირობებზე; თუმცა არანაკლებ დამნაშავეა ამაში სომხური ინტრიგაც, რომელიც სისტემატურად დევნის რუს მსახურეულთა ხელით მუსლიმანურ მოსახლეობას დამკვიდრებული ადგილებიდან, რათა ისინი შეცვალონ გადამთიელი სომხებით; საბოლოო ჯამში, დამნაშავეა ამ პროვინციების არასათანადო მართვა, არასაკმარისად კეთილსინდისიერი და გაბზრებული დამოკიდებულება ხალხის მიმართ, რომელსაც სამართალი სწყურია და ძლიერი, მაგრამ სამართლიანი ხელისუფლების უერთგულესი მსახური იქნებოდა.

პანისლამიზმი შეიძლება განვითარდეს მხოლოდ ხალხის უკეთური მდგომარეობის და უკმაყოფილების ნიადაგზე. მისი ზემოქმედება არ მისულა ისეთ ზომამდე, როგორც ცდილობენ წარმოუდგინონ კავკასიურ ხელისუფლებას შესაშინებლად სომეხმა ინტრიგანებმა და მათმა დამქაშებმა, მაგრამ იგი უეჭველად დაძრწის ამიერკავკასიის მუსლიმანურ რაიონებში, სადაც ბოლო ხანებში შეინიშნება საკმაოდ დამახასიათებელი დაახლოება სუნიტებსა და შიიტებს შორის. ასეთი დაახლოება მხოლოდ ცხოვრების საერთო არასასიკეთო პირობების გაელენით ხდება, როცა ტანჯული ელემენტები ერთიანობისკენ ისწრაფვიან, ივიწყებენ რა ადრინდელ უთანხმოებასა და განხეთქილებას. მაგრამ არ შეიძლება უარვყოთ, რომ პანისლამიზმი, მიუხედავად ამისა, არის ქიმერა, რადგან რასობრივი განსხვავება უფრო ძლიერია, ვიდრე ერთმორწმუნეობა.

აღმოსავლეთის ისტორია ამის თავდებია.

რა თქმა უნდა, ქიმერასაც შეუძლია შექმნას უსიამოვნო გართულება, ანდიჟანის აჯანყების მსგავსი. თუმცა რამე გართულების და პოლიტიკური დაავადების საუკეთესო საშუალება ყოველთვის იყო და არის ქმედითი და არა ფორმალური ზრუნვა მოსახლეობის ჭეშმარიტ კეთილდღეობაზე, მისი ყოფა-ცხოვრების და მსოფლმხედველობის სრული შესწავლის შემთხვევაში. სწორედ ამაზეა, უპირველეს ყოვლისა, ზრუნვა საჭირო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# 16. დაღესტნის მთიელები

დაღესტნის საკითხი მნიშვნელოვნად რთულია, იმდენად რთული, რომ დაწვრილებით მასზე საუბარი მხოლოდ ღრმად ჩახედულ სპეციალისტებს მართებთ. დიალექტთა მრავალგვარობა, ცალკეულ ტომობრივ თემთა განკერძოებულობა, მიურიდიზმის ღრმა მისტიკური სამალავები, მთიელთა პატრიარქალური რესპუბლიკების მრავალსაუკუნოვანი წარსული, მოკლებული ისეთ ელემენტარულ სახელმწიფოებრიობასაც კი, როგორიც ამიერკავკასიის სახანოებში იყო – ყოველივე ეს გახლდათ დასაბამი, რომელმაც გაუჩინა მრავალი სირთულე რუსული ხელისუფლებას წარსულში და დაემუქრებოდა ალბათ მომავალშიც.

დაღესტნის მოსახლეობის შედარებით ახალი და ხანგრძლივი, დროდადრო კი საკმაოდ წარმატებული ბრძოლა რუსეთთან დავიწყებული არაა. იგი პატივისცემას იმსახურებს, რადგან მასში ელინდება მათი ძალა – სამხედრო და კულტურული. ლეკების ტომებს, რომლებითაც დასახლებულია დაღესტანი, სოფლის მეურნეობის, ვაჭრობის, ასევე გამოყენებითი ხელოვნების მიმართ სერიოზული უნარი აქვს (განსაკუთრებით ყაზი-კუმუხებს); მათი კუსტარული ნაკეთობები ოდითგანვე ცნობილი იყო მთელ წინა აზიაში. მიწაზე ისინი იმდენად გულდასმით შრომობენ, რომ რუს გლეხს ეს არც დაესიზმრება; ისინი, მაგალითად, შიშველ კლდეებზე ამაგრებენ ხელოვნურ ქვის მოედნებს, ზედ აყრიან მიწას და იქ აშენებენ ბოსტნებს ან ნახნავს ამუშავებენ თოხით.

საომარ საქმეს ისინი ისტორიულად შეეჩვიენენ, ნაწილობრივ ბუნებრივი მიდრეკილების წყალობით, ნაწილობრივ ადგილობრივი გარემო პირობების გავლენით. დაღესტანი ითვლებოდა მიუღწეველ არწივის ბუდედ, საიდანაც მოსახერხებელი იყო დაუსჯელი თავდასხმების განხორციელება. მეზობელ „სახელმწიფოებში" მდგრადი წესრიგის უქონლობა ერცელ ასპარეზს უხსნიდა ამ თავდასხმებს, ხოლო მშვიდობიანი სავაჭრო-სამრეწველო ურთიერთობების განვითარებას, რა თქმა უნდა, ხელს არ უწყობდა, ამიტომაც დაღესტნური ტომების მრავალი ნიჭი გამოუყენებელი რჩებოდა. მათ ახლაც ნაკლებად იყენებენ.

თუკი ადამიანს გულით ესიმპათიურება მუსლიმანი-აზერბაიჯანელები, დაღესტნის მცხოვრებნი კიდევ უფრო მეტ თანაგრძნობას იწვევენ. მათში ჭეშმარიტი კეთილშობილება ბევრია: სიმამაცე, სიტყვის ერთგულება, იშვიათი პირდაპირობა. ბევრი ტომი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგალითად, მიიჩნევს, რომ მკვლელობა საფრიდან სამარცხვინოა; მათ აქვთ ერთი ანდაზა, რომელიც ღაღადებს, რომ „მტერს თვალებში უნდა უყურებდე“. ყველაზე გედაპირული შეხედულება დაღესტნელებზე დაგარწმუნებთ, რომ ისინი ღირსების მქონე ადამიანები არიან. რა თქმა უნდა, ყველა ასეთი არაა: არსებობს „ქურდული ხეობები“, ანუ ტომები, რომლებიც ცუდი რეპუტაციით სარგებლობენ თვით დაღესტანშიც კი. ერთხელ განსვენებულ თავად ნ.ზ. ჭავჭავაძესთან, დაღესტნის ყოფილ სამხედრო გუბერნატორთან, სტუმრად იყო ცხოვრებაზე პეტერბურგული შეხედულებების მქონე ნაცნობი; თავადთან იმ ხანებში მივიდნენ სხვადასხვა საქმეზე რამდენიმე „ხეობის“ ან საგვარეულო კავშირთა წარმომადგენლები; ერთ-ერთ მათგანს, მოკრძალებულ დაკონკილს, თავადმა ხელი გაუწოდა, მიუხედავად მათ შორის მდგომარეობათა უზარმაზარი სხვაობისა, ხოლო მეორეს, ქედმაღალ ჯიგიტს, კოხტა ჩოხაში მაგარი სილაგააწნა; ორივე მიღებამ, პეტერბურგელის გასაოცრად, კეთილისმყოფელი გავლენა მოახდინა, იმიტომ, რომ ეს მოხდა ადგილობრივ ადამიანთა და ურთიერთობათა დახვეწილი ცოდნის მეოხებით...

კურსივის შრიფტით აღნიშნულ სიტყვებში დაღესტნის გონივრული მართვის მთელი საიდუმლოა. კავკასიაში საერთოდ, ხოლო დაღესტანში განსაკუთრებით, ადმინისტრატორი უნდა იყოს განყენებულ ადამიანზე არა გამათანაბრებელი თეორიის იდეოლოგი, არამედ ნატურალისტი ამ სიტყვის ფართო გაგებით, ადგილობრივი ცხოვრების მოვლენათა ღრმა მცოდნე, რომელიც მათ რეალურად უყურებს. და მორალის საზომი უნდა მათ შესაბამისობაში მოდიოდეს. ასე, მაგალითად, მკვლელობა ადათის მიხედვით, სისხლის აღების წესით, უნდა მოხდეს სხვაგვარად, ვიდრე უბრალო დანაშაული. ხალხის შეხედულებები იცვლება ნელ-ნელა და სასურველი ცვლილება მხოლოდ ძალუძს ისეთ მმართველს, რომელმაც საკმარისი ავტორიტეტი მოიხვეჭა ადგილობრივ მკვიდრთა თვალში და ესადაგება მათ შეხედულებებს.

ყოველივე ეს თითქოსდა ელემენტარულია, თავისთავად ცხადი: ამასობაში კი გვიხდება ამის გამეორება, იმიტომ, რომ ჩვენი ბიუროკრატია, განსაკუთრებით განაპირა, განიცდის დაფიქრებული მისადაგების ნაკლოვანებას, ტრადიციათა უკმარისობას და ისტორიულ გამოცდილებასაც არ აქცევს სათანადო ყურადღებას. ისტორია მოგვითხრობს, მაგალითად, რომ დაღესტნელებს ოდითგან სძულდათ სომხები და ქართველებიც კი, რომლებიც ქართული სამეფოს დროს იყვნენ ლეკების მოხარკენი და თაედასხმების

ეროვნული

ობიექტი. ისტორიული ანგარიში კავკასიელებს და საერთოდ-მთის ხალხს დიდხანს ახსოვთ. ცხადია, სომხებისა და ქართველებისთვის სამსახურებრივი თანამდებობების მიცემა დაღესტანში სწყინდა ადგილობრივ მოსახელობას, რომ აღარაფერი ვთქვათ იმაზე, რომ ყოველ მხარეში რუსული სახელმწიფოებრივი საქმე უნდა ხორციელდებოდეს რუსი ადამიანების მიერ, ადგილობრივ მკვიდრთა დახმარებით, ამ სიტყვის ვიწრო გაგებით, საუკეთესი ადგილობრივი ძალებით: ქართველების მიერ საქართველოში, აზერბაიჯანელების მიერ ყარაბაღში და დაღესტნელების – დაღესტანში.

ისეთმა განსაკუთრებით ჭკვიანმა და ნიჭიერმა ადამიანმა, როგორიც იყო თავადი ნ.ზ. ჭავჭავაძე, ვთქვათ, იქ, ადგილზე, მოახერხა მოეპოვებინა მრავალი დაღესტნელის სიმპათია, მაგრამ იმავეს ვერ ვიტყვით მის ხელქვეითთა უმეტესობაზე, რომლებიც ხალხის მიმართ თავიანთი მოპყრობით უფრო აფერხებდნენ მის დაახლოებას რუსულ სახელმწიფოებრივ სათავეებთან. ამის საპირისპიროდ აუცილებელია მივუთითოთ კ.ე. კომაროვის გონიერული ადმინისტრაციული მუშაობის კეთილისმყოფელ შედეგებზე, რომელიც აშკარად იგრძნობოდა 70-იანი წლების ბოლო დაღესტნური აჯანყების დროს; აქ იყო ყველაფერი: მიუკერძოებელი გათვითცნობიერებაც, იმ არემარეში რუსული პრესტიჟის მაღალი დონეც, რომელსაც მართავდა რუსი ადამიანი და უწესრიგობათა სწრაფი ჩახშობა მარჯვე ხელით უბადრუკი საშუალებების დახმარების პირობებში.

საჭიროა რასობრივი ფსიქოლოგიის ცოდნა. აღმოსავლეთში ემორჩილებიან მხოლოდ ძალას, მაგრამ არსებობს შუქჩრდილი, რომლის იგნორირებას შეცდომებამდე მივყავართ, რაც სახელმწიფოსთვის არახელსაყრელია და უსამართლოდ მძიმე მოსახლეობისთვის. აშკარაა, მაგალითად, რომ სომხებს, რომელთა წინაპრები საუკუნეთა განმავლობაში იყვნენ უცხოელი დესპოტების ქედმოხრილი მონები, სჭირდებათ მკაცრი, სასტიკი დისციპლინა, ყოველგვარი შეღავათის და კომპრომისის გარეშე; როგორც კი ამ უკანასკნელთ ყურადღებას არ აქცევენ, სომეხი მბრძანებლობს და ყოყოჩდება, როგორც მონა, რომელმაც მოატყუა ან სძლია თავის ბატონს: თავისუფალი ადამიანის ელემენტები მასში ჯერ კიდევ ისტორიულად არ მომწიფდა, მისი ფსიქო-ფიზიკური ორგანიზმი ჯერ კიდევ მზად არაა ზნეობრივი თანაცხოვრების უმაღლესი საწყისების აღსაქმელად. იგი უნდა აღზარდო პატიოსანი სიმკაცრით, აუცილებლად სიმკაცრით, რადგან ეს მისთვის უფრო გასაგებია. სულ სხვა საქმეა დაღესტნელი. მას, რა თქმა უნდა, ხელს არ უშლის

გრძნობდეს რუსულ მრისხანე ძალას, რომელმაც გამოგლიჯა მას ხელიდან იარაღი და გატეხა მისი ველური თავისუფლება. მაგრამ ამ თავისუფლებამ აღმოაცენა ძლიერი და თავისებურად ზნეობრივი პიროვნება, რომელსაც შეუძლია მოითხოვოს თავისი ღირსებების აღიარება და მშვიდობიანი ზემოქმედების არჩევა უმეტესწილად არასაჭირო მკაცრი ზომების მაგიერ.

ზრუნვა კუსტარული რეწვის განათლებაზე, განვითარებასა და მხატვრულადმაღლობაზე–ყოველივეესგასაგებიადაღესტნელისთვის და მის მიერ ღირსეულადაა შეფასებული ზოგიერთი სხვა მთიელების საპირისპიროდ, იგი არა მარტო მტაცებელი ფრინველია, როგორც ხატავენ ზერელე დამკვირვებლები, არამედ ადამიანიც, რომელიც ძალიან ნიჭიერია კულტურაში. გასათვალისწინებელია ეკონომიკური მდგომარეობაც. მოსახლეობა იზრდება, პური კი უწინაც არ ჰყოფნიდა დაღესტანს; იმისათვის, რომ ხალხს ჰქონდეს საკმარისი მყიდველობითი უნარი, საჭიროა მეცხოველეობის დახმარება, ანუ პრაქტიკულად უზრუნველვყოთ მისთვის ზამთრის საძოვრები ამიერკავკასიის სტეპებში. შიმშილი, როცა მძაფრ ფორმებს იღებს, არავის მოუტანს კარგს: მშვიდობიანი მცხოვრები ნისკარტის და ბრჭყალების გარეშე გახდება ბოგანო და ქურდბაცაცა, ხოლო მეომრული სულის მთიელი ყაჩაღი ან მეამბოხე. „შიმშილის ამბოხი" შეიძლება ნიადაგი გახდეს მიურიდიზმის ავადმყოფური განვითარებისა და მებრძოლი განცალკევებულობის – რელიგიურის თუ ტომობრივის – სხვა ფორმებისთვის.

დაღესტანი მათ მიერ არასაკმარისად გააზრებული და კეთილსინდისიერი მართვის პირობებში კიდევ დიდხანს იქნება პოლიტიკური თვალსაზრისით ერთ-ერთი სახიფათო ადგილი ჩვენს სამხრეთ განაპირას; მეორე მხრივ, საკუთარი ხორბლეულის ბელლის უქონლობის გამო იგი ყოველთვის იქნება ეკონომიკურად და შესაბამისად პოლიტიკურადაც რუსული ხელისუფლების ხელში; მისი აღება შიმშილით ყოველთვის შესაძლებელი იქნება, რადგან გზები ხორბლის მისაზიდად ძალიან ცოტაა, სულ ორი-სამი. მაგრამ ეს უკიდურესობაა, რომლამდეც უმჯობესია არ მივიდეთ. დაღესტნელებს ბევრი მონაცემი აქვთ რუსულ საქმესთან ნორმალური შერწყმისთვის, რუსული ისტორია კი მდიდარია იმის დასტურით, რომ ჩვენი უზარმაზარი ტერიტორიული ზრდით არა მარტო რუსული იარაღის მოვალე ვართ, არამედ შორსმჭვრეტი სიყვარულის ძალისაც.

განსხვავება დაღესტნელებსა და სხვა მთიელ-მუსლიმანებს შორის ისაა, რომ ამ უკანასკნელთა უმრავლესობა კულტურულად დაბლა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დგას და უფრო მრავალფეროვანნი არიან ტომობრივი წარმოშობით, წეს-ჩვეულებებით, სულიერი და სოციალური წყობით. ჩვენი კაზაკები და თვით კავკასიელებიც ამ ტომებს უკავშირებენ სხვადასხვა გაგებასა და მეტსახელს, რომლებიც პრაქტიკით გამომუშავდა: ყაბარდოელი რაინდია, ინგუში — ქურდი, ჩეჩენი — არამყარი პოლიტიკურად და ზნეობრივად, ისევე როგორც ოსი. ამ წიგნის ზომა საშუალებას არ გვაძლევს დაწვრილებით დავუკვირდეთ ამ მთიულთა კალეიდოსკოპის ცალკეულ ნაწილებს, რომელთაც დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა არა აქვს რუსული საქმის თვალსაზრისით: ეს მხატვრის ან სწავლული ეთნოგრაფის შრომაა. საკმარისია შემოვიფარგლოთ რამდენიმე განზოგადებით.

ჯერ ერთი, ყველა ეს მთიელი (აგრეთვე მთიელი ქრისტიანებიც — სვანები, ფშაველები, თუშები, ხევსურები) ემორჩილება ბუნებას, მასზე ძლიერ არიან დამოკიდებული. ისინი შინაგანად წარმართები არიან, ფორმალურად რა აღმსარებლობასაც უნდა მისდევდნენ. გვაროვნული საწყისი და წეს-ჩვეულებები მათი ცხოვრების ნორმაა. ეგრეთ წოდებულ ცივილიზაციასთან საერთო არაფერი აქვთ, ვინაიდან ის თავისი არსით ეწინააღმდეგება მათ ბუნებას — შინაგანს და გარეგანს. მათთვის უცხო კულტურასთან შეჯახებისას ისინი ან იბუზებიან (მთებში მაღლა აფარებენ თავს), ან სრულიად უსახურდებიან, ანდა, რაც უფრო სავარაუდოა, იღუპებიან. არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ მთიელი, რომელიც ჩამოვიდა ქალაქში და იგემა გახრწნილი „ცივილიზაცია", ისწავლა რუსული, ჩვეულებრივ არასაიმედო ადამიანი, ყოვლად უვარგისი ხდება, თუკი სრულიად არ გარუსდა, როგორც ბევრი ოსი; თავისებური ფსიქოლოგიის მაღალი სულიერი თვისებები ყველაზე ადვილია შევხვდეს მთიელში, რომელსაც ცივილიზაცია არ შეხებია: იგი უფრო საიმედოა და ზნეობრივი.

დროს და მხოლოდ დროს შეუძლია, მშვიდად გადაჭრას საკითხი ამ ტომებზე, რომელთაც ღმერთმა დაე დიდხანს მიანიჭოს ბუნების დაუბრკოლებელი მორჩილება თავიანთ არწივის ბუდეებში, რათა თავისებურად დატკბნენ მისი წყალობით რუსეთის მეფის სულგრძელი საფარველის ქვეშ...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## 17. რუსი ადამიანები კავკასიაში

რუსული სახალხო-სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საკითხი თუ, როგორ ეცხოვრება რუს ადამიანებს განსახილველ განაპირა მხარეს და როგორ ასრულებენ ისინი რუსულ საქმეს. ამ ნარკვევის ზემო თავების საფუძველზე ჯამში გვიწევს არასასიამოვნო პასუხის გაცემა ამ კითხვაზე.

შეიძლება თუ არა კავკასიის განაპირა მხარეს რუსი ადამიანების შედარებით ცუდი მუშაობა მთლიანად დავაბრალოთ მხოლოდ ამათ? არავითარ შემთხვევაში. ამ საკითხზე სწორი მსჯელობისთვის აუცილებელია მხედველობაში მივიღოთ ადგილობრივი ბუნებრივი პირობები და კავკასიელი მკვიდრი მოსახლეობის თვისებები, ის ხომ 50-ჯერ მრავალრიცხოვანია, ვიდრე რუსები, ასევე ისტორიული პირობები, კავკასიის მიმართ ჩვენი პოლიტიკის ჩათვლით.

ყველა ეს პირობა, საბოლოო ჯამში, არაკეთილსასურველია: ისინი იმგვარია, რომ აუცილებელია ცალკეულ პირთა გმირობა ან რუსული ნაციონალური დაწესებულებების დიდი სრულყოფილება, რათა სამუშაო მიმდინარეობდეს დამაკმაყოფილებლად. გმირობით შეიძლება იამაყო, მაგრამ მისი მოთხოვნა ყველასგან, იქნებოდა უცნაური. დაწესებულებები კი აუცილებელია შეიქმნას ისეთი, რომლებიც ცხოვრების თავისებური ადგილობრივი პირობების შესაბამისი იქნებოდა – და თუ ეს ვერ ხერხდება, მაშინ შეძლებისდაგვარად არ უნდა შევზღუდოთ ამ მხარეში ხალხური შემოქმედება. დასასრულ, აუცილებელია, მხარეში დამკვიდრდეს გარკვეული შეხედულება რუსული საქმის ამოცანებზე, ვინაიდან უსისტემო ნახევარზომებზე მავნე არაფერია.

მთავრობისეული შეხედულება ნაკარნახებია ისტორიით და თავად ჩვენი სახელმწიფოს არსით. სხვა ევროპულ სახელმწიფოებს, კერძოდ კი, ინგლისს აზიაში აქვს კოლონიები, რომლებიც მოწყვეტილია მეტროპოლიისგან ზღვებითა და უცხო მიწებით. ასეთ ადგილებში თავიდან პიონერებად გვევლინებოდნენ მისიონერები, ვაჭრები, სავაჭრო კომპანიები მათი კონდოტიერებით, ბოლოს კი მთავრობის მოხელეები რეგულარული ჯარების რაზმებით. კოლონიურ პოლიტიკაში ძირითადად ჭარბობს სწრაფვა, მიიღონ რაც შეიძლება მეტი შემოსავალი, ამიტომაც ადგილობრივი თავისებურებები არ ექვემდებარება მკვეთრ ცვლილებებს და ზოგიერთ ადგილობრივ მბრძანებელს ადგილზეც კი ტოვებენ, იმ პირობით, თუ დაემორჩილება

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამპყრობელს.

ჩვენთან ასე არაა. ჩვენი დაპყრობილი ტერიტორიები უფრო იმპერიის ბუნებრივი საზღვრების გაფართოებაა, რის შედეგადაც შემოერთებული ოლქების კულტურული დაახლოება ხელმძღვანელ ცენტრთან უდავოდ აუცილებელია: ადგილობრივი ორგანიზაციები მნიშვნელოვნად დიდ განზავებას ექვემდებარება, ცენტრალური ხელისუფლება უნდა იყოს ხელისუფლების ერთადერთი წყარო და მის მიმართ ვასალური დამოკიდებულება რომელიმე მკვიდრი მოსახლეობის წინამძღოლისგან ასატანია მხოლოდ დროებით, როგორც გამქრალი წარსულის გადმონაშთი.

ცხადია, რუსული ამოცანა მნიშვნელოვნად რთულია და მის შესასრულებლად საჭიროა არა მარტო მთავრობის, ანუ ჯარის და კანცელარიის მუშაობა, არამედ ხალხისაც, ე.ი. წარმოქმნილი საზოგადოების – ვაჭრების და გადმოსახლებული გლეხების. შესაბამისად, აშკარაა, რამდენად ბევრი რამაა დამოკიდებული შორსმჭვრეტელური პროგრამის დროულ შემუშავებაზე, რომელიც ამ საკითხზე ურყევ თვალსაზრისს დაადგენდა. აუცილებელია აღვნიშნოთ, რომ ჩვენი ხალხი მთელი საუკუნის განმავლობაში ექცეოდა მას ალღოთი უფრო სწორად, ვიდრე საზოგადოება, მმართველი სფეროები და ბეჭდვა: ეგრეთ წოდებულ რუს ინტელიგენტ ადამიანებს შორის დღემდე ჭარბობს ხან ინგლისური, ხან ჩვენი იმპერიის განაპირა მხარეში კიდევ უფრო ნაკლებად გამოსაყენებელი ავსტრიული შეხედულება, რომლის ჭარბი თვითმყოფადობა შენარჩუნებულია ხან კონსტიტუციურ-სამართლებრივი ოცნებების სახელით, ხან მოჩვენებითი ერთგულებით თვითმპყრობელობის მიმართ, ამ უკანასკნელის ბუნებას კი ეწინააღმდეგება განაპირა მხარეების ან ცალკეული ოლქების ორგანული განკერძოებულობა. ასეთი სწრაფვა უმეტესწილად ჩანერგილი აქეთ თავად უცხოტომელების მიერ, რომელთა საბოლოო მიზანია რუსეთისგან გამოყოფა. სულით რუსი ადამიანი ამას არ ისურვებს, განსაკუთრებით, როცა საუბარია მიწის მონაპოვარზე, რომელიც ნაყიდია მრავალი თაობის განთქმული წინაპრის სისხლით.

თუკი ხეს გადავრგავთ აქამდე მისთვის უცხო ნიადაგში, შევუქმნით უცხო ბუნებრივ პირობებს, მაშინ იგი ან აუცილებლად დაიღუპება, ან, თუკი შეეგუება ახალ გარემოს, მაშინ თანდათანობით გადაგვარდება, მნიშვნელოვნად შეიცვლება გარეგნობის და ნაყოფის თვალსაზრისით. ეჭვგარეშეა, ასეთივე ცვლილებას ექვემდებარება ადამიანიც, როგორც ფსიქო-ფიზიკური არსება. ეს მით უფრო გარდაუვალია,

ეროვნული ბიბლიოთეკა

როცა მას ახალ ბუნებრივ პირობებში უხდება ახლო ურთიერთობა და დანათესავებაც კი სრულიად სხვა ფიზიკური და სულიერი წყობის ადამიანებთან. მოგზაურები, რომლებიც იცნობენ ინდოეთს და აკვირდებიან იქ ინგლისელების ცხოვრებას, ერთხმად ამტკიცებენ, რომ თვით რკინისებური ანგლოსაქსური რასის წარმომადგენლებიც კი, მიუხედავად მათი ქედმაღალი დამოკიდებულებისა ადგილობრივ მკვიდრთა მიმართ და მათგან შედარებითი გამოცალკევებისა, რამდენიმე წლის განმავლობაში ძალიან მკვეთრად შეიცვალნენ საკვების, კლიმატის, მალარიის და ა.შ. ზეგავლენით. მიმდინარეობს ცვლილება უარესისკენ, ვინაიდან გომობრივი ხასიათის დადებითი ცვლილებები ნაწილობრივ ქრება და მახინჯდება, ნაწილობრივ გამოიდევნება ადგილობრივ მკვიდრთა წმინდა ადგილობრივი ყაიდის თვისებებით. ამასთან, არ უნდა დავივიწყოთ, რომ ინგლისელები ინდოეთში — ვაჭრები და თანამდებობის პირები — ბრწყინვალედ არიან მოწყობილი რუს ადამიანებთან შედარებით კავკასიაში. და მიუხედავად ამისა, ისინი იცვლებიან უარესობისკენ, რის გამოც ინგლისის მთავრობა თავის მსახურეულ ადამიანებს საკმაოდ დიდხანს ამ აზიურ კოლონიაში ცხოვრების საშუალებას არ აძლევს და თვით ყველაზე ჭკვიანი, ყველაზე გამოსადეგი მოღვაწეები ჩვეულებრივ ხუთი-შვიდი წლის შემდეგ ბრუნდებიან სამშობლოში.

ჩვენ, ერთი მხრივ, შორს ვართ ასეთი კულტურულ-სახელმწიფოებრივი შეხედულებისგან, ხოლო, მეორე მხრივ — იძულებული ვართ ვიმოქმედოთ სხვაგვარად, ვინაიდან კავკასია კოლონია კი არაა, არამედ სახელმწიფოს განაპირა მხარე: იმისათვის, რომ კავშირი არ გაწყდეს, იქ აუცილებელია მტკიცე რუსული ბინადრობა — და მხოლოდ დროდადრო მსახურეული კლასისთვის სასარგებლო „გადახალისება“.

# 18. კაზაკობა

კავკასიაში მოწინავე რუსული ტალღა კაზაკობა იყო – პირველად თერგელები, შემდეგ ყუბანელები. მან რკინის ღობე აღმართა მთიელთა თავდასხმების აღსაკვეთად რუსეთის მაშინდელ სამხრეთ განაპირაზე, მაგრამ მნიშვნელოვანწილად გადაიღო თავის მოწინააღმდეგეთა გარეგნობაც და სულიერი წყობის თვისებებიც, თან დამატებით დაუნათესავდა კიდეც. ბოლო გარემოება, განსაკუთრებით საუკუნის მიწურულს ცხოვრების ახალ პირობებსა და ფორმებზე მკვეთრი გადასვლის შემდეგ, არასასურველად აისახა კაზაკობაზე.

იგი უეჭველად შესანიშნავი მხედრობა გახლდათ – ტყუილად კი არ შედგებოდა იმპერატორის მცველთა რაზმი კაზაკებისგან. მაგრამ კულტურულ-ეკონომიკურ დარგში კავკასიელი კაზაკები უდავოდ ჩამორჩნენ. მათში სოფლის მეურნეობა სერიოზული აგრონომიული თვალსაზრისით იმსახურებს სახელწოდებას მტაცებლური. დაუშვათ, სტეპი ჯერ კიდევ დიდია და შავმიწა ნიადაგი არ გამოფიტულა, მაგრამ განა უკეთესი არ იქნებოდა მაინც ეფიქრათ მომავალზე? ასი ათასობით შიდა რუსეთიდან წამოსული, ეგრეთ წოდებული „უცხოქალაქელები" ავსებენ თერგისა და ყუბანის ოლქებს, გამოდიან მოიჯარეების, ვაჭრების და დიდი რაოდენობით სოფელში მომუშავეთა სახით; ურთიერთობა კაზაკებსა და უცხოქალაქელებს შორის არც ისე კარგია: ყოველ შემთხვევაში, ორივე მხარე მუდმივად უკმაყოფილოა.

აშკარაა, რომ კაზაკობას აკლია სწორი თვითგამორკვევა სოციალურ-ეკონომიკურ სფეროში, ამასთანავე მას ინსტინქტურად აშინებს რუსული სახალხო ტალღის მოწოლა, რომელიც მისი ცხოვრების წესს შეცვლიდა.

კაზაკებს მუდმივად ძლევს მზარდი ოფიციალური მიმოწერაც როგორც საკუთრივ საჯარისო, ასევე სხვა დაწესებულებებში, რომელიც მნიშვნელოვნად ურთულებს მათ ცხოვრებას. კაზაკთა დიდი უმრავლესობა განათლებულიცაა, თუმცა ამის მიდრეკილება არ აქვთ, ამიტომ სხვადასხვა საჯარისო დაწესებულებაში „წიგნიერ" კაზაკებს არანორმალურად დიდი ძალა აქვთ ხელში ჩაგდებული. კაზაკობა ჩოხოსანი ბიუროკრატიის განსაკუთრებული ტიპია, ჯამში, არც ისე სიმპათიური. როცა რამე საქმე ცნობილია მხოლოდ საკმაოდ შეზღუდული რაოდენობის ადამიანებისთვის და ნაკლებად მისაწვდომია საზოგადოებრივი კრიტიკისთვის, მაშინ მასში



ეროვნული ბიბლიოთეკა

ვითარდება განსაკუთრებული სახის „ქურუმობა“ ყველა უარყოფითი მხარით, სამართლიანობის და მოსახლეობის ინტერესების საზიანოდ. ასეთი თვისებები შეინიშნება ზოგიერთ ადმინისტრაციულ ინსტანციასთან მუშაობაში.

ჩრდილოკავკასიის კაზაკობა საერთოდ აღმოჩნდა ისეთ პირობებში, რომლებიც არ უპასუხებდა მის თავდაპირველ დანიშნულებას და ამას ვერ ეთვისებოდა. ერთი მხრივ, რუსულმა საზღვარმა საკმაოდ წინ წაიწია კაზაკთა სტანიცების ოდესღაც ყოფილი საზღვრებიდან; საზღვრის იქით მცხოვრები უცხო მტერი, რომელთანაც შეიძლებოდა საკუთარი თაოსნობით მისვლა ნადავლისა და დიდებისთვის, ახლა ხელთ აღარ იყო. მეორე მხრივ, კაზაკობის ადგილობრივი სამხედრო ამოცანა არ შეიძლება ჩაითვალოს დრომოჭმულად და ეს საკითხი არ ამოწურულა, ვინაიდან მთის მოსახლეობა მხოლოდ დროებითაა განაბული და შედარებითი სიმშვიდე მხოლოდ სამხედრო ძალის ყოფნის გამო გამეფებულა; ადგილობრივი პირობებისთვის ჯარის ერთ-ერთი ყველაზე გამოსადეგი ნაწილია კაზაკობა, რომელმაც კარგად აითვისა ადგილობრივ მცხოვრებთა წეს-ჩვეულებები და ბრძოლის ფორმები. ამასთანავე არ შეიძლება არ დავინახოთ, რომ „ნახევარცივილიზაციის“ მავნე გავლენით ჩრდილო კავკასიის ადგილობრივი მოსახლეობა (და საერთოდ მთელი მხარის) კარგავს თავის ბევრ მაღალ მკვიდრ თვისებას, ისეთებს, როგორებიცაა: დიდი პატიოსნება ყონაღურ ურთიერთობაში, ახალ კეთილმოსურნეთ ვერ იძენს და უბრალოდ რომ ვთქვათ,

ბნეობრივად იხრწნება. ის, რაც ადრე იყო ბრძოლა ველური თავისუფლებისთვის, ახლა წარმოჩნდება განცალკევებული, მაგრამ სულ უფრო გახშირებული დანაშაულის სახით, როგორც ცუდი ინტინქტების აღვირახსნილი ნაყოფი

ეს ღრმავდება ეკონომიკური პირობების გაუარესებით და შეიძლება ითქვას, რომ მხარის მშვიდობისთვის მწიფდება არანაკლები საფრთხე, ვიდრეის, რომელიც ოდესღაც იყო „ხაზზე“. საქმერთულდება კიდევ იმით, რომ ბოსიაკურ გახრწნას ექვემდებარება რუსი ხალხის მასაც, მეორე მხრივ კი, კაზაკობა გახლართულია ცირკულარების და რთული კანონების ქსელში. კერძოდ, სასამართლო-სამართლებრივი ფორმალიზმი, მისი ობიექტურ-ჰუმანური თვალსაზრისით, ზღუდავს კაზაკების სამხედრო მოქმედებებს ეგრეთ წოდებულ მშვიდობიან დროს.

აი, მაგალითად, თუკი სტანიცელების რაზმი მიმართავს ოდესღაც

გამოცდილ ხერხს მშვიდობის და წესრიგის აღსადგენად, ანუ თავს დაესხმება ინგუშურ ან ჩეჩნურ ქურდულ ბუდეს, მაშინ აქედან მივიღებთ დიდ სისხლის სამართლის საქმეს, ხოლო ადგილობრივი სომხურ-ებრაულ-ნიჰილისტური ბეჭდვა, „სევერნი კავკაზის“, „ყაზბეგის“ და ა.შ. მსგავსი, მთელ ამბავს ატეხს. ინგუშები და ჩეჩნები ჯერ კიდევ არ გამოსულან იმ პერიოდიდან, როცა, თავის დროზე დრომოჭმული კაზაკური თავდასხმები თუ არა, სწრაფი და მარჯვე ადმინისტრაციული ზომები, რომლებიც უპასუხებდა მათ შეხედულებას რეალურ შურისძიებაზე, იქნებოდა მათთვის სასარგებლო; ამის ნაცვლად კი მხარეში შემოღებულია დაწესებულებები, რომლებიც მართებულია ინგლისში ან საფრანგეთში. მოხდება მკვლელობა, არაერთი მკვლელობა, ძარცვა, საქონლის გატაცება და ა.შ. – თქვენ კი კეთილი უნდა ინებოთ და მიმართოთ სასამართლოს, საქმე დაიჭიროთ ცრუმოწმეებთან, რომლებიც ამართლებენ დამნაშავეებს და საბოლოოდ უმეტეს შემთხვევაში ვერ მიაღწევთ ვერაფერს, გარდა ახალი უსიამოვნებებისა.

თავისუფალი რუსი არწივი, რომელიც ოდესღაც იცავდა ჩვენს საზღვრებს მტრის მოწოლისგან, ახლა სახლშია და სამეზობლო აურზაურში მოკლებულია ფრთებს და შებოჭილია. ასეთია, რა თქმა უნდა, დროის მოთხოვნა, თუმცა იმაში დაეჭვება არ შეიძლება, რომ იგი ეწინააღმდეგება კაზაკობის ბუნებას.

თავიანთ ამოცანასთან უფრო ახლოს დგანან კაზაკები, რომლებიც მსახურობენ თურქეთის და სპარსეთის საზღვრებზე, ისეთ ადგილებზე, სადაც, ასე ვთქვათ, ყორანს ძვალი ვერ წაუღია, არაქსის ლელქაშებში, ართვინის უღრან მთებში – და ყველგან მრისხანე რუსულ ძალას წარმოადგენს. საზღვრის გასწვრივ თუ იქნებოდა, რაც შეიძლება მეტი კაზაკთა სტანიცა და არა დროებითი საგუშაგო, მაშინ ამიერკავკასიის სურათი სრულიად სხვაგვარი აღმოჩნდებოდა; კერძოდ, ათი ათასობით თურქი სომეხი, რომლებიც დღეისათვის მხარეში ნამდვილი უბედურებაა, ასე დაუბრკოლებლად არ გადმოვიდოდნენ ჩვენს საზღვრებზე.

ასეა თუ ისე, როგორიც უნდა იყოს კაზაკობის უარყოფითი მხარეები და მისი ახლანდელი ყოფა, იგი დადებითი რუსული ძალაა მხარეში და მისი წირვა სულაც არაა გამოსული, ახლო მომავალში კიდევ შესაძლებელი გართულებების გამო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 19. სახელგანთქმული კავკასიური არმია

Тебъ, семья богатырей,
Хвалу шлетъ нынъ вся Россiя *
И степь, и горы снъговыя
И ширь мятежная морей!

Тебъ, за подвигъ величавый
Не ждавшей суетныхъ наградъ,
Зеьмныхъ не въдая преградъ
И правду чтя превыше славы!

Тебъ, что въ пламени, въ крови,
Въ томленьи мукъ неизъяснимыхъ
Святыню доблестей родимыхъ
Блюла во гнъвъ и любви!..

Ты просвъщенiя денницу
Вела за бурей лютыхъ съчъ!
Все дальше гналь твой грозный мечь
Нашествiй дикую границу!

И чтитъ земля твои труды --
И, кубокъ мира поднимая,
Тебъ, отъ края и до края,
Все говоритъ: «Аллаверды!»

თუკი კაზაკობა საუკუნეების განმავლობაში და დღემდე არასასურველ გარემოებებში ასრულებდა და ასრულებს რუსეთის სახალხო-საბრძოლო ამოცანას, შესანიშნავი კავკასიური არმია ემსახურებოდა რუსულ საქმეს დიდებითა და პატივით სამხედრო-კულტურულ დარგში. მისი მნიშვნელობა უზარმაზარია მშვიდობიან დროსაც, ვინაიდან, ერთი მხრივ, მისი გმირობების სახელი და მისი ძალის წინაშე შიში საოცრად ცოცხალია მხარეში, მეორე მხრივ კი, ჩვენი კავკასიელი მეომრები უდავოდ ძალზე საიმედო, სულიერად მაღალი და ყოველმხრივ საუკეთესო ჭეშმარიტი რუსი ადამიანები არიან. ხანგრძლივი საბრძოლო დროის განმავლობაში არაერთ

* ეს ლექსი დაწერილია რუსული არმიის საქართველოში დამკვიდრებიდან 100 წლის თავთან დაკავშირებით.

განთქმულ პოლკში ჩამოყალიბდა ისეთი მტკიცე ტრადიცია, რომელშიც შერყევა არ ძალუძს არც შემთხვევით მხედართმთავარს, რომლებიც იქ ხვდებიან ზოგჯერ პროტექციით და არც ცალკეულ ადამიანებს, გულგრილად რომ ეკიდებიან რუსულ საქმეს, არც ადგილობრივი ცხოვრების ანტირუსულ საძაგელ წყობას.

კავკასიური არმია ყოველთვის იყო, ახლაცაა და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მუდამაც დარჩება მოვალეობის და ღირსების შეუდარებელ სკოლად. საკმარისია შეხედო ნებისმიერ მათგანს თუნდაც პოლკის დღესასწაულის მომენტში, როცა გამოაქვთ ფრონტის წინ ძველი, ტყვიებისგან გახვრეტილი და გაშავებული პოლკის დროშა, რა წმიდათაწმიდა ცეცხლით იწვის ახალგაზრდა ჯარისკაცების თვალები, რომლებიც ახლახან ჩამოვიდნენ შიდა რუსეთიდან, მაგრამ უკვე მთელი სულითა და გულითა ემორჩილებიან პოლკის ტრადიციას.

იგი ძალზე ღრმად მოქმედებს ოფიცერთა სულიერ წყობაზეც და მთელ მათ ცხოვრების წესზეც. რაღა უნდა ვთქვათ პოლკის შესანიშნავ ამხანაგობაზე: იგი ვლინდება ყოველ ნაბიჯზე, მაგრამ, გარდა ამისა, ამ საპოლკო ოჯახებს აქვთ მტკიცე კეთილშობილური შეხედულებები ცხოვრებაზე, რომლებიც თავად გამოიმუშავეს. ასე, მაგალითად, თენგინის პოლკში საკმაოდ მტკიცეა ქალების მიმართ ტრადიციული პატივისცემა და ოფიცერს, რომელიც თავს ნებას მისცემდა პატიოსანი ზრახვების გარეშე ქალიშვილთან არშიყობას ან სხვისი ოჯახის დანგრევას, ზიზღით გააძევებდნენ საამხანაგო წრიდან.

რუსულ სახალხო საქმეს, ფართოდ და ამაღლებულად გაგებულს, სამხედრო გარემო საკმაოდ შეგნებულად უყურებს. ასე, მაგალითად, როცა, პრინციპში, სასიკეთოდ გადაწყდა რუსი გლეხების ამიერკავკასიის თავისუფალ მიწებზე დასახლების საკითხი, სინამდვილეში მხარე სრულიად მოუმზადებელი შეხვდა ამ ზომას და მრავალი ასეული უბრალო, მდაბიო რუსი მიწის ამაო ძებნაში პირდაპირ შიმშილობდა, ჩვენი პოლკები (თენგინის, ერევნის, ქართული და სხვ.) ძმურად უნაწილებდნენ მათ მწირ ფულსაც და ლუკმაპურსაც.

ჩვენი მეომრები მართმადიდებლობის აქტიური ქომაგებიც არიან. მაგალითად, მართლმადიდებლური ეკლესიის საკითხს ახალციხეში, სადაც მთავრობის მიერ გამოყოფილ ადგილზე სომეხმა დუმელმა-პოლიტიკანებმა თავხედურად აღმართეს როტონდა და დუქანი, თავგამოდებით და ენერგიულად დაუჭირეს მხარი სახელგანთქმულმა

თენგელებმა.

კავკასიის არმიაში ყველა, უკანასკნელ ჯარისკაცამდე, შეგნებულად ეკიდება არა მარტო სპეციალური სამხედრო ამოცანის შესრულებას, არამედ კულტურულსაც, ამ სიტყვის ფართო გაგებით. ასე, მაგალითად, პოლიტიკანი სომხების და სომხური იდეა კავკასიაში ყველა წესიერი ადამიანისთვის საძულველია, განსაკუთრებით კი ჩვენი ჯარისკაცებისთვის, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მიწისძვრის დროს ახალციხეში რუსი ჯარისკაცები თავდადებით მუშაობდნენ სომხების, ამ სტიქიური უბედურების მსხვერპლთა, ამოსათხრელად და გადასარჩენად. როცა რუსული საქმისთვის აშკარად მავნე სომხური ბრბოს ბანდა თურქეთიდან გადმოდის ამიერკავკასიაში და შემხვედრი ჯარისკაცები არ უშვებენ მათ, ემუქრებიან რა სროლით, მაშინ სომხები წინ აყენებენ ქალებსა და ბავშვებს, რადგან იციან ასეთ შემთხვევაში ქრისტეს მოყვარული რუსი მებრძოლი სასხლეტს თითს არ გამოჰკრავს.

ადგილობრივი ყოფა განსაკუთრებით დიდ ქალაქებში დისციპლინის და ზნეობის შესანარჩუნებლად ძალზე არასასურველია ჯარისკაცებისთვის. ნახევარცივილიზაციით და მისი ცუდი მხარეების შეთვისებით შეძრული აღმოსავლეთი სწრაფად იხრწნება და სოციალური სენის კერა ხდება. კავკასიელი ჯარისკაცი, როცა იგი ფრონტზე არაა, ავლენს თავაშვებულობის გარეგნულ ნიშნებს, მაგრამ საკმარისია, მას რაღაცამ გაახსენოს ჯარისკაცის უზენაესი მოვალეობა, რომ მაშინვე ხდება გმირი და პატრიოტი.

რამდენიმე წლის წინ მოხდა ასეთი შემთხვევა: რუსი ოფიცერი შეეცადა ქუჩაში დაეცვა უცნობი გოგონა დღისით-მზისით მოჩვენებით-ინტელიგენტი სომეხი მომაბეზრებელი ნაძირალებისგან. ერთი წამის შემდეგ მას გარს შემოერტყა უზარმაზარი ბრბო, რომელიც აპირებდა მის გადაგდებას ვორონცოვის ხიდიდან მტკვარში, რომ უეცრად ოფიცერს დასახმარებლად მიაშურა გვერდით გამვლელმა ჯარისკაცმა, რომელმაც გადაარჩინა იგი, ემუქრებოდა რა შაშხანის წვერით გამხეცებულ სომეხთა ბრბოს. სულ ცოტა ხნის წინ, მუშათა უწესრიგობების ერთ-ერთი აფეთქების დროს, თბილისის ბაზარში, წესრიგის პირველი დამამყარებლები აღმოჩნდნენ არა პოლიციელები (იქაური პოლიცია ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს), არამედ შემთხვევით იქ მყოფი უიარაღო თადარიგის ჯარისკაცები და სხვა დაბალი ჩინოსნები. ცხადია, ისინი აღსავსე არიან ორგანული პატრიოტიზმით, რომელიც ძალზე შეგნებული ფორმებით ვლინდება. ასე, მაგალითად, ჯარისკაცი ყოველთვის გამოესარჩლება ვიღაცის

ეროვნული

მიერ შეწუხებულ რუს ქალს და ნებისმიერ ბავშვს, თუ მათ უბედურება ემუქრება.

ერთხელ მომიხდა ასეთი სცენის მოწმე ვყოფილიყავი: თავხედი სომეხი უტრირებულ მოდურ კოსტიუმში შეუჩნდა ადგილობრივი ჩვევის მიხედვით ხალხმრავალ ადგილას რუს ქალბატონს, რომელიც საშინლად დაიბნა და მზად იყოატირებულიყო, რომ უეცრად მის საშველად მოულოდნელად გამოჩნდა უბრალო ადამიანი, რომელიც, მხედრული გამართულობით თუ ვიმსჯელებთ, გადამდგარი ჯარისკაცი აღმოჩნდა. მან ჩამოაგდო სომეხი ტროტუარიდან და უყვირა:

— ოხ, შე საძაგელო სომეხო! რატომ აწუხებ ქალბატონს?

წამიერად თითქოს მიწიდან ამოძვრნენო, გამოჩნდა რამდენიმე გამძვინვარებული სომეხი პატრიოტი, რომლებმაც ალყაში მოაქციეს ჯარისკაცი და ერთხმად შესძახეს:

— როგორ ბედავ მთელი ერის შეურაცხყოფას!

ჯარისკაცმა ამრეზით ჩაიცინა:

— ერი?! აბა სად არის შენი დროშა?

ამ უბრალო კაცმა, რომელმაც გაიარა ღირსების და ჯანსაღი ცნებების სამხედრო სკოლა, გამოავლინა საქმის განუზომლად მეტი გაგება, ვიდრე ბევრმა სხვა ჟურნალისტმა და ბიუროკრატმა, ტერმინოლოგიაში რომ იბნევიან და ტომის და ერის ცნებას ერთმანეთში ურევენ. რუსეთის იმპერიაში მრავალი ტომია, მაგრამ ერი შეიძლება იყოს მხოლოდ ერთი, იმიტომ, რომ იგი განპირობებულია სწორედ დროშით, ანუ სახელმწიფოებრიობის სიმბოლოთი. ასე გვასწავლის საფუძვლიანად უახლესი სახელმწიფოებრივი მეცნიერება — და ამ წიგნის უცოდინარმა რუსმა ჯარისკაცმა თავის ერთგულ გულში მოძებნა დასკვნა, რომლამდეც დღესაც ვერ მისულა ბევრი მოჩვენებით-ინტელიგენტი ადამიანი.

რა სულიერ სიდიადემდე მიდიოდა კავკასიური ჯარი მწყობრში — ამაზე საეჭვოა საჭირო იყოს საუბარი. საკმარისია გავიხსენოთ კავკასიის დამორჩილების პირველი ხანა, როცა ერთი მუჭა ჩვენი გრენადერები თითქმის სასწაულებს ახდენდნენ და შიშში ჰყავდათ მილიონიანი მრავალტომიანი მხარის მოსახლეობა. ყოველ ნაბიჯზე შეიძლება შევამოწმოთ ამ ტრადიციის ცხოველმყოფელობა და დისციპლინის საოცარი ძალა. საკმარისია მიეუთითოთ გუშაგის მაგალითი, როცა ბათუმის ერთ-ერთ პორტში აფეთქების დროს აშკარა სიკვდილის პირისპირ მდგომმა ამ ღირსეულმა მეომარმა არ დატოვა საგუშაგო, იმიტომ, რომ პირები, რომელთაც მისი შეცვლა შეეძლოთ, დაიღუპნენ კატასტროფის დროს; იგი, წესდების თანახმად,

დაელოდა მონარქის დეპეშას.

შთამბეჭდავი იყო რუსი ჯარისკაცების საქციელი აგრეთვე 1895 წელს ქუთაისში, ებრაელთა დარბევის დროს. ისინი მწკრივებად იდგნენ დატენილი იარაღით ხელში; მრავალათასიანი ბრბოდან მათკენ ქვების სეტყვა მოდიოდა; ხან ერთი, ხან მეორე ჯარისკაცი თავში ქვით დაჭრილი ეცემოდა, რიგები მჭიდროვდებოდა, დაჭრილები გაჰყავდათ, ჯარისკაცები კი იდგნენ, როგორც ქანდაკებები, ფერმკრთალი, უძრავი, მკაცრი სახეებით; ხელები ნერვულად უთრთოდათ, მაგრამ არ იყო სროლის ბრძანება – და ჯარმა საოცარი თავშეკავება გამოავლინა; მხოლოდ ამ თავშეკავების წყალობით აღადგინეს წესრიგი სერიოზული სისხლისღვრის გარეშე.

რა თქმა უნდა, კავკასიური პოლკების ყოველთვის მაღალი ზნეობრივიდონეგარკვეულმერყეობასგანიცდისადგილმდებარეობის მიხედვით, სადაც ისინი დგანან; ისეთი გარყვნილი ქალაქები, როგორებიცაა თბილისი და ბაქო არასასიკეთოდ მოქმედებს მათზე, მაგრამ ეს გავლენა მუქ ჩრდილებზე შორს არ მიდის და ღრმად არ აღწევს. ოფიცერთა ყოფაში გვხვდება ხმაურიანი ღრეობის, უზომო თამაშების ან უადგილო სიფიცხის ერთეული შემთხვევები, ასევე ცხოვრება საკუთარ სახსრებზე ზევით, დამყოლობა გასუქებული თაღლითების სახლებში მიწვევაზე; მაგრამ ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, გამონაკლისია და თან უფრო იშვიათი, ვიდრე ნებისმიერ უცხო არმიაში, თვით ჩვენი ჯარების სხვა ნაწილებშიც კი. ჩვენი კავკასიური ჯარის ყოფაშიც, ანუ ცხოვრების წესსა და ხასიათში არის რაღაც ბერმონაზვნური: მრავალი წვრილმანი, ყოველდღიური, არაფრით დაჯილდოებული, მაგრამ მით უფრო მძიმე თვითაღკვეთა, მუდმივი გამარჯვება ჟინზე, სიამოვნების წყურვილსა და ახალგაზრდულ პატივმოყვარეობაზე უფრო მაღალი საწყისების გულისთვის. ხელფასი მწირი, ხოლო ცხოვრება საოცრად ძვირი და ყოველდღიურად ხელოვნურად გაძვირებული, არა მარტო თბილისში, არამედ ამიერკავკასიის მივარდნილ ადგილებშიც, რომლებიც გახვეული იყო ყოვლადძლიერ სომეხ შეთქმულთა ბადეში. დენშჩიკები ძიძებივით უვლიან ოფიცერთა ბავშვებს და უუთუებენ ქვედატანებს ოფიცრის ცოლებს, ამხანაგები ერთმანეთს ეხმარებიან და საპოლკო ოჯახებში ცხოვრობენ მართალია არამდიდრულად, მაგრამ არც მოწყენილნი არიან და არც სევდიანნი. მაღალი სულით, რომელიც მსჭვალავს ამ კეთილშობილურ გარემოს, რა თქმა უნდა, გამოირჩევიან ყველაზე მეტად სამწყობრო ოფიცრები, კავკასიის არმიის ჭეშმარიტად ტიპური წარმომადგენლები. ადამიანები

ეროვნული ბიბლიოთეკა

„სამეცნიერო საყელოებითა“ და ნიშნებით, ადმინისტრაციული ან საერთოდსამოხელეოთანამდებობებირომუკავიათ,განსაკუთრებით ისინი, ვინც დაკავშირებული არიან ვაჭრობასთან, ნარდთან და ა.შ., დგანან, როგორც ყველგან, ზოგჯერ რამდენადმე დაბლა. კავკასიური არმიის ყალიბი ასეთ ცალკეულ ადამიანში მნიშვნელოვნად სუსტდება: ამასთან მათ-წინააღმდეგ მიმართული ცდუნებები იღებს ალყის სისტემატურ ფორმას — და მათი წნეხი იმდენად ძლიერია ხოლმე, რომ რომელიღაც ვერ უძლებს ამას. თბილისში ზოგჯერ შეიძლება შეგხვდეთ წერის ოსტატი ადამიანიც, იურისტიც, ტექნიკოს-მშენებელიც, რომელთაც ვერც ოფიცრის სამხრეები შეაჩერებს მეფის სამსახურში ცოდვათაგან და ვერც რუსი ადამიანის პირადი ღირსება. რა თქმა უნდა, ასეთმა ერთეულმა მაგალითმა არ შეიძლება ჩრდილი მიაყენოს კავკასიურ არმიას, ვინაიდან „არ არსებობს ოჯახი მახინჯის გარეშე“, და ამგვარი ტიპის ადამიანებიც არსებითად ამ კეთილშობილ ოჯახს არ მიეკუთვნებიან.

თუმცა აუცილებელია აღინიშნოს, რომ კავკასიური არმია ესოდენ ზნემაღალია არა მარტო თავისი ყაიდით და კეთილშობილური ტრადიციებით, არამედ ნაწილობრივ იმითაც რომ იგი ნაკლებად ექვემდებარება სისტემატიურ ცდუნებებს, ვიდრე მხარის სხვა დაწესებულებები. ჩვეულებრივ მწყობრის ოფიცერს ვერანაირი სომეხი ბობოლა ვერც განსაკუთრებულად აჭმევს, ვერც აცდუნებს; ოფიცერი, რომელიც გახდება ბოქაული, შტაბის ადიუტანტი ან კანცელარიის ჩინოვნიკი, ან დიდი ფულადი ბრუნვის მქონე რომელიმე სპეციალური სამმართველოს საქმისმწარმოებელი — ეს სულ სხვა საქმეა: პოლიტიკანები ასეთის თავიანთ ბადეში გახვევას ცდილობენ. თვით არმია კი, რომელიც სარგებლობს საყოველთაო პატივისცემით ხალხში, სომეხი და სომხური იდეოლოგიის მქონე პოლიტიკანების ცუდად დაფარული სიძულვილის საგანია.

როგორც ერთ-ერთ წინა თავში ითქვა, თითქმის მთელი ბეჭდვითი სიტყვა გამონაკლისის გარეშე დეიფუსის პროცესის დროს დემონსტრაციულად მხარს უჭერდა მოღალატე ებრაელს და მთელი სომხობაც მის მიმართ თანაგრძნობით იყო გამსჭვალული, დაწყებული ფილოსოფიის დოქტორებითა და ბანკის ქურდებით, დამთავრებული უკანასკნელი ჩამოკონკილი მუშით. დერიფუსი აქ, რა თქმა უნდა, არაფერ შუაში იყო: იგი ძლიერი, დისციპლინირებული და ღირსეული არმიის მხოლოდ ნებადართული, „ცენზურული“ სიძულვილის გამოხატვის საბაბი იყო. ეს იყო ფსიქოლოგიით სრულიად ებრაული ანტიმილიტარიზმი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სულ ბოლო ხანებში კავკასიურ მხედრობაში შეინიშნება არც ისე სერიოზული, მაგრამ პრინციპულად არასასურველი მოვლენები. კავკასიელ ოფიცრებთან საუბარში მიხდებოდა ისეთი გამონათქვამების მოსმენა, როგორიცაა „პოლკის ადგილობრივ მკვიდრთა პარტია“. აღმოჩნდა, რომ, როცა პოლკში შეიყრებოდა არარუსული წარმოშობის ოფიცერთა მნიშვნელოვანი რაოდენობა, მაშინ ისინი ზოგჯერ ავლენდნენ ცალკე წრის შექმნის სურვილს განკერძოებული ამხანაგური ინტერესებით. ამაში, რა თქმა უნდა, არაფერი უკანონო და ობიექტურად ცუდი არაა, მაგრამ ეს არასასურველია – როგორც კავკასიური ჯარების ძველი ტრადიციების ერთგვარი შერყევის თვალსაზრისით, ასევე ფართო-აღმზრდელობითი თვალსაზრისითაც. ხომ საჭიროა, რომ კავკასიელ ხალხთა წარმომადგენლები რაც შეიძლება დაუახლოვდნენ სულიერად რუსებს, ეს კი მაშინაა მისაღწევი, თუკი იქაურ რუსულ გარემოში ისინი იქნებიან უმცირესობა და არა მნიშვნელოვან ჯგუფებად წარმოდგენილი, რომლებთანაც ახლა ზოგჯერ ანგარიშის გაწევა უწევთ სხვა ამხანაგებს, იშვიათად კი პოლკის მეთაურსაც.

უდავოა, რომ მთელი საუკუნის განმავლობაში სახელგანთქმულ კავკასიურ რაზმებში ღირსეულად მსახურობდა უამრავი ადგილობრივი მკვიდრი; მაგრამ, ერთი მხრივ, მაშინ იყო მჭექარე საომარი დრო და რუსული სახელის პრესტიჟი მხარეში ბევრად აშკარად ჩანდა, ვიდრე ახლა, მეორე მხრივ კი – საზოგადოების ყველა ფენაში პოლიტიკანობა ბევრად ნაკლები იყო.

კავკასიაში ჩვენი არმიის რუსული კულტურული ამოცანა მშვიდობიან დროს ფრიად დიდი და საპასუხისმგებლო იყო, ამასთან ყოველდღიურად ხდება სულ უფრო მძიმე, ამიტომაც ყველა პატრიოტულად განწყობილი ადამიანი უნდა ცდილობდეს, არმია სიყვარულით და პატივით შემოსოს, რითაც შეუმსუბუქებს სამოქალაქო ურთიერთობათა სფეროში მოვალეობის შესრულებას. კაცობრიობის ჩირაღდნები ხომ საყოველთაო მშვიდობის საქმეს ემსახურებიან. მაგრამ მშვიდობიან დროსაც აქვს თავისი მწვავე მხარეები და სპეციალური თავისებურებები, რამაც საბაბი მისცა გრაფ სოლოგუბს ჯერ კიდევ 60-იან წლებში ეთქვა ექსპრომტი, რომელიც ძვირად დაუჯდა:

Боюся я промолвить вслух, _
Но мир войны не заменяет.

## 20. სექტანტები და რუსი ახალმოშენეები

ქვეყანა, რომელიც მიერთებულია რომელიმე სახელმწიფოზე, მასში კი არ არიან ამ სახელმწიფოს მთავარი სახალხო გარემოს წარმომადგენლები – უკეთეს შემთხვევაში, ე.ი. მაშინ, როცა მას მოაქვს შემოსავალი, იმსახურებს კოლონიის სახელწოდებას, ხოლო უარეს შემთხვევაში – ასეთ მიერთებას შეიძლება ეწოდოს ოკუპაცია. ვინაიდან ჩვენ კოლონია კი არა, არამედ განაპირა მხარეები გვაქვს, ამიტომ ოკუპაციის ცნება რომელიმე ასეთ განაპირა მხარეზე მოწმობს ამ საკითხზე ნათელი პატრიოტული შეხედულების ხანგრძლივი დროით უქონლობას ან მხარეში სწორ სახელმწიფო მუშაობასთან დაკავშირებით სხვა დაბრკოლებებს და ყოველ შემთხვევაში იმასაც, რომ საქმე სასიკეთოდ არაა.

სამწუხაროდ, უნდა ვაღიაროთ, რომ ამიერკავკასიაში, სადაც რუსები შეადგენენ მოსახლეობის 2%-ზე ცოტა მეტს, სწორედ ოკუპაციის მრავალი ნიშანი არსებობს – და ეს მხარეში 100-წლიანი მბრძანებლობის შემდეგ. ერთი შეხედვით, ეს თითქოსდა სათაკილოა რუსი ერისთვის, მაგრამ, თუკი უფრო ჩავუღრმავდებით, აღმოჩნდება, რომ ეს ფაქტი საკმაოდ ბუნებრივია, რაც მარტოოდენ სავალალო მიზეზებით არ აიხსნება. ჯერ ერთი, შიდა რუსეთში არ არის განსაკუთრებული სივიწროვე, რაც უნდა გაპკიოდნენ მცირემიწიანობაზე, უბრალოდ არსებობს მიწის მიმართ ადამიანთა ცუდი დამოკიდებულება, რაც მას მცირეშემოსავლიანს ხდის; 60-იან წლებში კი და განსაკუთრებით 90-იანებში ამას დაემატა ცუდი, არაპატრიოტული ფინანსური პოლიტიკა, რომელმაც გააღრმავა ეს ბოროტება.

გასული ასწლეულის პირველ ნახევარში თითქმის მთელი რუსი მდაბიო ადამიანები ბატონყმურ დამოკიდებულებაში იყვნენ და მემამულეებს, რომლებიც ცხოვრობდნენ ლაღად, გლეხები კი ძირითადად მაძღრად ჰყავდათ, არ სურდათ, გლეხებს დაეტოვებინათ შეჩვეული ადგილები ან გადასახლებულიყვნენ შორეულ ამიერკავკასიაში, რადგან ისინი სახლში სჭირდებოდათ. აი რატომ აღმოჩნდნენ პირველი რუსი მდაბიონი, რომელნიც დამკვიდრდნენ ამიერკავკასიაში, ერთი მხრივ, სექტანტები, შიდა რუსეთიდან რომ ერეკებოდნენ, როგორც მავნე ელემენტს და მეორე მხრივ, ცოლიანი ჯარისკაცები, რომელთაც დიდი ერმოლოვი, შორსმჭვრეტელი რუსი პატრიოტი, უყურებდა, როგორც, სახელმწიფო თვალსაზრისით, მხარის მომავალი აუცილებელი რუსული კოლონიზაციისთვის საჭიროს.

ამიერკავკასიაში ადგილი ბევრია, განსაკუთრებით, თუ

გავითვალისწინებთ საოცარ ნაყოფიერ დაბლობებსა და სტეპებს, რომელთა ყვითელი ტყე გამოსადეგია მაღალი სამიწათმოქმედო კულტურებისთვის, ნიადაგის სიუხვეა აგრეთვე მთის ფერდობებზე (მაგ., სამეგრელო), იგი უზრუნველყოფდა მდიდარ მევენახეობას. მშვიდობის განმტკიცებასთან და მომთაბარეობის საზიანოდ, ბინადრობითი ყოფის ბუნებრივ თანდათანობით განვითარებასთან ერთად შეინიშნებოდა მიწის სიჭარბე, მაგრამ რუსული სახალხო სტიქია ჯერ კიდევ შორს იყო, ხოლო ყოველი ომი თურქეთთან ან სპარსეთთან გვიძლევიდა ხოლმე ათი ათასობით სომეხს. მხარეში რუსი მმართველები მათ, ასევე სახელმწიფო საქმის ამოცანების მიმართ შორსმჭვრეტელობით ვერ გამოირჩეოდნენ, ვერც ადგილობრივი ისტორიის ცოდნას დაიტრაბახებდნენ, ახლო აღმოსავლეთში საქმის ვითარებაზე კი ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდათ.

50-იანი წლების ბოლოს ფელდმარშალმა თავადმა ბარიატინსკიმ ერთხელ გულუბრყვილოდ თქვა, „სომხები საერთოდ ჩვენი ერთგულები არიან და მათთვის უცხოა ყოველგვარი ჩარევა პოლიტიკურ საქმეებში", თუმცა იმ ხანებში, ყირიმის ომის შემდეგ, სომხები საკმაოდ გამოცოცხლდნენ. განკერძოებული, არა სახელმწიფოებრივი, არამედ ბუნებრივ-ისტორიული თვალსაზრისით, შეიძლება სწორიც იყო თავისი უდაბურობით უშემოსავლო ადგილებზე იმ ადამიანების დასახლება, რომლებიც თავიანთი ბუნებით ესადაგებოდნენ ადგილობრივ კლიმატურ და სამეურნეო პირობებს.

გასული საუკუნის მეორე ნახევარში უკვე ძნელი იყო იმის თქმა, სად თავდებოდა არაშორსმჭვრეტელობა და სად იწყებოდა გულგრილობაზე უარესი დამოკიდებულება რუსული სახელმწიფო ინტერესების მიმართ. ცალკეული პირების მხრიდან იგი უდავოდ რუსული საქმის საშინელ ღალატამდე მიდიოდა.

მიწაზე მოთხოვნის და მისი ფასის ზრდასთან, აგრეთვე სხვადასხვა ადგილობრივ მკვიდრთა ანტირუსული მოძრაობის გაძლიერებასთან ერთად წარმოიშვა, განვითარდა და დიდი გავლენა მოიპოვა შეხედულებამ, თითქოსდა კავკასია თავისი კლიმატური და ნიადაგობრივი პირობების გამო სრულიად არ ვარგოდა რუსი ადამიანებისთვის. ბოლო ხანებში, როცა რუსთა მოდინების „საფრთხე" თვალსაჩინოდ გაძლიერდა, უცხოტომელებმა და მათმა რუსმა დამქაშებმა დაიწყეს აღნიშნული შეხედულების განმტკიცება არაადამიანური ექსპერიმენტებით რუს ახალმოშენეებზე. მაგრამ ამის შესახებ ქვემოთ ვისაუბროთ.

იმ არაკის საწინააღმდეგოდ, თითქოს რუსი ადამიანების დასახლება კავკასიაში შეუძლებელია, ჯარისკაცთა დასახლებებიც და სექტანტთა სოფლებიც აყვავდა. დუხობორების და მალაკნების

დასახლებათა სიმდიდრე საარაკო გახდა და ეგრეთ წოდებულ მკბბინათა უმეტესობაც ვერ დაიწუწუნებდა სიღარიბეს ან მცხოვრებთა ჯანმრთელობის შერყევას.

თუმცა ამიერკავკასიის მიწათმოქმედებისთვის ვარგისი ადგილები სულაც არ იყო ერთნაირი ჰიგიენური თვალსაზრისით. ისინი შეიძლება დავყოთ 3 კატეგორიად. მათგან ერთი ნაწილი არა მარტო უნდა ვაღიაროთ ჯანმრთელად, არამედ აუცილებელია აღვნიშნოთ, რომ რუსული ჯიში იქაური პირობების გავლენით უკეთესობისკენაც კი შეიცვალა. როგორც სრულიად სამართლიანად აღნიშნა კავკასიის ანთროპოლოგმა და ადგილობრივი ცხოვრების ყურადღებიანმა დამკვირვებელმა, დოქტორმა ი.ი. პანტიუხოვმა, რუს ადამიანთა თაობები, რომლებიც დაიბადნენ ამიერკავკასიის სასურველ ადგილებში, გამოირჩევა დიდი სიმაღლით და ძლიერი მუსკულატურით, თვალების მეტი სიკაშკაშით, სიცოცხლით და ა.შ. შიდა რუსეთიდან სულ ახალი ჩამოსულები სრულიად დალეულები არიან გომბორელებთან, თეთრწყაროელებთან, მანგლისის და სექტანტური სოფლების მცხოვრებლებთან შედარებით. ამის მიზეზია რბილი, ზომიერი კლიმატი, მცენარეული საფარის მრავალფეროვნება და ხორციანი საკვების სიუხვე: მოსახლეობა ყოველდღიურად იკვებება ისე, როგორც შიდა გუბერნიების მცხოვრებნი იკვებებიან მხოლოდ დიდ დღესასწაულებზე. წარმოშობით რუსების გარეგნობა ამიერკავკასიის სასიკეთო ადგილების გავლენით (საშუალო სიმაღლის მთიანეთი) ნაწილობრივ იღებს ადგილობრივ მკვიდრთა ხასიათს და მეტყველებაშიც კი ზოგჯერ ისმის ხორხისმიერი ნოტები, როგორც არა მარტო ადგილობრივებთან შეწყვილების ან შეჯვარების შედეგი, არამედ უშუალოდ ბუნებრივი პირობების გავლენითაც. იმ ადგილების რიცხვს, რომლებიც განსაკუთრებით ხელსაყრელია რუსული კოლონიზაციისთვის, მიეკუთვნება ყარსის ოლქი. იგი კავკასიის საქმეებზე გრაფ ლორის-მელიქოვის და მისი დამქაშების გავლენის დროს დაასახლეს მნიშვნელოვანწილად თურქი სომხებით, ბერძნებით და ყოველგვარი ნაყარნუყარით, მხოლოდ ანაფხეკი დაუტოვეს რუსებს, რომლებიც მაშინ იწყებდნენ მიწის ძიებას ამიერკავკასიაში.

მეორე კატეგორიის ადგილები სერიოზული დაბრკოლება არაა რუსული კოლონიზაციისთვის, მაგრამ ნაკლებსასიკეთოდ მოქმედებს რუსულ ჯიშზე, განსაკუთრებით ნერვული სისტემის და სულიერი განვითარების თვალსაზრისით. რუს ადამიანს იქ არ შეუძლია იცხოვროს, სადაც მოხედება, განცალკევებულად, არაორგანიზებულად, ფიზიკური და სულიერი ზომების გაუთვალისწინებლად.

ასეთ ადგილებს მიეკუთვნება, მაგალითად, თბილისი და მისი უახლოესი შემოგარენი, გორის, დუშეთის მაზრა, ნაწილობრივ

ახალციხის, ქუთაისის და ბაქოს გუბერნიების ნაწილი, ზღვის დონიდან ისეთ სიმაღლეზე, რომელზეც მალარია, თუ მრისხანე ვეფხვი არ არის, უკვე საკმაოდ დიდი ზომის ბოროტი კატაა, ხოლო ღვინის სიჭარბე მის ზედმეტ ყოველდღიურ მოხმარებას განაპირობებს.

ადგილობრივი პირობების უარყოფითი შედეგები იქვლინდება უფრო ადამიანთა ფსიქიკურ, ვიდრე ფიზიკურ მდგომარეობში, განსაკუთრებით არაადგილობრივებში. ნებელობის ცენტრები სუსტდება, ვლინდება რაღაც განსაკუთრებული ნერვიულობა, რომელიც ზოგჯერ სერიოზულ გონებრივ აშლილობამდე მიდის; ქვეითდება შრომის უნარი და წადილი, განსაკუთრებით გონებრივი, ირყევა ზნეობრივი წესები; ყველაფერი ის, რაც საჭიროებს სისტემას, გამძლეობას, სიმყარეს, სრულდება სუსტად; ამ წმინდა ფიზიკური პირობების გავლენით მოსახლეობის ყველა ფენის — ზემოდან ქვემოთ — კულტურის დონე ქვეითდება.

რუსებზე ეს ჩანს საკმაოდ აშკარად; ყურადღებიანი დამკვირვებლისთვის კი ნათელია, რომ ადგილობრივ მკვიდრ მოსახლეობასაც ატყვია ამ არასასურველი პირობების დაღი, რაც ცუდად მოქმედებს მის ფსიქო-ფიზიკურ ცხოვრებაზე. მაგალითად, ქართველთა ნერვულობა და სწრაფი გადასვლა ძლიერი აგზნებიდან პროსტრაციამდე თვალშისაცემია. ეს თვისებები უდავოდ ვნებს კეთილშობილ ხალხს მის კულტურულ-ეკონომიკურ ბრძოლაში ღირსეული არსებობისთვის.

ყველაზე უკეთ არასასურველ კლიმატურ პირობებს იტანენ ჩვენი სექტანტები და სომხები — კერძოდ კი, იმიტომ, რომ პირველთ აქვთ ძლიერი რელიგიური თემი, ხოლო მეორეთ — რაღაც ერთგვარი კაგალური წყობის მსგავსი.

რუსმა სექტანტებმა განსაკუთრებით მკაფიოდ დაგვანახეს ასეთ ადგილებში, რა მნიშვნელოვანია რელიგიურ-საყოფაცხოვრებო ორგანიზაცია. თავის მხრივ, სომხებმა — პარაზიტული ორგანიზაციის ძალა. საჭიროა აღვნიშნოთ, რომ როგორც პირველი, ისე მეორე ამ ადგილებში თანდათანობით სუსტდება — ნაწილობრივ კლიმატური პირობების, ნაწილობრივ საზოგადოებრივი პირობების გავლენით, ახალგაზრდა თაობებს ყველა მიმართულებით ნაკლები შეძლება აქვთ, ვიდრე უწინანდელთ.

მესამე კატეგორიის ადგილები პირდაპირ სახიფათოა. ზოგიერთ მათგანზე, როგორიცაა, მაგალითად, ალაზნის ველი, აგრეთვე მტკვრის ახმაზების სიახლოვეს (მდინარის გადმოსვლის ჭაობიან ადგილებში) და მუღანლოს ველის ყველაზე ციებიან ადგილებში, ზუსტად რომ ვთქვათ, ლაპარაკიც არ შეიძლება მუდმივ ცხოვრებაზე, განსაკუთრებით რუსებისთვის, რომელთა ორგანიზმი ავთვისებიანი ციებ-ცხელების მიკრობის მიმართ სუსტია. იქ გამოჩენა სახიფათოა შემოდგომით და ზამთარშიც კი. დასახლება ნაკლებმავნე, მაგრამ რამდენადმე ამ

ტიპის ადგილებში შესაძლებელია მხოლოდ დამცავი ზომების მთელი სისტემის გათვალისწინებისას, რომლის რიცხვში შედის ჰიგიენური საცხოვრებლების და ჭების მოწყობა, ციების საწინააღმდეგო მცენარეების მოშენება (ევკალიპტთა ჭალები), ბრინჯის პლანტაციების მოშლა, მედიკამენტების სიუხვის პირობებში მუდმივი სამედიცინო ზედამხედველობა და ა.შ.

სამწუხაროდ, არა მარტო ყოველივე ეს არაა მხარეში, განსაკუთრებით რუსი მოახალშენეებისთვის, არამედ თბილისში კავკასიის სამედიცინო საზოგადოებასაც კი არ გამოუვლენია განსაკუთრებული სურვილი, ემუშავა ციებ-ცხელებასთან ბრძოლის სფეროში. იქ მომუშავე სომხები და პოლონელები თითქოს განზე ტოვებენ დამუშავების გარეშე კავკასიის სამედიცინო საკითხთაგან მთავარს, შესაძლოა სწორედ იმიტომ, რომ მას რუსებისთვის მწვავე და ზოგჯერ საბედისწერო მნიშვნელობა აქვს. ბოლო კავკასიური მიკრობიოლოგიური შრომა ამ სფეროში, თუ არ ვცდები, დაწერა 20 წლის წინ აწ განსვენებულმა ექიმმა ტოროპოვმა, ხოლო ფრიად სასარგებლო, უპირატესად კომპილაციური ხასიათის შრომა „მალარიის გავლენა კავკასიის კოლონიზაციაზე“, რომელიც იბეჭდებოდა ჩემი რედაქციით გაზეთ „კავკაზში“ და შემდგომ ცალკე წიგნად გამოიცა, ეკუთვნის ექიმ-ანთროპოლოგის კალამს, რუს მოახალშენეთა საქმის თავგამოდებულ ქომაგს, ექიმ ი.ი. პანტიუხოვს. მას უპირატესად დიდი გამოყენებითი მნიშვნელობა აქვს, იძლევა რა მცირე მოცულობაში მრავალ ღირებულ საყოფაცხოვრებო მითითებას, სტატისტიკურ ცნობას და დასკვნას.

მალარიის განვითარების ხარისხი დამოკიდებულია სხვადასხვა გარემოებაზე. ექიმ ნ.ი. ტოროპოვის აზრით, რაც უფრო დაბალია ადგილი, მით უფრო დახშულია და ნესტიანი იგი, რაც მეტია მასში სითბო, წყალი და სიმწვანე – მით უფრო მალარიულია. აღარაფერი რომ არ ვთქვათ ტროპიკულ ქვეყნებზე, ამიერკავკასიაშიც არის ადგილები, სადაც მალარია კლავს ადამიანს რამდენიმე საათში. უმეტესწილად ეს დაავადება სხვა დაავადებებთან კავშირში შედის და ასე საოცარ სიკვდილიანობას იწვევს დიზინტერია, კატარი, ტიფი, სურავანდი, ფილტვების, ასევე ნაწლავების, ღვიძლის და ტვინის ანთება. ადგილობრივი მკვიდრნი ამის გამო ძალიან იტანჯებიან; ელისავეტოპოლის, ბაქოს და შავი ზღვისპირეთის სანაპიროებზე შეიძლება შეხვდეთ ბავშვებს, რომლებიც უკვე მალარიის მიკრობით, ან მასთან დაკავშირებული დაავადებებით დაიბადნენ. განსაკუთრებით უმძიმთ ჩვენს მოახალშენეებს, რომლებიც ყოველმხრივ მანკიერი პირობებით არიან გარშემორტყმული, თანაც არა მარტო კლიმატური, არამედ საყოფაცხოვრებო; ბუნებასთან ბრძოლის და საკუთარი კეთილდღეობისთვის ზრუნვის არცოდნა, მეზობელ ადგილობრივ მკვიდრთა მტრობა და წვრ-

ილ ხელისუფალთა არაადამიანური მოპყრობა, სამედიცინო დახმარების უკმარისობა, დარდი სამშობლოზე და მიტოვებულობის დამთრგუნველი განცდა, რომელიც ყოველგვარ ენერგიას აცლის ადამიანს, დასასრულ, რუსული მოდგმის მიუსადაგებლობა აზიური მალარიული ადგილების მიმართ – ყოველივე ეს აათმაგებდა მალარიის ძალას და მის მსხვერპლთა რიცხვს.

მიუხედავად ამისა, მტკიცება, თითქოს აღნიშნული კატეგორიის ადგილები სრულიად დაუშვებელია რუსული კოლონიზაციისთვის, თავისთავად თავს მოხვეულია, თან ტენდენციური, მას ასულდგმულებს სწრაფვა, არ დაუშვან რუსები კავკასიურ მიწებზე.

ყველაზე თვალსაჩინოდ რუსული მისადაგების მთელ ძალას, როგორიც გნებავთ ისეთი პირობების მიმართ, გვიჩვენებდნენ ჩვენი სექტანტები, რომლებიც მრავალი თვალსაზრისით რუსული ხალხური ელემენტის საუკეთესო ნაწილი იყო მხარეში.

როდესაც მათ იქ ასახლებდნენ, ვარაუდობდნენ, რომ ისინი დაიღუპებოდნენ. ზოგიერთი დაასახლეს კლდოვან მთებში, სადაც ხორბალი ცუდად მოდის, ზოგი – მალარიულ ადგილებში. ირგვლივ ნადირი, მიყრუებული ადგილები, აზია, მტრული ადგილობრივი მკვიდრნი, არაფრად რომ მიიჩნევდნენ ადამიანის სიცოცხლეს. უფროსობა აღიქვამდა სექტანტებს, როგორც ნახევრად ლეგალურ ადამიანებს, რომელთა არსებობა წახალისებული კი არ იყო, არამედ მხოლოდ დასაშვები, თანაც უსიამოვნო მითითებებით, რაც შემოსავლის წყარო იყო წვრილი მოხელეებისთვის უმეტესად ადგილობრივი მცხოვრებთაგან.

როგორც ცნობილია, სექტანტი-მისტიკოსები, რომლებიც თავს „ჭეშმარიტ ქრისტიანებად“ მიიჩნევდნენ, ხელისუფლების წარმომადგენლებს იროდის ან წარმართული რომის მსახურებად თვლიდნენ; სამწუხაროდ, კავკასიური ცხოვრების პირობებს შეეძლო მხოლოდ განემტკიცებინა მსგავსი შეხედულება, რომელიც იმთავითვე მცდარი იყო და გაემართლებინა იგი არაერთი აღმაშფოთებელი ფაქტით. რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში წვრილი ხელისუფალნი ავიწროებდნენ სექტანტებს საშინელი ჩაციებითა და მძიმე გადასახადებით; მთელ ამიერკავკასიაში შეიძლება ნახოთ მაზრის უფროსების, ბოქაულების და ა.შ. დიდი სახლები და მამულები – უსამართლო მომხვეჭელობის ნაყოფი. სექტანტებმა ყოველივე ეს აიტანეს, ყველაფერს გაუძლეს და აყვავებასაც მიაღწიესმხოლოდ და მხოლოდ თავიანთი სათემო-რელიგიური ორგანიზაციის წყალობით. როგორც ერთ-ერთ წინა თავში ითქვა, ახლანდელი დუხობორების წინაპრები საკმაოდ შორს იყვნენ ბოროტების იმ წინაღუდგომლობისგან, რომლითაც მათ თავგზა აუბნია გრაფმა ტოლსტოიმ თავისი ფანატიკოსი მოსწავლეების დახმარებით. ადრინდელი დუხობორები ძალიან კარგად ფლობდნენ იარაღს, მათ გაანადგურეს

თავიანთ გარშემო ნადირი და სასტიკი თვითგასამართლებით დაიმსახურეს თათრების პატივისცემა, ხოლო შემდეგ მათი წრფელი მეზობლური კეთილგანწყობაც მოიპოვეს. რუსულ სახელმწიფოებრივ და სახალხო საქმეს ისინი, საბოლოო ჯამში, ეკიდებოდნენ კეთილმოსურნედ, ბევრი მათგანი სიამოვნებით მსახურობდა ჯარში, ხოლო 1877–78 წლის ომის დროს სექტანტურმა დასახლებამ დიდი დახმარება გაუწია ჩვენს ჯარებს თავიანთი გადამზიდავი საშუალებებით. ეს ღირსეულად შეაფასა მისმა უმაღლესობამ, კავკასიის მეფისნაცვალმა და მისმა მემკვიდრემ, თავადმა ა.მ. დონდუკოვ-კორსაკოვმა.

შეიძლებოდა გვევარაუდა, რომ ჩვენი სექტანტების მდგომარეობა გაუმჯობესდებოდა და ადმინისტრაციული შევიწროება შეწყდებოდა. ასე ფიქრობდნენ კავკასიის მცხოვრებნიც და მოსაზღვრე მეზობლებიც. ერთმა განათლებულმა სპარსელმა, რომელიც განცვიფრებული იყო რუს სექტანტთა საოცარი უნარით, შეგუებოდნენ ადგილებსა და კლიმატს, ამასთან მოხიბლული იყო მათი რელიგიური შემწყნარებლობით, რაც რუსების და მუსლიმანების მეგობრულ დაახლოებას ხელს უწყობდა, ექიმ პანტიუხოვთან გამოთქვა ვარაუდი, რომ სექტანტების განსახლება სპარსეთის საზღვრის გასწვრივ იყო ბრძნული სამთავრობო პოლიტიკის უმაღლესი აქტი. ამ უკანასკნელში იგი სასტიკად შეცდა, როგორც შემდგომმა მოვლენებმა გვიჩვენა.

90-იან წლებში გათამაშდა სავალალო დუხობორული ეპოპეა, რომელიც აღსავსე იყო მისტიკური ისტერიის სურათებით სექტანტების მხრიდან, ხოლო მათი მდევნელების მხრიდან – მოუსაზრებლობითა და სატანური სისასტიკით. ამ მოვლენათა კონუსი მხოლოდ გაკვრით ყურადღებაგამახვილებული მხარეებზე ჯერ კიდევ ნაკლებადაა გამორკვეული ბეჭდვითი სიტყვის მიერ.

დუხობორულ ეპოპეას საფუძვლად უდევს უდრტვინველი ფორმალიზმი, რომელიც შესაძლოა უკავშირდებოდეს მზაკვრულ ანტირუსულ სწრაფვას. დუხობორებს ჰყავდათ შესანიშნავი ქალი, ლუკერია კალმიკოვა, რომელსაც მიანდეს საზოგადოებრივი საქმეების ხელმძღვანელობა, ამასთან იგი მატერიალურად მოაწყვეს ბრწყინვალედ: მისცეს შესანიშნავი სახლი, მიწა, მრავალი ყოველგვარი მოძრავი ქონება და ფული; იგი მგზავრობდა ეტლით, ურთიერთობას აგვარებდა ხელისუფლებასთან, თავის საქმეებს აწარმოებდა დიდი ტაქტით. თვით მხარის ხელმძღვანელიც კი მას, როგორც პატივსაცემ მაღალი წრის ქალბატონს, ისე ეპყრობოდა.

დუხობორთა შეხედულებების თანახმად, მისი ქონება იყო საზოგადოებრივი და როცა იგი გარდაიცვლებოდა, ეს ქონება უნდა გადასულიყო დუხობორული თემის განკარგულებაში. მაგრამ მისი სიკვდილის შემდეგ ქონებაზე პრეტენზია განაცხადეს მისმა ნათესავებმა და ყველა

სასამართლო ინსტანციამ საერთო სამოქალაქო კანონების საფუძველზე ეს მეძიებლობა სამართლიანად აღიარა. დუხობორულ გარემოში დაიწყო განხეთქილება, რომელმაც სავალალო შედეგი გამოიწვია.

პატარა ბავშვიც კი მიხვდებოდა, რომ სასამართლოს ეს გადაწყვეტილება არ შეესაბამებოდა ცხოვრებისეულ სიმართლეს და კიდევ ერთხელ ადასტურებდა – ვრცელ და ჭრელტომობრივ სახელმწიფოში სამართლებრივი ნორმების ერთფეროვნება ადამიანური სულის წინააღმდეგ დანაშაულია და არა ერის არაერთგვაროვანი ელემენტების შეკავშირებას იწვევს, არამედ – პირიქით – მის განხეთქილებას, რაც უსამართლობით იყო გამოწვეული. თუკი სასამართლოს, რომელიც შებოჭილი იყო ნორმირებული კანონებით, ამ შემთხვევაში არ შეეძლო არაფრის გაკეთება, მაშინ კავკასიის მთავარ ხელმძღვანელობას ყოველმხრივ ხელი უნდა შეეწყო ამ საკითხის სასიკეთო გადაჭრისთვის მისი უზენაესობის მოწყალებით, ხოლო შემდეგ ეშუამდგომლა თვით კანონში ამ ხარვეზის გამოსასწორებლად.

ამ მიმართულებით არაფერი გაკეთებულა არც მაშინ, არც მოგვიანებით; სომხური ინტრიგის ხელმძღვანელებმა უკვე გაუშვეს იქ თავიანთი შხამი, მონახეს რა მხარდამჭერა, როგორც ყოველთვის, კავკასიის სახელისუფლებო ზოგიერთ ადამიანში. ერთი მხრივ, სომხებს სურდათ მთავრობის თვალში რეპუტაცია შეელახათ სექტანტებისთვის, როგორც ყველაზე ძლიერი რუსული ელემენტისთვის მხარეში, მეორე მხრივ კი – ესარგებლათ მათი მიწებით თურქეთიდან დევნილებისთვის, სადაც რუსეთის ქვეშევრდომი სომხების გაძლიერებული დახმარებით და სამღვდელოების წინამძღოლობით ხელოვნურად მოხდა ამბოხება, რომელიც შემდეგ ხოცვა-ჟლეტაში გადაიზარდა.

სატანური გეგმა განხორციელდა: ერთი მხრივ, მიასწრეს მოჩვენებითმა ქრისტიანებმა, გრაფ ტოლსტოის მოწაფეებმა, გააჩაღეს შუღლი დუხობორულ გარემოში და მიიყვანეს იგი ისტერიამდე: იმავდროულად მართლმადიდებლობის ქომაგებმა გააძლიერეს თავიანთი ქადაგება არახელსაყრელ მომენტში, მაშინ, როცა ამან მხოლოდ გაამძვინვარა გაჯიუტებულნი; ზოგმა კავკასიურმა ხელისუფლებამ გამოიჩინა ბაშიბუზუკური სისასტიკე გამმაგებული, თავგზაარეული დუხობორების მიმართ, ამასთან განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ მსახურეულ პირთაგან ადგილობრივი მკვიდრნი, რომლებიც თითქოსდა წუხდნენ წესრიგზე, სინამდვილეში კი რუსული სისხლი, რუსების ტანჯვა სწყუროდათ. ტრაგედია დასრულდა რამდენიმე ათასი დუხობორის გადასახლებით კანადაში, სადაც ისინი საბოლოოდ გაგიჟდნენ და ახლა იღუპებიან.

მე რამდენიმე დღე ზედიზედ მომიწია თბილისში დუხობორების ორი პარტიის ნახვა და მათთან დაწვრილებით საუბარი; ერთი შედგებოდა ქალებისა და ბავშვებისგან, რომელთაც მთავრობა გზავნიდა პოლიცი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ის მოხელის თანხლებით იაკუტის ოლქში, სადაც ამ ოჯახთა ჯერჯერობით გადაასახლეს; მეორე ჯგუფი – რამდენიმე კაცი – იგზავნებოდა ბათუმში სოფელი „ტერპენიეს“ მცხოვრებთა კანადაში გამგზავრებისთვის მოსამზადებლად. ქალებმა, რომლებთანაც მომიხდა საუბარი, გამაოცეს მართლმადიდებლობის საიდუმლო სულიერი ერთგულებით; ზოგიერთი მათგანი ტიროდა, უყურებდნენ რა მაცხოვრის ჯვარცმულ გამოსახულებას, ისინი გამოტყდნენ, რომ რამდენიმე წლის წინ, როცა მთელი ეს ბინძური ისტორია ჯერ კიდევ არ იყო დაწყებული, ისინი თავიანთ ქმრების და თემის უხუცესთა უჩუმრად დადიოდნენ მართლმადიდებლურ ეკლესიაში, როგორც კი მოხვდებოდნენ ხოლმე საქმეების გამო ქალაქებში ან მსახურობდნენ მართლმადიდებლებთან. დუხობორი მამაკაცები ასეთ გრძნობებს არ ავლენდნენ, სამაგიეროდ არ მალავდნენ, რომ სიამოვნებით დარჩებოდნენ რუსეთში, რადგან თავიანთი ერთმორწმუნეებისგან, რომლებიც ადრე გაემგზავრნენ ამერიკაში, საკმაოდ არასასიამოვნო ცნობები მოსდიოდათ. მაგალითად, აღმოჩნდა, რომ მგზავრობისთვის უხდებოდათ სამჯერ მეტის გადახდა, ხოლო სათავსი არ იყო უკეთესი, ვიდრე ადრინდელ ტყვეთა გემებზე. გარდა ამისა, პირები, რომლებიც აქეზებდნენ გასახლებაზე და ამ სამწუხარო საქმეში განმკარგულებლები იყვნენ, მოიქცნენ ძალზე ეშმაკურად: როდესაც ანაწილებდნენ ემიგრანტებს სხვადასხვა პარტიად, ბავშვებს მშობლებს აშორებდნენ, ქმრებს – ცოლებს, ძმას – დას და ა.შ. საკმარისი იყო წასულიყო ერთი პარტია, რომ მეორე, რუსეთის დატოვების აშკარა უხალისობის მიუხედავად, მისდევდა უკან ოჯახური გარემოებების გამო.

გამგზავრებას თან სდევდა ამ ხალხის უსაშინლესი გალატაკება, ხოლო ზოგიერთ სოფელში ეს ხდებოდა რუსების აბუჩად აგდებით. მაგალითად, სოფელ „ტერპენიეში“ დუხობორების შემცვლელად უნდა მოსულიყო ეგრეთ წოდებულ „უცხოქალაქელთა“ პარტია ჩრდილოეთ კავკასიიდან. ამ რუს ადამიანებს შეეძლოთ ეყიდათ გასახლებული დუხობორებისგან იაფად ბევრი სამეურნეო მოძრავი ქონება. გარდა ამისა, ადგილზე უკვე ელოდებოდნენ ზოგი რუსიც, რომლებიც მოვიდნენ თავისუფალი მიწის მოსაძებნად და ხედავდნენ, რომ იგი, ასე ვთქვათ, წამში გახდებოდა თავისუფალი. ამ დროს კი უცხოქალაქელთა პარტია შეაჩერეს რამდენიმე დღით, სხვა გადმოსახლებულები არაფერს გააკარეს, დუხობორული ქონების ლიკვიდაცია კი მოახდინეს სომხებმა, რომლებიც ხორბლის მთელ ზვინებს ყიდულობდნენ რუბლად, ძროხას 2–3 რუბლად და ა.შ. შესაბამისი ტარიფით. კარებსა და ფანჯრებს ანჯამებიდან გლეჯდნენ, სახლის ავეჯეულობა პირდაპირ გაჰქონდათ. მტირალი დუხობორები ამის შემხედვარე მტირალ მართლმორწმუნეთ ეუბნებოდნენ:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ნეტა ყველაფერი ეს თქვენ გრგებოდათ! რაც უნდა იყოს, თქვენ ჩვენი სისხლი ხართ! დიახ, ისე ჩანს, ჩვენს სისხლს აქ არ ეცხოვრება...

გასახლება, რა თქმა უნდა, იყო სასოწარკვეთილების აქტი; მაგრამ, ვინც ხედავდა იმ საშინელებათა თუნდაც მეათედს, რითაც ის იყო გამოწვეული, გაუჩნდებოდა სურვილი... სადმე წასულიყო. შეუძლებელია არ განიმსჭვალო გაბრაზების გრძნობით იასნოეპოლიანელი მოაზროვნე ბატონის წინააღმდეგ, რომელიც ამ მძიმე სახალხო უბედურებაში ერთ-ერთი ზნეობრივი დამნაშავე იყო.

სხვათა შორის, საოცარია, მაგრამ ბევრი დუხობორი ნამდვილად რომ დაიტანჯა ამ დრამის პერიპეტიების დროს, ამასთანავე დასნებოვნდა ტოლსტოელების სიყვარულით და პატივმოყვარეობის გარეშე ამბობდნენ, რომ მათზე ბევრს წერენ გაზეთებში, განსაკუთრებით საზღვარგარეთ.

რა მოელით შემდგომში იმ დუხობორებს, რომლებიც დაემორჩილნენ მთავრობის მოთხოვნებს და დარჩნენ კავკასიაში, წინასწარ თქმა ძნელია. ყოველ შემთხვევაში, მათი დაბრუნება მართლმადიდებლობის წიაღში მნიშვნელოვნად გადაწყვიტა აღწერილმა დრამამ. ამასთან, მათი რწმენა ძალიან შორსაა ჩვენგან, ბუნდოვანია, გამსჭვალულია მისტიციზმით და ამიტომაც... ძლიერია, როგორც ყველა უაზრობა...

ჩვენთან ბევრად უფრო ახლოს არიან მალაკნები: მათი წმინდა წიგნია ბიბლიის ჩვენი სინოდური გამოცემა. სამხედრო ბეგარას ისინი სიამოვნებით ასრულებენ, ხელისუფლების მიმართ მორჩილნი არიან, ამაყობენ თავიანთი ერთგულებით მეფის მიმართ და თავს რუსებად მიიჩნევენ. მართლმადიდებლების მიმართ ძალზე მეგობრულად არიან განწყობილნი. მათ ხელმძღვანელობენ მედავითნეები, ან უფრო სწორად, უბრალოდ შედარებით განვითარებული ადამიანები, რომლებიც „სიყვარულის საღამოებზე" განმარტავენ ევანგელეს, ხშირად ტექსტების დიდი ზნეობრივი გაგებით. ისინი უპირატესად ფხიზელ ცხოვრებას (ე.ი. არ ლოთობენ) ეწევიან, ოჯახები მტკიცე აქვთ; უმეტესობა მოხერხებული, გონიერი და შეძლებულია. ტიფლისში ისინი სამხედრო წოდების შემდეგ უდავოდ ძალზე საიმედო რუსი ადამიანები არიან და ასეთადაც მიიჩნევენ თავს.

მათი რელიგიური განკერძოებულობა სამ ფაქტორს ეყრდნობა: უპირველეს ყოვლისა, გავლით ჩამოსულ გერმანელ-მქადაგებლებს, რომლებიც საკმაოდ გულმოდგინედ ცდილობენ ჩააგონონ მათ მართლმადიდებლობის სიძულვილი და გადაიბირონ კიდეც ისინი ბაპტიზმში; მე თავად დავსწრებივარ „სიყვარულის საღამოებს" და მინახავს რელიგიურ ნიადაგზე პანგერმანიზმის ასეთი აგენტები. მეორე, მათი განკერძოებულობა ემყარება ბელადთა პატივმოყვარეობას,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელთაც სიამოვნებთ თავიანთი ერთმორწმუნეების სულიერი და ნაწილობრივ მატერიალური ცხოვრების ხელმძღვანელობა. მესამე და – ეს ყველაზე არსებითია, მალაკნები უფრთხილდებიან თავიანთ საძმო წყობას, რომელიც მათი სულიერი და მატერიალური ძალაა.

თბილისური თემის რამდენიმე ხელმძღვანელმა გულახდილ საუბარში მკითხა აზრი იმაზე, რასაც ისინი უწოდებენ „ღვთისმსახურებას". მე, რა თქმა უნდა, ვუპასუხე, რომ მისი შედარება შეუძლებელიც კი არის ჩვენს ლიტურგიასთან, რომელიც დააწესეს ღვთით შთაგონებულმა, სულიერად გენიალურმა ადამიანებმა, იგი რჩება დიადად და წმინდად მაშინაც კი, როცა ღვთისმსახური ცუდი მღვდელია; წმინდა წერილის ტექსტების მალაკნური განმარტება პირდაპირაა დამოკიდებული განმმარტებელთა გონებასა და სიფაქიზეზე, მათ ადვილად შეიძლება გადაამლაშონ; გარდა ამისა, ლოცვის გადაქცევა რაღაც შეჯიბრად მოარული რელიგიური სიბრძნის წარმომადგენლებს შორის ღმერთთან ურთიერთობის სიდიადეს არღვევს და ნიადაგს ქმნის პატივმოყვარეობის, შურის და ა.შ. ყოველგვარი ღვარძლისთვის.

ჩემი თანამოსაუბრენი ოდნავ შეცბნენ, მაგრამ ერთმა მათგანმა, მალაკნური თემის საკმაოდ შესანიშნავმა მოღვაწემ და ღირსეულმა ადამიანმა, ასე მიპასუხა:

– ჩვენ გვესმის, რის თქმაც გსურთ, ბევრ რამეში გეთანხმებით კიდეც. მაგრამ არსებობს საკითხი, რომელზეც თანამედროვე მართლმადიდებლური ეკლესია ცოტას მუშაობს – ესაა საეკლესიო თემების ან სამრევლოების საკითხი. თქვენთან სანამ ადამიანი ტაძარშია, იგი ქრისტიანია და გარშემორტყმულია ქრისტიანებით; მაგრამ გამოვა თუ არა იქიდან, იგი მარტოსული რჩება, განსაკუთრებით ქალაქებში. ვერავინ დაეხმარება მას, ვერავინ მიადევნებს თვალს მის საქციელს, გარდა ცალკეული პირებისა; არავინ დაუშლის მას ლოთობას; შეიძლება მოკვდეს ღობის ძირში, თუკი ეულია – და მოსიყვარულე ხელი თვალებს ვერ დაუხუჭავს! ჩვენს მალაკნურ თემში კი, სადაც მდიდრებიც არიან და ღარიბებიც, ჩვენ ვალდებული ვართ, ერთმანეთს დავეხმაროთ ცხოვრების ყველა შემთხვევაში, ვცხოვრობთ ისე, როგორც კეთილ ოჯახში. ზოგჯერ ღარიბი ადამიანის დაკრძალვაზე იმდენი ხალხია, რომ გარდაცვლილი გენერლის ან სხვა მნიშვნელოვანი პირის გასვენება გეგონება. შეხედეთ უბრალო მართლმადიდებელ ადამიანებს, რომლებიც თბილისში დადიან: ლოთები, შიშვლები, ჩამოძონძილები, შეხედვა შეგზარება. ჩვენები კი, მადლობა ღმერთს, ჯერჯერობით თავს ინახავენ.

მე შევეკამათე, რომ ქალაქის ლოთების მიხედვით, რომლებიც თბილისში ნამდვილად ბევრია, არ შეიძლება ვიმსჯელოთ უბრალო მართლმადიდებლებზე ზოგადად; შემდგომ, პრაქტიკულ სარგებელს არ

უნდა ჰქონდეს ესოდენ გადამწყვეტი მნიშვნელობა მარადიული ჭეშმარიტების საკითხში და რომ მალაკნები უფრო სამეურნეო თემაა, ვიდრე რელიგიური. მხოლოდ ერთ საკითხში დაეეთანხმე მათ, კერძოდ, ის, რომ ჩვენში ჯერ კიდევ არასაკმარისადაა განვითარებული სამრევლო ცხოვრება, მაგრამ ეს ეკლესიის ბრალი კი არაა, არამედ საერო ხელისუფლების და საზოგადოებრივი უკულტურობის.

ასე თუ ისე, უეჭველია, რომ მხოლოდ სამრევლო ცხოვრების აღორძინებითა და ჩვენი საზოგადოების ზნეობრივი ამაღლებით მართლმადიდებლური სულისკვეთებით, შეიძლება იმედი ვიქონიოთ მალაკნების და სხვა სექტანტების ჭეშმარიტ მასობრივ შემოერთებაზე.

გულახდილად რომ ვთქვათ, ისინი კავკასიაში თავიანთი თვალსაზრისით მართლები არიან: სექტანტური დაჟინებულობის, სულიერ და სათემო წყობის სფეროში შემოქმედების გარეშე, ისინი ვერ გაუძლებდნენ იმ საშინელ გამოცდას, რომელიც თავს დაატყდათ ადგილობრივთა ინტრიგებით და მათ მორჩილ ან უბრალოდ უვიც მსახურეულ პირთა ხელშეწყობით.

თბილისში, მაგალითად, მალაკნების მდგომარეობა პირდაპირ ტრაგიკულია. მათი ბინები თავმოყრილია მტკვრის მარცხენა დამრეც ნაპირზე, ადგილას, რომელსაც „პესკებს" (რიყე) უწოდებენ. მდინარე ამ ადგილას ვიწროა და დაკლაკნილი, ხოლო კლდოვანი მარჯვენა ნაპირი მაღალია. როგორც კი ცოტა აიწევს წყლის დონე, ქალაქის მალაკნური ნაწილი იტბორება. განსაკუთრებით დიდი წყალდიდობა მოხდა 1895 და 96 წელს. ასეთ დროს სახლები ნესტიანდება, სურსათსანოვაგე ფუჭდება, ხოლო ქუჩებში საშინელი სიმყრალეა. მოსახლეობა ეპიდემიებისგან იტანჯება, განსაკუთრებით ბავშვები, რომლებიც მნიშვნელოვანი ოდენობით იღუპება. არც ადმინისტრაცია, არც ქალაქი არაფერს აკეთებს ამ საშინელების აღსაკვეთად. მიმოწერა საგუბერნიო ხელისუფლებასა და ქალაქის მმართველობას შორის ძალიან წააგავს გოგოლის კოშკარიოვის ურთიერთობას „თავის საქვეუწყებო დაწესებულებებს" შორის. ამ დიდი წყალდიდობების შემდეგ ადგილზე მიდიოდა ზოგ-ზოგი კომისია, იყო ტექნიკური ხასიათის საუბარი, აპირებდნენ რაღაცის გაკეთებას, მაგრამ „ურემი დღესაც იქ დგას". ქალაქის ბობოლა სომხები განზრახ ამუხრუჭებენ ყოველგვარ წამოწყებას ამ საქმეში – თბილისშიც ყველასთვის კარგად ცნობილია, რომ მათ სურთ გამოდევნონ მალაკნები ათვისებული ადგილიდან და გადაიყვანონ მათი ერთი ნაწილი ქალაქის ახალ ბაზართან, ნაწილი კი სომხების დასახლებასთან, იმათთან, ვინც გამოქცნენ თურქეთიდან და ახლა ბანდებად დახეტიალობენ ქალაქში. მარჯვენა ნაპირიდან თანდათან ყრიან ნაგავს, რომელიც ქმნის ბრეკვატერის მსგავს მეჩეჩს, რითაც წყალდიდობის მუდმივი საფრთხე მხოლოდ იზრდება. მალაკნების

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაწილი უკვე გაასახლეს ქართულ სამხედრო გზაზე, დანარჩენები კი ჯიუტად ელიან, რომ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებში ოდესმე გაიღვიძებს მოვალეობის გრძნობა და თბილისის მოსახლეობის საუკეთესო ნაწილი ბედის ანაბარა არ დარჩება. რუსული სახელის სირცხვილმა მაინც უნდა დააჩქაროს უსახლკარო ადამიანების ამ იმედის ასრულება. არანაკლებ მძიმეა და სამარცხვინო იმაზე ფიქრი, რა განიცადეს და დღემდე რას განიცდიან მხარეში უბრალო რუსი ხალხი, რომლებიც მიწის ნაგლეჯის საძებრად ჩამოვიდნენ. ერმოლოვის შემდეგ, რომელიც სერიოზულად ეკიდებოდა რუსული კოლონიზაციის საქმეს და შექმნა რამდენიმე მტკიცე სამხედრო დასახლება, ამ საქმემ წინ ცოტა წაიწია. თავდაპირველად, როგორც ზემოთ ითქვა, არ იყო ამისკენ სწრაფვა რუსული სახალხო მასის მხრიდან, ხოლო შემდეგ დიდი ძალა შეიძინა სომხურმა გავლენამ, რომელიც დღესაც ამუხრუჭებს საქმეს. სომხები და მათი დამქაშები მოკალათდნენ ადმინისტრაციაში და განსაკუთრებით იმ დაწესებულებებში, რომელთა გამგებლობაშიცაა სახაზინო მიწები. დღესაც ამ დაწესებულებებში ბატონობს ეგრეთ წოდებული „ხატისოვის სკოლა“, ეს სახელი უკავშირდება თავგამოდებულ სომეხ პატრიოტს, რომელიც თბილისის გუბერნიის სახელმწიფო ქონების მმართველი იყო. იგი ენერგიულ მფარველობას უწევდა მთელი მხარის სომხებით* დასახლებას.

---

* მოგვყავს მთლიანად ბატონი ბუნიათოვის კორესპონდენცია, რომელიც 1899 წლის „კავკაზის“ №174-ში იყო. ის ამ სკოლის სიცოცხლისუნარიანობის მკაფიო მაგალითია:

ბორჩალოს მაზრის სოფელი ვორონცოვკა. ამ სოფლის მალაკნები დაასახლეს აქ სახაზინო ნადელი მიწების და ყოველგვარი დახმარების გარეშე პირველადი მოწყობისას, რის გამოც ისინი თავიდან მატერიალური თვალსაზრისით დიდ გაჭირვებას განიცდიდნენ, სანამ არნახული შრომით მათმა უმრავლესობამ მოახერხა საკუთრებაში ეყიდა ნადელები კერძო მფლობელებისგან. მაგრამ ვერ ვიტყვით, რომ ყველა ვორონცოველ მალაკანს აქ კარგად ეცხოვრებოდა: იყვნენ მათ შორის უმიწოებიც, რომლებიც ცხოვრობდნენ მხოლოდ თავიანთი ხელის შრომით. ასეთი მალაკნებიდან 22-მა ოჯახმა ათი წლის წინ მიმართა თბილისის გუბერნიის სახელმწიფო ქონების მმართველს, განსვენებულ ხატისოვს, თხოვნით – გამოეყოთ მათთვის მიწის ნაკვეთები ბორჩალოს მაზრაში, „თუჯის ქარხნის“ ტერიტორიაზე.

თავდაპირველად ხატისოვი უარს ეუბნებოდა მათ იმ საბაბით, რომ მოთხოვნილი მიწა არ იყო სახელმწიფო ქონების განკარგულებაში და ის ქარხნის მესაკუთრეებს ეკუთვნოდა; მაგრამ, როდესაც ქვეითად მოსიარულე მალაკანმა, ჟაბინმა, დაუმტკიცა მათ, რომ ნათხოვნი მიწა უკვე გადავიდა სამმართველოს გამგებლობაში, ითხოვა მიევლინათ მოხელე, რომელიც თავად დარწმუნდებოდა, რომ „თუჯის ქარხნის“ ტერიტორიაზე არსებობდა დასასახლებლად თავისუფალი და გამოსადეგი მიწა; ამის შესამოწმებლად მიავლინეს ლორის უბნის მეტყევე, კნაუტი, მან დაადგინა, რომ „თუჯის ქარხნის“ სიახლოვეს არის სულ დაახლოებით 10 დესეტინა ტყის მდელოებში მიმოფანტული

მეხედავად კავკასიის მთავარი ხელმძღვანელობის და მიწათმოქმედების სამინისტროს გულწრფელი სწრაფვისა, დაასახლონ ამიერკავკასიის თავისუფალ მიწებზე რუსი ადამიანები ეს ტრადიცია დღემდე ძალაში რჩება. ამ წინასწარდასახულობის სუსტი და ხშირად წარმატებელი განხორციელება მოწმობს მტრული ორგანიზაციის არსებობას, რომელიც სახელმწიფო ნებას და მთავარმართებლის კეთილ წამოწყებებს ყოველგვარი საშუალებით ებრძვის, მათ შორის ყველაზე სათაკილოთიც კი. სამწუხაროდ, რუს მსახურეულ ადამიანებს შორის, რომელთაც უკავიათ არც ისე საპასუხისმგებლო პოსტები, არიან ადამიანები, სომხური ინტრიგის შეითანს რომ გაჰყიდეს სული! ასეთი ადამიანები ცოტანი არ არიან პერიოდულ ბეჭდვაში, ისინი ცდილობენ ამტკიცონ, რომ კავკასიაში საერთოდ არ არის თავისუფალი მიწა და რუსი მოახალშენეები განწირულნი არიან დასაღუპავად აქაურ კლიმატური პირობების გავლენით და ა.შ.

რუსული კოლონიზაციისთვის წინააღმდეგობა სხვადასხვა კალიბრის მსახურეული ადამიანების მხრიდან დროდადრო ხან თავხედურ, ხან არაადამიანურ ფორმებს იღებს. აი რამდენიმე ფაქტი. როდესაც მიწათმოქმედების სამინისტრომ მოითხოვა ადგილობრივი ორგანოებისგან თავისუფალი მიწების შესახებ მონაცემი, მაშინვე, ასეთი ცნობების მიწოდებისთანავე, ადგილ-ადგილ მიიღეს ზომები, რომ ეს რაოდენობა რამდენადმე შეემცირებინათ რალაც-რალაც თავისუფალი ნაკვეთის ადგილობრივ პირებზე იჯარით გაცემის გზით. ერევნის გუბერნიაში

მიწა, რომელზეც წარმოუდგენელია მთხოვნელი 22 კომლის დასახლება. ჟაბინს უხდებოდა თბილისში თითქმის თვეობით ცხოვრება, ეძიებდა ცნობებს სამიჯნო პალატიდან და უმტკიცებდა სახელმწიფო ქონების სამმართველოს, რომ თავისი მრწმუნებლების მიერ ნათხოვნ უბანში იყო არა 10, არამედ 447 დესეტინა მიწა. სახელმწიფო ქონების სამმართველოს კვლავ მოუხდა მოხელის დანიშვნა სამიჯნო პალატის მონაცემთა სისწორის დასადგენად. თითქოსდა ვორონცოველი მალაკნების ქვეითად მოსიარულე ჟაბინის ამდენი ვაი-ვაგლახის შემდეგ თბილისის გუბერნიის სახელმწიფო ქონების სამმართველოს უნდა დაეკმაყოფილებინა მათი თხოვნა, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ: მალაკნები დღესაც ზრუნავენ, წელიწადში არაერთხელ გზავნიან თბილისში ქვეითად მოსიარულეებს, ხარჯს სწევენ, საქმე კი წინ არ მიდის.
ბოლო ხანებში ჟაბინმა მიიღო სიტყვიერი პასუხი თუ რჩევა: „თქვენ მიერ ნათხოვნი ნაკვეთი იჯარით აქვთ აღებული ხაჩინელ სომხებს, რომლებიც ითხოვენ მას თავიანთთვის ნადელად. უკეთესი იქნება, თუ მოითხოვთ მიწას, რომელიც იჯარით აქვთ აღებული ალექსანდრესეულ (რუს) გლეხებს, იქ აგრეთვე არის 450 დესეტინამდე ვარგისი მიწა“. ჟაბინმა უარი განაცხადა, მიეტოვებინა 10 წელიწადს უშედეგოდ გაგრძელებული საქმე და ხელი მოეკიდა ახალი საქმისთვის, მის უარს მოჰყვა პასუხი: „მაშინ მოიცადეთ შემოდგომამდე, როცა საბოლოოდ გადაწყდება თქვენი საქმე“.
საეჭვოა ეს „გადაწყვეტილება“ რუსი ადამიანების სასარგებლოდ მიეღოთ.

ერთი თავისუფალი ნაკვეთის შესახებ კითხვაზე ადმინისტრაციის საკმაოდ თვალსაჩინო წარმომადგენელმა თავის უფროსობას მისცა ორი ქვემორეპასუხი რაღაც ერთი თვის განმავლობაში: ერთ პასუხში ნათქვამი იყო, რომ ნაკვეთი არაფრად ვარგა სამეურნეო თვალსაზრისით და ამ მიწით ადგილობრივი მცხოვრებნიც კი არ სარგებლობენ, მეორეში – რომ ეს ნაკვეთი თავისუფალი არაა, ვინაიდან ადგილობრივი სოფლელი სომხები მას მუდმივად იყენებენ.

ეს უკვე ცინიზმია. გასაკვირი არაა, რომ სომხური ბეჭდვითი სიტყვა, როცა გვატყობინებს აღნიშნული პირის მოქმედებებზე ან მგზავრობაზე, ფრიად ნაზად გამოთქვამს: „ჩვენო ძვირფასო №№, ჩვენო საყვარელო №№“ და ა.შ.

უბრალო ბოქაულები ზოგჯერ საოცარ თავხედობამდე მიდიან. ასე, მაგალითად, როცა ერთ-ერთ ყოფილ დუხობორულ სოფელში შეიყვანეს უცხოტომელები ჩრდილო კავკასიიდან, ახალმოშენეებს განუცხადეს, რომ ნაგებობები მათ საკუთრებაში გადადიოდა. როგორც მკვიდრი, მტკიცე რუსი ადამიანები, ისინი უპირველესად შეფიქრიანებული იყვნენ რწმენის საკითხით და სურდათ დუხობორული სამლოცველო სახლის და მისი ნაგებობების გადაცემა ეკლესიისა და სკოლისთვის. ამასობაში ამ რაიონის ბოქაული თავად გადავიდა ამ ნაგებობებში და ერთ-ერთ მათგანის მიცემას აპირებდა იჯარით დუქნისათვის, ანუ სომეხი მედუქნესთვის. საბედნიეროდ, მოახალშენეები საკმაოდ გონიერი ადამიანები აღმოჩნდნენ, მათ არც სითამამე აკლდათ და გაემგზავრნენ თბილისში, სადაც ამ ადამიანთა არაერთი სიძნელე ყოველმხრივ გამოიკვლიეს მხარის უფროსმა და საქართველოს ეგზარქოსმა, ფლავიანმა. მათი თხოვნა შეისმინეს.

ყველაზე საშინელია ბრძოლის ის მეთოდი რუსულ კოლონიზაციასთან, რომლის დროსაც მთავარი საშუალება და ცოცხალი არგუმენტებია რუსი უბრალო ადამიანების წინასწარ განზრახული ტანჯვა. ეს პრაქტიკა გამოიყენება საკმაოდ ფართოდ და ჩვენდა სამარცხვინოდ, უკანონოდ. იმ ადამიანთა თვალში, ვინც იცნობს კავკასიას, ეჭვს არ იწვევს, რომ რუსი ახალმოშენეების დასახლება მალარიულ ადგილებში სიკვდილის ტოლფასია, თუკი იგი არ ითვალისწინებს მძიმე სენთან და სხვა პირობებთან სისტემატურ ბრძოლას, რაც რუსულ სახალხო საქმეს სასიკვდილო საფრთხეს უქმნის. ამ დროს ასეთი მკვლელობა საკმაოდ ბევრია, იმ პირთა მხრიდან უეჭველი მონაწილეობის ან დანაშაულებრივი მიშვებულობისას, რომელთაც უფლება არ აქვთ მოიმიზეზონ საქმეში ჩაუხედაობა. მოვიყვან აღმაშფოთებელ ფაქტს, რომლის შესახებაც გაკვრით ვახსენე ზემოთ. ელისავეტპოლის გუბერნიის სოფელ ტერ-ტერაში სათანადო ზომების გარეშე დაასახლეს რამდენიმე ათეული რუსი ოჯახი. შემოდგომას და ზამთარს ცუდად არ ჩაუ-

ლია, გაზაფხულზე კი თავს დაატყდათ ორი უბედურება: მალარია და სომხური ინტრიგა. მეზობელ სომეხ მოსახლეებთან გამოცხადდა „პიჯაჩნიკი“ ხელმძღვანელი, რომელმაც უბრძანა მათ გაედევნათ რუსი ადამიანები. ეს განდევნა მოხდა ჭეშმარიტად აღმოსავლური სიმხეცით. სომეხთა ხანჯლიანმა ბანდებმა რუს ადამიანებს კარგ სასმელ წყალთან მისასვლელი გადაუღობეს, ხოლო მდინარეს, რომელსაც მაშინ სასმელ წყლად იყენებდნენ, სომხები სისტემატურად აბინძურებდნენ ნაკელით, მძორითა და ათასგვარი სიბინძურით. დასახლებაში გაჩნდა ისეთი დაავადებები, რომელთა გაფიქრებაზეც კი კაცს თმა ყალყზე დაუდგებოდა. ადამიანები ცოცხლად ლპებოდნენ, სხეულზე უჩნდებოდათ მყრალი წყლულები, ტანჯვისგან ლამის ჭკუიდან იშლებოდნენ. მაზრის უფროსი, რომელიც ამ დასახლებაში ცხოვრობდა, ყველაფერს ხედავდა და დუმდა. როცა ამ საშინელებებზე ამბავმა გუბერნატორამდე მიაღწია, ტერ-ტერაში გააგზავნეს სომეხი ექიმი, რომელმაც წამლის ნაცვლად რუს ტანჯულთ მიაწოდა რჩევა: „წაეთრიეთ აქედან, რუსო ძაღლებო, თორემ აქ ყველა გაწყდებითო“. მოსახლეობის ორი მესამედი სულმთლად გაწყდა, დანარჩენი გაიფანტა. ეს ამბავი მიეიდა მხარის უფროსამდე და მაზრის უფროსი გააგდეს. იმათ, ვინც ამ საშინელი ტანჯვით გარდაიცვალა, ეს არ უშველიდა.

ყველაზე სამწუხარო ისაა, რომ აღნიშნულმა ჰეკატომბამ ვერ აღკვეთა სხვა მსგავსი შემთხვევა. სულ ახლახან რუსული დასახლება დაარსდა მალარიის თვალსაზრისით ერთ-ერთ ძალზე საშიშ ადგილას, ალაზნის პირას, თბილისიდან რაღაც ასიოდე ვერსტზე, იქ, სადაც მკვიდრი მოსახლეობაც კი არათუ ბედავს დასახლებას, არამედ გაზაფხულსა და ზაფხულშიც არ შედის იმ ტერიტორიაზე. ამ საფლავში გადაისროლეს რამდენიმე ასეული რუსული სიცოცხლე. და იქ მოხდა იგივე, რაც რამდენიმე წლის წინ ტერ-ტერაში. თუკი დავუშვებთ, რომ მხარეში შედარებით ახალმა თბილისის გუბერნატორმა გუბერნიის მართვის რამდენიმე წლის განმავლობაში ვერ მოასწრო გასცნობოდა ყველა მის შემოგარენს, სახაზინო მიწები ხომ იმ პირის გამგებლობაშია, ვინც კავკასიაში დაიბადა და დაწვრილებით იცის ადგილობრივი პირობები, თანაც საკმაო ავტორიტეტი ჰქონდა იმისთვის, რომ ხელი შეეშალა ამ მომაკვდინებელი კოლონიის დაარსებისთვის. ჯამში, არ შეიძლება ჩივილი იმაზე, რომ შემაძრწუნებელი სახალხო უბედურება მოხდა, დამნაშავეები კი არაა. ეს უდავოდ რუსული ავტორიტეტისთვის ძირის გამოთხრაა და ზიანი არა მარტო სახალხო, არამედ სამთავრობო საქმისაც.

გადასახლების საქმის საერთო სურათი მხარეში ძალზე უნუგეშოა. ერთი მხრივ, მძიმე შთაბეჭდილებას ახდენს წვრილი ხელისუფლების თითქმის საყოველთაო პასიური წინააღმდეგობა (ზოგჯერ კი არც

ისე წერილისაც) უმაღლესი ხელისუფლების სწრაფვისთვის, რომელიც გულწრფელად ზრუნავს რუსი ხალხის კეთილდღეობაზე. რუს ახალმოშენეებზე დაცინვის მაგალითი სხვადასხვა დაწესებულებაში ძალიან ბევრია. არსებობს ათეულობით და ასეულობით ადამიანი, რომლებიც უკვე რამდენიმე წელია ელოდება მათთვის დაპირებული ნაკვეთების გამოყოფას, ეს ნაკვეთები კი შემდეგ გაუგებარი მოსაზრებების გამო ეძლევა სხვებს. არეულობა ამ საქმეში წარმოუდგენელია და მღვრიე წყალიც ბევრი.

საბედნიეროდ, ბოლო დროს შინაგან საქმეთა სამინისტრომ მხურვალედ მიიტანა გულთან გადასახლებულთა საკითხი და მისი გამოსწორებაც უკვე შორს არაა. ამ საკითხის პროგრამული გადაწყვეტა ალბათ გამოასწორებს რაღაც-რაღაც წინანდელ შეცდომებს.

ამას ზოგჯერ ერთვოდა არამიზანშეწონილი პოლიტიკური ტენდენციები, რომლებიც ხელს უწყობდა სომხურ ინტრიგებს. ასე, მაგალითად, შეინიშნებოდა სწრაფვა დაესახლებინათ რუსი ადამიანები არა აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში და ყარსის ოლქში, სადაც ისინი პოლიტიკურად განსაკუთრებით საჭირონი არიან, არამედ საქართველოში. ეს იწვევს ქართველთა სამართლიან უკმაყოფილებას და მათ, ასე ვთქვათ, პოლიტიკურად აახლოებს სომხურ ინტრიგასთან. ქართველებს ახსოვთ, რომ ისინი ნებაყოფლობით შეუერთდნენ რუსეთს და ვერ ხედავენ პოლიტიკურ საფუძველს იმ მიწის მარაგის შემცირებისა, რომელიც, მათი აზრით, ეკუთვნის ხალხს, ეს ხალხი კი მთელი ასწლეულის განმავლობაში თავის ერთგულებას უმტკიცებდა ხელმწიფეს და სამშობლოს. ნებაყოფლობითი გაყიდვა ან დაგირავებული მამულების ლიკვიდაცია – ეკონომიკური ფაქტებია, რომელთა წინააღმდეგაც ვერავინ იდავებს; ხოლო საქართველოს ჩართვას გადასახლების ტერიტორიად ისინი მიიჩნევენ მთავრობის უნდობლობის დაუმსახურებელ აქტად. თუმცა რუსი ახალმოშენეები არ აწყდებიან აქ ქართველი გლეხების არაკეთილგანწყობას, მათთან ხშირად იოლად ამყარებენ მეგობრულ ურთიერთობას და უნათესავდებიან კიდეც. სარწმუნოების ერთიანობა ძალიან ბევრს ნიშნავს უბრალო ხალხის თვალში, რომელიც მოწამლული არაა მოჩვენებითი ცივილიზაციით.

საგადასახლებო საქმის მეორე ფრიად ბნელი მხარეა კავკასიაში მაწანწალა რუსები. მათ დანახვაზე ყურებს ჩამოყრი. რაც უნდა ცხარე მოწინააღმდეგე იყო ბატონყმობის და გულწრფელად გსურდეს ხალხის თავისუფლება, რომელიც მოწოდებულია მსოფლიო ისტორიული როლისთვის, მაინც გესმის ბატონყმური უღლების თავდაპირველი გონივრული საფუძველი, რომელმაც მიწას მიაჯაჭვა გლეხი და თავისებურად დისციპლინას შეაჩვია ხალხი, რომელსაც ესოდენ ძლიერად აქვს განვითარებული მაწანწალური ინსტინქტები. და ღმერთმა უწყის

კიდევ, რა მოხდება ამ უკანასკნელს ლაგამს თუ აყრი! ბოსია, ეს სახელგანთქმული ბატონი მაქსიმ გორკის და მისი მფარველების — ებრაელების — მიერ, არა მარტო ქალაქის სახალხო მასის ჯახრწნის ნაყოფია, არამედ ამ მაწანწალური ინსტინქტებისაც, რომლებისგანაც თავისუფალი არაა თანამედროვე რუსული სოფელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს ადამიანები დახეტიალობენ შავი ზღვის სანაპიროებზე, ამიერკავკასიის ქალაქებში, თხოულობენ ხან სამუშაოს, ხან — მიწას, სინამდვილეში კი მათხოვრობენ და ლოთობენ. უეჭველია ისიც, რომ ამ ადამიანთა ნახევარი ჩავარდა სიღატაკეში იმ მიზეზების გამო, რომლებიც მასზე არ იყო დამოკიდებული და იგი შეიძლებოდა მოგვეწყო მიწაზე და გაგვეხადა სასარგებლო მწარმოებელ ძალად; მაგრამ ამისთვის საჭიროა სიყვარულით ზრუნვა შეძლებულ ხელისუფალთა მხრიდან, საჭიროა არა ფორმალური, არამედ ჰგზნებარე, ენერგიული რუსული პატრიოტიზმით გამსჭვალული ორგანიზაცია. აი ეს კი არ არსებობს. ამაზე ყოველგვარი უფლების გარეშე ჩვენ მოუთმენლად ვეპყრობით იმ განწყობათა ნაყოფს, რომელიც შექმნილია ჩვენი მმართველი კლასების კულტურის საწინააღმდეგო, ნაჩქარევად რეფორმისტული მუშაობით.

კავკასიაში მოწანწალე რუსების ნაწილი, როგორც ჩანს, გამოუსწორებელია. განსაკუთრებით პენზის გუბერნია გვაწვდის ასეთ მაწანწალათა კონტინგენტს, მათთან ვერაფერს გააწყობ ვერც სიკეთით, ვერც ბოროტებით. მაშინაც კი, როცა პენზის გუბერნიიდან მოდის ნამდვილ ახალმოშენეთა პარტია, საქმის მცოდნენი ეჭვით უყურებენ მათ განზრახვას მტკიცედ დასახლდნენ მიწაზე...

უნდა ითქვას, რომ მაწანწალებმაც თავიანთი სამსახური გაუწიეს საგადასახლებო საქმეს. მათმა დაჟინებულმა ჩაციებამ ადგილობრივ მკვიდრებზე საბაბი მისცა თბილისში მცხოვრებ ჭეშმარიტ რუს ადამიანებს შეექმნათ გადასახლებულთათვის თავდაპირველად პეტერბურგის დახმარების საზოგადოების განყოფილება, ხოლო შემდეგ იგი გადაექციათ დამოუკიდებელ კავკასიურ საზოგადოებად. თავიდან საბაბი იყო სწრაფვა, ეზრუნათ მოწანწალე რუსებზე, რათა დაეცვათ საყვედურებისგან რუსული სახელი, რომელსაც მხარეში ამდენი მტერი ჰყავდა.

პროექტი, რომელიც საკმაოდ დიდხანს იდო თბილისის კანცელარიის მაუდქვეშ, ბოლოს და ბოლოს განხორციელდა. გადასახლებულთათვის ამიერკავკასიის დამხმარე საზოგადოებამ, რომელიც სერიოზული მხარდაჭერით არ სარგებლობდა ადგილობრივ ხელისუფლებაში და ბევრ გაადგილობრივებულ ადამიანს ძალიან არ მოსწონდა, მაინც საკმაო რეალური სარგებელი მოუტანა რუსულ საქმეს. ერთი მხრივ, ახალმოშენეთ შეძლებისდაგვარად უწევდნენ ყოველგვარ დახმარებას,

კერძოდ კი, თბილისში მოაწყვეს თავშესაფარი უფასო სასადილოთი; მეორე მხრივ, კომიტეტის წევრების ზრუნვამ მხარის რუს მოახალშენეებზე გამოავლინა მრავალი საჭიროება და უბედურება, რომელთაც ფარავდნენ უფროსობისგან ხალხის ბედის ქვედა საფეხურზე მდგომი წარმმართავენი; დასასრულ, თავად ამ საზოგადოების არსებობამ შექმნა რუსული პატრიოტიზმის ნაკადი და ხელი შეუწყო საკითხის სასურველ გადაჭრას მმართველ სფეროებში.

ამ საქმის ქომაგნი გადასახლებულთა თავშესაფარში პოულობდნენ ბევრ საზრუნავს, შრომას, მაგრამ დიდ სიხარულსაც – ურთიერთობდნენ ათასობით რუს ადამიანთან, რომლებიც ნდობით იყვნენ გამსჭვალულნი ამ საზოგადოების წარმომადგენლების მიმართ. კარგი იქნებოდა იქ გაეგზავნათ ეგრეთ წოდებული ინტელიგენტები და კოსმოპოლიტები, რომელთაც არ სწამთ ხალხის სულიერი ძალის და ივიწყებენ, რა წყარო კვებავს ამ ძალას.

ნაშიმშილები, დაღლილი, ათასგვარი უბედურებით და ფარულად მტრული მსახურეული ადამიანებისგან უგულო ფორმალიზმით დატანჯული უბრალო რუსი ადამიანები უცხო მხარეში პირდაპირ მშობლიურ ოჯახს პოულობდნენ და ბევრი მათგანი მთელი გრძნობით მიეჯაჭვა მას. ოჯახი კი მართლაც არ იყო ცუდი: იყვნენ, მაგალითად, ექიმები, რომლებიც საათობით ისხდნენ ხალხმრავალი თავშესაფრის დახუთულ ჰაერში; იყო მღვდელი, მაღალგანათლებული აკადემიკოსი, მაგრამ მოკრძალებული და გულით კეთილი მწყემსი, მამა კონსტანტინ კრასოვსკი, რომელმაც ვნების კვირა, მღვდლისთვის ყველაზე ხელსაყრელი დრო მატერიალური თვალსაზრისით, გადასახლებულებთან გაატარა ყარაიაზის დაბაში, შემდეგ კი მთელი ზაფხული დარჩა თბილისში, რათა ხშირად ენახა ეს დაბა, რომელიც მდებარეობდა მალარიან ადგილას; იყო ბევრი სხვა ადამიანიც, რომლებიც სიხარულით სწირავდნენ მსხვერპლად გულით საყვარელ საქმეს დროსაც, ფულსაც და სულიერ ზრუნვასაც.

მთელ ამ მოღვაწეობაში, რომელსაც დღემდე აგრძელებენ სხვა ადამიანები, იყო ცოტა ხმაური, მაგრამ ბევრი ქრისტიანული სიყვარული. ბევრი ასეთივე რამ იყო თვით გადასახლებულებს შორისაც, რომლებიც აქ რუსეთის სხვადასხვა ბოლოდან ჩამოვიდნენ. ისინი, ამავე დროს, ავლენდნენ დიდ გულუბრყვილოდ სტიქიურ რწმენას რუსი ხალხის უფლებაზე იმ მიწასთან დაკავშირებით, რომელიც მოპოვებული იყო რუსული სისხლით. ერთი გადმოსახლებული დაჟინებითაც კი ამტკიცებდა, რომ ამიერკავკასიის კლიმატი აუცილებლად შეიცვლება, გახდება უფრო „რუსული", როცა აქ დასახლდება რაც შეიძლება მეტი მართლმადიდებელი ადამიანი. მეორე გადმოსახლებულმა ხანგრძლივი გამოკითხვის შემდეგ მალარიის წინააღმდეგ გამაფრთხილებელ ზომე-

ბზე, პირქუში დარწმუნებით მიუთითა თავის ბავშვებზე და თქვა:

— ესენი შეიძლება დაიხოცონ, მაგრამ იმათ, ვინც აქ დაიბადება, უკვე ვეღარაფერი მოერევა! მაგრები იქნებიან, როგორც საჭიროა!

ეს ადამიანი რუსული ტიპის სიმტკიცის ხალხური რწმენის გამომხატველი იყო და თითქმის სჯეროდა მისი უმაგალითო მისადაგება ყველაზე სხვადასხვაგვარ პირობასთან. მან გვიჩვენა, რომ რუსი ხალხი, როგორც ჩვენი შემოქმედებითი ალთქმის ჭეშმარიტი მცველი, უფრო შორსმჭვრეტელია და სულიერად ძლიერი თავის ეგრეთ წოდებულ ინტელიგენციასთან შედარებით.

## 21. რუსი ინტელიგენცია

საჭიროა კი საუბარი კავკასიაში რუსი ინტელიგენციაზე? წინა სტატიებში მითითებული იყო ადგილობრივი ცხოვრების არაერთი ისეთი ხარვეზი, რომლებიც წარმოუდგენელი იქნებოდა ნაწილობრივ მოღალატური მონაწილეობის, ნაწილობრივ დანაშაულებრივი უმნებებლობის ან სამარცხვინო გულგრილობის გარეშე ჩვენი განათლებული ადამიანების მხრიდან, ისინი ხომ თითქმის ყველა ადგილობრივი მოხელე იყო; ორი-სამი ენერგიული ვაჭარი, ხუთი-ექვსი [illegible]აზეთე, ძირითადად გამყიდველი და გალოთებული თავის წრეში, ამდენივე გათაღლითებული კავკასიელი ადვოკატი სათვალავში არ ითვლება. დანარჩენი, ყველა, ან მსახურობს, ან მიეკუთვნება მსახურეულ ოჯახებს. ცუდი მსახურეული ადამიანების, ანუ სახელმწიფოს და რუსული საქმის არაერთგული მსახურების პროცენტი, ერთი შეხედვით, საკმაოდ დიდია, მაგრამ, თუ ჩავუღრმავდებით მსახურეული კლასის მდგომარეობას, მაშინ გარდაუვალია დასკვნა, რომ ეს უარყოფითი მოვლენები იმდენად ფესვგადგმული კი არაა თავად მასში, რამდენადაც წარმოიქმნება, ასე ვთქვათ, ზემოდან, ესე იგი, ერთი მხრივ, არასაკმარისი ეროვნული სამხარეო პოლიტიკის შედეგია, ხოლო, მეორე მხრივ — საერთორუსული საქმის აუწყობლობის ნაყოფი.

დავიწყოთ იქიდან, რომ მხარეში, რა თქმა უნდა, ყოველი რუსი ადამიანი როდია დარწმუნებული, რომ მხარს დაუჭერენ და არ „შეჭამენ“, თუკი გამოავლენს სამსახურებრივ უზადობას და ყველა შემთხვევაში დაიცავს რუსულ ინტერესებსა და ეროვნულ ღირსებას. მან შესანიშნავად იცის, რომ რომელიღაც ნავთობის მეფეს კავკასიაშიც, დედაქალაქშიც, ბიუროკრატიაშიც და ბეჭდვით სიტყვაშიც ისეთი კავშირები აქვს, რომ მას, საშუალო შეძლების მოხელეს, მოატყუებს კიდეც და ლუკმაპურსაც დააკარგვინებს. ასეთი მოხელე, რომელიც სამი ათასს იღებს, არის 40 წლის ადამიანი, ხშირ შემთხვევაში დაქორწინებული და ჰყავს შვილები. ამიერკავკასიაში კი ცხოვრება ისე უტანლად ძვირია

და მისი წყობა იმდენად არანორმალური, რომ ავადმყოფობის, ქორწილის ან სხვა მოვლენების დროს, რომლებიც ხარჯებს საჭიროებს, მოხელეს სჭირდება კრედიტი.

კრედიტი კავკასიაში – დამოუკიდებლობის დაკარგვის დასაბამია, ანუ პატიოსანი ადამიანისთვის დასასრულის დასაწყისი. სასიცოცხლო პროდუქტებიც და კრედიტიც სომხების ხელშია, ისინი კი წარმოადგენენ მძლავრ ანტირუსულ ორგანიზაციას. მსახურეულ ადამიანთა პირველ ვექსილებს სომხურ ბანკებში აღრიცხავენ თავაზიანი ღიმილით, ხელახალ აღრიცხვას ახდენენ მათი სინდისის ან სამსახურებრივი მოვალეობის კომპრომისის ფასად, ხოლო შემდგომს ისინი პირდაპირ სრულ დამონებამდე მიჰყავს.

არ არსებობს არც ერთი დაწესებულება, რომლებშიც ადგილობრივი მკვიდრნი, უპირატესად სომხები ან სომხური იდეოლოგიის უცხოტომელები, გაელენიან როლს არ ასრულებდნენ პირდაპირ ან თავიანთი დამქაშების მეშვეობით. თუკი ამას დავუმატებთ ბრძოლას უწყებებს შორის – დედაქალაქური ბრძოლის გამოძახილს, მაშინ პატიოსანი მსახურეული ადამიანის მდგომარეობის სიძნელე ცხადი გახდება.

რა თქმა უნდა, გეხედებიან ისეთი ადამიანებიც, რომლებიც ღალატობენ რუსულ საქმეს ან სუფთა არ არიან ფულად საქმეებში მხოლოდ იმიტომ, რომ მათ ეჭვით მოეპყრობოდნენ გაელენიანი თანამშრომლები და ალბათ გამოაძევებდნენ კიდეც იქიდან. კავკასიაში ერთი უწყება სავსეა პოლონელებით, რომელთა შორის, ბუნებრივია, არიან ობიექტურად პატიოსანი ადამიანები, მაგრამ, სულ მცირე, გულგრილნი რუსული საქმის მიმართ. მეორე უწყების ადგილობრივ ორგანოებში დღემდე ძლიერია „ხატისოვის სკოლა“ და იქ ცოტა როდი გეხედება ანტირუსული ელემენტი. მესამე უწყების ორგანოები „პრინციპის მიხედვით“ კოსმოპოლიტურია და ზოგადად აელენს ამ უწყების სპეციალურ ტენდენციებს, რომლებიც ანიჭებს განსაკუთრებულ ელფერს გასული ათი წლის განმავლობაში; მეოთხე, დახეთ, კავკასიაში უფრო დაბლა მდგომია, ან უკიდურეს შემთხვევაში ასე ჩანს, ვიდრე დანარჩენ რუსეთში, ვინაიდან აქ თავისი სახელმძღვანელო პრინციპებით, რომლებზეც უარის თქმა არ შეუძლია, შესაბამისობაში არაა ცხოვრების მოთხოვნებთან. სწორედ ეს პრინციპები ითრევს მას ხანდახან დამღუპველ უთანხმოებაში ადმინისტრაციასთან ორივე მხარის და ადგილობრივ მცხოვრებთა საზიანოდ.

სკოლა? არის კი რუსეთში საერთოდ რუსული სკოლა? რას და როგორ ასწავლის იგი? იქ ხომ ასწავლის ყველა ის ინტელიგენტი, რომლებიც უსმენდნენ მოჩვენებით ლიბერალ პრივატ-დოცენტებს, მათ კი თავი გამოუჭედეს ნეომარქსიზმით, ყოველგვარი რუსულის

ეროვნული ბიბლიოთეკა

და განსაკუთრებით რუსული წყობის უარყოფით. საიდან უნდა [illegible] მათ რაღაც განსხვავებული, როცა ჩვენი სკოლის დენაციონალიზაცია დღესაც გრძელდება მთელ რუსეთში?! და ყველაფერ ამის მიუხედავად, არ შეიძლება არ შევნიშნოთ, რომ კავკასიელ პედაგოგთა მნიშვნელოვან ნაწილს შორის არსებობს კეთილშობილი ეროვნული მიმდინარეობა, რომელიც გზას იკვლევს წინანდელი თეორიული ცნებების ნაგავსა და მძიმე დაბრკოლებებს შორის, ადგილობრივი ცხოვრება რომ წარმოშობს.

კავკასიის ყველა უწყებაში, ყველა ფენაში და რუსი ინტელიგენციის წრეებში არსებობს ისეთი ნათელი ნაკადები, რომლებიც მომდინარეობს, ასე ვთქვათ, არა თავიდან, არამედ გულიდან, უცხო მხარეში რომ დაიტანჯა. კავკასია, ისევე, როგორც საერთოდ აღმოსავლეთი, ან ხრწნის ადამიანის ზნეობას, ან აწრთობს მას. იქაური რუსი ადამიანები ბევრად უკეთესი არიან, ვიდრე ჩანან. გაათავისუფლეთ ისინი ხელოვნურად შექმნილი მატერიალური გაჭირვებისგან, უთხარით მათ გამამხნევებელი სიტყვა მბრძანებელი პირის ბაგეებით ან პატიოსანი გაზეთის სვეტებიდან, მიეცით მათ რაღაც გამაერთიანებელი და მივიღებთ ისეთ სურათს, რომლითაც რუსეთს ნამდვილად ექნება უფლება, იამაყოს.

ამ დროს კი ხდება სწორედ საწინააღმდეგო. თითქმის მთელი ბეჭდვა, გამონაკლისის გარეშე, ახლა ფაქტობრივად უცხოტომელთა ხელშია, მიუხედავად კალმის ადგილობრივ მრეწველთა რუსული სახელებისა. რუს ადამიანებს თავიანთი კუთხეც კი არ აქვთ, სადაც შეძლებდნენ კეთილსინდისიერად და უსაფრთხოდ ელაპარაკათ რუსულ საქმეებზე. ეგრეთ წოდებული „ტფილისის წრეც“ – შესანიშნავი რუსული დაწესებულება, სადაც დიდი წესრიგია, ვერ გადაურჩა უცხო ელემენტების მოწოლას. მათთან ერთად კი შეიპარა რუსული გრძნობის რაღაც დაურწმუნებლობა. ზოგჯერ იგი იქამდეც კი მიდის, რომ, მაგალითად, ერთხელ ამ დაწესებულების მთავარი მოღვაწეები ამაყობდნენ თავიანთ წრეში ცნობილი თაღლითი სომხის მიუღებლობას, რომელიც ეჩრებოდა იქ თითქმის უკვე მეათედ და იმსახურებდა კეტით ცემას. რა იყო აქ საამაყო? რა უხაროდათ? თუკი ეს გამარჯვებაა, მაშინ განა სავალალო არაა, რომ კიდევ აუცილებელი [illegible] ცხო[illegible]ბრივად გადაჭრილი საკითხისთვის?!

ადამიანები, რომელთა ზნეობა დაექვემდებარა კავკასიის გამხრწნელ ზემოქმედებას, წარმოადგენენ თავისთავად ძალზე სამწუხარო სანახაობას, რაც კი შეიძლება დაინახოს რუსმა ადამიანმა, რომელსაც ღირსება არ დაუკარგავს. მაქსიმ გორკის გმირები, რა თქმა უნდა, ნაკლებად შემზარავია, ვიდრე ეს ბედნიერი ადამიანები, რომელთაც არაფერი ადამიანური არ შერჩენიათ ზოგჯერ რიგიანი გარეგნობის

და კარგი საზოგადოებრივი მდგომარეობის ნიღაბქვეშ. ისინი არიან ადგილობრივი ცხოვრების ჭეშმარიტი წყლული, ვინაიდან ჩვეულებისამებრ ახერხებენ ბევრად უფრო გავლენიან ადამიანებს დაუახლოვდნენ და შეადგენენ ბანდას, რომელიც ღუპავს ყოველგვარ კეთილ წამოწყებას, რითაც ყოველივე ანტირუსულს ემსახურებიან.

არსებობს კიდევ ადამიანთა კატეგორია, ბევრად უფრო მრავალრიცხოვანი და ნაკლებმავნე, მაგრამ, საბოლოო ჯამში, ისინი ახდენენ არასასიამოვნო შთაბეჭდილებას. ეს ადამიანები, პასიურად „გაკავკასიელებულნი“ გონებრივად და ნაწილობრივ ფიზიკურად, აეწყნენ აღმოსავლეთის გამხრწნელი საზოგადოების სხვადასხვა სიმყრალეს, შეურიგდნენ ყველანაირ სიბინძურეს და თანდათანობით აითვისეს ლევიანური მსოფლმხედველობა. მათ უყვართ კახური ღვინო, თევზი შამაია, ახალთახალი ხიზილალა, ნაყინი, უხამსი ანეკდოტები მეტყველებასა და პრაქტიკაში, მოგება კარტში და ა.შ. ისინი ისადილებენ, ვისთანაც გნებავთ, იამხანაგებენ ნებისმიერთან, ოღონდ ფიზიკური ვითარება ელამუნებოდეს მათ ნატურას, რომელიც სამხრეთული კლიმატით განაზებული აქვთ. თუკი ადამიანი, რომელსაც იცნობდნენ, ბნელ საქმეში გაეხვა და დაისაჯა, ისინი ადგილობრივ მკვიდრთა დარად იტყვიან: „ოჰ, საწყალი, საწყალი“! თუკი რომელიმე მოკრძლებული ქალბატონი, რომელსაც ადრე ვერ ამჩნევდნენ ქმრის დაბალი მდგომარეობის გამო, მიიპყრობს მაღალი თანამდებობის პირის სასიამოვნო ყურადღებას, მაშინ ამ ტიპის ადამიანები სასწრაფოდ აავსებენ მას განსაკუთრებული პატივით. თავის ლევიანურ შეხედულებებში კავკასიის საზოგადოების აღნიშნული ნაწილი ზოგჯერ უფრო შორს მიდის: იგი პატივს სცემს ვიგინდარებს, რომელთა შესახებაც ეჭვობს, რომ ისინი წარმოშობით უფრო მაღალი ადამიანებიდან მოდიან, ვიდრე მათი ოფიციალური მამები.

დაცემული ადამიანების ეს ინერტული ჯგუფი შეიძლება კიდევ უფრო დაეცეს დროთა განმავლობაში, მაგრამ შეიძლება გაადამიანურდეს კიდეც. სამწუხაროდ, ამ ჯგუფში საკმაოდ ბევრი ქალია, რომლებიც ხშირად ზნეობრივი დაცემის წყარო ხდებიან თავიანთი ქმრებისა და ძმებისთვის. საკადრისი პასუხის გაცემა მოგინდება, როცა გაიფიქრებ, ვისზე ქორწინდებიან ზოგჯერ რუსი ინტელიგენტები და როგორია ჩვენი ქალთა სკოლის თანამედროვე დონე, განსაკუთრებით კავკასიაში!

ჩვენს ქალბატონებს და გოგონებს უყვართ საუბარი ცხოვრების უმიზნობაზე. ნუთუ ისინი ვერ ხედავენ, რა უზარმაზარი ეროვნული საქმის გაკეთება შეეძლოთ ჩვენს განაპირა მხარეებში, რომლებიც რუსული სინდისის და ზნეობის ხორცშესხმაა უსახლკარო განაპირა ჩინოვნიკების კერისთვის?! რუსული საქმის მტრებმა იციან, რა მნიშვნელოვანია ეს საკითხი – და ტყუილად როდი მომიხდა დამეწერა კავკასიაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსი ქალის ზემონახსენები წერილი, რომელიც მოუწოდებდა მათ აღესრულებინათ ეს ღირსეული ვალი.

პირადად მე ალბათ ვცოდავ, როცა ვჩივი კავკასიის ინტელიგენციაზე და საბოლოოჯამში, მივდივარ მისთვის არასასურველ დასკვნამდე. მე მქონდა ბედნიერება დავრწმუნებულიყავი, რომ მას გული ღრმად რუსული აქვს, ფაქიზი ყოველგვარი წრფელი მოწოდებისთვის. უცხო გარემოში, უცხო ლაპარაკის ხმაში მან თანდათან დაივიწყა მშობელი ხალხი, მაგრამ მგზნებარედ გადადგა ნაბიჯი ახალმოშენეთა ტალღის პირველივე სახალხო გაჭირვებისკენ. ცუდად მონათლულმა პრივატდოცენტებმა სასკოლო სკამზევე მოუწამლეს მას სული დასავლური ოცნების მიკრობით, მაგრამ პირველივე წამს, უხეშ სინამდვილესთან შეჯახებისას, იგი მიხვდა თვითმპყრობელობის აქსიომას რუსეთისთვის; საკმარისი იყო აღძრულიყო ეროვნული საკითხი, საკმარისი იყო გარკვეულიყო ეროვნულ ტანჯვაში და მრავალი ადამიანი, რომლებიც სიყმაწვილეში სკოლამ და ბეჭდვითმა სიტყვამ მოწყვიტა რწმენას, გულის თრთოლვით ეხმიანება დედა-ეკლესიის მოწოდებას.

საჭირო არაა ამ ადამიანების გაკიცხვა და ფიქრი, რომ რუსული საქმე კავკასიაში გამოუსწორებლად გაფუჭდა. ამ საქმის გამოსწორება ჯერ კიდევ ადვილია. თუ რამ ძნელია, შეარყიო მათი რუტინული დამოკიდებულება საქმის მიმართ, დაარწმუნო ისინი, ვისზეცაა ეს დამოკიდებული, გამაჯანსაღებელი მუშაობის აუცილებლობაში და ბოლოს მოხაზო ამ უკანასკნელისთვის მოფიქრებული მწყობრი პროგრამა.

ასე თუ ისე მოგვიწევს ამის გაკეთება. როცა მდინარის დინება გუბდება ნამზღვლევით ან მოტანილი ნაგვით, არ უნდა ვიფიქროთ, რომ სტიქიური მუშაობის ხილული შესვენება მისი შეწყვეტის ტოლფასია.

ეროვნული მუშაობა მთლიანად სტიქიური როდია. იგი აძლევს სამშობლოს მოყვარულ ადამიანებს შესაძლებლობას და აკისრებს მათ ვალდებულებას, შეგნებულად გააღრმაონ მშობლიური მდინარის კალაპოტი, გაარღვიონ დაბრკოლებები, რათა თავიდან აიცილონ არასაჭირო ადამიანური ტანჯვა.

რუსული მდინარის შეჩერება კი შეუძლებელია: მას ეკუთვნის მომავლის სივრცე, უკიდეგანო, როგორც რუსული ძალა.

J 789/10
ეროვნული ბიბლიოთეკა

# კავკასია.
## რუსული საქმე და ტომთაშორისო საკითხები

იდეის ავტორი და გამომცემელი
ჯემალ შელია

თარგმნილია 1904 წლის რუსული გამოცემიდან

მთარგმნელი: მარიკა ჯანიკაშვილი

დიზაინი,
კომპიუტერული უზრუნველყოფა: თამუნა ჩხაპელია

ტირაჟი: 600 ეგზემპლარი

აწყობა და დაკაბადონება
"რესტოგრაფიული ცენტრი 97"

ფასი სახელშეკრულებო

К 281.729
3
ეროვნული
ბიბლიოთეკა